ავტორი
**ლელა კაკაშვილი**
საავტორო ჯგუფი:
**ბექა კვაჭაძე**
**გიორგი უგულავა**
**ირაკლი ფერაძე**



# ისტორია 11

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს.

სულაკაურის
გამომცემლობა

ისტორია 11
მასწავლებლის წიგნი

ავტორი **ლელა კაკაშვილი**
საავტორო ჯგუფი: **ბექა კვაჭაძე, გიორგი უგულავა, ირაკლი ფერაძე**

რედაქტორი **ნინო გოგალაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **გიორგი ლომსაძე**

პირველი გამოცემა, 2023
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-316-9

History 11
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2023
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

## სარჩევი


სტრუქტურა ..... 5
საშუალო საფეხურის სტანდარტი ..... 13
თემის მკვიდრი წარმოდგენები..... 33
ცნებები ..... 43
მოსწავლის შეფასების სისტემები..... 46
სწავლა-სწავლების სტრატეგიები..... 57
თემატური მატრიცები..... 70
ავტორის კომენტარები..... 232

# სტრუქტურა

სახელმძღვანელოს მთავარი ფუნქციაა, სრულად მოერგოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოებას ამ მიზნების დანერგვაში. თავისი არსით, იგი უფრო მეტად წარმოადგენს რესურსს, რომელიც შესაძლებელია მასწავლებელმა თავისი შეხედულების, მიზნების, გამოწვევებისა და პროფესიული კომპეტენციების შესაბამისად შეიძლება მრავალგვარად გამოიყენოს, ვიდრე მყარ დოკუმენტს, რომელიც მასწავლებელს სამუშაო პროცესში თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ აძლევს. ამ მხრივ, სახელმძღვანელო პასუხობს ორ ძირითად გამოწვევას, რომლის წინაშეც სასკოლო მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოება დგას: ერთი მხრივ, ის სიღრმისეულად ამუშავებს შესასწავლ საკითხს, წარმოადგენს მას სხვადასხვა პერსპექტივიდან; აქცენტს აკეთებს მიზეზშედეგობრივ საკითხებზე, რათა მოსწავლეს თითოეულ ისტორიულ მოვლენაზე, პროცესსა და თემაზე მსჯელობის დროს ჰქონდეს პასუხი კითხვებზე, თუ რატომ და როგორ მოხდა ეს მოვლენა; შემოაქვს საშუალო საფეხურისთვის შესაფერისი კვლევითი, მსჯელობითი და ანალიტიკური მიდგომა და ქრონოლოგიურ ისტორიულ პერსპექტივასთან ერთად, მოვლენებს თემატური ისტორიული პერსპექტივიდანაც ამუშავებს.

მისი მიზანია, რომ მუშაობის პროცესში სრულად და სიღრმისეულად მოიცვას დასამუშავებელი საკითხები ისე, რომ მინიმალურად გაჩნდეს დამატებითი რესურსების გამოყენების საჭიროება. ამ მხრივ, ის ამომწურავი რესურსია არამხოლოდ მოსწავლისთვის, არამედ მასწავლებლისთვისაც, რადგან მიზნად ისახავს, რომ მან სრული, მრავალმხრივი, ამომწურავი და სიღრმისეული დამუშავება შესთავაზოს მასწავლებელს გაკვეთილის მომზადების პროცესში ისე, რომ მინიმალურად შექმნას სხვა, დამატებითი რესურსის გამოყენების აუცილებლობა.

მეორე მხრივ, მისი სტრუქტურული მოქნილობა, რასაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, სასკოლო საზოგადოებას დაეხმარება, რომ კარგად მოარგოს იგი თითოეული სკოლის, მასწავლებლის თუ კლასის რეალობასა და გამოწვევებს, რათა თავიდან აცილებულ იქნეს დროითი დეფიციტის ფონზე მასალის ვერ ან სიღრმისეულად ვერდამუშავების რისკები. იგი დასამუშავებელი საკითხის შესახებ სთავაზობს რამდენიმეშრიან ინფორმაციას, რომელიც საკითხს ამუშავებს აუცილებელ-საბაზისო, ჩაღრმავებულ და კვლევით-სამეცნიერო დონეზე, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასკოლო კურიკულუმის მიზნებისა და პრიორიტეტების, მისი პირადი პროფესიული კომპეტენციებისა და ხედვების და კლასის საჭიროებებისა და გამოწვევების მიხედვით, განსაზღვროს თითოეული შესასწავლი საკითხის შესაბამის დონესა და სიღრმეზე დამუშავება. სახელმძღვანელო ქმნის შესაძლებლობას (და არა აუცილებლობას), ხოლო მასწავლებელი მოსწავლის საჭიროებების მიხედვით ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მიხედვით ირჩევს, თუ რა მასშტაბით და რა სიღრმეზე შეიძლება დამუშავდეს თითოეული საკითხი.

ჯამში, სახელმძღვანელოს დამუშავების შედეგი უნდა იყოს სიღრმისეული, საშუალო საფეხურის საჭიროებებზე მორგებული, თვისობრივად ახალი ტიპის ცოდნის მიღება, რომელიც მოსწავლეს ხელს შეუწყობს კარგად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გაიაზროს ისტორიული პროცესი და აღიქვას იგი ცოცხალ, დინამიკურ და აქტუალურ პროცესად, რომელიც არ კარგავს კავშირს თანამედროვეობასთან და ისტორიულ პროცესს წარმოადგენს უწყვეტ, განვითარებად ჯაჭვად, რომელიც ორგანულად აკავშირებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას, მათ შორის თანამედროვეობას. ამ კუთხით, მისი შედეგი

უნდა იყოს საბაზო საფეხურზე უკვე მიღებული ცოდნის ახალი პერსპექტივიდან გააქტიურება, მისი გამჭოლი, ცნებების თვალთახედვით დამუშავება და მათ მიმართ კვლევითი, ანალიტიკური და შემოქმედებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

ცალკე უნდა გამოიყოს ის ფაქტორი, რომ, ერთი მხრივ, სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიური და სტრუქტურული ნაწილი სრულად შეესაბამება და ითვალისწინებს უახლესი ევროპული და ამერიკული სახელმძღვანელოების გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მასში გათვალისწინებულია ქართული და დასავლური უახლესი კვლევების შედეგები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამეცნიერო და კვლევითი დისკურსის შემოტანაზე სწავლების პროცესში.

გამორჩეული ყურადღება ექცევა ასევე სხვადასხვა ისტორიული პრობლემატიკის თანამედროვე კონტექსტში განხილვას, რათა მოსწავლემ სამყაროს ისტორიული განვითარების უწყვეტობა და ამ დარგის აქტუალურობა აღიქვას, ამავე დროს, მივიდეს იმ წარმოდგენამდე, რომ თანამედროვეობისთვის აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა, მაგალითად, შეუზღუდავი ძალაუფლების რისკები, ბუნებრივი კატაკლიზმების მიერ გამოწვეული კრიზისები და ტექნოლოგიების გავლენა საზოგადოების პროგრესზე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისტორიულ კონტექსტში უნდა იქნეს აღქმული და შესწავლილი.

სახელმძღვანელო შედგება სამი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულისგან – **მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი და მოსწავლის რვეული**.

თავის მხრივ, მოსწავლის წიგნი აერთიანებს სამ თემას – 1. **შუა საუკუნეები; 2. გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო; 3. ხანგრძლივი XIX საუკუნე**. თითოეული თემა დაყოფილია თავებად (სულ 7 თავი). თავებად დაყოფის პრინციპი ითვალისწინებს ერთი თავის ფარგლებში ერთი, მთლიანი ისტორიული პერიოდისა და ქვეპერიოდის მოქცევას, რათა მასში დამუშავებული მასალა დამოუკიდებელ, სტრუქტურულ და შინაარსობრივ ერთეულს ქმნიდეს.

თითოეული თავი შედგება პარაგრაფებისგან (მთლიანობაში 68 პარაგრაფი), რომლებიც სრულად მოიცავს ორივე სემესტრს კვირაში ორსაათიანი დატვირთვის პირობებში.

თითოეული თავი ცალკე, დამოუკიდებელი სტრუქტურული და შინაარსობრივი ერთეულია. თავს ყოველთვის ხსნის კომპლექსური დავალება, რათა მოსწავლე პირველ ეტაპზევე გაეცნოს შესასრულებელ დავალებას და შემდგომში სასწავლო პროცესი ამ დავალებაზე ორიენტირებულად, მისი მოთხოვნებისა თუ სპეციფიკის გათვალისწინებით წარიმართოს (ამაში მას მოსწავლის რვეულში მოცემული მრავალფეროვანი მასალა და აქტივობებიც დაეხმარება).

ჯამში, შვიდი თავის ფარგლებში ამდენივე კომპლექსური დავალებაა მოცემული, რაც მასწავლებელს, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს, რომ მთელი სწავლება კომპლექსური დავალებების შესრულება-განხორციელების პროცესში წარმართოს და თითოეული დასამუშავებელი საკითხი თუ პარაგრაფი ამ პროცესს მოარგოს. მეორე მხრივ კი მას საშუალება აქვს, აირჩიოს მისთვის სასურველი ერთი ან რამდენიმე დავალება, ხოლო სასკოლო მასალის დანარჩენი ნაწილი დამოუკიდებლად დაამუშაოს. სახელმძღვანელოს სტრუქტურა მას ორივენაირად მოქმედების საშუალებას აძლევს.

თითოეული თავი იხსნება შესავალი ნაწილით, რომელიც, ზემოხსენებული კომპლექსური დავალების გარდა, მოკლე ანოტაციის სტილში დაწერილი ეპოქის მცირე მიმოხილვით, ე.წ. თავის წარდგენითა და ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო თარიღების ჩამონათვალით იწყება. იქვეა განსაზღვრული ცნებები, რომლებიც კომპლექსური დავალების მეშვეობით მუშავდება. ჩვეულებრივ, თითოეულ თავში ორი ან სამი ცნებაა გამოყოფილი.

თითოეულ თავს თან ახლავს ვიდეოფილმები, როგორც რესურსი, რომლებიც ქართულად გახმოვანებულია და მოსწავლეს აძლევს საშუალებას, შტრიხკოდის გააქტიურებით, „სმარტფონის“ საშუალებით დამატებითი ინფორმაცია მიიღოს თავის ფარგლებში დამუშავებული ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეა გამოყოფილი ე.წ. თავის დახურვა – მისი შემაჯამებელი ნაწილი, რომელიც თითოეული თავის ბოლოს არის განთავსებული. იგი თავში განხილულ მასალას ანალიტიკური აქტივობების მეშვეობით კიდევ ერთხელ ახსენებს და ამუშავებინებს და იქვე, თემატურ სექციებში, მოსწავლეს სთავაზობს დამატებით საკითხავ მხატვრულ, თუ არამხატვრულ ლიტერატურას, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს, სერიალებს ა.შ. ამ გზით მოსწავლეს ვთავაზობთ, ლიტერატურისა და პოპკულტურის მეშვეობით მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ თავისივე ინიციატივით დამატებითი ინფორმაცია მიიღოს და, ამავე დროს, ხაზს ვუსვამთ ისტორიის აქტუალურობას და მის ბმას თანამედროვე სამყაროსთან.

თითოეული პარაგრაფი სამი ძირითადი კომპონენტის – ცნების, ქრონოლოგიური ისტორიული საკითხისა და თემატური ისტორიული საკითხის ერთობლიობას წარმოადგენს. სამივე (ცნება, ქრონოლოგიური საკითხი და თემატური საკითხი) იმგვარად არის შერჩეული, რომ ერთმანეთთან ორგანული დაკავშირების გზით ერთი შინაარსობრივი და ინფორმაციული მთლიანობა შექმნას და მოსწავლეს დაეხმაროს, საკითხი მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან დაამუშაოს. სახელმძღვანელოს მიხედვით საკითხის კარგად დამუშავება ნიშნავს მისი ცნებების, ასევე ჩამაღრმავებელი თემატური (მაგ. სოციალური ისტორიის საკითხები) პერსპექტივიდან შესწავლას, რათა მოსწავლემ საშუალო საფეხურზე ამომწურავი, მრავალპროფილური ცოდნა მიიღოს და ჩამოუყალიბდეს საკითხის ანალიტიკური აღქმა, დაფუძნებული ცოდნის აგების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე.

უშუალოდ პარაგრაფი იწყება საკვანძო შეკითხვით (რომლის დამუშავებაც საგაკვეთილო პროცესის მთავარი ლაიტმოტივი უნდა იყოს) და ცნებებით. გამოყოფილია ორი ან სამი ცნება, რომელსაც პარაგრაფი ამუშავებს. ცნებები იმგვარად არის დაჯგუფებული, რომ მოსწავლეს თითოეული ისტორიული ეპოქის ფარგლებში შეეძლოს, ეს ეპოქა ექვსივე ძირითადი ცნების (დრო, სივრცე, წყარო, ძალაუფლება, საზოგადოება, ისტორიული მოვლენა/პროცესი) პერსპექტივიდან დაამუშაოს. ის ცნებები, რომლებიც კომპლექსურ დავალებაშია გამოტანილი, აქცენტირებულად და სიღრმისეულად მუშავდება. თუკი, მაგალითად, კომპლექსური დავალების ფარგლებში მუშავდება „ძალაუფლება და საზოგადოება“, მოსწავლე კონკრეტული თემის ფარგლებში ექვსივე ცნებას დაამუშავებს, თუმცა „ძალაუფლებას“ და „საზოგადოებას“ პარაგრაფებში უფრო ხშირად შეხვდება.

პარაგრაფს დასაწყისშივე ახლავს ცალკე გამოყოფილი მოკლე ანოტაცია, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება, ნათლად წარმოიდგინოს დასამუშავებელი საკითხი, გაიგოს მისი მნიშვნელობა და წინარე ცოდნის გააქტიურება-გახსენების გზით ჩამოუყალიბდეს თანმიმდევრული ცოდნა. ანოტაციის ნაწილი წინაპირობას ქმნის ახალი მასალის დასამუშავებლად.

პარაგრაფს იქვე, შესავალ ნაწილშივე მოჰყვება შესაბამისი ეპოქის მნიშვნელოვანი ფიგურის მიერ ან კონკრეტული პერიოდის აღმწერი გამონათქვამი, ციტატა, რომელიც, ერთი მხრივ, ამრავალფეროვნებს მასალას, ახდენს მის აქტუალიზაციას და აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა მნიშვნელოვან ისტორიულ პერსონას, მეორე მხრივ კი, ის მოკლე, კომპაქტური გზავნილის სახით განასახიერებს მთელი პარაგრაფის ძირითად იდეას და ორგანულად უკავშირდება დასამუშავებელ მასალას.

თითოეულ პარაგრაფში გამოყოფილია ძირითადი და დამხმარე ტექსტი (ცალკე სტრუქტურული ერთეულების ე.წ. ჩანართი, „ეს საინტერესოა“-ს სახით) და მასალა დიფერენცირებული სახით არის მიწოდებული. ძირითადი ტექსტი დამხმარე ტექსტის გარეშეც ქმნის ერთიან, მთლიან და ლოგიკურად გამართულ ნარატივს, თუმცა ჩანართების მეშვეობით მასალა სიღრმისეულად მუშავდება და მოსწავლეს დამატებითი ინფორმაცია მიეწოდება ძირითად ტექსტში გააქტიურებული საკითხების შესახებ. ამგვარი ჩანართებით თავიდან არიდებულია ტექსტის გადატვირთვა, მათ შორის, ტერმინებით, თარიღებითა და სხვა სპეციფიკური მასალით, ამავე დროს, მოსწავლეს საშუალება აქვს, ამომწურავი და უფრო სიღრმისეული ცოდნა მიიღოს.

რუბრიკას – „ეს საინტერესოა“ – უფრო მეტად დამატებითი ინფორმაციის ხასიათი აქვს, რომელიც, სხვადასხვა საინტერესო და დასამახსოვრებელი დეტალების შეთავაზებით, მოსწავლისთვის დასამუშავებელი ინფორმაციის გაცოცხლებას და აქტუალიზაციას ისახავს მიზნად.

პარაგრაფებს ზოგჯერ, მოსწავლის წიგნსა თუ რვეულში ემატება დანართი სოციალური ისტორიის თემებით, რომლებიც ორგანულად უკავშირდება ძირითად დასამუშავებელ საკითხებს და ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, სიღრმისეულად გაიგოს პარაგრაფის მასალა, განსხვავებული პერსპექტივით აღიქვას საკითხი და, ამავე დროს, ისტორია დაინახოს არამხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური ისტორიის პერსპექტივიდან, არამედ გაეცნოს ყოველდღიურ ყოფას და მრავალფეროვან, ყოფაცხოვრებისეულ დეტალებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ისტორიულ ნარატივზე საბაზო საფეხურზე აქცენტი ნაკლებად კეთდება და ეს საშუალებს გვაძლევს, საშუალო საფეხურზე სწავლება ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ და ახლებური პერსპექტივით მივაწოდოთ მოსწავლეებს.

აქტივობები ჩაშლილია ტექსტის ძირითად ნაწილში, რაც გვეხმარება, რომ საკითხები უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში დამუშავდეს.

აქტივობები, ცხადია, შედგენილია საკითხის შინაარსიდან გამომდინარე. თუმცა თითოეული აქტივობა, იქნება ეს დისკუსია, მსჯელობა, რუკაზე მუშაობა, კოგნიტური დიაგრამის შევსება თუ წყაროს დამუშავება, რამდენიმე მიზანს ემსახურება: მოსწავლემ გაიაზროს სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია და გაუადვილდეს მიღებული ცოდნის დეკლარაციულიდან პირობისეულ ცოდნად ქცევა. ბუნებრივია, ამგვარი შედეგი ნაბიჯ-ნაბიჯ, ნაცნობიდან უცნობისაკენ სვლის პრინციპით მიიღწევა და სახელმძღვანელოს აქტივობებიც, ისევე როგორც მთლიანი ტექსტები, ამ პრინციპებს ემყარება.

მოსწავლის რვეული და მასწავლებლის წიგნი დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ და არა სახელმძღვანელოს უბრალო დანამატს. ჩვენი კონცეფციის მიხედვით, თითოეული მათგანი მთელის შემადგენელი ნაწილია და მათ შესაბამისი ფუნქცია და დატვირთვა აქვთ.

მოსწავლის რვეულში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მოსწავლისა და მასწავლებლის მასწავლებლის წიგნში განთავსებულ კომპლექსურ დავალებებს და მათ შესასრულებლად გამიზნულ აქტივობებს. გარდა ამისა, ცალკე განყოფილებაა მოცემული ე.წ. კონტექსტმაგალითები საკუთარი აქტივობებით. წერითი დავალებები, დიაგრამები, წყაროების ანალიზი და მრავალგვარი ცხრილები მოსწავლეს ეხმარება კომპლექსური დავალების იოლად შესრულებაში სხვადასხვა აქტივობის დამუშავების გზით. დამატებით, ის წერილობით მუშაობს მოსწავლის წიგნში გაბნეულ შესაბამის დავალებებზე. მათზე კლასში მუშაობა საგაკვეთილო პროცესს უფრო დატვირთულსა და საინტერესოს გახდის, ხოლო საშინაო დავალებებად მათი შესრულების შემთხვევაში ის დამატებით დამხმარე ინსტრუმენტად გადაიქცევა მოსწავლეებისათვის ახალი მასალის ათვისების პროცესში.

რვეულში მოცემულია სასარგებლო ბმულებიც, რომლებიც მოსწავლეებს სახელმძღვანელოში შესასწავლი ეპოქის შესაბამის დამატებით ინტერნეტრესურსებს აწვდის.

მასწავლებლის წიგნი გამიზნულია როგორც დამხმარე რესურსი პედაგოგებისათვის, რათა მათ უკეთ შეძლონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისა და წლიური პროგრამების მიხედვით სწავლა-სწავლების პრინციპების დანერგვა. მასწავლებლის წიგნში ჩადებულია ამ მიზნების გასაცნობად საჭირო აუცილებელი დოკუმენტები: საშუალო საფეხურის სტანდარტში, შინაარსობრივად დალაგებული საკითხების ჩამონათვალთან ერთად, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული თითოეული თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. მას მოსდევს თემატური მკვიდრი წარმოდგენები. თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა, მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე. შესაბამისად, მასწავლებლისთვისაც იოლი იქნება მისაღწევი ორიენტირების გამოკვეთა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით. მას მოსდევს საგნობრივი სამიზნე ცნებები და მოსწავლის შეფასების სისტემები. როგორც განმსაზღვრელი, ასევე SOLO ტაქსონომიაზე დამყარებული განმავითარებელი შეფასება. კონკრეტულ ისტორიულ საკითხზე დაფუძნებული ყველა დონის შეფასების ნიმუშით წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, ვფიქრობთ, პედაგოგთათვის უფრო გასაგებსა და აღქმადს გახდის SOLO ტაქსონომიის პრინციპებსა და დანიშნულებას.

საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად ჩატარებისათვის პედაგოგებს ვთავაზობთ სწავლა-სწავლების სტრატეგიებსა და გარკვეული აქტივობების შეფასების რუბრიკებს, რაც მათ გაუადვილებთ სასწავლო პროცესსაც და სწავლა-სწავლების პრინციპების საკლასო ოთახში დანერგვასა და გატარებას.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილი მატრიცები სწავლების პროცესში მასწავლებლის ეფექტურ დამხმარე რესურსად წარმოგვიდგება და ის ერთი მთლიანობის (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) ორგანული ნაწილია. ჩვენ მიერ ყველა თავისათვის შედგენილი კომპლექსური დავალებებით, სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელი შეძლებს, დაფაროს სახელმძღვანელოში მოცემული მასალა. ჩვენი კონცეფციის თანახმად, კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს ძირითად რესურსს წარმოადგენს სახელმძღვანელო და სხვა დანარჩენი რესურსები, სახელმძღვანელოში მოცემული საკითხებით დაინტერესების შემთხვევაში, უფრო მეტის გასაგებად მოტანილი რესურსია, ვიდრე წიგნის ალტერნატიული ვერსია. შესაბამისად, მასწავლებლისათვის ამ რესურსების ამა თუ იმ მიზეზთა გამო ვერგამოყენება კომპლექსური დავალების ვერგანხორციელებისა და საკითხის ვერგადაცემის მიზეზი არ გახდება. უფრო მეტიც, მკაფიოდაა ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით დასამუშავებელი ნაბიჯების თანმიმდევრულობა და ის კითხვებიც, რომლებიც ამ ნაბიჯების განხორციელების დროს უნდა დაისვას და ეს სახელმძღვანელოში არსებული კითხვებისა და აქტივობების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს; რაც ამ სამი კომპონენტის მთლიანობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მასწავლებლის წიგნის მომდევნო ნაწილში შეხვდებით ავტორების რეკომენდაციებს პედაგოგებისადმი (რომელი საკითხები გამოკვეთონ თითოეული პარაგრაფის შესწავლისას). ეს ნაწილი პედაგოგებს სახელმძღვანელოს კონცეფციის აღქმასა და გააზრებაში დაეხმარება და უფრო ეფექტურს გახდის მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს.

# XI კლასის „ისტორიის“ მოსწავლის წიგნი 3 თემისა და 68 პარაგრაფისგან შედგება.
## სახელმძღვანელოში წარმოდგენილია რუბრიკები:

შეაბიჯე ისტორიაში: უყურე ვიდეოს ჯვაროსნების ეპოქისა და იერუსალიმის პირველი ალყის შესახებ.

**ქართულ ენაზე გახმოვანებული ვიდეო-მასალა**, რომელიც სმარტფონის საშუალებით **QR კოდით** აქტიურდება.

„გერმანიის მმართველებმა სცადეს, ხორცი შეესხათ კარლოს დიდის ოცნებად ქცეული გეგმისთვის, ექციათ ევროპული სამყარო ერთ იმპერიად“.

*ჟაკ ლე გოფი, თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი*

**ციტატა** – ცნობილი ისტორიული პიროვნების ან ისტორიკოსის გამონათქვამი ეპოქის ან კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ




**დროის ხაზი** – ეპოქისა და კონკრეტული პერიოდის საკვანძო მოვლენებისა და თარიღების ჩამონათვალი, რომელიც დროით ხაზზე ვიზუალურად იოლად აღქმადი სახითაა წარმოდგენილი.

**სიმონია**

ეს ტერმინი აღნიშნავდა ფულისა და ქონების სანაცვლოდ სასულიერო თანამდებობების დათმობას. ანუ სასულიერო თანამდებობებით ვაჭრობას.

ტექსტის პარალელურად არეზე წარმოდგენილია **ლექსიკონი**, რომელიც მოსწავლისთვის უცნობ სიტყვებსა თუ ცნებებს განმარტავს.



**სამუელ ადამსი**

(1794 -1797)

ამერიკელი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი, ამერიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა. მოღვაწეობდა ნიუ-ინგლენდში, აქტიურად მონაწილეობდა ამერიკის რევოლუციაში და მხარს უჭერდა რესპუბლიკურ იდეებს.

**მოკლე ბიოგრაფია** – ტექსტის პარალელურად წარმოდგენილი მოკლე ცნობები შესაბამისი ეპოქის მოღვაწეზე.

ეს საინტერესოა

### საიდან გაჩნდა ტერმინი „განმანათლებლობა“

ტერმინი განმანათლებლობა შედარებით გვიანდელია. ინგლისური ტერმინი „Enlightenment“ მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჩნდება. იქამდე გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი 1784 წელს იყენებს ამ ტერმინს გერმანულ ენაზე – სახელით – Aufklärung. მსგავსი მნიშვნელობის იყო ფრანგული ტერმინი Lumières, რომელიც ჯერ კიდევ 1733 წელს გამოიყენეს. ყველა ამ ტერმინს დაახლოებით მსგავსი მნიშვნელობა აქვს.

**ეს საინტერესოა** – დამატებითი ინფორმაცია ტექსტში წარმოდგენილ საინტერესო საკითხზე

**დავალება**

**4 იმსჯელე**

რატომ აღიქვამდა ეკლესია სკეპტიკურად მეცნიერულ აღმოჩენებს?

**5 იმსჯელე**

რატომ აღიქვამდა სამყაროს განსხვავებულად მეცნიერება და ეკლესია?

**დავალება** – ეხმარება მასალის გაგებას, მის ანალიტიკურ აღქმას და დამუშავებას, ხელს უწყობს კრიტიკული, ანალიტიკური და შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებას. აქვს მასალის შეჯერების ფუნქცია.

კონსტიტუციური მონარქია → 1789/1791 – 1793

პირველი რესპუბლიკა → 1792 – 1804

**დიაგრამები**, რომლებზეც სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია სტრუქტურიზებული სახითაა მოცემული.

**წყარო 2**

### ლორდი ველინგტონი, ინგლისელი სარდალი, ნაპოლეონის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მოწინააღმდეგე

„ნაპოლეონის ბრძოლის ველზე ყოფნა 40 ათასს ჯარისკაცს უდრის. ის რწმენას და ძალას აძლევს ჯარისკაცებსაც და მარშლებსაც. მისი პიროვნული ძალა ჯარისკაცებს აძლევს სირთულეების გადალახვის ძალას. მათ სჯერათ, რომ ნაპოლეონთან ერთად აუცილებლად გაიმარჯვებენ“.

**წყარო** – მოსწავლეს აწვდის დაუმუშავებელ ინფორმაციას პირველწყაროს სახით. ეხმარება მასალის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მისი მიზანია, მოსწავლეს ხელი შეუწყოს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებასა და ისტორიული მოვლენების განსხვავებულ ინტერპრეტაციაში.

**ჩანართი** ნაპოლეონი და მისი ოჯახი

ნაპოლეონის პირველი ცოლი ჟოზეფინა იყო 1796 წლიდან. 1810 წელს, ავსტრიის დამარცხების შემდეგ იგი ჟოზეფინას გაშორდა და დინასტიური ქორწინებით იქორწინა. ვაგრამის ბრძოლისა და მეხუთე კოალიციის მარცხის შემდეგ ნაპოლეონმა ავსტრიის პრინცესა მარი-ლუიზა შეირთო ცოლად. მათ შეეძინათ შვილი ნაპოლეონ მეორე. ნაპოლეონი ამ შემთხვევაშიც დინასტიური მონარქიის გზით წავიდა და მის შემდეგ მმართველობის გადაცემას თავისი შვილისთვის აპირებდა. ნაპოლეონ II-ს საფრანგეთის მმართვლობა არ მოუწია და სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის ასაკში ტუბერკულიოზით გარდაიცვალა.

**ჩანართი** – დამატებითი ინფორმაციის სახით მოცემულია ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულად გაგებას. ძირითად ტექსტში მოცემული ამბავი სწორედ ჩანართშია ჩაღრმავებული.

**რა იქნებოდა, რომ**

- ისტორიას ბევრი გარდამტეხი მოვლენა თუ ეპიზოდი ახსოვს, რომელთაც სამყაროს განვითარება დიამეტრულად შეუცვლიათ.

  გაიხსენე განვლილი თავი, მიღებული ცოდნით შეაფასე ისტორიული მოვლენები და მიღებული ცოდნისა და შენი ანალიზის საფუძველზე შექმენი მცირე თხზულება: რა იქნებოდა, რომ რა იქნებოდა ნაპოლეონი ვატერლოოს ბრძოლაში რომ არ დამარცხებულიყო?
- თხზულების შექმნის დროს გაითვალისწინე შემდეგი ფაქტორები:

ა. რატომ იბრძოდნენ წლების განმავლობაში ევროპული კოალიციები ნაპოლეონის და იქამდე საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ;
ბ. რამდენად ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰქონდა ნაპოლეონს საფრანგეთის საზოგადოებისგან;
გ. საზოგადოებრივი მოწყობის რა პრინციპს განასახიერებდა ნაპოლეონი იმ ეპოქის ევროპაში – რატომ იყო იგი მიუღებელი ევროპული მონარქიებისთვის;
დ. რამდენად გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა ვატერლოოს ბრძოლას.

**„რა იქნებოდა, რომ...“** სავარჯიშო თავის ბოლოს, რომელიც აჯამებს მთელ თავს, ეხმიანება მის თითოეულ პარაგრაფს, ხელს უწყობს შემეცნებითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას, აბსტრაქტულ აზროვნებას.

**დანართი**

- შუა საუკუნეების ადამიანთა საცხოვრებელი გარემო

ანტიკურ ხანაში რომის იმპერიასა თუ ბერძნულ სამყაროში მცხოვრები ადამიანი ყოველდღიურობის დიდ ნაწილს გარეთ – ქალაქისა თუ დასახლების ცენტრალურ მოედანზე, ფორუმზე, თეატრში, სათათბირო ადგილებში ატარებდა. შუა საუკუნეებში ყველაფერი შეიცვალა – ადამიანი საკუთარ სახლში აღმოჩნდა გამოკეტილი. გლეხის პატარა მიწური იქნებოდა თუ გრაფის სასახლე, მას ერთი და იგივე დანიშნულება ჰქონდა: უნდა შეეფარებინა და დაეცვა ადამიანი გარეთ მყოფი მტრისაგან, რადგან შუა საუკუნეებში გარეთ დარჩენილ ადამიანს ბევრი ხიფათი ემუქრებოდა. შუა საუკუნეების საზოგადოებაში სახლს საკრალური მნიშვნელობა მიენიჭა და ის, ადათობრივი სამართლის მიხედვით, ხელშეუხებელ ადგილად ითვლებოდა.

**დანართი** მოსწავლეებს სოციალური ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს (კვებას, ტანისამოსის, არქიტექტურას და ა.შ.) აცნობს, რაც, ერთი მხრივ, ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციის სიღრმისეულად გაგებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი ჩვეულებრივი ადამიანის ყოფა-ცხოვრების დეტალების აღწერა აადვილებს კონკრეტული ეპოქის ნათლად დანახვას და აღქმას.

## საშუალო საფეხურის სტანდარტი

### შესავალი

სტანდარტი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის საფუძველზე უნდა მომზადდეს ორი კურსი: (1) პირველი მათგანი – **„ისტორია“** გულისხმობს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენების/პროცესების შესწავლას და მათთან საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირებას; (2) მეორე კურსის – **„საქართველოს ისტორია“** ფარგლებში კი აქცენტი კეთდება ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევაზე/სიღრმისეულ გააზრებაზე.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ეროვნულ სას-წავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

**საფეხურის შედეგები**

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ისტ. საშ.1:**

**„ისტ.“** – მიუთითებს საგანს ისტორია;

**„საშ.“** – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

<table>
<tr><th colspan="3">ისტორიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე</th></tr>
<tr><th>შედეგების ინდექსი</th><th>შედეგები</th><th>სამიზნე ცნებები</th></tr>
<tr><td>ისტ.საშ.1.</td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;</td><td rowspan="6">ისტორიული წყარო (ისტ.საშ.1,2,4,5)<br><br>დრო (ისტორიული პერიოდი) (ისტ. საშ. 1,2,3,4,5,6)<br><br>სივრცე (გარემო, ტერიტორია) (ისტ. საშ.1,2,3,4,5,6)<br><br>საზოგადოება (ისტ. საშ.1,2,3,4,5,6)<br><br>ძალაუფლება (ისტ. საშ.3,4,5,6,7,8)<br><br>ისტორიული მოვლენა / პროცესი (ისტ.საშ.3,4,5,6)</td></tr>
<tr><td>ისტ.საშ.2</td><td>ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიური ერთეულებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;</td></tr>
<tr><td>ისტ.საშ.3</td><td>ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;</td></tr>
<tr><td>ისტ.საშ.4</td><td>ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/პიროვნების მოღვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად.</td></tr>
<tr><td>ისტ.საშ.5</td><td>ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება, როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით ერთი მხრივ ეპოქის უნიკალობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად.</td></tr>
<tr><td>ისტ.საშ.6</td><td>ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინციპების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასთან და პატრიოტიზმთან.</td></tr>
</table>

## სავალდებულო თემები:

„ისტორიისა“ და „საქართველოს ისტორიის“ კურსის სწავლა-სწავლება წარიმართება პარალელურად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, თუ რომელი სავალდებულო თემები უნდა ისწავლებოდეს ურთიერთდაკავშირებულად.

**ისტორია საქართველოს ისტორია**

| X კლასი | X კლასი |
|---|---|
| 1. პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი | საქართველო ქვის და ბრინჯაოს ხანაში |
| 2. ანტიკური ხანა | საქართველო ანტიკურ ხანაში (ახ.წ. III საუკუნემდე) |
| 3. გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები | საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში (1014 წლამდე) |
| **XI კლასი** | **XI კლასი** |
| 4. შუა საუკუნეები | განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში |
| 5. გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო | საქართველო XV-XVIII საუკუნეებში |
| 6. „ხანგრძლივი XIX საუკუნე“ | საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში |
| **XII კლასი** | **XII კლასი** |
| 7. „ხანმოკლე XX საუკუნე“ | საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა<br>საქართველო საბჭოთა კავშირში |
| 8. მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე | საქართველო და თანამედროვე მსოფლიო |

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა უნდა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანმიმდევრობა.

**ეროვნული სასწავლო გეგმა თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს. ამდენად, მასწავლებლის წიგნში წარმოგიდგენთ სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელ ცხრილებს საშუალო საფეხურისათვის.**

**თითოეულ ცხრილში მოცემულია შეფასების ინდიკატორები, რომლებიც წარმოაჩენს, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.**

## მსოფლიო ისტორია
## X კლასი

| თემა: პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო –** მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით პრეისტორიული და ძველაღმოსავლური პერიოდის ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიასთან და ძველაღმოსავლურ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, არქეოლოგიური პერიოდიზაციასთან; ისტორიულ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც პრეისტორიულ და ძველაღმოსავლურ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიასთან/ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ძველაღმოსავლურ პერიოდში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიული/ბრინჯაოს ხანის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება ძველაღმოსავლური პერიოდის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიასთან/ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

## საქართველოს ისტორია
## X კლასი

| თემა: საქართველო ქვის და ბრინჯაოს ხანაში |
|---|
| თემა გულისხმობს ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br>**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);<br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (არქეოლოგიური პერიოდიზაცია; ისტორიული პერიოდიზაცია); მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;<br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მაგალითად, „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“, შუამდინარეთი, ახლო აღმოსავლეთი და სხვა) მნიშვნელობის დახასიათება;<br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვისა და ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურულ სხვას“ – თან დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის/არქეოლოგიური პერიოდის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;<br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა ქვის და ბრინჯაოს ხანის მაგალითების გამოყენებით;<br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენების/პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, როდიდან ჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე „კომპლექსური საზოგადოება“</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით). |

| თემა: ანტიკური ხანა (ახ.წ. III საუკუნემდე) |
| --- |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა, ნუმიზმატიკური მასალა*) დაყრდნობით ანტიკური ხანის ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკურ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, არქეოლოგიურ პერიოდიზაციასთან; ისტორიულ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ანტიკურ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკურ ხანასთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● ანტიკური ხანისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ანტიკურ პერიოდში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკური ხანის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება ანტიკურ ხანის საქართველოს, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკურ ხანასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

| თემა: საქართველო ანტიკურ ხანაში |
| --- |
| თემა გულისხმობს ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის ისტორიულ მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (*მაგალითად, კოლხეთი, იბერია, პონტო, არმენია*) დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურულ სხვა“-სთან დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა ანტიკური ხანის მაგალითზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, რატომ დააარსეს ბერძნებმა ახალშენები საქართველოს ტერიტორიაზე?</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

| თემა: გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე) |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა, ნუმიზმატიკური მასალა*) დაყრდნობით გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასთან და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეებისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება საქართველოს, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასთან და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

| თემა: საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (1014 წლამდე) |
| --- |
| თემა გულისხმობს გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; ისტორიული პერიოდიზაცია); მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, დარიალის კარი, დარუბანდის კარი) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის მაგალითებზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (მაგალითად, რომელი სოციალურ-პოლიტიკური სივრცეების ნაწილს წარმოადგენდა საქართველო გვიანანტიკურ ხანასა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

# XI კლასი

| თემა: შუა საუკუნეები |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა, ნუმიზმატიკური მასალა*) დაყრდნობით შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც შუა საუკუნეებში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეებთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● შუა საუკუნეებისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● შუა საუკუნეებში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება შუა საუკუნეების საქართველოს, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

# XI კლასი

| თემა: განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში |
|---|
| თემა გულისხმობს განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** |

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, სამცხე-საათაბაგო, კლდეკარის საერისთავო) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, როდიდან ყალიბდება ფეოდალური ურთიერთობები საქართველოში; რა თავისებურებები ჰქონდა მას?</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

| თემა:  გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*მაგალითად, წერილობითი წყაროები*) დაყრდნობით გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ცვალებადობის/დროის ფენომენის ახლებურად გააზრებას განაპირობებდა;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● გვიან შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალი დროისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის საქართველოს, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

| თემა: საქართველო XV-XVIII საუკუნეებში |
| --- |
| თემა გულისხმობს „ხანგრძლივი შუა საუკუნეების“ პერიოდის (XIV-XVIII საუკუნეები) საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიისთვის საკვანძო პრობლემების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; პრობლემების გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, საბარათიანო, სამოქალაქო) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- XV-VIII საუკუნეების საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- XV-VIII საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, რატომ გაჩნდა საქართველოში სათავადოები? რატომ დაიშალა საქართველო სამეფო-სამთავროებად?</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

| თემა: „ხანგრძლივი XIX საუკუნე“ |
| --- |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან;<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XIX საუკუნეში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) ცვალებადობის/დროის ფენომენის გააზრებაზე ახდენდა გავლენას;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● XIX საუკუნისთვის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● XIX საუკუნეში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება XIX საუკუნის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

| **თემა: საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში** |
| --- |
| თემა გულისხმობს 1801-1917 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/ თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით 1801-1917 წლების საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, თბილისის გუბერნია, გორის მაზრა) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1801-1917 პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, რა შედეგები მოუტანა საქართველოს მიხეილ ვორონცოვის რეფორმებმა</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით. |

## XII კლასი

| თემა: „ხანმოკლე XX საუკუნე“ |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*მაგალითად, წერილობითი წყაროები, აუდიო-ფოტო-ფონო მასალა*) დაყრდნობით XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან;<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XX საუკუნეში (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) ცვალებადობის/დროის ფენომენის ახლებურად გააზრებაზე ახდენდა გავლენას;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● XIX საუკუნისთვის (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XX საუკუნეში (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) სივრცის ფენომენის ახლებურად გააზრებაზე ახდენდა გავლენას;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნის (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება XX საუკუნის (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

## XII კლასი

| თემა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა |
|---|
| თემა გულისხმობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით 1918-1921 წლების პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (მაგალითად, რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში?); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

| თემა: მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე |
| --- |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*მაგალითად, წერილობითი წყაროები, აუდიო-ფოტო-ფონო-მასალები*) დაყრდნობით „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან;<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის გააზრებაზე ახდენს გავლენას;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში სივრცის ფენომენის გააზრებაზე ახდენს გავლენას;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდის საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

| თემა: საქართველო საბჭოთა კავშირში |
|---|
| თემა გულისხმობს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● საბჭოთა პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული პერიოდის დანახვა მისი თანამედროვის თვალით’;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მაგალითზე;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დაშლას?</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით. |

| თემა: საქართველო და თანამედროვე მსოფლიო |
|---|
| თემა გულისხმობს 1990-იანი წლების და შემდგომ პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათ-ებლების წარმოჩენას. |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული გეოგრაფიული ცნებების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული პერიოდის დანახვა მისი თანამედროვის თვალით';

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის მაგალითზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების კვლევა (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*).

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების კვლევა (მაგალითად, რა გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოს გლობალიზაცია?); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

# თემის მკვიდრი წარმოდგენები

თემატური მკვიდრი წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან.

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების** ფუნქციაა, მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე.

გთავაზობთ XI კლასში შესასწავლი თემების მკვიდრ წარმოდგენებს:

**თემა 1. შუა საუკუნეები**

| სამიზნე ცნება: | მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: |
|---|---|
| **დრო** | ● შუა საუკუნეები მონოთეისტური რელიგიების – ქრისტიანობისა და ისლამის, ერთი მხრივ, დაპირისპირების და, მეორე მხრივ, ურთიერთზემოქმედების პერიოდია;<br>● განვითარებული შუა საუკუნეების ზოგადი მახასიათებლები (სოციალურ-ეკონომიკური, მსოფლმხედველობრივი..) საერთო ქრისტიანული სივრცისთვის მეტ-ნაკლებად მსგავსია, ამიტომ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია ახლოს მიუყვება აღნიშნული ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ნიშნულებს;<br>● შუა საუკუნეებში ისტორიის პერიოდიზაცია როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში რელიგიური ნიშნით იყო განსაზღვრული, როგორც კონცეპტუალურ დონეზე, ასევე სამწყსოსთვის რელიგიური დღესასწაულების გამოთვლის ფორმითაც;<br>● შუა საუკუნეებშიც, ისევე როგორც ადრეულ პერიოდებში ბინადარი მოსახლეობის მიწაზე დამაგრებული ნაწილისთვის დღე-ღამის მონაცვლეობა, მნიშვნელოვანწილად, სამეურნეო საქმიანობას უკავშირდებოდა, თუმცა დროის კონტროლი ეკლესიის ხელშია;<br>● საათები, თანამედროვე გაგებით, შუა საუკუნეებში არ არსებობდა არც ქრისტიანულ და არც მუსლიმურ სამყაროში. |
| **სივრცე** | ● განვითარებულ შუასაუკუნეების პერიოდში დაქსაქსული პოლიტიკური ერთეულების გამსხვილების ტენდენციამ პოლიტიკური რუკა შეცვალა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში;<br>● სამი დიდი ცივილიზაციური კერის - ბიზანტიის იმპერიის, მუსლიმური აღმოსავლეთისა და „ლათინური" დასავლეთის გადაკვეთის არეალს ლევანტი წარმოადგენდა;<br>● არაბული სახალიფოს დაშლამ საშუალება მისცა ბიზანტიას ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მიმართულებით ტერიტორიული გაფართოება ეწარმოებინა;<br>● ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ევროპის სივრცე შუა საუკუნეებში არაერთმა (თურქ-სელჩუკები, პაჭანიკები, ყივჩაღები, მონღოლები) ნომადმა ხალხმა დაარღვია, რამაც საზღვრებისა და სახელმწიფოების ცვლილებები გამოწვია ამ არეალებში;<br>● სავაჭრო-სტრატეგიული ტერიტორიების და მიმოსვლითი გზების ფლობისთვის ბიზანტიას მეტოქეები გამოუჩნდნენ, რომლებმაც ლევანტის სივრცის ნაწილობრივი კოლონიზება შეძლეს;<br>● კავკასია არა მხოლოდ ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციური არეალების გზაჯვარედინზე, არამედ ბინადარი და მომთაბარე ხალხების შეჯახების ეპიცენტრში მდებარეობდა, რაც დასტურდება როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტებით, ასევე ისტორიოგრაფიული, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული წყაროებით; |

| | |
|---|---|
| **სივრცე** | ● შუა საუკუნეებში „აბრეშუმის გზა“ ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ დიდი სატრანზიტო ქსელის ზოგიერთი მარშრუტი და მონაკვეთი საქართველოზეც გადიოდა;<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში მონღოლთა იმპერიაში არსებულმა შიდა მიმოსვლითი გზების ქსელმა და უსაფრთხოებამ შორეული მოგზაურობების ინტერესი და შანსი გააჩინა როგორც ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროში, ასევე სხვაგან, რასაც რუკებისა და გეოგრაფიული ცოდნის გაუმჯობესება გამოიწვია. |
| **წყარო** | ● განვითარებულ შუა საუკუნეებში წყაროთა ძირითადი ტიპები – წერილობითი (საკანონმდებლო, ქრონიკები, ანალები, ეპოსები, ეპისტოლეები, ბიოგრაფიული...) ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური წყაროები (როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში); თუმცა ქრისტიანული სამყაროსთვის ადრე შუა საუკუნეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საეკლესიო მწერლობას და ჰაგიოგრაფიის კვალდაკვალ, მეტ მნიშვნელობას ისტორიული კრებულები და საერო ხასიათის ეპოსები იძენს;<br>● შუა საუკუნეებში განსაკუთრებულ როლს იძენს ჰერალდიკა, რომელიც მეტად ტიპურად დამახასიათებელი ევროპული სივრცისთვისაა;<br>● შუა საუკუნეებში მონოთეისტურმა რელიგიებმა გასაზღვრა სალოცავის, სარიტუალო დანიშნულების, საცხოვრისისა და სამოსის (ყოველდღიური, სარიტუალო, საბრძოლო) ტიპი, რომლის არტეფაქტები ეპოქის კომპლექსური რეკონსტრუქციისთვის ძვირფასი მასალაა;<br>● შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვანია ბერძნულენოვანი (ბიზანტიური სივრცის), არაბული და სომხური წყაროები, თუმცა იქმნება ორიგინალური ქართული მატიანეების ნაშრომები და კრებულები, ასევე სამართლის ძეგლები;<br>● შუა საუკუნეების წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი (სასულიერო დანიშნულების სივრცე, საერო ხელისუფლის კარი, უმაღლესი სასწავლებელი). |
| **საზოგადოება** | ● შუა საუკუნეების ადამიანის მსოფლმხედველობა სამყაროს პროვიდენციალურ აღქმას ეფუძნებოდა, რამაც სრულად განსაზღვრა განათლების პრიორიტეტები - განათლების კერად მონასტრები და მედრესეები იქცა, თუმცა საქალაქო ცხოვრებამ განათლების მიღების დივერსიფიკაცია განაპირობა;<br>● განვითარებული შუა საუკუნეებიდან იწყება დასავლეთ ევროპაში უნივერსიტეტების წარმოშობა და, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიაში, მისი გავლენის სფეროს ქვეყნებსა და არაბულ სახელმწიფოში მანამდეც არსებობდა უმაღლესი სასწავლებლის ტიპი, თანამედროვე უნივერსიტეტების წინამორბედი სწორედ დასავლური ტიპის უმაღლესი სასწავლებელია;<br>● განვითარებული შუა საუკუნეების საზოგადოება (მეტწილად, ქრისტიანული სამყაროს დასავლური ნაწილი) სამწევროვანი საზოგადოებით ხასიათდება, რაც მკაცრად გამოკვეთილ სოციალურ იერარქიულობას გულისხმობს; ეს მოდელი ნაკლებად მიემართება ბიზანტიურ საზოგადოებას და სრულიად არ შეესაბამება ისლამურ სამყაროს, თუმცა კასტური ჩაკეტილობის მაგალითები გვხვდება შორეულ აზიაში;<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში საბოლოოდ გაფორმდა ფეოდალიზმი – რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო სისტემა (რაც მსხვილი მიწის მესაკუთრის პოლიტიკური უფლებებით აღჭურვას გულისხმობდა) რომელიც, ტიპური გამოვლინებით, ქრისტიანული დასავლეთ ევროპისთვისაა დამახასიათებელი. აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთისთვის ეს სისტემა ან მხოლოდ ნაწილობრივაა დამახასიათებელი, ან იქ სხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემა იქმნება (რომელშიც მიწის მესაკუთრე სახელმწიფო ან მის სიმბოლოდ ქცეული მმართველია);<br>● შუა საუკუნეები რაინდების (აკრიტასების, კარგი ყმის...), ციხესიმაგრეებისა და ციხექალაქების, საგმირო ეპოსების, ტრუბადურების ეპოქაა; მიუხედავად ქალის ლირიკული ასახვისა ლიტერატურაში, მისი სამართლებრივი სტატუსი და სოციალური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცისას ჩამოუვარდებოდა; |

| | |
|---|---|
| **საზოგადოება** | ● განვითარებული შუა საუკუნეები როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში, საქალაქო ცხოვრების აღმავლობით ხასიათდება, თუმცა დასავლეთ ევროპის ქალაქების განმკარგავებად/მფლობელებად მოქალაქეები (ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენა) იქცნენ, მაშინ როცა ბიზანტიაში საქალაქო თვითმმართველობების როლი მინიმუმს უახლოვდება, რაც შეეხება ისლამურ სამყაროს, ის ქალაქის მუნიციპალური თვითმმართველობით არ გამოირჩეოდა.<br>● სამწევროვანი საზოგადოების მესამე „წევრი“ ქალაქის მოსახლეობაა; წოდებებს საერთო რაც აქვთ, ეს პირადი თავისუფლებაა;<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში კლიმატის ცვლილებამ (დათბობამ) ბინადარ ხალხებს სამიწათმოქმედო საქმიანობაში გარკვეული ნოვაციებისა და მიწის დიდი სავარგულების ათვისების საშუალება მისცა;<br>● საქალაქო ცხოვრების აღმავლობამ კარჩაკეტილი თვითკმარი მეურნეობის რღვევა, შრომის დანაწილება/სპეციალიზაცია და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გაძლიერება გამოიწვია;<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში დასავლურ-ევროპული (მე-11-12 სს. ინტელექტუალური აღმავლობა) და ბიზანტიური კულტურული არეალები(მაკედონური რენესანსი) გამოიკვეთა, რომელთა გაუცხოების სიმბოლურ გამოვლინებად დიდი სქიზმა შეიძლება მივიჩნიოთ;<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში ქრისტიანული სამყაროს იმ ნაწილში, სადაც საზოგადოება წოდებრივი იყო, ყალიბდება წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები.<br>● შუა საუკუნეების ეკონომიკა მიწის კერძო მფლობელისა და მიწაზე დოვლათის შემქმნელის არათანაბარ ურთიერთობებს ეფუძნებოდა, რომელმაც ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაო ხასიათი მიიღო, ხოლო ისლამურ სამყაროში კერძო მესაკუთრული უფლებები ბევრად პირობითი იყო;<br>● ლათინურ დასავლეთში შუა საუკუნეების ცივილიზაცია რომაულ-რომანიზებული სეგმენტის, ასევე, გერმანიკული ელემენტისა და ქრისტიანობის სინთეზით აღინიშნა, ბიზანტიაში ბერძნულენოვანი ელინურ-ელინისტური, ისევე როგორც სლავურ-აღმოსავლური ხალხების და ქრისტიანობის სინთეზით;<br>● თურქულ-მონღოლური მომთაბარული ელემენტის გააქტიურების მიუხედავად (რამაც ახლო და შუა აღმოსავლეთის დემოგრაფიული სურათი შეცვალა) ისლამურ სივრცეში ახლო და შუა აღმოსავლეთში სპარსულმა ელემენტმა საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველობით, ყოფითსა და კულტურულ ასპექტებში უპირატესობა მოიპოვა. |
| **ძალაუფლება** | ● განვითარებული შუა საუკუნეების დასავლეთისთვის ტიპური და განმასხვავებელია ორპოლუსიანობა და საერო და სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირება ძალაუფლებისთვის, მაშინ როცა ბიზანტიაში დიარხიის პრინციპი სულ უფრო ირღვევა და ცეზაროპაპიზმის გაძლიერება შეინიშნება;<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში, ბიზანტიის მსგავსად, მიმდინარეობს ბიუროკრატიული აპარატი ჩამოყალიბება-დახვეწის პროცესი დასავლეთის სახელმწიფოებშიც, რასაც ხელისუფლება ცენტრალიზებული მართვის ბერკეტად იყენებს; აღმოსავლეთში კი, ნომადი ხალხების მიერ დაპყრობილი სახელმწიფოებში სამოხელეო აპარატის შექმნისას, დაწინაურდება ის სეგმენტი, რომელსაც სახელმწიფოებრივი განვითარების დიდი ტრადიცია აქვს;<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში ძალაუფლების გადაცემის ფორმატი მემკვიდრეობით-დინასტიური პრინციპით განისაზღვრა, თუმცა ყველგან მკაცრად გამოხატული ხასიათი არ ჰქონდა და არც მაიორატის წესი იყო საყოველთაო;<br>● შუა საუკუნეებში ძალაუფლების ხელდასხმის ამბიციებს მზარდი სასულიერო ხელისუფლება იჩენს, რისთვისაც აქტიურად იყენებს სხვადასხვა ტიპის რესურსებს (მორალური, ეთიკური, განათლების უპირატესობა...)<br>● განვითარებულ შუა საუკუნეებში ისლამურ სივრცეში უზენაესი ძალაუფლების მქონე პირის – ხალიფას ინსტიტუტი, რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლებას აერთიანებდა, დაკნინდა და ძალაუფლების ქონის ერთპიროვნულობა დაკარგა. |

| | |
|---|---|
| **ისტორიული მოვლენა/ პროცესი** | ● დასავლეთ ევროპაში „მეორე გვირგვინისა“ და რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე ამბიციამ საბოლოოდ გარდაუვალი გახადა ერთიანი ქრისტიანული სივრცის პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივ-რელიგიური დაშორიშორება;<br>● შუა საუკუნეები პირენეებსა და ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნული ლაშქრობებისა და დიდი აზიური იმპერიების (თურქ-სელჩუკები, მონღოლები) ეპოქაა;<br>● ბიზანტიური „თანამეგობრობა“/ ბიზანტიური „იდეალი“ აღმოსავლეთ ქრისტიანობისა და ბიზანტინიზმის ფენომენით გამსჭვალულ ხალხებს აერთიანებდა ქრისტიანთა მეუფის – ავტოკრატი იმპერატორის დროშის ქვეშ;<br>● შუა საუკუნეებში კავკასიის რეგიონი ცივილიზაციათა (მომთაბარე და ბინადარი) შეჯახების გზაჯვარედინს წარმოადგენდა , საქართველოს კულტურული ნიშა ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრა, თუმცა XII საუკუნე, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით, საქართველოს ძლიერების ხანაა, რამაც მას ასპარეზზე დამოუკიდებლად გამოსვლის საშუალება მისცა;<br>● შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სივრცისთვის დამახასიათებელია საერო და სასულიერო დაპირისპირება, რამაც ამ სივრცის პოლიტიკური განვითარების ორპოლუსიანი განვითარების მოდელი შეიმუშავა, რომელიც არც ბიზანტიისთვის და, მით უმეტეს, არც ისლამური აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი არაა.<br>● აღმოსავლეთ რომის იმპერიაში წინა ისტორიულ მონაკვეთში შექმნილი რომის სამართლის რეცეფციებმა დასავლეთ ევროპის სივრცეში საერო სახელმწიფოს იდეის აღორძინებას შეუქმნა მყარი საფუძველი. |

## თემა 2. გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

| სამიზნე ცნება: | მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: |
|---|---|
| **დრო** | ● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში საკუთრივ ქრისტიანულ ცივილიზაციასა და დანარჩენ სამყაროსთან მიმართებითაც დასავლეთ ევროპის რეგიონი ერთგვარ სიმძიმის ცენტრად გამოიკვეთა პროგრესული განვითარების მიმართულებით;<br>● გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ზოგადი მახასიათებლები (სოციალურ-ეკონომიკური, ღირებულებითი, მსოფლმხედველობრივი...,) ძირითადად, დასავლეთ ევროპასა და ზოგადად დასავლური სამყაროს მახასიათებლებად ჩამოყალიბდა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ  საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია ასცდა ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ნიშნულებს;<br>● გვიან შუა საუკუნეებსა  და ადრეულ ახალ დროში ისტორიის პერიოდიზაცია დასავლეთში კონცეპტუალურ დონეზე ჩამოშორდა  რელიგიური ნიშნით განსაზღვრას, პერიოდიზაციის ახლებური მოდელი ჰუმანისტების სახელს დაუკავშირდა;<br>● საათები (თანამედროვე გაგებით), შესაბამისად, დროის მეტად რაციონალური გაგება გვიანი შუა საუკუნეებიდან, რენესანსის ეპოქიდან იღებს სათავეს.<br>● შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდი დასავლური პერსპექტივიდან ბიზანტიის დაცემის, ევროპაში რეფორმაციის დაწყებისა და ახალი კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ იკვეთება და მეტ-ნაკლებად ხელშესახები ნიშნულებია ქრისტიანული სამყაროსთვის, თუმცა მის პირობითობასა და რომელიმეს უპირატესობაზე მეცნიერებს შორის დავა არ წყდება.<br>● ქრისტიანულ სამყაროში მორიგი კალენდარული რეფორმის შედეგად, გრიგორიანულმა კალენდარმა უპირატესობა მოიპოვა, როგორც უფრო ზუსტმა, თუმცა აღმოსავლური ქრისტიანული სამყარო უმნიშვნელოვანესი რელიგიური დღესასწაულების გამოანგარიშებისას იულიუსის კალენდრის მიმდევარი დარჩა. |

| | |
|---|---|
| **სივრცე** | ● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში ცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა, რამაც გერმანიისა და იტალიური სივრცის გაერთიანების გარდა, ევროპაში ერთიანი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი განაპირობა, რაც ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი საზღვრების ცვლილებებით გამოიხატა;<br>● ოსმალო თურქების მიერ ბიზანტიის დამხობამ ოსმალური სახელმწიფოს ჯერ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის მიმართულებით ექსპანსიის, შემდეგ კი სამ კონტინენტზე განფენის პერსპექტივები გააჩინა;<br>● ოსმალების მიერ ახლო აღმოსავლეთსა, კავკასიისა და ევროპის ნაწილში გაბატონებამ წინა პერიოდის აბრეშუმის გზისა და ხმელთაშუა ზღვის, როგორც უმთავრესი სავაჭრო საკომუნიკაციო სივრცის ეტაპობრივი დაკნინება გამოიწვია;<br>● დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ახალი კონტინენტების/სუბკონტინენტების და საზღვაო-საოკეანო გზების ათვისება განაპირობა, რასაც უდიდესი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა;<br>● გვიანი შუა საუკუნეებიდან კავკასია, რომელიც ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციური არეალების გზაჯვარედინზე მდებარეობდა, ყველა მხრიდან მუსლიმურ სახელმწიფოთა რკალში მოექცა და უკიდურესად შეეზღუდა დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობისთვის აუცილებელი სახმელეთო და საზღვაო საკომუნიკაციო საშუალებები;<br>● ადრეულ ახალ პერიოდში „აბრეშუმის გზის" როლის შესუსტებამ და სავაჭრო-საკომუნიკაციო სივრცეების, ასევე კულტურული მიზიდულობის ცენტრის მოშლამ ბიზანტიის სახით საქართველო სატრანზიტო ქსელისა და ახალი გეოგრაფიული ცოდნით მოპოვებული სიკეთეების მიღმა დატოვა.<br>● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში მოგზაურების, კონკისტადორებისა და მისიონერების მოღვაწეობამ მანამდე არნახულ მასშტაბს მიაღწია. |
| **წყარო** | ● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში გვხვდება ეპიგრაფიკულ, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ წყაროების პირველი დამუშავების მცდელობები, რაც რენესანსის მოღვაწეებს უკავშირდება;<br>● წერილობითი წყაროები გამრავალფეროვნდა და წინა პერიოდის ტიპებს მოგზაურობები, სავაჭრო, საზღვაო და დიპლომატიური მისიების ანგარიშები, პოლიტიკური პამფლეტებიც დაემატა, რამაც როგორც შიდა პროცესების წვდომის, ასევე სხვადასხვა ხალხებსა და გეოგრაფიულ არეალებზე არსებული წარმოდგენები შეცვალა;<br>● ჰუმანისტებმა განსაზღვრეს და შემოიტანეს სხვადასხვა ისტორიული დარგისა და დისციპლინის შესწავლის საფუძველი, რამაც წყაროთა ტიპის მრავალფეროვნებასთან ერთად დამუშავების მექანიზმებიც შემოგვთავაზა და შესაძლებელი გახადა საკვლევი ეპოქის უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტრუირება;<br>● გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის არსებითია ევროპული (ელჩების მოგზაურების თუ მისიონერებისა და ნუნციების) და აღმოსავლური (ოსმალური, ირანული) წყაროები, რადგან ამ ეპოქის ავთენტური ქართული წყაროები ერთეული გამონაკლისის გარდა, თითქმის არ მოიპოვება;<br>● გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი, ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი, თუმცა, წინა ეპოქისგან განსხვავებით, სულ უფრო მეტ უპირატესობას იძენს საერო ხასიათის მოცემულობა;<br>● იოჰან გუტენბერგის გამოგონებამ მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა ნარატიული წყაროები და ასევე მათზე ხელმისაწვდომობა, ხოლო ჰუმანისტებმა მნიშვნელოვნად განავითარეს წყაროს დამუშავების მეთოდოლოგია. |

| | |
|---|---|
| **საზოგადოება** | • გვიანი შუა საუკუნეებიდან მასობრივი ხასიათი მიიღო ევროპის ქალაქების საუნივერსიტეტო ქსელის შექმნამ, რამაც ჩამოაყალიბა საერო განათლების მქონე ადამიანების კრიტიკული მასა, შესაბამისად, დომინანტური გახადა ჰუმანისტური მსოფლმხედველობა;<br>• გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში ეტაპობრივად შეიცვალა ადამიანის მსოფლაღქმა; სამყაროს პროვიდენციალური ხედვის ცვლილების მიუხედავად, კვლავ დიდი იყო რელიგიის როლი – ჰუმანისტურმა იდეოლოგიამ სამყაროს ფოკუსში ადამიანი, როგორც ღვთის რჩეული ქმნილება განიხილა;<br>• გვიანი შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში ევროპის კონტინენტის დასავლურ ნაწილში ეტაპობრივად ირღვევა წინა პერიოდის დამახასიათებელი წოდებრივი სტრუქტურა, მკაცრად იერარქიული სოციალური მოდელი (წოდებრივ ცენზს უმეტესად ეკონომიკური ცენზი ანაცვლებს), თუმცა ნაკლებად შეინიშნება სოციალურ სტრუქტურაში ცვლილებები აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ქრისტიან ხალხებში;<br>• მკაცრად იერარქიზირებული წოდებრივი მოდელი, მით უფრო ამა თუ იმ წოდების მიწაზე კერძო მესაკუთრული დამოკიდებულება იმთავითვე არ ახასიათებდა ახლო და შუა აღმოსავლეთის დიდ ისლამურ სახელმწიფოებს;<br>• რენესანსისა, რეფორმაციისა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მიღწევებმა ევროპელი ადამიანის თვალსაწიერი, დემოგრაფიული ვითარება, ყოველდღიურობა და რაციონი რადიკალურად შეცვალა და სხვების (დანარჩენი სამყაროს მოსახლეობის) მიმართ უპირატესობის სულისკვეთებით გამსჭვალა.<br>• გვიანი შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ევროპის რეგიონში ზოგან ირღვევა ფეოდალიზმი (რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო სისტემა, რაც მსხვილი მიწის მესაკუთრის პოლიტიკური უფლებებით აღჭურვას გულისხმობდა), ზოგან კი გვხვდება გამყარებისა და გლეხთა მიწაზე მიჯაჭვის ტენდენცია, რაც სოციალური ვითარების მკვეთრად ასიმეტრიულ სურათს და ეკონომიკური განვითარების განსხვავებულ პერსპექტივებს ქმნის;<br>• რეფორმაციამ, როგორც კომპლექსურმა მოვლენამ და პროტესტანტულმა ეთიკამ მკვეთრად გამიჯნა სახელმწიფოები რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და მსოფლმხედველობრივი განვითარების თვალსაზრისით;<br>• გვიანი შუა საუკუნეებიდან თვალშისაცემად იცვლება საცხოვრისის ტიპი – ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებამ საფორტიფიკაციო ნაგებობების (ციხესიმაგრეები, კოშკები, ქალაქის გალავნები) საჭიროება შეამცირა და მათი ადგილი ეტაპობრივად სასახლეებმა დაიკავა;<br>• მიუხედავად ე.წ. აღმოსავლური დენთის დიდი იმპერიების არსებობისა, ტექნოლოგიური ნოვაციები სამხედრო სფეროში უმეტესად დასავლეთში განვითარდა, რასაც ეკონომიკური უპირატესობაც უწყობდა ხელს;<br>• რენესანსმა და რეფორმაციამ რაციონალიზმის, ინდივიდუალიზმის განვითარებასა და შემოქმედებითი სულისკვეთების ადამიანების წინა პლანზე წამოწევას შეუწყო ხელი;<br>• წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ წარმოუდგენლად გააიოლა ინფორმაციაზე წვდომა და გამორიცხა საზოგადოებრივი გავლენების მოსაპოვებელ ბერკეტად მისი რომელიმე სოციალური ფენის/ჯგუფის ხელში მონოპოლიურად ჩაგდების ალბათობა;<br>• გვიანი შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში დაკნინდა რაინდობის როლი, როგორც სამხედრო, ისე სოციალური თვალსაზრისით;<br>• გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში მთავარი ქონება კვლავ მიწა იყო, თუმცა გამოიკვეთა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ცვლილებების ტენდენციები, რაც რადიკალურად ცვლიდა როგორც მიწის მფლობელთა, ისე მისი მუშაკთა სოციალურ მდგომარეობას, უკავშირდებოდა შიდა და საგარეო ბაზრების ზრდას და ქმნიდა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების წინაპირობებს; |

| | |
|---|---|
| **საზოგადოება** | ● ქონებაზე, მიწაზე კერძო მესაკუთრული დამოკიდებულება ქრისტიანული სამყაროსთვის იყო დამახასიათებელი, ისლამურ სამყაროში კერძო მესაკუთრული უფლებები ბევრად პირობით ხასიათს ატარებდა;<br>● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში თურქულ-თურქმანულმა ელემენტმა საქართველოს მეზობლად როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით იმძლავრა, თუმცა მათმა მმართველმა წრეებმა მომთაბარული ელემენტის კავკასიელი და ახლო აღმოსავლეთის სხვა ბინადარი ხალხების სამხედრო და მმართველობით სისტემებში ჩართვით დაბალანსება შეძლეს. |
| **ძალაუფლება** | ● გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპისთვის ტიპური ორპოლუსიანობა მეტწილად საერო ხელისუფლების სასარგებლოდ იცვლება და, სასულიერო წრეების გავლენის მიუხედავად, ძალაუფლება საერო მმართველის ირგვლივ კონცენტრირდება;<br>● გვიან შუასაუკუნეებში აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ცენტრის – ბიზანტიის დაცემა გარდაუვალი იყო, რადგან მოიშალა ყველა ის შიდა მექანიზმი (სამოხელეო და სამხედრო ელიტების თანამშრომლობის უზრუნველყოფა, თემების სისტემა, სამრეწველო ცენტრები, საშუამავლო ვაჭრობა...), რომელიც მას საშუალებას მისცემდა, დასავლეთ ევროპისთვის ან ოსმალებისთვის წინააღმდეგობა გაეწია;<br>● გვიან შუა საუკუნეებიდან, იმის გამო, რომ კათოლიკური სამყაროს წიაღში ძალაუფლების გადანაწილების თაობაზე კრიტიკა უპასუხოდ დარჩა, ის დიდ სულიერ რევოლუციად – რეფორმაციად გარდაისახა, რომელმაც წამოსწია მკაფიო ლიდერები და განაპირობა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მსოფლმხედველობის ცვლილება საზოგადოებაში;<br>● გვიან შუა საუკუნეებში მხოლოდ ინგლისურმა პარლამენტმა მოახერხა, წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოებიდან ქმედით საკანონმდებლო ორგანოდ ქცეულიყო – ინსტიტუტად, რომელიც მონარქთან ხელისუფლების განაწილებას ახერხებდა; ადრეული ახალი დროიდან კი ცენტრალიზებული სახელმწიფოები და სამთავროები, ბიუროკრატიულ და სამხედრო სფეროზე კონტროლის მექანიზმით, მიზიდულობის ცენტრად იქცნენ და წოდებების ჩართულობის ხარისხი სახელმწიფოებრივ საქმეებში ეტაპობრივად მინიმუმამდე შეამცირეს;<br>● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში ბიუროკრატიული აპარატის დახვეწა-განვითარებამ, ერთიანი ჯარის ჩამოყალიბებამ, სამოხელეო აპარატის ზრდამ და ფეოდალური ელიტის დაკნინებამ მონარქებს, მმართველებს საშუალება მისცა, ძალაუფლება თავიანთ ხელში მოექციათ;<br>● გვიანი შუა საუკუნეებიდან ევროპაში ძალაუფლების ფლობის ორგვარი მოდელი გამოიკვეთა: მონარქიული და იმპერიული. მათ ერთმანეთთან დაპირისპირება ვერ აიცილეს;<br>● გვიან შუა საუკუნეებში და ადრეულ ახალ პერიოდში ძალაუფლების გადაცემის ფორმატი მემკვიდრეობით-დინასტიური პრინციპით გაგრძელდა, მან საყოველთაო ხასიათი მიიღო არა მხოლოდ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, არამედ ბიზანტიასა და ოსმალეთ-ირანშიც კი;<br>● ადრეულ ახალ დროში სასულიერო ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ხელდასხმის ამბიციები შეიკვეცა, რადგან ეკლესიის ხელთ ადრე არსებული უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორები (მორალური, ეთიკური, განათლების უპირატესობა...) საერო ხელისუფლებამ მას ეტაპობრივად ჩამოაცილა და სახელმწიფოს ხელში მეტი რესურსი აღმოჩნდა (ფინანსები, სამოხელეო აპარატი, იდეოლოგია, ჯარი, საზოგადოებრივი ფართო მხარდაჭერა, ხელისუფლის ღვთივკურთეულობის იდეა...);<br>● გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ისლამური დიდი სახელმწიფოები ძალაუფლების კონცენტრაციისას რელიგიურსა და სამხედრო ფაქტორს ეყრდნობოდნენ, თუმცა მომთაბარულ ელემენტთან გამკლავება ოსმალებმა ბიზანტიური მმართველობითი ტრადიციების გაზიარებითა და იანიჩართა კორპუსის შექმნით შეძლეს, ხოლო სეფიანებმა – სპარსული მმართველობით ტრადიციებისა და ღულამთა კორპუსისა და ამ კორპუსში ქართველებისა თუ კავკასიელების ჩართვით.<br>● ადრეული ახალი დროიდან მოყოლებული, ევროპულ სახელმწიფოთა უმეტესობაში მმართველობა სულ უფრო აბსოლუტურ ფორმებს იღებს, თუმცა ევროპის კონტინენტურსა და კუნძულოვან ნაწილში ამ პროცესმა განსხვავებული ტიპის აბსოლუტიზმის მოდელები შექმნა განსხვავებული ძალაუფლების ფლობის ბერკეტებითა და სოციალური საყრდენით. |

| | |
|---|---|
| **ისტორიული მოვლენა/ პროცესი** | ● ჯვაროსნული ლაშქრობების, ბიზანტიის დეკადანსისა და მონღოლების ბატონობის შემდეგ ლევანტის რეგიონმა ეკონომიკური და კულტურული მოწინავეობა დათმო და განვითარების ვექტორმა გამოკვეთილად დასავლეთით გადაინაცვლა;<br>● რენესანსმა, რეფორმაციამ, კონტრრეფორმაციამ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა რადიკალურად შეცვალა ევროპის მენტალური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და ის სამყაროს ყველაზე მოწინავე რეგიონად აქცია;<br>● დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ევროპისთვის ახალ კონტინენტებსა და აზიის შორეულ რეგიონებში ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას და კოლონიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი;<br>● ევროპის მოწინავე რეგიონად ქცევამ ევროპული ღირებულებების, მიღწევების და გავლენების გავრცელება გამოიწვია როგორც აზიის, ისე ახლად აღმოჩენილ კონტინენტებზე, უმეტესად, ეს გავლენა იძულებითი იყო;<br>● გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი პერიოდი ცენტრალიზაციის (როგორც სახელმწიფო, ისე სამთავრო დონეზე) პროცესით აღინიშნა, რამაც ევროპის კონტინენტზე ერთიანი, ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მისცა ბიძგი, აზიაში კი ცენტრალიზაციის პროცესმა ე.წ. დენთის იმპერიების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი;<br>● ერთიანი ნაციონალური სახელმწიფოების მშენებლობა ცენტრალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების, ჯარის, რეფორმირებული საეკლესიო ინსტიტუტების, ერთიანი შიდა ბაზრისა და ეროვნული ენების განვითარებამ განაპირობა;<br>● ბიზანტიის დაცემამ და ოსმალთა სახელმწიფოს მზარდმა ტერიტორიულმა ექსპანსიამ დროებით ააღორძინა „ჯვაროსნული იდეა“ თუმცა ეკლესიას საერო სახელმწიფოთა განსხვავებული ინტერესებზე ზემოქმედებისა თუ საერთო ფრონტის უზრუნველეყოფის ძალა აღარ შესწევდა, თუმცა საუკუნეების განმავლობაში ანტიოსმალური კოალიციები მთავარ საერთაშორისო საკითხად რჩებოდა;<br>● ბიზანტიის დაცემამ არ გააქრო „მარადიული რომის“ იდეა და ამ იდეის პოლიტიკური განხორციელების მცდელობები ადრეულ ახალ დროშიც იყო;<br>● დენთისა, ცეცხლსასროლი იარაღის ევოლუციამ და მასობრივმა გამოყენებამ რადიკალურად შეცვალა არა მხოლოდ ომის წარმოების, არამედ ქალაქისა და საცხოვრებლის ტიპები და გარკვეული სოციალური ფენის გაქრობა-ტრანსფორმაცია განაპირობა;<br>● რეფორმაციის ფართო გავრცელებას კათოლიკური სამყაროს მხრიდან ახალი სასულიერო ორდენების დაარსება მოჰყვა, რომელთა საქმიანობა თვისობრივად განახლებულ განათლების სისტემასა და ფართომასშტაბიან მისიონერულ პოლიტიკას ითვალისწინებდა. ეს საქართველოსაც შეეხო;<br>● აბსოლუტიზმის განვითარებამ ევროპაში ორი ხედვა შექმნა: 1. „სახელმწიფო ეს მე ვარ“ VS 2. „მეფე ემორჩილება ღმერთსა და კანონს“. ამ უკანასკნელის პოლიტიკურმა ინსტრუმენტალიზაციამ პროცესი კონსტიტუციური მონარქიის შექმნამდე მიიყვანა, აბსოლუტიზმისადმი წინააღმდეგობამ კი ახალ მიწაზე ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნას დაუდო საფუძველი;<br>● სავაჭრო-საკომუნიკაციო გზების ოკეანეებისკენ გადატანამ და მისგან გამოწვეულმა კომპლექსურმა ცვლილებებმა საქართველოს გვერდი აუარა და ამ პერიოდიდან მისი ჩამორჩენა განაპირობა, რაც, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირობებში, მძიმედ აისახა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებზე . |

## თემა 3. „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე“

## (ახალი დრო)

| სამიზნე ცნება: | მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: |
|---|---|
| **დრო** | • ახალი დრო დასავლური ცივილიზაციის (ღირებულებითი სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა) დანარჩენ მსოფლიოზე უპირატესობის მოპოვების პერიოდია;<br>• ახალი დრო რაციონალიზმის მიერ რელიგიური შეხედულებების დაჯაბნის, სოციალური ტურბულენტობის, უფლებებისა და თავისუფლებების ახლებური გააზრების პერიოდია;<br>• ახალ დროში პოლიტიკური მმართველობის ახალი სისტემები და ახალი ტიპის სახელმწიფოები ყალიბდება, ბიუროკრატიული აპარატი სრულად ექცევა მმართველის ხელისუფლების კონტროლქვეშ და სახელმწიფოს მაქსიმალურ ცენტრალიზაციას ემსახურება;<br>• ახალ დროში ევროპის კონტინენტზე კალენდრის მორიგი რეფორმის მცდელობა სახელმწიფოს რადიკალურ ტრანსფორმაციას დაუკავშირდა, თუმცა საბოლოოდ ვერ დაკანონდა;<br>• ახალი დროის ქვედა და ზედა ნიშნულები, ისევე როგორც წინა პერიოდში, მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია თუმცა მის პირობითობასა და რომელიმეს უპირატესობაზე დღემდე გრძელდება მეცნიერებს შორის დავა. |
| **სივრცე** | • ახალ დროში ახალი კონტინენტების, კოლონიებისა და სივრცეების ათვისების პერიოდია;<br>• ახალ დროში საზღვაო-საოკეანო გზებმა ტვირთბრუნვის უკეთესი მობილობისა და დროის დაზოგვის გამო სახმელეთო გზებზე საბოლოოდ მოიპოვა უპირატესობა;<br>• საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ განაპირობა სარკინიგზო ქსელის ჩამოყალიბება, რამაც ერთმანეთთან დააკავშირა არა მხოლოდ თითოეული ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი, არამედ სხვადასხვა ქვეყნები და რეგიონები;<br>• საკომუნიკაციო და სატრანპორტო საშუალებების დახვეწამ, ასევე სავაჭრო -საკომუნიკაციო ქსელის გაფართოებამ სამყარო „დააპატარავა“ და დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენლებს ყველა კონტინენტის ათვისების საშუალება მისცა.<br>• სივრცობრივად სხვადასხვა კონტინენტის მოსახლეობის დაკავშირებას ხელი შეუწყო ფოსტა-ტელეგრაფის განვითარებამაც. |
| **წყარო** | • ახალი დროში წერილობითი წყაროები გამრავალფეროვნდა, რადგან ისტორია, როგორც დისციპლინა, მისი მეცნიერული აპარატი და მეთოდოლოგია სამეცნიერო საფუძვლებით გამყარდა.<br>• სხვადასხვა ისტორიული დარგისა და დისციპლინის დივერსიფიკაციამ, რამაც წყაროთა ტიპის მრავალფეროვნებასთან ერთად დამუშავების მექანიზმებიც შემოგვთავაზა, შესაძლებელი გახადა საკვლევი ეპოქის უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტურიურება;<br>• ახალი პერიოდის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვანია უცხოელ (როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური) მოგზაურთა, მკვლევართა და თვითმხილველთა ცნობები, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქის ავთენტური ქართული წყაროებიც მოიპოვება;<br>• ახალი დროის წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები, ასევე მათი შექმნის ადგილი, თუმცა, წინა ეპოქისგან განსხვავებით, სულ უფრო მეტ უპირატესობას იძენს საერო ხასიათის მოცემულობა;<br>• ახალ დროში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად განაპირობა ნარატიულ წყაროთა მრავალფეროვნების (პერიოდიკა, ფოტო-ფონო მასალა...) ზრდა და ასევე მათზე ხელმისაწვდომობა, ხოლო ისტორიულმა სკოლებმა მნიშვნელოვნად განავითარეს წყაროს დამუშავების მეთოდოლოგია. |

| | |
|---|---|
| **საზოგადოება** | • ახალ დროში ბურჟუაზიამ სრული ეკონომიკური უპირატესობა მოიპოვა სხვა სოციალურ ჯგუფებზე და დაიწყო ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისთვის;<br>• ახალი დროის მოაზროვნეებმა და ფილოსოფოსებმა ადამიანისა და პიროვნების თავისუფლებების, უფლება-მოვალეობების, რელიგიური იდეების რადიკალური გადააზრებით მთავარ ამოცანად აქციეს არსებული მმართველობისა თუ სახელმწიფო მოწყობის ფორმების ცვლილება, რაც საზოგადოებრივ პროცესებში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ჩართვას განაპირობებდა;<br>• ფეოდალური ურთიერთობები და ფეოდალური სოციალური სისტემა ბრიტანეთში ევოლუციური ცვლილებების გზით ტრანსფორმირდებოდა, კონტინენტურ ევროპაში კი სოციალური სტრუქტურის ცვლილებას რადიკალური რევოლუციური ეტაპები დასჭირდა;<br>• „ინდუსტრიულმა რევოლუციამ" და სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა შეცვალა დასავლური საზოგადოებრივი ცხოვრება და რადიკალური ცვლილებები მოუტანა კოლონიების მოსახლეობასაც;<br>• ახალი დრო სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ბუნების იდეოლოგიების (ნაციონალიზმი, რომანტიზმი, სოციალიზმი, კაპიტალიზმი, აბოლიციონიზმი, ფემინიზმი...) და მასთან შესაბამისი აქტივიზმის აღზევების პერიოდია, რაც სოციალურ პროცესებს განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენდა;<br>• ტექნოლოგიურმა პროგრესმა და თანმდევმა რადიკალურმა სოციალურმა, და მსოფლმხედველობრივმა ცვლილებებმა ე.წ. „მომხმარებელი საზოგადოების" (კონსუმერიზმის) ფორმირება განაპირობა. |
| **ძალაუფლება** | • ახალ დროში დასავლური ცივილიზაციის არეალში საერო ხელისუფლებამ სრულად ჩამოაშორა სასულიერო ხელისუფლება სახელმწიფო მართვის ბერკეტებს;<br>• ახალი დროში ბიუროკრატიულ აპარატზე, ჯარსა და შეიარაღებაზე, განათლებასა და იდეოლოგიაზე სახელმწიფო მეთაურის კონტროლი აბსოლუტისტური რეჟიმების გაბატონებას იწვევდა;<br>• ახალი დრო  დიდი რევოლუციების ეპოქაა, კრიზისს განიცდის აბსოლუტური ხელისუფლება და ძალაუფლება ნაწილდება ახალ საზოგადოებრივ ფენებს შორის.<br>• ახალ დროში ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მექანიზმებში ეკონომიკურმა ფაქტორებმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა;<br>• ახალ დროში ძალაუფლებისთვის ბრძოლა სცდება კონკრეტული ქვეყნის შიგნით პოზიციების მოსაპოვებელ ბრძოლას და ბევრად გლობალურ მასშტაბებს იღებს. |
| **ისტორიული მოვლენა/ პროცესი** | • ნაპოლეონის ომებისა და ვენის კონგრესის შედეგად შეიცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა;<br>• ახალი პერიოდში ნაციონალიზმი დასავლური სახელმწიფოების დომინანტურ პოლიტიკურ დოქტრინად იქცა, ნაცია-სახელმწიფოებისა და ცენტრალიზაციის პროცესმა გერმანიისა და იტალიის გაერთიანებაც გამოიწვია;<br>• ახალი დროში დასავლურმა კოლონიურმა იმპერიებმა და კოლონიალიზმის სისტემამ დასავლური ცივილიზაციის დომიმანტური როლი განსაზღვრა;<br>• ახალი დრო რევოლუციებით სახელმწიფოებრივი გარდაქმნების, ერად ფორმირებისა და ნაცია-სახელმწიფოების დასასრულის პერიოდია;<br>• ახალ პერიოდში მსოფლიო გადანაწილების არსებულმა მოდელით უკმაყოფილებამ სახელმწიფოების დაპირისპირებულ ბანაკებად გადაჯგუფება გამოიწვია. |

## ცნებები

### ამონარიდი გზამკვლევიდან

ა) **საგნობრივი სამიზნე ცნებები** – ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული შედეგი უკავშირდება საგნობრივ სამიზნე ცნებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველა საგნისთვის განსაზღვრულია რამდენიმე სამიზნე ცნება. საფეხურის დონეზე მათი (შედეგები/სამიზნე ცნებები) დაუფლება, შედეგებთან ერთად, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. ქვემოთ ჩამოთვლილია სამიზნე ცნებები ისტორიისთვის თითოეული ცნების გვერდით ფრჩხილებში წერია, თუ რომელ შედეგებს უკავშირდება:

**ისტორიული წყარო** (ისტ.საშ.1,2,4,5)
**დრო (ისტორიული პერიოდი)** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
**სივრცე (გარემო, ტერიტორია)** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
**საზოგადოება** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
**ძალაუფლება** (ისტ.საშ.3,4,5,6,7,8)
**ისტორიული მოვლენა / პროცესი** (ისტ.საშ.3,4,5,6)

გრძელვადიან მიზნებს (შედეგებსა და სამიზნე ცნებებს) აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული (ა) ქვეცნებები, (ბ) მკვიდრი წარმოდგენები, და (გ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები. ა) ქვეცნებები გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან. მათი საშუალებით სასკოლო კურიკულუმში განისაზღვრება კონკრეტული საკითხები და ქვესაკითხები.

| სამიზნე ცნება | ქვეცნება | საკითხი |
|---|---|---|
| **ისტორიული წყარო** | არქეოლოგიური ძეგლები და არტეფაქტი | *კონკრეტული არქეოლოგიური ძეგლი/არტეფაქტი* |
| | ეპიგრაფიკული მასალა | *კონკრეტული ეპიგრაფიკული ძეგლი* |
| | ნარატიული წყაროები | *კონკრეტული ნარატიული წყარო (ქართული, უცხოური)* |
| | დოკუმენტები | *კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტი* |
| | ლიტერატურული ნაწარმოებები | *კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები როგორც ისტორიული წყარო)* |
| | მემუარები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა | *კონკრეტული პიროვნების მემუარები და წერილები* |
| | აუდიო-ფოტო-ფონო მასალები | *აუდიო-ფოტო-ფონო მასალები კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით* |
| **დრო** (ისტორიული პერიოდი) | დროის აღრიცხვის სისტემა | *დროის აღრიცხვის კონკრეტული სისტემა* (კალენდარი, პერიოდიზაციისა და წელთაღრიცხვის სისტემა) |
| | ისტორიული ეპოქა, არქეოლოგიური პერიოდი | *კონკრეტული ეპოქა/ ისტორიული პერიოდი* |
| | რომელიმე პიროვნების სახელთან გაიგივებული ეპოქა | *(მაგალითად, თამარ მეფის ეპოქა, დედოფალ ვიქტორიას ეპოქა)* |
| | რომელიმე მასშტაბურ ისტორიულ მოვლენასთან გაიგივებული ეპოქა | *(მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა).* |

| | | |
|---|---|---|
| **სივრცე (გარემო, ტერიტორია)** | ისტორიულ-კულტურული სივრცე | *კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე (მაგალითად, მეზოამერიკა, ხმელთაშუაზღვისპირეთი).* |
| | ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია | კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული *(მაგალითად, სამხრეთ შუამდინარეთი, ატიკა, ლაკონია)* |
| | ძველად არსებული სახელმწიფოს/ იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული/ერთეულები *(მაგალითად, ქართლის სამეფოს საერისთავოები, აქემენიანთა ირანის სატრაპიები)* | ძველად არსებული სახელმწიფოს/იმპერიის კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეული/ ერთეულები *(მაგალითად, ქართლის სამეფოს საერისთავოები, აქემენიანთა ირანის სატრაპიები)* |
| | საკულტო ქალაქები/ადგილები | კონკრეტული საკულტო ქალაქები/ადგილები *(მაგალითად, ძველი მცხეთა, დელფოსი, „წმინდა მიწა“).* |
| **საზოგადოება** | ყოველდღიურობა (ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება) | *ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფა.* |
| | რელიგია | *კონკრეტული რელიგია (როგორც მსოფლმხედველობა)* |
| | იდეა/იდეოლოგია | *კონკრეტული იდეა/ იდეოლოგია* |
| **ძალაუფლება** | მმართველობის ფორმა | *კონკრეტული მმართველობითი სტრუქტურა* |
| | საზოგადოებრივი ორგანიზაცია | *კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების ისტორია* |
| | მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული რეფორმა | *მმართველობის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებული კონკრეტული რეფორმა* |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი** | ისტორიული პიროვნება | *კონკრეტული ისტორიული პიროვნების მოღვაწეობა* |
| | რეფორმა | *კონკრეტული რეფორმა* |
| | აჯანყება | *კონკრეტული აჯანყება* |
| | რევოლუცია | *კონკრეტული რევოლუცია* |
| | დიპლომატიური მოლაპარაკება/ ზავი/ხელშეკრულება | *კონკრეტული ზავი/დიპლომატიური მოლაპარაკება/ხელშეკრულება* |
| | ბრძოლა/ომი | *კონკრეტული ბრძოლა/ომი* |

| სამიზნე ცნება | სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები |
|---|---|
| **ისტორიული წყარო** | • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;<br>• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;<br>• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.<br>• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია. |
| **დრო** (ისტორიული პერიოდი) | • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;<br>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;<br>• სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ. |
| **სივრცე** (გარემო, ტერიტორია) | • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br>• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br>• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ. |
| **საზოგადოება** | • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;<br>• საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;<br>• პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;<br>• საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ. |
| **ძალაუფლება** | • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;<br>• ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br>• ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;<br>• დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი. |
| **ისტორიული მოვლენა/ პროცესი** | • ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით. |

## მოსწავლის შეფასების სისტემები

სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მოსწავლის შეფასება. სწავლება და შეფასება ერთი მედლის ორი მხარეა და არ წარმოადგენს ერთმანეთისგან იზოლირებულ ორ კომპონენტს. მოსწავლე შეიძლება შეფასდეს უშუალოდ სასწავლო პროცესში, სპეციალურად დანიშნული გამოკითხვებისა და საკონტროლო წერების გარეშე.

**ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

| | განმავითარებელი | განმსაზღვრელი |
|---|---|---|
| **მიზნები** | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;<br>მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა. | მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. |
| **ამოცანები** | ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება;<br>წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა;<br>მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება;<br>მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. | ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება;<br><br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. |
| **წარმატების კრიტერიუმი** | განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით. | მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით |
| **შემფასებელი და შეფასების ფორმები** | **მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.<br>**მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით. | მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით). |

**განმსაზღვრელი შეფასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ორი მოდელი გამოიყენება.**

**მოდელი 1** – ნიშანი იწერება მიმდინარე საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, ხოლო სემესტრული ქულა გამოითვლება ამ სამი კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

**მოდელი 2** – ნიშანი იწერება მხოლოდ შემაჯამებელ დავალებებში. მათ რაოდენობას თავად სკოლა განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. სკოლას უფლება აქვს სხვადასხვა კლასში, სხვადასხვა საგანში განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა მოდელი გამოიყენოს. ქვემოთ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოაჩენს, თუ რა ნიუანსები უნდა შეფასდეს ნიშნით სწავლა-სწავლების პროცესში.

| ზოგადი კრიტერიუმი (ზოგადი) | შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული) | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|---|
| მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში | მოსწავლემ მართებულად გაიგო კომპლექსური დავალების პირობა. | | |
| მოსწავლე ამჟღავნებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას; პროცედურული ცოდნის გამოყენებით განაზოგადებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. | საგნობრივი საკითხი/საკითხები : | | |
| მოსწავლეს შეუძლია განაზოგადოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის სახით ჩამოყალიბებული მოსაზრებები. | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 1. | | |
| | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 2. | | |

**შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება**

შემაჯამებელი შეფასება უნდა ზომავდეს, რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს. ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. *სოლო ტაქსონომია* (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია – ინგლ. SOLO – Structure of Observed Learning Outcomes), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. სოლო ტაქსონომია ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით. ეს დონეებია:

| |
|---|
| **SOLO 1: პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს. |
| **SOLO 2: უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა. |
| **SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ. |
| **SOLO 4: მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით. |
| **SOLO 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება. |

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოითხოვს სამიზნე ცნებებით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

წარმოგიდგენთ კომპლექსური დავალების კონკრეტული ნიმუშის მიხედვით შექმნილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას.

ქვემოთ მოცემული შეფასების რუბრიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც მოსწავლის მიღწევების აღსაწერად სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ისე განმავითარებელი კომენტარისთვის.

ეს არის მასწავლებლის სამუშაო ფურცელი, რომლის საფუძველზეც ის ჩამოაყალიბებს კომენ-

ტარს სამიზნე ცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების ფარგლებში. ეს კომენტარები მასწავლებელმა სხვადასხვა სამიზნე ცნებასთან მიმართებით სწავლა-სწავლების პროცესში პერმანენტულად უნდა აკეთოს.

**განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აღწერილობა:**

ცხრილის პირველ ჰორიზონტალურ, სატიტულო უჯრაში მოცემული ინფორმაცია ხაზს უსვამს იმას, რომ:

- ამ ფორმით ფასდება **ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად**;
- მოსწავლეები ფასდებიან **გრძელვადიან მიზნებთან** ანუ **საგნობრივ სამიზნე ცნებებთან** მიმართებით;
- საგნობრივ ცნებაზე მუშაობა ხდება **კონკრეტულ (და არა ზოგად) საგნობრივ საკითხზე** დაყრდნობით;
- საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლის ცოდნის შემოწმება ხდება **კომპლექსური დავალების საშუალებით**.

ცისფერ (რუხ) ჰორიზონტალურ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნებები (აქ მოიაზრება იმდენი ვერტიკალური სვეტი, რამდენი სამიზნე ცნებაცაა კონკრეტულ საგანში), ხოლო ცისფერ (რუხ) ვერტიკალურ სვეტში მოცემულია ამ სამიზნე ცნებების გააზრების დონეები (SOLO ტაქსონომიის მიხედვით). ცისფერ სვეტში მოცემულია ზოგადი აღწერილობა, ხოლო ცნებისა და დონის კვეთაზე ეს აღწერილობები დაკონკრეტდება ქვემოთ მოცემული მაგალითების შესაბამისად.

მოსწავლის სახელი, გვარი ______________________________

საგანი და სამიზნე ცნება ______________________________

საკითხი ______________________________

| სამიზნე ცნება კრიტერიუმი | სამიზნე ცნება 1 | | სამიზნე ცნება 2 | | სამიზნე ცნება 3 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | აღწერილობა კომენტარი | | | | | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |

**როგორ უნდა გაკეთდეს კომენტარი განმავითარებელი შეფასებისთვის?**

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მოსწავლეს ვასწავლით თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით მივეცით შემდეგი კომპლექსური დავალება:

გაეცანით ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ უცნობი ავტორის ცნობებს „ქართლის ცხოვრებიდან“, სადაც მოვლენები თამარ მეფის სასარგებლოდაა აღწერილი. წარმოიდგინეთ, რომ ხართ თამარის ეპოქაში მცხოვრები მემატიანე, რომელიც კეთილგანწყობილია მეფის მოწინააღმდეგე ყუთლუ არსლანის მიმართ და მხარს უჭერს „ისნის კარვის“ დაარსებას. შექმენით მოკლე „მატიანე“, სადაც ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლას თამარ მეფის უცნობი მემატიანისგან განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოაჩენთ.

*ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:*

1. რა ფაქტორები განაპირობებს ეპოქის თანამედროვე ისტორიკოსის ტენდენციურობას?
2. რა ნიუანსებში განსხვავდება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ თქვენი და თქვენი მოწინააღმდეგე ისტორიკოსის – მაგ. ბასილი ეზოსმოძღვრის მოსაზრებები ერთმანეთისგან; რა არის განსხვავებული ინტერპრეტაციის არსებობის მიზეზი;
3. კიდევ რა წყაროები არსებობს თამარ მეფის ეპოქის შესახებ; რამდენად სანდოა ისინი.

კომპლექსური დავალება მიმართულია სამიზნე ცნება „წყაროს“ გააზრებაზე და შესაბამისად, მისი კრიტერიუმები (ქუდის ქვეშ „ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე“) უკავშირდება სამიზნე ცნება „წყაროს“ მკვიდრ წარმოდგენებს:

- ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;
- წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;
- ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის;
- წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.

რა თქმა უნდა, ამ დავალებას სხვადასხვა მოსწავლე სხვადასხვა ხარისხით შეასრულებს. შესაბამისად, ჩვენი მხრიდანაც მათი მიღწევების შეფასება და განმავითარებელი კომენტარი განსხვავებული უნდა იყოს. ქვემოთ შეფასებულია 5 მოსწავლის კომპლექსური დავალება თამარ მეფის შესახებ, რომელთაგან პირველი პრესტრუქტურულ დონეს მიემართება, მეორე – უნისტრუქტურულს, მესამე – მულტისტრუქტურულს, მეოთხე – მიმართებითს, მეხუთე – აბსტრაქტულს. თითოეული მოსწავლის შემთხვევაში შევსებულია ორი გრაფა: ერთი ასახავს, რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე (აღწერილობა) და მეორე ასახავს, თუ რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (კომენტარი).

**პირველი მოსწავლის ნაშრომი – პრესტრუქტურული დონე**

მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები, შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი პრესტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| სამიზნე ცნება | წყარო | |
|---|---|---|
| კრიტერიუმი | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლემ არ შეასრულა დავალება, ვერ მიხვდა თამარ მეფესთან დაკავშირებით დავალების პირობას (შეექმნა ოპოზიციური მატიანე) | გაიხსენე, რა გსმენია თამარ მეფის შესახებ. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია, ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br><br>გაიხსენე შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე ამბავს ორი ადამიანი სხვადასხვაგვარად ჰყვება და განსხვავებულ პოზიციებს გამოხატავს.<br><br>შეეცადე, დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო. |

**მეორე მოსწავლის ნაშრომი – უნისტრუქტურული დონე**

მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს, შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი უნისტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| სამიზნე ცნება | წყარო | |
|---|---|---|
| კრიტერიუმი | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება) |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „მატიანეს“ მსგავსი ერთაბზაციანი თხზულება, თუმცა, ეს ტექსტი შეიცავს მხოლოდ ზედაპირულ შეფასებით სიტყვებს (კერძოდ, აღნიშნავს, რომ „თამარი არც ისე კეთილია, როგორც სხვებს ჰგონია იმიტომ, რომ ის მოწინააღმდეგეებს სასტიკად მოექცა; ან თამარის მომხრე ისტორიკოსები იტყუებიან და მისი ცუდი საქმეების შესახებ არ წერენ). ჩანს, რომ მოსწავლემ არაფერი იცის თამარის ეპოქასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ. | შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, მაგრამ ჩანს, რომ არ გაქვს წაკითხული სასწავლო მასალა. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო და დააკონკრეტო, რაში არ ეთანხმები თამარის მემატიანეს. |

**მესამე მოსწავლის ნაშრომი – მულტისტრუქტურული დონე**

მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი მულტისტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| **სამიზნე ცნება** | **წყარო** | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ. | მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას პარაგრაფში წარმოდგენილი მასალა (კერძოდ, აღნიშნა, რომ თამარი ცუდად მოიქცა იმიტომ, რომ დაიკავა დემნა ბატონიშვილის კუთვნილი ტახტი, უსამართლოდ შეიპყრო ყუთლუ არსლანი). თუმცა, ის ყურადღებას არ ამახვილებს დავალების მთავარ იდეაზე, არ ამხელს თამარის მომხრე ისტორიკოსის ტენდენციურობას.<br><br>დავალების ფორმაც დასახვეწია, კერძოდ, მოსწავლე გადმოგვცემს არა ამბავს, როგორც ეს „მატიანეს“ შეშვენის, არამედ ცალკეულ წინადადებებს საკითხთან მიმართებით. | შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო, რაში არ ეთანხმები თამარის ისტორიკოსს და ხაზგასმით აღნიშნო, რატომ ფიქრობ, რომ ხალხმა მისი მონათხრობი არ უნდა დაიჯეროს.<br><br>გაითვალისწინე ისიც, რომ „მატიანეში“ ისტორია საინტერესო ამბის სახით უნდა გადმოიცეს, რათა ის მსმენელებისთვის უფრო გასაგები იყოს. |

**მეოთხე მოსწავლის ნაშრომი – მიმართებითი დონე**

მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი მიმართებითი დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| **სამიზნე ცნება** | **წყარო** | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით. | მოსწავლე საინტერესოდ და შემოქმედებითად გადმოსცემს თამარ მეფის შესახებ ინფორმაციას. მის თხზულებაში გამოკვეთილია ფაქტორები, რომლებიც თამარის ისტორიკოსის ტენდენციურობას განაპირობებს (კერძოდ, ამბობს, რომ ისტორიკოსი მეფესთანაა დაახლოებული, ის მალავს რიგ ფაქტებს, მაგალითად, გიორგი მესამის რეპრესიებს, რომლებიც წინ უძღოდა თამარის გამეფებას).<br><br>თუმცა, დავალებაში დაშვებულია შეცდომები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს ბოლომდე კარგად არ აქვს გააზრებული ეპოქა, რომელშიც თამარ მეფე ცხოვრობდა (მაგალითად, ახსენებს თავადებს, ამბობს რომ თამარი XI საუკუნეში გამეფდა). | შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენს თხზულებაში გამოკვეთილია კრიტერიუმები:<br>რა ფაქტორები განაპირობებს ეპოქის თანამედროვე ისტორიკოსის ტენდენციურობას?<br>რა ნიუანსებში განსხვავდება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ თქვენი და თქვენი მოწინააღმდეგე ისტორიკოსის მოსაზრებები ერთმანეთისგან; რა არის განსხვავებული ინტერპრეტაციის გაჩენის მიზეზი?<br><br>თუმცა, ნაკლებად ჩანს აქცენტი კრიტერიუმზე – კიდევ რა წყაროები არსებობს თამარ მეფის ეპოქის შესახებ; რამდენად სანდოა ისინი.<br><br>იქნებ გეცადა, დაგესახელებინა თამარის ეპოქის ამსახველი სხვა წყაროები, რომლებიც უფრო შენი ნაამბობის სასარგებლოდ მეტყველებენ.<br><br>ყურადღება გაამახვილე, ასევე ფაქტობრივ შეცდომებზე (მაგ. თავადები და სათავადოები ჯერ კიდევ არ არსებობდა იმ ეპოქაში).<br>გაიხსენე ასევე, რომელი მეფეების მმართველობა უძღოდა წინ თამარის მეფობას. |

**მეხუთე მოსწავლის ნაშრომი – აბსტრაქტული დონე**

მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი აბსტრაქტული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| **სამიზნე ცნება** | **წყარო** | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „მატიანე“, რომელშიც თამარის მეფობის ამსახველი ისტორია გადმოსცა განსხვავებული ინტერპრეტაციით (მაგ.: ყუთლუ-არსლანის დასის წევრების გამოსვლის მოტივად დაასახელა ის, რომ აღარ სურდათ გამეორებულიყო მეფის მხრიდან ის სისასტიკე, რასაც გიორგი მესამის მეფობის დროს ჰქონდა ადგილი). თამარ მეფის ისტორიკოსის ტენდენციურობა ახსნა მისი სიახლოვით სამეფო კართან (მაგ. გამოიგონა ის ფაქტი, რომ თამარის მემატიანეა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი).<br><br>თხზულებიდან ჩანს, რომ მოსწავლე ფლობს მასალას თამარის ეპოქასთან დაკავშირებით და გააზრებული აქვს ისინი სამიზნე ცნების კონტექსტში; კერძოდ: ამჟღავნებს მე-12 საუკუნის საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ცოდნას (სამიზნე ცნება „სივრცე“), ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის ცოდნას, მაგ,: ადეკვატურად ახსენებს ტერმინებს: „მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი“, „უგვაროთა აღზევება“, „საერისთავოები“ (სამიზნე ცნება „ძალაუფლება“), ამყარებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს თამარის მეფობისა და მისი წინარე პერიოდის ისტორიულ მოვლენებს შორის (სამიზნე ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი“).<br><br>მოსწავლემ ეპოქის სულისკვეთების უკეთ წარმოსაჩენად გამოიყენა არქაული სიტყვები. | შენ მშვენივრად გაართვი დავალებას. შენი ნაშრომიდან ჩანს, რომ სიღრმისეულად გაიაზრე:<br>„ქართლის ცხოვრების“, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა;<br>ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებები თამარის ეპოქაში;<br>შესაბამისი ეპოქის საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკისთვის აქტუალური საკითხები;<br>ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის მიზეზები და შედეგები.<br><br>გთხოვ გაიხსენო ისტორიიდან, შენი პირადი ცხოვრებიდან მაგალითები, რომლებიც „მატიანეში“ გამოკვეთილ ნიუანსებს უკავშირდება:<br>ვინმეს, ან რაიმეს ხომ არ გაგონებს თამარის ისტორიკოსის ტენდენციურობა;<br>რომელ ისტორიულ მოვლენას გაგონებს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა;<br>რით განსხვავდება თამარის ეპოქა და მისთვის დამახასიათებელი ისტორიული მოვლენები სხვა ისტორიული ეპოქებისგან. |

**ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის**

გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- წყაროს გარჩევა;
- ვიდეომასალისა და ფილმების გარჩევა;
- მუზეუმში სტუმრობა;
- ექსკურსია;
- გამოკითხვა/კვლევის ჩატარება;
- როლური თამაში – პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;
- ლიტერატურული შინაარსის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პირველ პირში დღიურის, ჩანახატის დაწერა);

## სწავლა – სწავლების სტრატეგიები

საგანმანათლებლო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციაა მიღებული. ძირითადად, გამოიყოფა მეთოდების ორი ჯგუფი:

- მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას;
- მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.
- აღნიშნული დაყოფა ერთგვარად პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც მეთოდთა უმრავლესობა საგნობრივთან ერთად მოსწავლეებს ზოგადი კომპეტენციის განვითარებაშიც ეხმარება.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააანალიზოს და გააცნობიეროს თითოეული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები კონკრეტულ საგანთან, ასაკობრივ ჯგუფთან, გარკვეული ინდივიდუალური მახასიათებლების მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში და მხოლოდ შემდეგ გააკეთოს სათანადო არჩევანი. ცნება „მეთოდი" გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზას, ხერხს. სწავლების მეთოდი წარმოადგენს მასწავლებლის მიზანმიმართულ ქმედებას მოსწავლეებში სათანადო კომპეტენციის განსავითარებლად. სწავლების მეთოდის შერჩევისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ გაკვეთილის სასწავლო მიზნებისა და სავარაუდო შედეგების განსაზღვრა, რამდენადაც სწორედ შედეგზეა დამოკიდებული სწავლების მეთოდები. ამდენად, კონკრეტული მეთოდის შერჩევისას გასათვალისწინებელია შერჩეული მეთოდის შესაბამისობა აქტივობასთან, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებასთან, აგრეთვე მნიშვნელოვანია აქტივობისათვის საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობა, აქტივობისათვის განსაზღვრული დროის შესაბამისობა და სხვ.

საყურადღებოა, რომ ხშირ შემთხვევაში სასწავლო პრაქტიკაში ხდება აქტივობისა და მეთოდის გაიგივება. აქტივობას დაესმის კითხვა: „რას აკეთებს მასწავლებელი?" მაგალითად, მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს, ხოლო ის, რასაც დაესმის კითხვა: „როგორ აკეთებს მასწავლებელი?" (ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ახორციელებს ამ აქტივობას?) – მეთოდია.

იმისათვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს სწავლების მეთოდები, იგი უნდა ფლობდეს სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, რომელთა შორისაც გამოყოფენ: **1. კოგნიტურ სტრატეგიებს.** მათი საშუალებით მოსწავლე იძენს/მოიპოვებს ცოდნას, გადაამუშავებს, აანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გამოიყენებს სხვა სიტუაციაში; **2. მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს** (მეტაკოგნიცია – აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ). ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლების პროცესში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, უვითარებს მოსწავლეს გააანალიზოს და გამოიტანოს დასკვნა, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება; **3. სოციალური სტრატეგია**, რომელიც სოციალურ ინტერაქციას ეფუძნება და სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირებისათვის უპირატესობას თანამშრომლობით სწავლებას ანიჭებს (მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ურთიერთსწავლება და სხვ.); **4. რესურსებზე დაფუძნებული სტრატეგია** (მულტიმედიური, ქსელური სასწავლო საშუალებები, მაგალითად, ინტერნეტი, ბიბლიოთეკა და სხვ.).

1. კოგნიტური დიაგრამები

გრაფიკული სქემების გამოყენება წარმოდგენის არალინგვისტურ ფორმებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია. გრაფიკული სქემა, როგორც წესი, წარმოსახვის ორივე ფორმას გულისხმობს – ლინგვისტურს და არალინგვისტურს. ლინგვისტურია სიტყვები და ფრაზები. არალინგვისტურია სხვადასხვა ტიპის სიმბოლოები და ისრები, რომლებიც სიმბოლოებს შორის ურთიერთობებს გამოხატავენ.

კოგნიტური დიაგრამებით, ანუ გრაფიკული ორგანიზატორებით მუშაობა მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ.

**კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე:**

- ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას;
- ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას;
- შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას;
- ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას;
- სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

**როდის და როგორ გამოიყენება კოგნიტური დიაგრამები:**

- გამოიყენება როგორც ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე მასალის ათვისების შემდეგ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს;
- გამოიყენება როგორც ტექსტის კითხვისა და დამუშავების, ასევე წერითი სამუშაოს დაწყების დროს;
- გამოიყენება როგორც საშინაო დავალების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს;
- გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს.

მეთოდები, რომლებიც მსგავსებასა და განსხვავებას უკავშირდება, შეიძლება სწავლის ქვაკუთხედად იქნეს მიჩნეული. ამ სახის დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები ავლენენ მათ მიერ შეძენილი ცოდნის გააზრებისა და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების უნარ-ჩვევებს. განსაკუთრებით ეფექტურია მსგავსებისა და განსხვავების მეთოდის გამოყენება, როდესაც მოსწავლეები მასწავლებლის მინიშნებების გარეშე, ერთობლივი მუშაობის (ჯგუფური) პირობებში აკეთებენ სათანადო დასკვნებს, ეს კი ხელს უწყობს ახალი, ზოგჯერ ურთიერთგანსხვავებული იდეების სტიმულირებას. ცოდნის გააზრებისა და გამოყენების ეფექტურობას საგრძნობლად ზრდის მოსწავლეთა მიერ გრაფიკული სქემებისა და დიაგრამების გამოყენება, რაც ხელს უწყობს საერთო და განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენის სტიმულაციას. ეფექტური შედარებისათვის საყურადღებოა მოსწავლეთა მიერ შესადარებელი ობიექტების, ფაქტების, მოვლენების მნიშვნელოვანი მახასიათებლების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც შემდეგ უკვე მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის საფუძვლად იქცევა. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შედარებისათვის გამოიყენოს ნათლად სტრუქტურირებული სავარჯიშოები (რას და რომელი მახასიათებლების მიხედვით ადარებენ), რაც საყურადღებოა მოსწავლეთა მხრიდან ძალისხმევის გარკვეული ტიპის დასკვნებზე მიმართვის თვალსაზრისით. ამ ტიპის დავალებები მიმართულია მოსწავლეთა მიერ

ერთსა და იმავე მახასიათებლებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების ამოცნობაზე. შედარებისა და მსგავსება-განსხვავების მიზნით გამოიყენება:

**ვენის დიაგრამა**



ვენის დიაგრამა გამოიყენება ორი საგნის ან მოვლენის, განსახილველი საკითხების, ფაქტების, სხვადასხვა ხელოვანის შემოქმედების, ხელოვნების ერთი დარგის, ჟანრისა თუ სხვ. ნიმუშების და ა.შ. როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნების დასაფიქსირებლად: წრეების გადაკვეთის მონაკვეთში ჩაიწერება საერთო, მარჯვენა და მარცხენა მონაკვეთებში კი – განსხვავებული ნიშნები.

ვენის დიაგრამაზე მუშაობა მოსწავლეს უადვილებს განსახილველი საკითხის უკეთ გააზრებასა და აღქმას, განუვითარებს დაკვირვებულობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს.

ვენის დიაგრამაზე მუშაობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში და ჯგუფების სავარჯიშოში.

## შედარების მატრიცა

ეს გრაფიკული სქემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესადარებელია ორზე მეტი საგანი ან მოვლენა, ნაწარმოები და ა.შ., რაც ითვალისწინებს უფრო დეტალურ მიდგომას შესადარებელი ობიექტებისადმი და გარდა შედარება-განსხვავებისა, აღინიშნება თითოეული ობიექტის მახასიათებლებიც.

| დიაგრამა 2<br>შედარების მატრიცა<br>მატრიცა | | | | |
|---|---|---|---|---|
| მახასიათებლები | შესადარებელი თემები | | | |
| | # 1 | 2 | 3 | |
| 1 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |
| 2 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |
| 3 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |
| 4 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |

**T-დიაგრამა**

| მომხრე | მოწინააღმდეგე |
|---|---|
| | |

სქემა გამოიყენება განსახილველი საკითხების (ფაქტების, მოვლენების, მხატვრული მიმართულებების, ეპოქების, ხელოვანთა შემოქმედების, ხელოვნების ნიმუშების და ა.შ.) შესადარებლად, დასაპირისპირებლად, ანუ მხოლოდ განმასხვავებელი ნიშნების აღსანიშნად. შესაბამისად, სქემის თითოეულ გრაფაში ჩაიწერება ფაქტების, მოვლენების და ა.შ. განსხვავებული ნიშნები. სქემაზე მუშაობა მოსწავლეს გაუადვილებს განსახილველი საკითხის უკეთ გააზრებას, მის არსში წვდომას, განუვითარებს დაკვირვების, დასკვნების გაკეთების, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს. სქემაზე მუშაობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში და ჯგუფურად.

**ორმხრივ ჩანაწერთა დღიური**

ამ სქემაზე მუშაობა გამოიყენება მოსწავლის კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარებისათვის. მოცემული სქემის პირველ გრაფაში („ციტატა“) მოსწავლეებს შევთავაზებთ, ჩაწეროს ციტატა სახელმძღვანელოდან (შესაძლებელია ამ მიზნით სხვა სახის ინფორმაციის გამოყენებაც), რომელთან დაკავშირებითაც საკუთარ მოსაზრებებს ჩაწერს სქემის მეორე ნაწილში („კომენტარი“)

| ციტატა | კომენტარი |
|---|---|
| | |

**„ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“**

ახალი თემის დაწყებისას მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს მოცემული სქემის პირველ გრაფაში. თემის დასრულებისას კი, ძირითადად, შემაჯამებელ გაკვეთილზე, ავსებენ მეორე და მესამე გრაფებს. მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია ჩანაწერების ანალიზი, რაც ნათლად მეტყველებს მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის ათვისების ხარისხზე, აგრეთვე შემეცნებით ინტერესებზე, რომელიც მესამე გრაფაში შესრულებულ ჩანაწერში.

| რა ვიცი | რა ვისწავლე | რა მინდა ვიცოდე |
|---|---|---|
| | | |

**„3, 2, 1“**

მოცემულ სქემაზე მუშაობა მნიშვნელოვანია როგორც შეძენილი ცოდნის გამოვლენის, საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემის, ისე თვითშეფასების უნარების გამოვლენისათვის.

მოცემულ სქემაზე მუშაობა თემატური ციკლის დასკვნითი გაკვეთილისათვის არის მიზანშეწონილი. სასურველია, მოსწავლეები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, რომ თითოეულ გრაფაში მხოლოდ თემებისა თუ საკითხების ჩამოთვლა არ არის საკმარისი. მათ უნდა დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო მასალაზე კონცენტრირების, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

| | |
|---|---|
| ჩაწერე 3 თემა/საკითხი, რომლებითაც განსაკუთრებით დაინტერესდი. | |
| 2 თემა/საკითხი, რომლებთან დაკავშირებითაც გაგიჩნდა მეტი ინფორმაციის მიღების ინტერესი. | |
| 1 თემა/საკითხი, რომელზეც იმსჯელებდი ამხანაგებთან ერთად | |

**ასოციაციური რუკა (ე.წ. „აბლაბუდა“)**

ასოციაციური რუკა გამოიყენება მოსწავლეთა ყურადღების მაქსიმალური მობილიზებისა და კონცენტრაციის, აზროვნების გააქტიურების, შეძენილი ცოდნის გამოვლენა-განმტკიცების, შეჯამების მიზნით. დაფის ან ფურცლის ცენტრში იწერება საკვანძო სიტყვა/ ფრაზა, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს კონკრეტულ ტერმინს, ეპოქას, მოვლენას, პიროვნებას და ა.შ. აღნიშნული საკვანძო სიტყვის ირგვლივ მოსწავლეები წერენ სიტყვებს, ფრაზებს, რომლებსაც ამ სიტყვასთან/ ფრაზასთან დაკავშირებით გაიხსენებენ. ამის შემდეგ აზრობრივად აკავშირებენ ამ სიტყვებს, ფრაზებს როგორც ერთმანეთთან, ისე საყრდენ სიტყვასთან და გამოსახავენ ხაზებით. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილში და ჯგუფური მუშაობისას.



გარდა ამ კოგნიტური სქემებისა გთავაზობთ კიდევ რამდენიმე გრაფიკულ სქემას, რომელიც შეესაბამება ინფორმაციის დალაგების კონკრეტულ პარადიგმებს.

- **აღწერითი პარადიგმები**. აღწერითი პარადიგმა შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული ადამიანების, ადგილების, საგნებისა და მოვლენების შესახებ ფაქტების წარმოსადგენად. არ არის აუცილებელი, რომ აღწერით პარადიგმაში მოქცეული ინფორმაცია რამე თანმიმდევრობის მიხედვით იყოს დალაგებული.




- **დროითი თანმიმდევრობის პარადიგმები.** დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა მოვლენების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებას გულისხმობს. ასეთი სქემების შევსება დაეხმარება მოსწავლეებს ქრონოლოგიის დადგენასა და დანახვაში.






საათი – მოვლენათა თანმიმდევრობა

**პროცესის/მიზეზშედეგობრიობის პარადიგმები.** პროცესის/მიზეზშედეგობრიობის პარადიგმა გულისხმობს ინფორმაციის დალაგებას ა. კაუზატიურ ქსელში, რომელსაც კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. ან ბ. მოქმედებების ერთობლიობაში, რომელიც ლოგიკურად სრულდება კონკრეტული პროდუქტით.

ა.




ბ.

**მოვლენა 1** ეს მოხდა იმიტომ, რომ:

**შედეგი**




**ეპიზოდის პარადიგმები.** ეპიზოდის პარადიგმა საშუალებას იძლევა, გარკვეულ სისტემაში მოვიყვანოთ ისეთი კონკრეტული ინფორმაცია, როგორებიცაა: ა. მოვლენის დრო და ადგილი, ბ. კონკრეტული ადამიანები, გ. მოვლენის ხანგრძლივობა, დ. მოვლენათა კონკრეტული თანმიმდევრობა, ე. კონკრეტული მიზეზი და შედეგი.



2. მეტაკოგნიტური სტრატეგიები

მეტაკოგნიცია სიტყვასიტყვით ნიშნავს კოგნიციას (ცოდნა, შემეცნება) კოგნიციის შესახებ – ან ცოდნას ცოდნისა და სწავლის შესახებ. ეს მეტაკოგნიტური ცოდნა უმაღლესი რიგის კოგნიციაა, რომელიც გამოიყენება კოგნიტური პროცესების მონიტორინგისა და რეგულირებისათვის ისეთებისა, როგორებიცაა ლოგიკური აზროვნება, გაგება-გაანალიზება პრობლემის გადაჭრა, სწავლა და ა.შ. ვინაიდან ადამიანები განსხვავდებიან თავიანთი მეტაკოგნიტური ცოდნისა და უნარის მიხედვით, ისინი განსხვავდებიან სწავლის ხარისხისა და სისწრაფის მიხედვითაც.

მეტაკოგნიცია მოიცავს სამი სახის ცოდნას:

(1) **დეკლარაციულ ცოდნას** საკუთარი თავის, როგორც მსწავლელის შესახებ, იმფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს შენს სწავლასა და მეხსიერებაზე და გარკვეული დავალების შესრულებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებზე, სტრატეგიებსა და რესურსებზე.

(2) **პროცედურული ცოდნა** ან იმისცოდნა, როგორ გამოიყენო სტრატეგიები.

(3) **პირობისეული ცოდნა დავალების დასრულების უზრუნველსაყოფად** – იმის ცოდნა, როდის და რატომ გამოიყენო სტრატეგიები და პროცედურები.

მეტაკოგნიცია არის ამ დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის სტრატეგიული გამოყენება მიზნების მისაღწევად და პრობლემების დასაძლევად.

მეტაკოგნიტური ცოდნა გამოიყენება აზროვნებისა და სწავლის რეგულირებისათვის. არსებობს სამი არსებითი უნარი, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ეს პროცესი. ესენია: დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება.

დაგეგმვა გულისხმობს იმის გადაწყვეტას, რა დრო უნდა დაეთმოს დავალებას, რა სტრატეგიები უნდა იქნეს გამოყენებული, როგორ უნდა დაიწყოს დავალების შესრულება, რა რესურსები უნდა შეგროვდეს, რა თანმიმდევრობას უნდა მივყვეთ, რაზე არ დავკარგოთ დიდი დრო, რას მივაპყროთ განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ.

მონიტორინგი არის მოცემული მომენტის აღქმა, გაცნობიერება იმისა, „რას ვაკეთებ“. მონიტორინგი მოიცავს კითხვას: „გამოდის აქედან რაიმე აზრი? ზედმეტად ხომ არ ვჩქარობ? საკმარისად ვისწავლე?“

შეფასება მოიცავს აზროვნების, სწავლის პროცესებისა და შედეგების შესახებ შეფასებების გაკეთებას. „სტრატეგიის შეცვლა ხომ არ იქნება უპრიანი? დახმარება ხომ არ ვითხოვო? დავნებდე? არის ეს ნაშრომი დასრულებული?“

გამოყოფენ სტრატეგიათა შემდეგ სახეებს:

| სტრატეგიის ტიპი | მაგალითი |
|---|---|
| **მასალის გამეორების მარტივი სტრატეგიები** | ფაქტობრივი მონაცემების რამდენჯერმე გამეორება |
| **მასალის გამეორების რთული სტრატეგიები** | ტექსტში მნიშვნელოვანი პუნქტების ხაზგასმა |
| **ინფორმაციის დამუშავების მარტივი სტრატეგიები** | ასოციაციების ფორმირება: |
| **ინფორმაციის დამუშავების რთული სტრატეგიები** | ანალოგიების ფორმირება, პერიფრაზირება, შედეგების შეჯამება, დაკავშირება |
| **ინფორმაციის ორგანიზების მარტივი სტრატეგიები** | დაჯგუფება, კლასიფიკაცია |
| **ინფორმაციის ორგანიზაციის რთული სტრატეგიები** | ძირითადი იდეის იდენტიფიკაცია, განზოგადებული ცნებების ამსახველი ცხრილების დამუშავება. |
| **მასალის გაგების, შემოწმების სტრატეგიები** | შეკითხვები თვითკონტროლისათვის, ძირითადი პუნქტების, თეზისების ჩამოთვლა, მიზნების დასახვა და ამ მიმართულებით საკუთარ წინსვლაზე თვალის მიდევნება. |
| **აფექტური და მოტივაციური სტრატეგიები** | შინაგანი მოტივაციის გამოყენება, „მე შემიძლია ამის გაკეთება უბრალოდ, დრო მჭირდება, ემოციათა მართვის ტექნიკები, დადებითი განწყობის შემუშავება“. |

**3. სოციალური სტრატეგია** როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი სტრატეგიები ურთიერთთანამშრომლობაზეა აგებული. გთავაზობთ ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო მეთოდურ რეკომენდაციებს.

## ჯგუფური მუშაობა

**ჯგუფში მუშაობის დაგეგმვა**

- ჯგუფში მუშაობისთვის აუცილებელია, რომ მოსწავლეები ხედავდნენ ერთმანეთს და ესმოდეთ ერთმანეთის; საჭიროა დავურიგოთ მასალა ჯგუფებს; სასწავლო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს.
- სამუშაო ფურცელზე მითითებები უნდა იყოს მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე და ზუსტად ფორმულირებული, რათა მათი შესრულება შესაძლებელი იყოს მასწავლებლის გარეშე.
- ჯგუფში მუშაობისას უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ სასწავლო მიზნების მიღწევებზე, არამედ თანამშრომლობის უნარის განვითარებაზეც.

**თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები**

- ჯგუფის წევრებმა უნდა მოუსმინონ თანაჯგუფელებს, თითოეული უნდა მონაწილეობდეს მუშაობაში, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ითხოვდეს და იღებდეს დახმარებას.
- მასწავლებელი თვალს ადევნებს, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეასრულოს განსაზღვრული როლი (ორგანიზატორ-ლიდერის, გამომსვლელის, განმაზოგადებლის, დროის მაკონტ-

როლებლის და ა.შ.), ამასთანავე სხვადასხვა დავალების დროს როლები უნდა შეიცვალოს.

**როგორ დავყოთ ჯგუფებად?**

- ჯგუფის ოპტიმალური სიდიდე – 4-5 მოსწავლე; დიდი მოცულობის დავალებისთვის, რომელიც დაყოფილია რამდენიმე სავარჯიშოდ, შესაძლებელია უფრო დიდი ჯგუფების შექმნაც.
- ჯგუფები მუდმივად ცვალებადი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფისათვის მიცემული დავალება რამდენიმე დღის ერთობლივ მუშაობას მოითხოვს. კლასის დაყოფამ უცვლელ ჯგუფებად შეიძლება ჩაშალოს ამგვარი მუშაობის პრინციპი, რადგან ყველა მოსწავლემ აქტიურად უნდა იმუშაოს.

**რას აკეთებს მასწავლებელი იმ დროს, როცა მოსწავლეები მუშაობენ?**

- თვალი ადევნეთ ჯგუფების მუშაობას, მაგრამ არ უხელმძღვანელოთ მათ. მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად პირადი პასუხისმგებლობის განცდით. შეგიძლიათ მიეხმაროთ ჯგუფებს – გაცვალოთ ინფორმაცია მუშაობის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. მუშაობისას შეეცადეთ, მიაწოდოთ ახალი იდეები.
- სთხოვეთ მოსწავლეებს გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები, მოუსმინონ სხვებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები.
- მუშაობის დროს გააკეთეთ კომენტარები. ინფორმაცია მოსწავლეთა გამოსვლის შესახებ უნდა იყოს კონკრეტული. ნუ მოერიდებით ხშირად, კონკრეტულად და ღიად კომენტირებას. ეს უნდა გააკეთოთ როგორც ჯგუფებად მუშაობის დროს, ასევე მიღებული შედეგების შეჯამებისას.
- თუ ჯგუფები ძნელად გასაკონტროლებელი ხდება, შეწყვიტეთ მუშაობა და განიხილეთ ეს საკითხი.
- მიუთითეთ, როგორი საქციელი ქმნის პრობლემებს, რომელი მოსწავლე არ ასრულებს თავის როლს და განმარტეთ, რომ ყველა პასუხისმგებელია დავალების შესრულებაზე. თითოეულ ჯგუფს 5 წუთით დაუნიშნეთ დამკვირვებელი. მოგვიანებით ეს დამკვირვებლები გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. ჯგუფის მოქმედება მთელმა კლასმა უნდა განიხილოს.

**4. რესურსებზე დაფუძნებული სტრატეგია** ბუნებრივია ამ კომპონენტის აქტიურად გამოყენების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სწავლების მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. უბრალოდ საინტერესო და შემოქმედებითი გაკვეთილის ჩატარება. გთავაზობთ რამდენიმე სახის რესურსის გამოყენებისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს.

**წერილობით წყაროებზე მუშაობა**

წერილობითი წყაროები მოსწავლის წიგნის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მათი დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლის კვლევით-ანალიტიკური უნარის განვითარებას, და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს რადგან მოიცავს ცოდნის როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ კატეგორიას.

წერილობითი წყარო არის ის ძირითადი რესურსი საიდანაც მოიპოვება ისტორიული ცოდნა და მათი დამუშავების შედეგად შესაძლებელი ხდება წარსულის სურათის რეკონსტრუირება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ წყაროს ანალიზი, ტექსტის კარგად გააზრებას გულისხმობს, რადგან პასუხების დიდი ნაწილი ტექსტშივეა. წყაროზე მუშაობა გულისხმობს პასუხის ძიებას შეკითხვებზე რომელიც მის მიმართ ჩნდება.

- ვინ არის ავტორი? როდის ცხოვრობდა? საკუთარი გამოცდილების საფუძველზე წერდა თუ რაიმე სხვა ინფორმაციით საზრდოობდა? შეიძლებოდა თუ არა მოეხდინა ვინმეს/რამეს გავლენა ავტორზე, როდესაც ტექსტს ქმნიდა?
- რა სახის ნაწერებთან გვაქვს საქმე? მაგ. ქრონიკა, ნარატიული თხზულება, ლიტერატურული ნაწარმოები, სახელმწიფო დოკუმენტი, მოგზაურობის დღიური თუ სხვ.?
- სად და როდის ვითარდება წყაროში აღწერილი მოვლენები? რაზეა იქ საუბარი? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება?
- როგორია ავტორის თხრობის ტონი? რა მიზანს ისახავს ავტორი ამბის გადმოცემით? შეიცავს თუ არა ტექსტი ავტორისეულ შეფასებებს? იჩენს თუ არა მიკერძოებას? რისი თქმა სურს მკითხველისთვის?

გარდა ამ ზოგადი ინფორმაციისა, თითოეული წყარო ინფორმაციას გვაწვდის, კონკრეტულ ეპოქაზე, კონკრეტულ მეფეზე, სახელმწიფო თუ საეკლესიო მოღვაწეზე, რაიმე კონკრეტულ ბრძოლაზე ან თუნდაც ადამიანების ყოფა-ცხოვრებაზე. ამიტომ თითოეული წყარო მოითხოვს ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე კითხვის დასმას.

**ილუსტრაციაზე მუშაობა**

ილუსტრაციაზე მუშაობა და მისი ანალიზი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც ემსახურება ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

ილუსტრაცია არის ნებისმიერი ვიზუალური სახის ნაბეჭდი, მაგ. კარიკატურა, პოსტერი, ნახატი, ფოტო, პლაკატი, საფოსტო მარკა და ა.შ.

ილუსტრაცია ყოველთვის ძვირფასი წყაროა, რადგან ზედ დატანილი შეიძლება იყოს, ისტორიული პირი, თარიღი, რამე ისტორიული მოვლენა/პროცესი. მოსწავლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს ილუსტრაციაზე გამოსახულ ყველა დეტალს. ილუსტრაციის ზოგად სიუჟეტს, თარიღებს, წარწერის ენასა და შინაარს. როგორც წყაროს ილუსტრაციასაც აქვს ზოგადი, უნივერსალური კითხვები:

- როდის არის შექმნილი ილუსტრაცია?
- რა პერიოდის ისტორიულ პერიოდს აღწერს ილუსტრაცია?
- ვინ არის ილუსტრაციის შემქმნელი და რა მოტივი ამოძრავებდა როდესაც ქმნიდა მას?

**რუკაზე მუშაობა**

რუკაზე მუშაობაც მოსწავლის წიგნისა და რვეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და ემსახურება უპირველეს ყოვლისა ისტორიულ სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარებას.

რეკომენდებულ სავარჯიშოთა შორისაა ისტორიულ და თანამედროვე პოლიტიკურ რუკებზე ერთდროულად მუშაობა, მათი შედარება. დადგენა ძველი სახელმწიფოების, იმპერიების ადგილას დღეს რომელი სახელმწიფოები მდებარეობენ.

გარდა ამისა, ისტორიული რუკა ბევრ ინფორმაციას გადმოგვცემს, ზედ დატანილია საზღვრების ცვლილებები, მიგრაციები. რუკაზე მუშაობა კი მოითხოვს მიღებული თეორიული მასალის დაკავშირებას პრაქტიკულ მუშაობასთან.

სანამ მოსწავლეები რუკაზე რუკებზე მუშაობას დაიწყებენ, აუცილებელია რუკის ლეგენდის განხილვა.

# თემატური მატრიცები

კლასი: XI

თემის სახელწოდება: **შუა საუკუნეები**

საათების სავარაუდო რაოდენობა **28**

ძირითადი რესურსი: **გრიფირებული სახელმძღვანელო**

| სამიზნე ცნება | **საკითხი** 1<br>ჯვაროსნული ლაშქრობები | **საკითხი** 2<br>ევროპული და აღმოსავლური სამყარო XIII-XIV საუკუნეებში; |
|---|---|---|
| **ძალაუფლება** | **ქვესაკითხი**: სასულიერო და საერო ძალებს შორის არსებული პოლიტიკური ბალანსი ევროპაში; პაპები იმპერატორების წინააღმდეგ; ისლამური საზოგადოებისათვის მისაღები ძალაუფლების საშუალებები; პაპის გავლენა ჯვაროსნულ ომებზე; ჯვაროსნული ლაშქრობების გავლენა ევროპელი მონარქების ძალაუფლებაზე;<br><br>**ქვეცნება:**<br>მმართველობის ფორმა | |
| **ისტორიული წყარო** | **ქვესაკითხი**: განსხვავებული წყაროები პაპსა და იმპერატორს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ, წყაროები ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ; ევროპული და აღმოსავლური ტექსტების გააზრება.<br><br>**ქვეცნება:**<br>ნარატიული წყაროები;<br>დოკუმენტები;<br>ისტორიული რუკები,<br>ილუსტრაციები; | |

| | | |
|---|---|---|
| **სივრცე** | **ქვესაკითხი**: სივრცე, სადაც განხორციელდა ჯვაროსნული ლაშქრობები და მისი ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა ევროპული სამყაროსათვის;<br><br>**ქვეცნება:**<br>ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია; | |
| **ისტორიული მოვლენა** | | **ქვესაკითხი:** მონღოლთა დაპყრობების მიზეზები და შედეგები; ოსმალთა სახელმწიფოს აღზევება და სამხედრო წარმატებები; დასავლური სამყაროს ცვლილებები XIII – XIV საუკუნეებში, თემურ-ლენგის მიერ მონღოლთა ერთიანი იმპერიის აღდგენის მცდელობის შედეგები;<br>**ქვეცნება:** |
| | | • ომი;<br>• ისტორიული პიროვნება; |
| **დრო** | | **ქვესაკითხი: ქალაქების აღორძინების ეპოქა ევროპაში;**<br><br>**მონღოლური ეპოქა და მისი მახასიათებლები; ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აღზევების ეპოქა; თემურ-ლენგის ეპოქა და მისი მახასიათებლები;**<br><br>**ქვეცნება:**<br><br>• ისტორიული ეპოქა |
| **საზოგადოება** | | **ქვესაკითხი: ევროპულ ქალაქებში მცხოვრები საზოგადოების**<br><br>**მახასიათებლები; მონღოლთა საზოგადოების ადაპტაცია ახალ სივრცეში; ოსმალური საზოგადოების მთავარი მახასიათებლები; პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო ცვლილებები XIII-XIV საუკუნეების ევროპული საზოგადოებაში; თემურ-ლენგის ლაშქრობების გავლენა აღმოსავლური სამყაროს საზოგადოებაზე;** |

| | | |
|---|---|---|
| | | **ქვეცნება:**<br>• ყოველდღიურობა; |
| **კომპლექსური დავალება** | კომპლექსური დავალება 1<br><br>წარმოიდგინე, რომ ხარ XI საუკუნეში მოღვაწე სწავლული. მოღვაწეობ პაპის კარზე და ხარ მისი მრჩეველი. დაგებადა იდეა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შესახებ. წარუდგინე პაპს წერილობითი მოხსენება, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება, როდის და რატომ უნდა დაიწყოს ჯვაროსნული ლაშქრობები, რა უნდა იყოს მისი მიზანი და რას მოუტანს ის ერთის მხრივ პაპის ძალაუფლებას და მეორე მხრივ ევროპულ სამყაროს. | **კომპლექსური დავალება 2**<br><br>**წარმოიდგინე, რომ XIV საუკუნის მიწურულს ვენეციის რესპუბლიკის საიდუმლო აგენტი ხარ აღმოსავლეთში. შენი მიზანია, შეისწავლო ოსმალეთისა და თემურ-ლენგის იმპერიაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. მიემგზავრები აღმოსავლეთში და ხანგრძლივი მოგზაურობისა და სახიფათო თავგადასავლების წყალობით ეცნობი ამ სამყაროს. აწარმოებ დღიურს, რომელიც უნდა გახდეს ამ ეპოქის წყარო. რომელშიც ასახავ შენს ყოველდღიურ შთაბეჭდილებებს და ასევე შენი მეთაურებისათვის გასაგზავნ ინფორმაციებს. შენი მოგზაურობის ჩანაწერები უნდა ასახავდეს ინფორმაციას, აღმოსავლურ სამყაროზე, მონღოლების, ოსმალებისა და თემურ ლენგის ეპოქაში, თუ როგორ დაინახავდა და აღიქვამდა მას ევროპელი თვითმხილველი.** |
| **რესურსები**<br><br>**კომპლექსური დავალების შესასრულებლად** | **სახელმძღვანელოს პარაგრაფები:**<br>• როგორ აღდგა რომის იმპერიული იდეა დასავლეთში;<br>• რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს რომის პაპი და იმპერატორი;<br>• რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ბიზანტია XI საუკუნეში;<br>• როგორ ჩამოყალიბდა თურქ-სელჩუკთა მძლავრი იმპერია აღმოსავლეთში;<br>• რატომ დაიწყო ჯვაროსნული ომები;<br>• როგორ შეცვალა სამყარო პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ;<br>• ჯვაროსნული ომების შედეგები | **სახელმძღვანელოს პარაგრაფები:**<br>• რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ევროპაში ქალაქების განსაკუთრებულ განვითარებას?<br>• როგორ შეცვალა აღმოსავლური სამყარო მონღოლთა დაპყრობებმა?<br>• რა ფაქტორებმა განაპირობა ოსმალთა სახელმწიფოს აღზევება და მათი სამხედრო წარმატებები?<br>• რა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დასავლურმა სამყარომ XIII-XIV საუკუნეებში? |

| | | |
|---|---|---|
| | **ტელესკოლა**<br>ჯვაროსნული ლაშქრობები<br>https://youtu.be/94TcWn63dZQ | როგორ სცადა თემურ-ლენგმა მონღოლთა ერთიანი იმპერიის აღდგენა?<br>**ტელესკოლა**<br>მონღოლები და საქართველო<br>https://youtu.be/QU5p475txzs |

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**

- შუა საუკუნეები მონოთეისტური რელიგიების - ქრისტიანობისა და ისლამის ერთი მხრივ დაპირისპირებისა და მეორე მხრივ ურთიერთზემოქმედების პერიოდია;
- შუა საუკუნეებში ისტორიის პერიოდიზაცია როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში რელიგიური ნიშნით იყო განსაზღვრული, როგორც კონცეპტუალურ დონეზე, ასევე სამწყსოსთვის რელიგიური დღესასწაულების გამოთვლის ფორმითაც;
- შუა საუკუნეებშიც, ისევე როგორც ადრეულ პერიოდებში ბინადარი მოსახლეობის მიწაზე დამაგრებული ნაწილისთვის დღე-ღამის მონაცვლეობა, მნიშვნელოვანწილად, სამეურნეო საქმიანობას უკავშირდებოდა, თუმცა დროის კონტროლი ეკლესიის ხელშია;
- საათები, თანამედროვე გაგებით, შუა საუკუნეებში არ არსებობდა არც ქრისტიანულ და არც მუსლიმურ სამყაროში.
- განვითარებულ შუასაუკუნეების პერიოდში დაქსაქსული პოლიტიკური ერთეულების გამსხვილების ტენდენციამ პოლიტიკური რუკა შეცვალა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში;
- სამი დიდი ცივილიზაციური კერის - ბიზანტიის იმპერიის, მუსლიმური აღმოსავლეთისა და „ლათინური“ დასავლეთის გადაკვეთის არეალს ლევანტი წარმოადგენდა;
- არაბული სახალიფოს დაშლამ საშუალება მისცა ბიზანტიას ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მიმართულებით ტერიტორიული გაფართოება ეწარმოებინა;
- ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ევროპის სივრცე შუა საუკუნეებმა არაერთმა (თურქ-სელჩუკები, პაჭანიკები, ყივჩაღები, მონღოლები) ნომადმა ხალხმა დაარღვია, რამაც საზღვრებისა და სახელმწიფოების ცვლილებები გამოიწვია ამ არეალებში;
- სავაჭრო-სტრატეგიული ტერიტორიებისა და მიმოსვლითი გზების ფლობისთვის ბიზანტიას მეტოქეები გამოუჩნდნენ, რომლებმაც ლევანტის სივრცის ნაწილობრივი კოლონიზება შეძლეს;
- შუა საუკუნეებში „აბრეშუმის გზა“ ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ დიდი სატრანზიტო ქსელის ზოგიერთი მარშრუტი და მონაკვეთი საქართველოზეც გადიოდა;
- განვითარებულ შუა საუკუნეებში მონღოლთა იმპერიაში არსებულმა შიდა მიმოსვლითი გზების ქსელმა და უსაფრთხოებამ შორეული მოგზაურობების ინტერესი და შანსი გააჩინა, როგორც ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროში, ასევე სხვაგან, რამაც რუკებისა და გეოგრაფიული ცოდნის გაუმჯობესება გამოიწვია.

- განვითარებულ შუა საუკუნეებში წყაროთა ძირითადი ტიპები - წერილობითი (საკანონმდებლო, ქრონიკები, ანალები, ეპოსები, ეპისტოლეები, ბიოგრაფიული...) ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური წყაროები (როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, თუმცა ქრისტიანული სამყაროსთვის ადრე შუა საუკუნეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საეკლესიო მწერლობისა და ჰაგიოგრაფიის კვალდაკვალ, მეტ მნიშვნელობას ისტორიული კრებულები და საერო ხასიათის ეპოსები იძენს;
- შუა საუკუნეებში განსაკუთრებულ როლს იძენს ჰერალდიკა, რომელიც მეტად ტიპურად დამახასიათებელი ევროპული სივრცისთვისაა;
- შუა საუკუნეებში მონოთეისტურმა რელიგიებმა გასაზღვრა სალოცავის, სარიტუალო დანიშნულების, საცხოვრისისა და სამოსის (ყოველდღიური, სარიტუალო, საბრძოლო) ტიპი, რომლის არტეფაქტები ეპოქის კომპლექსური რეკონსტრუქციისთვის ძვირფასი მასალაა;
- შუა საუკუნეების წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი (სასულიერო დანიშნულების სივრცე,  საერო ხელისუფლის კარი, უმაღლესი სასწავლებელი).
- შუა საუკუნეების ადამიანის მსოფლმხედველობა სამყაროს პროვიდენციალურ აღქმას ეფუძნებოდა, რამაც სრულად განსაზღვრა განათლების პრიორიტეტები - განათლების კერად მონასტრები და მედრესეები იქცა, თუმცა საქალაქო ცხოვრებამ განათლების მიღების დივერსიფიკაცია განაპირობა;
- განვითარებული შუა საუკუნეებიდან იწყება დასავლეთ ევროპაში უნივერსიტეტების წარმოშობა და, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიაში, მისი გავლენის სფეროს ქვეყნებსა და არაბულ სახელმწიფოში მანამდე არსებობდა უმაღლესი სასწავლებლის ტიპი, თანამედროვე უნივერსიტეტების წინამორბედი სწორედ დასავლური ტიპის უმაღლესი სასწავლებელია;
- განვითარებული შუა საუკუნეების საზოგადოება (მეტწილად ქრისტიანული სამყაროს დასავლური ნაწილი) სამწევროვანი საზოგადოებით ხასიათდება, რაც მკაცრად გამოკვეთილი სოციალური იერარქიულობას გულისხმობს; ეს მოდელი ნაკლებად მიემართება ბიზანტიურ საზოგადოებას და სრულიად არ შეესაბამება ისლამურ სამყაროს, თუმცა კასტური ჩაკეტილობის მაგალითები გვხვდება შორეულ აზიაში;
- განვითარებულ შუა საუკუნეებში საბოლოოდ გაფორმდა ფეოდალიზმი - რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო სისტემა(რაც მსხვილი მიწის მესაკუთრის პოლიტიკური უფლებებით აღჭურვას გულისხმობდა) რომელიც ტიპური გამოვლინებით ქრისტიანული დასავლეთ ევროპისთვისაა დამახასიათებელი. აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთისთვის ან მხოლოდ ნაწილობრივაა ეს სისტემა დამახასიათებელი, ან სხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას ქმნიან(სადაც მიწის მესაკუთრე სახელმწიფო ან მის სიმბოლოდ ქცეული მმართველია);
- შუა საუკუნეები რაინდების (აკრიტასების, კარგი ყმის...), ციხესიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების, საგმირო ეპოსების, ტრუბადურების  ეპოქაა;  მიუხედავად ქალის ლირიკული ასახვისა ლიტერატურაში, მისი სამართლებრივი სტატუსი და სოციალური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცისას ჩამოუვარდებოდა;
- განვითარებული შუა საუკუნეებისთვის, როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში საქალაქო ცხოვრების აღმავლობით ხასიათდება, თუმცა დასავლეთ ევროპის ქალაქების განმკარგავები/მფლობელები მოქალაქეები (ვაჭარ-ხელოსანთა ზედაფენა) იქცნენ, მაშინ როცა ბიზანტიაში საქალაქო თვითმმართველობების როლი მინიმუმისკენ მიდის, ხოლო და ისლამურ სამყაროში ქალაქის მუნიციპალური თვითმმართველობით არ გამოირჩეოდა.

- სამწევროვანი საზოგადოების მესამე „წევრი“ - ქალაქის მოსახლეობაა; წოდებებს საერთო რაც აქვთ - ეს პირადი თავისუფლებაა;
- განვითარებულ შუა საუკუნეებში კლიმატ-ცვლილებამ (დათბობამ) ბინადარ ხალხებს სამიწათმოქმედო საქმიანობაში გარკვეული ნოვაციებისა და მიწის დიდი სავარგულების გამოყენების საშუალება მისცა;
- საქალაქო ცხოვრების აღმავლობამ კარჩაკეტილი თვითკმარი მეურნეობის რღვევა, შრომის დანაწილება/სპეციალიზაცია და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გაძლიერება გამოიწვია;
- განვითარებულ შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში დასავლურ-ევროპული (მე-11-12 სს. ინტელექტუალური აღმავლობა) და ბიზანტიური კულტურული არეალები(მაკედონური რენესანსი) გამოიკვეთა რომელთა გაუცხოების სიმბოლურ გამოვლინებად დიდი სქიზმა შეიძლება მივიჩნიოთ;
- განვითარებულ შუა საუკუნეებში ქრისტიანული სამყაროს იმ ნაწილში, სადაც საზოგადოება წოდებრივი იყო, წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბება ხდება.
- შუა საუკუნეების ეკონომიკის საფუძველი მიწის კერძო მფლობელისა და მიწაზე დოვლათის შემქმნელის არათანაბარ ურთიერთობებს ეფუძნებოდა, რომლის ხასიათი ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაო გახდა, ხოლო ისლამურ სამყაროში კერძო მესაკუთრული უფლებები ზევრად პირობით ხასიათს ატარებდა;
- ლათინურ დასავლეთში შუა საუკუნეების ცივილიზაცია რომაულ-რომანიზებული სეგმენტის, ასევე, გერმანიკული ელემენტისა და ქრისტიანობის სინთეზით აღინიშნა, ბიზანტიაში ბერძნულენოვანი ელინურ - ელინისტური, ისევე როგორც სლავურ-აღმოსავლური ხალხების და ქრისტიანობის სინთეზით;
- თურქულ-მონღოლური მომთაბარული ელემენტის გაძლიერების მიუხედავად (რამაც ახლო და შუა აღმოსავლეთის დემოგრაფიული სურათი შეცვალა) ისლამურ სივრცეში ახლო და შუა აღმოსავლეთში სპარსულმა ელემენტმა საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველობით, ყოფითსა და კულტურულ ასპექტებში უპირატესობა მოიპოვა.
- განვითარებული შუა საუკუნეების დასავლეთისთვის ტიპური და განმასხვავებელია ორპოლუსიანობა და საერო და სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირება ძალაუფლებისთვის, მაშინ როცა ბიზანტიაში დიარქიის პრინციპი სულ უფრო ირღვევა და ცეზაროპაპიზმის გაძლიერება შეინიშნება;
- განვითარებული შუა საუკუნეებში ბიზანტიის მსგავსად ბიუროკრატიული აპარატი ჩამოყალიბება-დახვეწის პროცესი დასავლეთის სახელმწიფოებშიც მიმდინარეობს, რომელსაც ხელისუფლების ცენტრალიზებული მართვის ბერკეტად არის გამოყენებული, აღმოსავლეთში კი ნომადი ხალხების მიერ დაპყრობილი სახელმწიფოებში სამოხელეო აპარატის შექმნისას ის სეგმენტი წინაურდება, ვისაც სახელმწიფოებრივი განვითარების დიდი ტრადიცია აქვს;
- განვითარებულ შუა საუკუნეებში ძალაუფლების გადაცემის ფორმატი მემკვიდრეობით-დინასტიური პრინციპით განისაზღვრა, თუმცა ყველგან მკაცრად გამოხატული ხასიათი არ ჰქონდა და არც მაიორატის წესი იყო საყოველთაო;
- შუა საუკუნეებში ძალაუფლების ხელდასხმის ამბიციებს მზარდი სასულიერო ხელისუფლება იჩენს, რისთვისაც აქტიურად იყენებს სხვადასხვა ტიპის რესურსებს (მორალური, ეთიკური, განათლების უპირატესობა..)
- განვითარებულ შუა საუკუნეებში ისლამური სივრცეში უზენაესი ძალაუფლების მატარებლის - ხალიფას ინსტიტუტი რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლებას აერთიანებდა, დაკნინდა და ძალაუფლების ფლობის ერთპიროვნულობა დაკარგა.
- დასავლეთ ევროპაში მეორე გვირგვინისა და რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე ამბიციამ საბოლოოდ გარდაუვალი გახადა ერთიანი ქრისტიანული სივრცის პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივ-რელიგიური დაშორიშორება;

- შუა საუკუნეები პირენეებსა და ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნული ლაშქრობებისა და დიდი აზიური იმპერიების (თურქ-სელჩუკები, მონღოლები) ეპოქაა;
- ბიზანტიური „თანამეგობრობა“/ ბიზანტიური „იდეალი“ აღმოსავლეთ ქრისტიანობისა და ბიზანტინიზმის ფენომენით გამსჭვალულ ხალხებს აერთიანებდა ქრისტიანთა მეუფე - ავტოკრატი იმპერატორის დროშის ქვეშ;
- შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სივრცისთვის დამახასიათებელია საერო და სასულიერო დაპირისპირება, რამაც ამ სივრცის პოლიტიკური განვითარების ორპოლუსიანი მოდელი შეიმუშავა, რომელიც არც ბიზანტიისთვის და მითუმეტეს არც ისლამური აღმოსავლეთისთვის ტიპური არაა.
- აღმოსავლეთ რომის იმპერიაში წინა ისტორიულ მონაკვეთში შექმნილი რომის სამართლის რეცეფციებმა დასავლეთ ევროპის სივრცეში საერო სახელმწიფოს იდეის აღორძინებას შეუქმნა მყარი საფუძველი.

**კომპლექსური ტიპის დავალება N1. თემატური მატრიცა**

**თემა** - შუა საუკუნეები

**სამიზნე ცნება - ძალაუფლება - (შედეგი** 3,4,5,6,7,8)**; ქვეცნება (ზოგადი) -** მონარქია; პაპიზმი; **ქვეცნება (კერძო) -** საღვთო რომის იმპერატორი და ევროპის სხვა მონარქები; თოღრულ ბეგი, ალფ-არსლანი, მალიქ შაჰი ურბან II, გრიგოლ VII, **ქვესაკითხი -** სასულიერო და საერო ძალებს შორის არსებული პოლიტიკური ბალანსი ევროპაში; პაპები იმპერატორების წინააღმდეგ; ისლამური საზოგადოებისათვის მისაღები ძალაუფლების საშუალებები; პაპის გავლენა ჯვაროსნულ ომებზე; ჯვაროსნული ლაშქრობების გავლენა ევროპელი მონარქების ძალაუფლებაზე;
**სამიზნე ცნება - სივრცე (გარემო, ტერიტორია) – (შედეგი** 1,2,3,4,5,6); **ქვეცნება (ზოგადი) -** ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია; **ქვეცნება (კერძო) -** ლევანტის რეგიონი, ევროპა, მცირე აზია; **ქვესაკითხი -** სივრცე, სადაც განხორციელდა ჯვაროსნული ლაშქრობები და მისი ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა ევროპული სამყაროსათვის;
**სამიზნე ცნება - ისტორიული წყარო - (შედეგი** 1,2,4,5 **); ქვეცნება (ზოგადი) -** ნარატიული წყაროები; დოკუმენტები; ისტორიული რუკები, ილუსტრაციები; **ქვეცნება (კერძო) -** ვიდუკინდი - საქსონთა ისტორია X ს.**;** მაგდებურგის არქიეპისკოპოს ადალბერტის ჩანაწერი X ს.; ჟაკ ლე გოფი - თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი; ფრანკთა იმპერატორ ლუდვიგ II-ის საპასუხო წერილი ბიზანტიის იმპერატორს ბასილი I-ს მაკედონელთა დინასტიიდან. 871 წელი.; იუსტინიანე დიდის - პრაგმატული სანქცია. 554 წელი; პაპ გრიგორი II-ის წერილი იმპერატორ ლეონ III-ს. 727 წელი; ოტო I-ის ფიცი პაპი იოანე XII-სადმი. 961 წელი; პაპი ლეო VIII-ის განკარგულება. 963 წელი; პაპის არჩევის დეკრეტი 1059 წელი; გრიგოლ VII-ის შეწყალება იმპერატორი ჰაინრიხისადმი. 1077 წლის 28 იანვარი; ჰაინრიხის ფიცი რომის პაპის მიმართ. 1077 წლის იანვარი. კანოსა; ვორმსის კონკორდატი. 1122 წელი; იმპერატორ იუსტინიანეს სამოქალაქო კოდექსის წინასიტყვაობა. VI ს.; მონაკვეთი ლეონ III ისავრიელის წერილიდან. VIII ს.; კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ჩანაწერი. X ს.; ოღუზური ეპოსი „დედე ქორქუთის წიგნი“ IX-XII ს.; აბუ ალ-ფარაჯ იბნ-ლიბრი. XIII ს. სირიელი ისტორიკოსი; ალექსანდერ ბაიჰამერი - თანამედროვე ავსტრიელი ბიზანტინოლოგი; იბნ ალ-ასირი. XII ს. არაბი ავტორი აღწერს 1049 წლის მოვლენას, სადაც თურქთა ორი ბელადი ხვდება ერთმანეთს; მიხაელ ატალიატი - XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი; პაპი ურბან II-ის გამოსვლა 1095 წელს, კლერმონის კრებაზე; ფულხერიუს შარტრელი. ფრანკ პილიგრიმთა საქმენი. XII ს. ქრონიკა; ალექსი კომნენოსის შეთავაზება ჯვაროსნებისათვის; მატიას ედესელი. XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი;
ანონიმი ლათინი ავტორის ქრონიკა. ფრანკთა და იერუსალიმში მიმავალი სხვა პილიგრიმების საქმენი. XII ს.; ანა კომნენოსი. ალექსიადა XII ს. ბიზანტიური ქრონიკა; რაიმუნდ აჟილელი. XII საუკუნის ფრანგული ქრონიკა.; იბნ ალ-ასირი. XII-XIII საუკუნეების არაბი ისტორიკოსი; პიეტრო პერუჯინო - „ქრისტე გადასცემს გასაღებს წმინდა პეტრეს“; რუკები: 843 წელი, ვერდენის ხელშეკრულება; საღვთო რომის იმპერია - 843 წელს, 1000 წლისათვის, 1004 წლისათვის, 1097 წლისათვის; ბიზანტია 476 წლიდან 1095 წლამდე; თურქ-სელჩუკთა მიგრაცია; **ქვესაკითხი:** განსხვავებული წყაროები პაპისა და იმპერატორს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ, წყაროები ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ; ევროპული და აღმოსავლური ტექსტების გააზრება.

**საკითხი -** ჯვაროსნული ლაშქრობები;

**საკვანძო შეკითხვა** - როგორ წარმოვაჩინო რომის პაპის მრჩევლის წერილობითი მოხსენების საშუალებით ლევანტის რეგიონის რელიგიური და ეკონომიკური დატვირთვა და მისი კონტროლის მნიშვნელობა ევროპელებისათვის; როგორ აისახებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა როგორც პაპის, ასევე ევროპელი მონარქის ძალაუფლებაზე?

**კომპლექსური დავალება** - წარმოიდგინე, რომ XI საუკუნეში მოღვაწე სწავლული ხარ. მოღვაწეობ პაპის კარზე და ხარ მისი მრჩეველი. დაგებადა იდეა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შესახებ. წარუდგინე პაპს წერილობითი მოხსენება, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება, როდის და რატომ უნდა დაიწყოს ჯვაროსნული ლაშქრობები, რა უნდა იყოს მისი მიზანი და რას მოუტანს ის, ერთი მხრივ, პაპის ძალაუფლებას და მეორე მხრივ, ევროპულ სამყაროს.

<table>
<tr>
<th>სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br><br><u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u></th>
<th>შეფასების კრიტერიუმი<br><br><u>მოსწავლეს შეუძლია:</u></th>
<th>ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</th>
</tr>
<tr>
<td>სივრცე (გარემო, ტერიტორია):<br>• გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br>• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br>• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.<br><br>ძალაუფლება:<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;<br>• ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;</td>
<td>სივრცე (გარემო, ტერიტორია):<br>• დაახასიათოს ევროპელებისათვის ლევანტის რეგიონის კონტროლის მნიშვნელობა; ფაქტორები, რომლებიც ამ კონკრეტული არეალის მნიშვნელობას განაპირობებს (მ.წ. 1, 3);<br>• გააანალიზოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში არსებული გეოგრაფიული ცოდნა (მ.წ. 2).<br><br>ძალაუფლება:<br>• დაახასიათოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოები, მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; შეადაროს ისინი სხვა ისტორიულ პერიოდებს (მ.წ. 1, 3, 4);<br>• გააანალიზოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბროლის თავისებურებები (მ.წ. 2)<br>• გააანალიზოს ვინ/რა განიხილებოდა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ძალაუფლების წყაროდ; რა წარმოადგენდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველს (მ.წ. 4).</td>
<td>• იმსჯელეთ, როგორი იყო ევროპაში სასულიერო და საერო ძალებს შორის პოლიტიკური ბალანსი და რას მისცემდა ჯვაროსნული ლაშქრობები, როგორც პაპებს, ასევე ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს; (ძალაუფლება. მკ.წ. 2; 3; სივრცე. 3; წყარო.მკ.წ 1);<br>• რა როლი უნდა ჰქონდეს რომის პაპს ჯვაროსნულ ლაშქრობებში და როგორ აისახება ეს პაპის ძალაუფლებაზე; (ძალაუფლება.მკ.წ.3; 4 წყარო მკ.წ. 2 );<br>• დაახასიათეთ სივრცე და გეოგრაფიული გარემო, სადაც უნდა განხორციელდეს ჯვაროსნული ლაშქრობა და ამ სივრცის ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა ევროპული სამყაროსათვის; (სივრცე.მკ.წ. 1, 2; 3; წყარო მკ.წ. 1,2)<br>• დაახასიათეთ ბიზანტიისა და თურქული სამყაროს მდგომარეობა ამ ეპოქაში და იმსჯელეთ, რა ფაქტორები შეუწყობს ხელს</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| • ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;<br>• დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.<br><br>**ისტორიული წყარო:**<br>• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;<br>• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;<br>• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.<br>• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია | **ისტორიული წყარო:**<br>• გააანალიზოს წყაროები, რომელთა საშუალებითაც ჯვაროსნულ ლაშქრობებთან დაკავშირებით მოიპოვება ინფორმაცია **(მ.წ. 1);**<br>• შეადაროს და ერთმანეთს დაუკავშიროს სხვადასხვა ტიპის წყაროები და მოპოვებული ინფორმაცია **(მ.წ. 2);**<br>• გააანალიზოს ფაქტორები, რომლებიც წყაროების სანდოობას/ტენდენციურობას განაპირობებს **(მ.წ. 3);**<br>• ერთმანეთს შეადაროს ერთი და იმავე წყაროს ანალიზის საფუძველზე გაკეთებული განსხვავებული ინტერპრეტაციები; იმსჯელოს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე **(მ.წ. 4).** | ჯვაროსნების წარმატებას. (ძალაუფლება. მკ.წ.1; 2; 3; წყარო, მკ.წ.1,2);<br>• რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს ჯვაროსნული ლაშქრობები ქრისტიანულ სივრცეს. (ძალაუფლება. მკ.წ. 2; 4; სივრცე. 2; სივრცე.მკ.წ. 3; წყარო მკ.წ.3,4) ; |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**რესურსები/განსახილველი ქეისები:**
**რესურსი 1**. სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), ისტორია, XI კლასი; „სულაკაურის გამომცემლობა“, პარაგრაფები: **§1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10, 11-12, 13-14**;
**რესურსი 2**. ელ. რესურსები

- როგორ დავწეროთ მოხსენება? https://files.fm/f/r8qvfudw9
- საღვთო რომის იმპერია - Silk School https://youtube.com/watch?v=KiL7mPxTMko&si=EnSIkaIECMiOmarE
- როგორ ჩამოყალიბდა საღვთო რომის იმპერია?/ანიმაცია https://youtube.com/watch?v=0PN9f1Sz3bc&si=EnSIkaIECMiOmarE

- პაპის ოლქის ჩამოყალიბება და პაპობა - EL.GE
  https://youtube.com/watch?v=pmv_6pDN5io&si=EnSIkaIECMiOmarE
- კონფლიქტები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის - Silk School
  https://youtube.com/watch?v=iDZ-aFbS8OM&si=EnSIkaIECMiOmarE
- რამდენად ძლიერი იყო პაპი შუა საუკუნეებში? – Knowledgia
  https://youtube.com/watch?v=MDU0S-e6sfw&si=EnSIkaIECMiOmarE
- თურქ-სელჩუკები და მახლობელი აღმოსავლეთი, მანასკერტის ბრძოლა - Silk School
  https://youtube.com/watch?v=rF5heRq-xT8&si=EnSIkaIECMiOmarE
- ბიზანტია-სელჩუკების ომები. მანასკერტის ბრძოლა - Kings and Generals
  https://youtube.com/watch?v=rn85RHrShrI&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია VIII კლასი - ჯვაროსნული ლაშქრობები - ტელესკოლა
  https://youtube.com/watch?v=94TcWn63dZQ&si=EnSIkaIECMiOmarE
- ჯვაროსნული ლაშქრობები - Silk School
  https://youtube.com/watch?v=4E-1f4uSw3E&si=EnSIkaIECMiOmarE
- ჯვაროსნული ლაშქრობები - Captivating History
  https://www.youtube.com/watch?v=H2hqa3AX5kY
- ჯვაროსნული ლაშქრობები მუსლიმური გადმოსახედიდან - Kings and Generals
  https://youtube.com/watch?v=t8RZtYvW02g&si=EnSIkaIECMiOmarE

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**

**ჯვაროსნული ომი**

- რა იცით ჯვაროსნული ომის შესახებ? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- როგორ შეიძლება განვმარტოთ რას გულისხმობს ტერმინი - „ჯვაროსნული ომი“?
- რა აერთიანებთ ჯვაროსნული ომის სახელით ცნობილ ისტორიულ მოვლენებს?
- თქვენი აზრით ჯვაროსნულ ომებს რომელი ფაქტორები განაპირობებდა მეტად - ეკონომიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური? **(რესურსი 1)**

**წერილობითი მოხსენება**

- რა არის მოხსენება?
- რატომ იწერება მოხსენება?
- რა ინფორმაციას გაწვდის რესურსი მოხსენების შექმნის შესახებ?
- რა ძირითადი ნაწილები უნდა გამოყო მოხსენების დაწერისთვის?
- რა განსხვავებაა მოხსენებასა და წერილს შორის?
- როგორ შეიძლება დაიწეროს მოხსენება?
- როგორ შეიძლება მოხსენების საშუალებით წარმოვაჩინოთ ჩვენი შეხედულებები? **(რესურსი 2)**

**კომპლექსური დავალება**

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ცნება - ძალაუფლება**
**ქვეცნება - მონარქია; პაპიზმი**
**ქვესაკითხი -** სასულიერო და საერო ძალებს შორის არსებული პოლიტიკური ბალანსი ევროპაში; პაპები იმპერატორების წინააღმდეგ; ისლამური საზოგადოებისათვის მისაღები ძალაუფლების საშუალებები; პაპის გავლენა ჯვაროსნულ ომებზე; ჯვაროსნული ლაშქრობების გავლენა ევროპელი მონარქების ძალაუფლებაზე;
**ცნება - სივრცე;**
**ქვეცნება - ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია;**
**ქვესაკითხები -** სივრცე, სადაც განხორციელდა ჯვაროსნული ლაშქრობები და მისი ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა ევროპული სამყაროსათვის;
**ცნება - ისტორიული წყარო**
**ქვეცნება - ნარატიული წყაროები; დოკუმენტები; ისტორიული რუკები, ილუსტრაციები;**
**ქვესაკითხი** - განსხვავებული წყაროები პაპისა და იმპერატორს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ, წყაროები ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ; ევროპული და აღმოსავლური ტექსტების გააზრება.

**ნაბიჯი 1**
**დაახასიათეთ სივრცე და გეოგრაფიული გარემო, სადაც უნდა განხორციელდეს ჯვაროსნული ლაშქრობა და ამ სივრცის ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა ევროპული სამყაროსათვის; (სივრცე.მკ.წ. 1, 2; 3; წყარო მკ.წ. 1,2); (პარაგრაფები 7-8,9-10)**

- რას ეყრდნობოდა მაკედონური დინასტიის და მისი შემდგომი იმპერატორების ძალაუფლება? რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებს ეყრდნობოდა იგი?
- რა ფაქტორებმა განაპირობა კრიზისი ბიზანტიის იმპერიაში?
- გაიხსენეთ რომელი თურქულენოვანი მომთაბარე ტომების თავდასხმებია თქვენთვის ცნობილი წინა საუკუნეებიდან.  დაახასიათეთ ის გეოგრაფიული სივრცე სადაც ისინი მოსახლეობდნენ და ახსენი მიზეზები, რატომ შეიძლებოდა დაეწყოთ ახალ სივრცეში გადაადგილება?
- რა კულტურული, გეოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებლები ჰქონდათ თურქ-სელჩუკებს? როგორ აისახებოდა მათი თავდასხმები მეზობელ ტერიტორიებზე?
- იმსჯელეთ, რა გავლენა მოახდინა თურქ-სელჩუკთა საზოგადოების განვითარებაზე იმ გეოგრაფიულმა გარემომ რომელშიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ და შეიცვალნენ თუ არა ისინი სხვა გეოგრაფიულ სივრცეში დამკვიდრების შემდეგ?
- რა კრიტერიუმით არჩევდნენ თავდაპირველად თურქ სელჩუკები ტერიტორიებს რომლებზეც ლაშქრობდნენ რით იყო განპირობებული მათი მოტივაცია, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ასპექტებით?

- რა განსხვავებული მახასიათებლის გამო იყვნენ თურქები მიუღებლები ყველა იმ საზოგადოებისათვის, რომლის ტერიტორიებზეც ისინი გამოჩნდნენ?
- გაიხსენეთ ისტორიიდან ფაქტები, როდესაც კულტურულმა სივრცემ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია დამპყრობელი და გარდაქმნა მისი საზოგადოება.
- იმსჯელეთ, რატომ აირჩიეს სელჩუკმა სულთნებმა სახელმწიფოს ფორმირების პროცესში საყრდენად არათურქული ელემენტები?
- რა ფაქტორები უშლიდა ხელს თურქული ელემენტის ერთ საზოგადოებად გადაქცევას?
- რა ტიპის საფრთხეს წარმოადგენდა თურქ-სელჩუკები ბიზანტიის იმპერიისთვის?რატომ ვერ ახერხებდა ბიზანტია ამ საფრთხისთვის პასუხის გაცემას?
- რა საფრთხეს ქმნიდა თურქ-სელჩუკთა თავდასხმები საქართველოსა და მთლიანად კავკასიისთვის?
- იმსჯელეთ, და შეაჯამეთ ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ბიზანტიის იმპერიის კოლაფსი 1071 წელს.
- შეაფასეთ მანასკერტის ბრძოლის, როგორც ისტორიული მოვლენის მიზეზები და შედეგები; როგორ შეიძლება შეფასდეს ეს მოვლენა, როგორც გლობალურ თუ ლოკალური მნიშვნელობის მქონედ?
- რა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური შედეგი მოუტანა მანასკერტის ბრძოლამ ბიზანტიის იმპერიას?

**ნაბიჯი 2**

**იმსჯელეთ, როგორი იყო ევროპაში სასულიერო და საერო ძალებს შორის პოლიტიკური ბალანსი და რას მისცემდა ჯვაროსნული ლაშქრობები, როგორც პაპებს, ასევე ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს; (ძალაუფლება. მკ.წ. 2; 3; სივრცე. 3; წყარო.მკ.წ 1); (პარაგრაფები 1-2)**

- შეადარეთ გერმანული გეოგრაფიული სივრცე ფრანგულს და იტალიურს, ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული თვალსაზრისით.
- იმსჯელეთ, რას ნიშნავს სასულიერო პირების ჩართულობა პოლიტიკურ და სამხედრო მოვლენებში. როგორ ნაწილდება ძალაუფლება?
- შეადარეთ კონრადისა და ჰაინრიხის პოლიტიკა. რომელი მიგაჩნიათ უფრო სწორად, ჯერ შიდა მოწინააღმდეგეების განეიტრალება და მერე საგარეო საფრთხეებზე ორიენტირება, თუ პირიქით?
- იმსჯელეთ, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებს დაეყრდნო ჰაინრიხი ძალაუფლების განმტკიცების გზაზე?
- რა შეადგენდა ოტოს ლეგიტიმაციას - რას ეყრდნობოდა ოტოს ძალაუფლება?
- გაიხსენეთ, თუ რომელი მმართველის განხორციელებულ ქმედებებს ჰგავდა ოტოს გადადგმული ნაბიჯები და შეაფასე ისინი.
- იმსჯელეთ, რა ყოფდა და რა აერთიანებდა დასავლეთ ევროპას და ბიზანტიის იმპერიას?
- შეაფასე ძალაუფლების ტიპი, რომელიც გავრცელებული იყო რომის საღვთო იმპერიაში და გამოკვეთე მისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები
- იმსჯელეთ, მმართველობის მოდელზე რომის საღვთო იმპერიაში - რა ძლიერი და სუსტი მხარეები ჰქონდა მმართველობის ამ სისტემას.

**ნაბიჯი 3**

**რა როლი უნდა ჰქონდეს რომის პაპს ჯვაროსნულ ლაშქრობებში და როგორ აისახება ეს პაპის ძალაუფლებაზე; (ძალაუფლება.მკ.წ.3; 4 წყარო მკ.წ. 2); (პარაგრაფები 3-4, 5-6)**

- გაიხსენეთ წინა წელს შესწავლილი მასალიდან ისტორიული მოვლენები, რომლის მთავარი მონაწილე იყო რომის პაპი.
- იმსჯელეთ, რა ტიპის გავლენა ჰქონდა პაპს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე?
- რელიგიურის გარდა რა ტიპის ძალაუფლებას ფლობდა რომის პაპი ევროპულ სამყაროში?

- რატომ იყო მნიშვნელოვანი ევროპელი მონარქებისათვის რომის პაპების მხარდაჭერის მოპოვება?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა პაპის ავტორიტეტის შერყევა?
- იმსჯელეთ, რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების შერევას?
- კლუნიური მოძრაობა, როგორც მოვლენა, რა გავლენა მოახდინა მან ამ ეპოქის რელიგიური სფეროს წარმომადგენლებზე?
- გაიხსენეთ რა ფაქტორებს ემყარებოდა პაპისა და იმპერატორის ძალაუფლება და ვის ექნებოდა უპირატესობა ამ დაპირისპირებაში?
- იმსჯელეთ, რა ტიპის კონფლიქტი არსებობდა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში იმპერატორსა და პაპს შორის. რა ბერკეტებს ეყრდნობოდა მათი ძალაუფლება.
- იმსჯელეთ, რატომ მოუხსნა რომის პაპმა განკვეთა ჰაინრიხს, თუკი მას არ სჯეროდა მისი გულწრფელი მონანიების?
- იმსჯელეთ, რა მახასიათებლები ჰქონდა იმპერატორ ჰაინრიხის ძალაუფლებას, რატომ აღმოჩნდა პაპის მიერ მისი განკვეთის აქტი ასეთი დამანგრეველი?
- თქვენი აზრით პაპის ხელში არსებული ბეკეტი, იქნებოდა თუ არა ეფექტური ყველა ევროპელი მონარქის წინააღმდეგ და რატომ?
- რატომ იქნებოდა შეუძლებელი მსგავსი კონფლიქტი საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ბიზანტიის იმპერიაში?
- იმსჯელეთ, როგორ განსხვავდებოდა სასულიერო ძალაუფლების მოდელი დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიაში.

**ნაბიჯი 4.**

**დაახასიათეთ ბიზანტიისა და თურქული სამყაროს მდგომარეობა ამ ეპოქაში და იმსჯელეთ, რა ფაქტორები შეუწყობს ხელს ჯვაროსნების წარმატებას. (ძალაუფლება. მკ.წ.1; 2; 3; წყარო, მკ.წ.1,2); (პარაგრაფები (9-10, 11-12)**

- გააანალიზეთ, რატომ ვერ შეძლო თურქულმა საზოგადოებამ ახალ სივრცესთან სწრაფი ადაპტირება?
- იმსჯელეთ, და დაასაბუთეთ თქვენი აზრი: სელჩუკებმა მოახერხეს აღმოსავლური სამყაროს გარდაქმნა და ახალ იმპერიაში გაერთიანება, თუ აღმოსავლურმა სამყარომ მოახერხა სელჩუკების შეცვლა და თავისი კულტურული გავლენის ქვეშ მოქცევა.
- როგორ შეიძლება შეფასდეს ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში ალექსი კომნენოსის ეპოქა?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა ალექსი კომნენოსის წარმატებული მმართველობა?
- იმსჯელეთ, როგორ აისახებოდა ჯვაროსნული ომები პაპის ძალაუფლებაზე და ასევე პაპობის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელობაზე ევროპული სამყაროსათვის?
- იმსჯელეთ, ძალაუფლების რა ბერკეტების გამოყენებით ახერხებდა რომის პაპი, ჯვაროსნული ომების დაწყებას და მის წარმართვას?
- გაიხსენე, რა გსმენია ჯვაროსნული ომების შესახებ და რა მიზეზებმა განაპირობა ამ ისტორიული პროცესის დაწყება?
- რამდენად მნიშვნელოვანი იყო რწმენა და რელიგიური მსოფლმხედველობა ამ ეპოქის ადამიანისათვის და იქნებოდა თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები საკმარისი იმისათვის, რომ ევროპაში დაწყებულიყო ჯვაროსნული ლაშქრობები?
- იმსჯელეთ, - დაპირისპირებისა და ომის გარდა, რა პროცესებს შეუწყობდა ხელს, ქრისტიანთა კონტროლის დამყარება ლევანტის რეგიონზე?
- იმსჯელეთ, რა ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა ჯვაროსნული ომების დაწყებას
- გაიხსენეთ პაპისა და იმპერატორის დაპირისპირების დეტალები და იმსჯელეთ, როგორ აისახებოდა ეს მოვლენა პაპის ძალაუფლების განმტკიცების თვალსაზრისით?
- შეაფასეთ ყველა ჩამოთვლილი მიზეზი ერთად და იმსჯელეთ, რამდენად შეიძლება ჯვაროსნული ომების შეფასება, მხოლოდ რელიგიური, ეკონომიკური ან პოლიტიკური თვალსაზრისით.

**ნაბიჯი 5**

**რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს ჯვაროსნული ლაშქრობები ქრისტიანულ სივრცეს. (ძალაუფლება. მკ.წ. 2; 4; სივრცე. 2; სივრცე.მკ.წ. 3; წყარო მკ.წ.3,4); (პარაგრაფები 11-12, 13-14)**

- როგორ ახასიათებს დასავლეთ ევროპულ სივრცეს და ბიზანტიას ევროპელი რაინდების მიერ კონსტანტინოპოლით აღტაცების ფაქტი - როგორ ახასიათებს ამ ორი სივრცის ეკონომიკური და კულტურული კუთხით?
- რამდენად მისაღები იქნებოდა ჯვაროსნებისათვის ალექსი კომნენოსის შეთავაზება და რატომ მოუწიათ მათ დასთანხმებოდნენ იმპერატორის პირობებს?
- როგორ აპირებდნენ ჯვაროსნები და ბიზანტია დაპყრობილი ტერიტორიების განაწილებას. რამდენად ახდენდა ანტიკური მემკვიდრეობა გავლენას შუა საუკუნეების ისტორიულ და პოლიტიკურ მოცემულობაზე?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორები შეუშლიდა ხელს წმინდა მიწაზე არსებულ ჯვაროსნულ სახელმწიფოებში, ევროპული ფეოდალური სისტემის გამართულად ფუნქციონირებას?
- რა კულტურული ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ სივრცეს, როგორც ქრისტიანული ასევე მუსლიმური სამყაროსთვის?
- იმსჯელეთ, რა პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები გქონდა პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას
- იმსჯელეთ, რა ტიპის სივრცეს წარმოადგენდა ჯვაროსნული სახელმწიფოები - გამოკვეთე ამ სივრცის პოლიტიკური, კულტურული, გეოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებლები?
- იმსჯელეთ, რა პოლიტიკური და კულტურული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ჯვაროსნები ამ სივრცეში დამკვიდრების გზაზე?
- რატომ იყო ეს სივრცე მნიშვნელოვანი მუსლიმებისათვის და რას მისცემდა მუსლიმ მმართველს ჯვაროსნების წინააღმდეგ წარმატებული ომები, ძალაუფლების კუთხით ისლამურ სივრცეში?
- შეაფასეთ სალადინის მიერ იერუსალიმის აღების რელიგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა, მუსლიმური სამყაროსა და თავად სალადინისათვის?
- რა ეკონომიკური და პოლიტიკური, ასევე იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმის დაცემას, როგორც ისტორიულ მოვლენას ევროპული სამყაროსათვის?
- იმსჯელეთ, რა პრაქტიკულ სარგებელს მოუტანდა თითოეულ მონარქს, ჯვაროსნულ ლაშქრობებში წარმატების მოპოვება და ლევანტის რეგიონში გავლენების მოპოვება?
- თქვენი აზრით რატომ ვერ შეძლო რიჩარდმა იერუსალიმის დაკავება და რატომ დასთანხმდა მას ზავზე სალადინი?
- იმსჯელეთ, რატომ ვერ მოხერხდა მასშტაბური ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება XIII საუკუნის დასაწყისში?
- შეაფასეთ ვენეციის დოჟის მოქმედება ჯვაროსნებთან მიმართებაში, რა მოტივებით იყო განპირობებული მისი ქმედებები?
- იმსჯელეთ, ვის მიუძღვის მთავარი როლი ამ ისტორიული მოვლენის განხორციელებაში? რომის პაპს, ვენეციის დოჟს თუ ბიზანტიის იმპერატორს?
- იმსჯელეთ, რა შესაძლებლობას მისცემდა ამ სივრცეზე კონტროლის მოპოვება ვენეციის რესპუბლიკას?
- შეაფასეთ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების, როგორც მოვლენის პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა?
- გაიხსენე, რა საერთო და აუცილებელი მახასიათებელი უნდა ჰქონოდა ყველა იმ მოვლენას, რომელსაც ჯვაროსნულს უწოდებდნენ და შეიძლება თუ არა ეს ისტორიული მოვლენა ჩაითვალოს ჯვაროსნულ ლაშქრობად?

- იმსჯელეთ, რა შეიძლებოდა მოეტანა საქართველოს სამეფოსათვის ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებამ, რა მოტივი შეიძლებოდა ჰქონოდა ქართველ მონარქს, რომ მონაწილეობა მიეღო ამ მოვლენაში?
- თქვენი აზრით ევროპელების ხშირი მარცხი ჯვაროსნული ლაშქრობებისას, რამდენად იყო განპირობებული ამ სივრცის გეოგრაფიული მახასიათებლებით?
- როგორ შეცვალა ევროპული და აღმოსავლური სამყარო, ამ ეპოქაში კომუნიკაციის სიხშირემ და ერთმანეთთან დაახლოებამ, მიუხედავად სამხედრო კონფლიქტებისა?

**კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად**

**აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;**
- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს მოხსენების მოსამზადებლად?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი მოხსენებაა?

**ახსენი, რატომ შექმენი მოხსენება? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?**
- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

**რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**

- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (რა დახმარება გაუწიეთ თანაკლასელებს/მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღეთ მათგან);
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? *(მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?*
- ხვდებით თუ არა წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო (მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

**შემაჯამებელი დავალება N1 (ნიმუში)**

შემაჯამებელი დავალება 1 - **ისტორია**

მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი -----------------------------------------------------

**ჯვაროსნული ლაშქრობები -----**---------------------------------------------

1. **როდის მიმდინარეობდა ჯვაროსნული ლაშქრობები? დაასახელეთ სამი ისტორიული მოვლენა, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდს წინ უსწრებდა და მოსდევდა?**

| სამი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა ჯვაროსნულ ლაშქრობებს | თარიღი/პერიოდი | სამი მოვლენა, რომელიც მოსდევდა ჯვაროსნულ ლაშქრობებს |
|---|---|---|
| 1. | | 1. |
| 2. | | 2. |
| 3. | | 3. |

2. დაასახელეთ სამი გეოგრაფიული ობიექტი/პუნქტი (ლევანტის რეგიონში, მცირე აზიაში), რომლების შესახებაც ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდის შესწავლისას გაეცანით.

| გეოგრაფიული ობიექტის/პუნქტის დასახელება | რით იყო ეს ობიექტი/პუნქტი მნიშვნელოვანი | გეოგრაფიული ფაქტორები, რომლის გამოც ევროპელი მონარქები მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

3. საიდან გვაქვს ინფორმაცია ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?

| წყაროს ტიპის დასახელება | ვინ შექმნა | რის შესახებ მოგვითხრობს | როდის და რატომ შეიქმნა | რამდენად სანდოა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

4. როგორ აისახა ჯვაროსნული ლაშქრობები საერო და სასულიერო პოლიტიკური ლიდერების ძალაუფლებაზე?

| | მოკლე აღწერილობა | ძალაუფლების ბერკეტები | შედარება სხვა ეპოქასთან |
|---|---|---|---|
| იმპერატორების | | | |
| პაპის | | | |
| სულთნის | | | |

5. როგორი იყო ჯვაროსნული ომების პერიოდის საზოგადოება?

| ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეები | იდენტობის გამოხატვის საშუალებები | მიზნები მოტივაცია | პრობლემები/გამოწვევები | ცვლილებები საზოგადოებაში | სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

6.დაასახელეთ ჯვაროსნულ ომებთან დაკავშირებული თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი/ისტორიული მოვლენა/პროცესი?

| ფაქტები/ისტორიული მოვლენა/პროცესი | მიზეზი | შედეგი | მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის | მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისთვის | ანალოგია (ფაქტებით განმტკიცება) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**შეფასების რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასებისათვის N1**

| კლასი **XI**<br>თემა **შუა საუკუნეები**<br>ძირითადი საკითხი **ჯვაროსნული ლაშქრობები**<br>მოსწავლე | | |
|---|---|---|
| **სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები**<br>მოსწავლეს შეუძლია: | მაქსიმალური ქულა | კომენტარი |
| **წყარო/ინტერპრეტაცია**<br>ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის ევროპული და აღმოსავლური სხვადასხვა ტიპის წყაროების გამოყენებით ჯვაროსნული ომების სახელით ცნობილი მოვლენების, მათი საერთო მახასიათებლების განსაზღვრა და ამ ლაშქრობებით გამოწვეულ ცვლილებების გაანალიზება; აღნიშნული წყაროების სანდოობის ხარისხზე მსჯელობა; ევროპული და აღმოსავლური წყაროების კრიტიკულად შეფასება და მათ მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა. | 1 | |
| **დრო**<br>ჯვაროსნულ ლაშქრობებზე, როგორც ამ მასშტაბურ ისტორიულ მოვლენასთან გაიგივებულ ეპოქაზე მსჯელობა; მისი, როგორც ისტორიული ეპოქის მნიშვნელობის და მახასიათებლების გამოკვეთა; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელმაც ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა წარმოადგინა, როგორც ორი სამყაროს დაპირისპირების და შერწყმის ეპოქად; | 1 | |
| **სივრცე**<br>ლევანტის რეგიონის რელიგიური და ეკონომიკური დატვირთვისა და ამ სივრცის ევროპელთათვის კონტროლის და შენარჩუნების მნიშვნელობის გააზრება; „წმინდა მიწის“ იმ მახასიათებლების გამოყოფა, რომლის გამო ევროპელი მონარქები ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობდნენ; ჯვაროსნულ ომებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; | 1 | |
| **საზოგადოება**<br>ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის საზოგადოების იდენტობის გამოხატვის უმთავრესი საშუალებების გამოყოფა, ჯვაროსანთა აზროვნებასა და მსოფლმხედველობაზე, იმ პოლიტიკურ და კულტურულ პრობლემებზე მსჯელობა, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ ისინი; მიუხედავად სამხედრო კონფლიქტებისა, დასავლურ და აღმოსავლურ საზოგადოებაში განხორციელებული ცვლილებების კრიტიკული შეფასება და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებასთან შედარება. | 1 | |

| | | |
|---|---|---|
| **ძალაუფლება**<br>ჯვაროსნულ ომებზე რომის პაპის გავლენის შესახებ მსჯელობა და პაპობის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელობის შეფასება ევროპული სამყაროსათვის; ძალაუფლების იმ ბერკეტების გააზრება, რომელთა გამოყენებითაც ახერხებდა რომის პაპი, ჯვაროსნული ომების დაწყებას და მის წარმართვას; ჯვაროსნული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ძალაუფლების ტიპის გამოყოფა; ჯვაროსნულ ლაშქრობებში ევროპელი და აღმოსავლეთის მონარქების მონაწილეობის და ამ ლაშქრობების მათ ძალაუფლებაზე ასახვის შეფასება; | 1 | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი**<br>ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური მიზეზების დაჯგუფება, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზებისა და მოტივების გამოყოფა და შეფასება; ევროპული სამყაროსათვის იერუსალიმის დაცემის ეკონომიკური და პოლიტიკური, ასევე იდეოლოგიური მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა; ჯვაროსანთა რომელიმე ლაშქრობის საქართველოს სამეფოსთან დაკავშირება და საკუთარი პოზიციის გამოკვეთ მასში ქართველი მონარქის სავარაუდო მონაწილეობასთან დაკავშირებული მოტივების შესახებ; ჯვაროსნული ლაშქრობების პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული შედეგების კრიტიკული შეფასება.ჯვაროსნული ლაშქრობების ანალოგიური მოვლენის დასახელება და მათ შორის ანალოგიის ფაქტებით განმტკიცება. | 1 | |

**კომპლექსური ტიპის დავალება N2. თემატური მატრიცა**

**თემა** - შუა საუკუნეები

**სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა - (შედეგი** 3,4,5,6**); ქვეცნება (ზოგადი) -** ომი; ისტორიული პიროვნება; **ქვეცნება (კერძო) -** მონღოლთა ლაშქრობები; ოსმალთა ლაშქრობები, თემურ-ლენგის ლაშქრობები; ჩინგიზ ხანი, ედუარდ I, თემურ-ლენგი; **ქვესაკითხი -** მონღოლთა დაპყრობების მიზეზები და შედეგები; ოსმალთა სახელმწიფოს აღზევება და სამხედრო წარმატებები; დასავლური სამყაროს ცვლილებები XIII – XIV საუკუნეებში, თემურ-ლენგის მიერ მონღოლთა ერთიანი იმპერიის აღდგენის მცდელობის შედეგები;
**სამიზნე ცნება - დრო – (შედეგი** 1,2,3,4,5,6); **ქვეცნება (ზოგადი) -** ისტორიული ეპოქა; **ქვეცნება (კერძო) -** შუა საუკუნეები; **ქვესაკითხი -** ქალაქები აღორძინების ეპოქა ევროპაში; მონღოლური ეპოქა და მისი მახასიათებლები; ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აღზევების ეპოქა; თემურ-ლენგის ეპოქა და მისი მახასიათებლები;
**სამიზნე ცნება - საზოგადოება - (შედეგი** 1,2,4,5,6 **); ქვეცნება (ზოგადი) -** ყოველდღიურობა; **ქვეცნება (კერძო) -** ევროპული საზოგადოება, მონღოლური საზოგადოება, ოსმალური საზოგადოება; **ქვესაკითხი** - ევროპულ ქალაქებში მცხოვრები საზოგადოების მახასიათებლები; მონღოლთა საზოგადოების ადაპტაცია ახალ სივრცეში; ოსმალური საზოგადოების მთავარი მახასიათებლები; პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო ცვლილებები XIII-XIV საუკუნეების ევროპული საზოგადოებაში; თემურ-ლენგის ლაშქრობების გავლენა აღმოსავლური სამყაროს საზოგადოებაზე;

**საკითხი -** ევროპული და აღმოსავლური სამყარო XIII-XIV საუკუნეებში;

**საკვანძო შეკითხვა** - როგორ წარმოვაჩინო **ვენეციის რესპუბლიკის საიდუმლო აგენტის დღიურში** ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში განვითარებული ისტორიული მოვლენები და ცვლილებები?

**კომპლექსური დავალება** - წარმოიდგინეთ რომ ხართ XIV საუკუნის მიწურულს ვენეციის რესპუბლიკის საიდუმლო აგენტი აღმოსავლეთში. შენი მიზანია შეისწავლო ოსმალეთისა და თემურ-ლენგის იმპერიაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. მიემგზავრები აღმოსავლეთში და ხანგრძლივი მოგზაურობისა და სახიფათო თავგადასავლების წყალობით ეცნობი ამ სამყაროს. აწარმოებ **დღიურს**, რომელიც უნდა გახდეს ამ ეპოქის წყარო. რომელშიც ასახავ შენს ყოველდღიურ შთაბეჭდილებებს და ასევე შენი მეთაურებისათვის გასაგზავნ ინფორმაციებს. შენი მოგზაურობის ჩანაწერები უნდა ასახავდეს ინფორმაციას, აღმოსავლურ სამყაროზე, მონღოლების, ოსმალებისა და თემურ-ლენგის ეპოქაში, თუ როგორ დაინახავდა და აღიქვამდა მას ევროპელი თვითმხილველი.

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br><u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u> | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br><u>მოსწავლეს შეუძლია:</u> | **ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| **ისტორიული მოვლენა:**<br>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.<br><br>**დრო:**<br>• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;<br>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;<br>• სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ.<br><br>**საზოგადოება:**<br>• ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;<br>• საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად; | **ისტორიული მოვლენა:**<br>• გააანალიზოს შესწავლის XIII-XIV საუკუნეებში ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა (მ.წ. 1, 3);<br>• იმსჯელოს მიზეზებზე, რომლებიც შესაძლებელია XIII-XIV საუკუნეებში ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის სხვადასხვაგვარ შეფასებას განაპირობებს (მ.წ. 2);<br>• გამოკვეთოს XIII-XIV საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენის/პროცესის არსობრივი მახასიათებლები; შეადაროს ის სხვა მსგავს ისტორიულ მოვლენებს (მ.წ. 4).<br><br>**დრო:**<br>• სხვადასხვა ისტორიული პერიოდის მახასიათებლების გამოკვეთა და სხვა ეპოქებთან შედარება **(მ.წ. 1, 2);**<br>• როგორ აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას XIII-XIV საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მცხოვრები ადამიანები **(მ.წ. 3).**<br><br>**საზოგადოება:**<br>• ახასიათებს ევროპული, მონღოლური, ოსმალური საზოგადოების იდენტობის საშუალებებს; გამოკვეთს თითოეული ჯგუფის წევრების საერთო ინტერესებს და საზრუნავს **(მ.წ. 1, 3);** | • დაახასიათეთ ევროპის ქალაქები და მასში მცხოვრები საზოგადოება და შეადარეთ აღმოსავლეთის ქალაქებს; (საზოგადოება, მკ.წ. 1,2; დრო, მკ.წ. 1.2.3)<br>• როგორ შეიცვალა აღმოსავლური სივრცე მონღოლებიდან თემურ-ლენგამდე და რითი განსხვავდება თემურ-ლენგის იმპერია მონღოლთა იმპერიისაგან; (საზოგადოება, მკ.წ. 1.3; დრო, მკ.წ.1; ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 1,3,4);<br>• მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომლის თანამონაწილეც გახდით ოსმალეთსა და თემურ-ლენგის იმპერიის მიწებზე ყოფნის დროს და აღწერეთ ეს მოვლენები ევროპელის თვალით; (ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 1,2,3,4; დრო, მკ.წ.1,2,3);<br>• რა მნიშვნელოვანი რესურსებია აღმოსავლეთში, რომელიც შესაძლოა გამოადგეს ევროპულ საზოგადოებას და როგორ შეიცვლება ევროპული სამყარო აღმოსავლურთან დაახლოებით; არის თუ არა ევროპული სამყაროს მსგავსი ცვლილებები აღმოსავლეთში და გამოყავით ამ ეპოქაში მიმდინარე ცვლილებები; (საზოგადოება, მკ.წ. 1,2,3; დრო, მკ.წ. 1,2); |

| | | |
|---|---|---|
| • პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;<br>• საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ. | • აანალიზებს რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა ფეოდალური საზოგადოება **(მ.წ. 3);**<br>• აანალიზოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ევროპული და აღმოსავლური სამყაროს საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი **(მ.წ. 4)** | |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**რესურსები/განსახილველი ქეისები:**

**რესურსი 1**. სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), ისტორია, XI კლასი,; „სულაკაურის გამომცემლობა", მეორე თავი, პარაგრაფები: **§15-16, 17-18, 19-20, 21-22, 23-24**

**რესურსი 2**. ელ. რესურსები

- როგორ ვავსებ დღიურს | 6 იდეა
  https://youtu.be/5h08vvM81wY
- ქალაქები შუა საუკუნეებში - Silk School
  https://youtube.com/watch?v=4a5TyltzQeo&si=EnSIkaIECMiOmarE
- შუა საუკუნეების ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბება - Silk School
  https://youtube.com/watch?v=j2tZXsDlq2Q&si=EnSIkaIECMiOmarE
- ქალაქების ბრძოლა თავისუფლებისთვის შუა საუკუნეების ევროპაში - Silk School
  https://youtube.com/watch?v=kpI7-GCuhmQ&si=EnSIkaIECMiOmarE
- უმსხვილესი ევროპული ქალაქების ისტორია (7500 BC – 2020) ევროპის 11 უდიდესი ქალაქი - Gozhda
  https://youtube.com/watch?v=FJi5LcWpznw&si=EnSIkaIECMiOmarE
- შუა საუკუნეების ქალაქები ევროპაში - Let's Travel!
  https://youtube.com/watch?v=t3trcEZOB4k&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, XI კლასი - მონღოლები და საქართველო - ტელესკოლა
  https://youtube.com/watch?v=QU5p475txzs&si=EnSIkaIECMiOmarE
- მონღოლები: მონღოლების დაპყრობები, მონღოლთა იმპერია ევროპელ მოგზაურთა თვალით - Silk School
  https://youtube.com/watch?v=Yem3pCI5RWg&si=EnSIkaIECMiOmarE
- მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობა - Silk School
  https://youtube.com/watch?v=eZPA8tc0crI&si=EnSIkaIECMiOmarE
- რუკებით მოთხრობილი მონღოლთა ისტორია - Vide Supra

https://youtube.com/watch?v=FVYUMm5MH9s&si=EnSIkaIECMiOmarE&t=25

- თემურ-ლენგი, ევროპა და საქართველო - მწარე პოდკასტი, ეპიზოდი 54 https://youtube.com/watch?v=G6nGmsCNvl0&si=EnSIkaIECMiOmarE
- ოსმალთა სახელმწიფოს წარმოშობა - Silk School https://youtube.com/watch?v=9O15Xx5zgNA&si=EnSIkaIECMiOmarE
- ანკარის ბრძოლა - 1402 წელი - Kings and Generals https://youtube.com/watch?v=Nc4MCFrPiUg&si=EnSIkaIECMiOmarE

**<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>**

**ევროპული და აღმოსავლური სამყარო XIII-XIV საუკუნეებში**

- რა იცით ევროპული შუა საუკუნეების ქალაქების შესახებ? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- რა გახსენდებათ მონღოლების და ოსმალების შესახებ წინა კლასებში შესწავლილი ინფორმაციიდან?
- თქვენი აზრით რა აერთიანებთ/განასხვავებს XIII-XIV საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროს?
- თქვენი აზრით რომელი ფაქტორები განაპირობებდა თემურ-ლენგის ლაშქრობებს ყველაზე მეტად - ეკონომიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური?

**დღიური**

- რა არის დღიური?
- რა მიზნით იწერება დღიური?
- გაქვთ თუ არა დღიურის დაწერის გამოცდილება?
- წაგიკითხავთ თუ არა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც დღიურის ფორმითაა დაწერილი?
- როგორი გავლენა მოახდინა მან თქვენზე?
- როგორ შევქმნა დღიური?

**კომპლექსური დავალება**

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ცნება - ისტორიული მოვლენა**
**ქვეცნება - ომი; ისტორიული პიროვნება**
**ქვესაკითხი -** როგორ შეცვალა სამყარო მონღოლთა დაპყრობებმა; ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ოსმალთა სახელმწიფოს აღზევება და სამხედრო წარმატებები; დასავლური სამყაროს ცვლილებები XIII – XIV საუკუნეებში, თემურ-ლენგის მიერ მონღოლთა ერთიანი იმპერიის აღდგენის მცდელობა;
**ცნება - დრო**
**ქვეცნება - ისტორიული ეპოქა;**
**ქვესაკითხები -** ქალაქები აღორძინების ეპოქა ევროპაში; მონღოლური ეპოქა და მისი მახასიათებლები; ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აღზევების ეპოქა; თემურ-ლენგის ეპოქა და მისი მახასიათებლები;
**ცნება - საზოგადოება**
**ქვეცნება - ყოველდღიურობა**
**ქვესაკითხი** - ევროპულ ქალაქებში მცხოვრები საზოგადოების მახასიათებლები; მონღოლთა საზოგადოების ადაპტაცია ახალ სივრცეში; ოსმალური საზოგადოების მთავარი მახასიათებლები; პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო ცვლილებები XIII-XIV საუკუნეების ევროპული საზოგადოებაში; თემურ-ლენგის ლაშქრობების გავლენა აღმოსავლური სამყაროს საზოგადოებაზე;

**ნაბიჯი 1 (პარ. 15-16)**

**დაახასიათეთ ევროპის ქალაქები და მასში მცხოვრები საზოგადოება და შეადარეთ აღმოსავლეთის ქალაქებს; (საზოგადოება, მკ.წ. 1,2; დრო, მკ.წ. 1.2.3)**

- გაიხსენეთ, როგორ აისახა რომის დაცემა ევროპულ ქალაქებზე
- გაიხსენეთ წინა მასალა და იმსჯელეთ, როგორ აისახება ქალაქური ცხოვრების განვითარება საზოგადოებაზე
- გაიხსენეთ, როგორი საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდათ ქალაქებს შუა საუკუნეების ევროპულ სივრცეში?
- დაახასიათეთ გეოგრაფიული სივრცე, რომელიც ხელს უწყობდა ქალაქების განვითარებას?
- შეადარეთ წყაროებში აღწერილი ინფორმაცია, აღმოსავლური ქალაქების შესახებ და იმსჯელეთ, რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა ყველა ჩამოთვლილ ქალაქს?
- გაიხსენეთ, რა ძირითადი დანიშნულება ჰქონდა ქალაქს?
- გაიხსენეთ, როგორ ცვლიდა ქალაქი ა საზოგადოებრივ ცხოვრებას ?
- გაიხსენეთ, რა პოლიტიკური სიტუაცია შეუწყობდა ხელს ქალაქების განვითარებას?
- გაიხსენეთ, რატომ იყო ფეოდალური ურთიერთობებისა და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე, ხელშემწყობი ფაქტორი ქალაქების განვითარებისათვის?
- შეადარეთ ერთმანეთს წყარო 3. და წყარო 5 დაცული ინფორმაციები აღმოსავლური და დასავლური ქალაქების მახასიათებლების შესახებ და გაიხსენეთ, რა საერთო მახასიათებლები ჰქონდათ აღმოსავლურ ქალაქებს და რა - დასავლურ ქალაქებს. ასევე შეადარეთ ისინი.
- გაიხსენეთ, როგორ ახდენდა გავლენას გეოგრაფიული მახასიათებლები ქალაქების განვითარებაზე?
- გაიხსენეთ, რომელ გეოგრაფიულ სივრცეებში განვითარდა ქალაქები და რატომ?
- გაიხსენეთ, რატომ უწყობდა ხელს საქალაქო ცხოვრება ბიურგერული ფენის ჩამოყალიბებას?
- გაიხსენეთ, რა ძირითად ჯგუფებად იყოფოდა ქალაქის მოსახლეობა - რა იყო მათი ინტერესები, საზრუნავები და იდენტობა?

**ნაბიჯი 2 §17-18, 19-20, 21-22, 23-24**

**1.როგორ შეიცვალა აღმოსავლური სივრცე მონღოლებიდან თემურ-ლენგამდე და რითი განსხვავდება თემურ-ლენგის იმპერია მონღოლთა იმპერიისაგან; (საზოგადოება, მკ.წ. 1.3; დრო, მკ.წ.1; ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 1,3,4);**

**2.მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომლის თანამონაწილეც გახდით ოსმალეთსა და თემურ-ლენგის იმპერიის მიწებზე ყოფნის დროს და აღწერეთ ეს მოვლენები ევროპელის თვალით; (ისტორიული მოვლენა, მკ.წ. 1,2,3,4; დრო, მკ.წ.1,2,3);**

**3.რა მნიშვნელოვანი რესურსებია აღმოსავლეთში, რომელიც შესაძლოა გამოადგეს ევროპულ საზოგადოებას და როგორ შეიცვლება ევროპული სამყარო აღმოსავლურთან დაახლოებით; არის თუ არა ევროპული სამყაროს მსგავსი ცვლილებები აღმოსავლეთში და გამოყავით ამ ეპოქაში მიმდინარე ცვლილებები; (საზოგადოება, მკ.წ. 1,2,3; დრო, მკ.წ. 1,2);**

- გაიხსენე, ევრაზიული სტეპებიდან წამოსული რომელი ხალხებია შენთვის უკვე ცნობილი ისტორიის ადრინდელ ეპოქებში?
- გაიხსენეთ სტეპების მაცხოვრებლებისთვის ცხოვრების როგორი წერია სახასიათო. რა ტიპის საზოგადოებას ქმნიან ისინი?
- იმსჯელეთ, რა უნარების გამომუშავებასა და განვითარებას განაპირობებდა სტეპური გარემო და სივრცე და გამოადგებოდათ თუ არა ის მომავალი დაპყრობებისას?
- იმსჯელეთ, რატომ იყო რთული მომთაბარე ხალხების გაერთიანება?
- შეაფასეთ ჩინგიზ ხანის მიდგომები მმართველობის სისტემასთან დაკავშირებით და დაასახელეთ მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები?
- იმსჯელეთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ჩინგიზ ხანის მიერ მმართველობის სისტემაში შეტანილი ინოვაციების მიზეზი და რატომ?
- შეაფასეთ ჩინგიზ ყაენი, როგორც მმართველი და იმსჯელეთ, რა წარმოადგენდა მისი ძალაუფლების უმთავრეს წყაროსა და ლეგიტიმაციის საშუალებას?
- შეადარეთ ჩინგიზ ყაენი თქვენთვის ცნობილ სხვა აღმოსავლელ მმართველებს და იმსჯელეთ, ძალაუფლების რომელი მახასიათებლები განასხვავებდა მას ყველა დანარჩენი მმართველებისაგან?
- იმსჯელეთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მონღოლების მოტივაცია საკუთარი სივრცის დატოვებისა და ახალი ტერიტორიების დაპყრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას?
- შეაფასეთ მონღოლთა სამხედრო წარმატების მიზეზები და იმსჯელეთ, არსებობდა თუ არა მათთან გამკლავების გზები?
- იმსჯელეთ, რა იყო მონღოლთა დაპყრობების დაწყების ისტორიული მიზეზები?
- რა იყო მონღოლური დაპყრობების გლობალური და ლოკალური მნიშვნელობა იმ სივრცისთვის, რომელიც მათი აგრესიის მსხვერპლი გახდა?
- შეადარეთ ერთმანეთს ჩინგიზ ყაენის მემკვიდრეების მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოები და სივრცე, რომელსაც ისინი აკონტროლებდნენ, რა იყო ამ სივრცის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მახასიათებლები?
- იმსჯელეთ, როგორ და რატომ შეცვალეს ძალაუფლების მიღების საშუალება მონღოლებმა აღმოსავლურ სამყაროში გაბატონების შემდეგ?
- შეადარეთ ერთმანეთს მონღოლური სახელმწიფოები და იმსჯელეთ, რა საერთო და განმასხვავებელი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მახასიათებლები ჰქონდათ მათ?
- იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მონღოლურ იმპერიაში მცხოვრები საზოგადოებისა და სივრცის განვითარებისათვის ჩამოთვლილი ფაქტორები?
- იმსჯელეთ, რატომ იყო აღმოსავლეთის ერთ იმპერიაში გაერთიანება ხელშემწყობი ფაქტორი, ევროპული სამყაროსათვის აღმოსავლეთთან დასაკავშირებლად?
- იმსჯელეთ, რომელმა ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა მცირე აზიაში ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება?

- იმსჯელეთ, რა საშუალებით შეძლებდა ოსმანი თავისი ძალაუფლების განმტკიცებას თურქულ სამყაროში?
- იმსჯელეთ, ბიზანტიელებისა და ფრანგების შემდეგ, რატომ ცდილობდნენ ოსმალები რომის იდეის გაცოცხლებას თავიანთი ეგიდის ქვეშ? რა ტიპის ლეგიტიმაციას აძლევდა მათ ძალაუფლებას?
- ყურადღებით გაეცანით წყაროს და იმსჯელეთ, რა სფეროს გაძლიერებაზე იყო მიმართული რეფორმები და რა დასკვნების საშუალებას იძლევა ეს მონაკვეთი ოსმალთა სახელმწიფოს შესახებ?
- წარმოდგენილ წყაროზე დაყრდნობით იმსჯელეთ, როგორი იყო ოსმალთა სახელმწიფოში მცხოვრები საზოგადოება?
- გაიხსენეთ, თუ როგორი იყო სელჩუკი სულთნების ლეგიტიმაციის კრიტერიუმები და რითი განსხვავდებოდა ოსმალთა სახელმწიფო მათგან?
- იმსჯელეთ, რას ეფუძნებოდა ოსმალთა ძალაუფლება?
- შეადარეთ ერთი მოვლენის შესახებ დაწერილი ორი წყარო და იმსჯელეთ, რა საერთო და განსხვავებული ინფორმაციები მასში წარმოდგენილი?
- იმსჯელეთ, როგორ ახსნას გვთავაზობს ერთი და იმავე მოვლენაზე საუბრისას სერბი ავტორი და ოსმალი სულთანი?
- იმსჯელეთ, რატომ იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ მხოლოდ მისი მეზობელი ხალხები და რატომ არ დაინტერესდნენ მათ წინააღმდეგ სამხედრო კამპანიების წარმართვით ევროპის ძლიერი სახელმწიფოები?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ბალკანური სივრცის კონტროლს, როგორც ოსმალთა სასულთნოს, ასევე ევროპული სამყაროსთვის?
- იმსჯელეთ, რისი წყალობით შეიძლებოდა შეექმნათ ოსმალებს ევროპულის მსგავსი ადმინისტრაციული სისტემა?
- თქვენი აზრით რა გზითა და საშუალებებით შეიძლებოდა ბერძნები, იტალიელები თუ სხვა ქრისტიანი ხალხების ოსმალურ საზოგადოებაში ინტეგრაცია?
- იმსჯელეთ, ოსმალურ საზოგადოებაზე - შეადარე იგი ევროპულ საზოგადოებას?
- იმსჯელეთ, რატომ მოახერხეს ოსმალებმა წარმატებული სახელმწიფოს შექმნა?
- გაიხსენეთ თუ როგორი იყო და რა მახასიათებლები ჰქონდა ფეოდალურ სისტემას, რა იყო მისი ადმინისტრაციული, სამხედრო და ეკონომიკური მახასიათებლები?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული მოსახლეობის ზრდა, ევროპაში და რატომ განაპირობებდა ეს ეკონომიკურ აღმავლობას?
- იმსჯელეთ, აღნიშნული ეპოქის მახასიათებლებზე, რა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა ევროპული სამყაროს დაწინაურება ამ პერიოდში?
- როგორ შეიცვლებოდა ევროპული საზოგადოება მას შემდეგ, რაც მიწის ფლობაზე უფრო შემოსავლიან საქმედ ვაჭრობა გადაიქცა? პასუხი დაასაბუთეთ.
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული კულტურის დაწინაურებაში, ბიზანტიურ და ისლამურ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერებას?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა იტალიური სამყაროს ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებაში, მის გეოგრაფიულ მდებარეობას?
- გაიხსენეთ, რა უფლებები ჰქონდათ ფეოდალებს და რა ტიპის ვალდებულებები ჰქონდათ მათ მეფის წინაშე?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორები უწყობდა ხელს მეფის ხელისუფლების შესუსტებას აღნიშნულ ეპოქაში?
- იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა ძალაუფლების ფორმები ინგლისის სამეფოში პარლამენტის ჩამოყალიბების შემდეგ და როგორ აისახებოდა ეს ინგლისურ საზოგადოებაზე?
- იმსჯელეთ, რა იყო ინგლისში ძალაუფლების ტიპის ცვლილებისა და პარლამენტის ჩამოყალიბების მიზეზები და შედეგები?
- შეადარეთ ერთმანეთს დასავლური და აღმოსავლური ძალაუფლების ფორმები და ისაუბრეთ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

- გაანალიზეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული საზოგადოებისათვის იმ გარემო ფაქტორებს, რომ აქ შესაძლებელი იყო დამოუკიდებელი არსებობა?
- იმსჯელეთ, პროგრესული იყო თუ არა ევროპაში მიმდინარე პროცესი, რა დროსაც ჩამოყალიბდა წოდებრივ წარმომადგენლობითი ორგანოები, ეს მოვლენა დადებითად აისახებოდა თუ არა ევროპულ საზოგადოებაზე?
- დაახასიათეთ XIV საუკუნე როგორც ეპოქა და იმსჯელეთ, ევროპული სივრცეში მომხდარი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები როგორ აისახებოდა ევროპულ საზოგადოებაზე?
- იმსჯელეთ, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროზე აისახებოდა ჩამოთვლილი ისტორიული მოვლენები ყველაზე მეტად და რატომ?
- რა ხარვეზები ჰქონდა ფეოდალურ არმიას და რატომ იყო მასზე უფრო ეფექტური დაქირავებული სამხედრო შენაერთები ბრძოლის ველზე?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა სამხედრო სისტემისა და ომის წარმოების წესის ცვლილება?
- გაიხსენეთ თუ რომელი მონღოლური დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ და რა იყო თითოეული მათგანის განმასხვავებელი მახასიათებლები.
- იმსჯელეთ, როგორც შეიცვლებოდა მონღოლური საზოგადოება, ირანული, ჩინური და სლავური სივრცის ათვისებისა და დაპყრობის შემდეგ.
- იმსჯელეთ, რა ცვლილებებს შეიტანდა სამხედრო სფეროში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენა?
- იმსჯელეთ, რატომაა პოლიტიკური ქაოსი ხელსაყრელი მდგომარეობა ძალაუფლებისთვის მებრძოლი ისტორიული პერსონებისათვის?
- გაიაზრეთ, რატომ იყო თემურ-ლენგისათვის მნიშვნელოვანი დანათესავებოდა ჩინგიზიდების დინასტიას, როგორ აისახებოდა ეს ფაქტორი მის ძალაუფლებაზე?
- იმსჯელეთ, რა იყო ძალაუფლების მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის აუცილებელი საშუალებები და სიმბოლოები თემურ-ლენგის ეპოქაში?
- გაიხსენეთ, რა სივრცეს წარმოადგენდა მონღოლთა იმპერიის ყოფილი ტერიტორიები და რამდენად შეძლებდა თემურ-ლენგი ამ მიწების თავისი კონტროლის ქვეშ გაერთიანებას. პასუხი დაასაბუთეთ.
- იმსჯელეთ, რამდენად ეფექტური ხერხია სამხედრო ტერორი, დაპყრობილი ტერიტორიებისა და ხალხის მორჩილების მისაღებად და სივრცეზე კონტროლის შესანარჩუნებლად.
- იმსჯელეთ, რატომ იყო კავკასია და საქართველო მნიშვნელოვანი სივრცე თემურ-ლენგისათვის?
- იმსჯელეთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო თემურ-ლენგის ბაიაზიდთან დაპირისპირების ძირითადი მოტივი, ანატოლიაში გაბატონება, თუ ძლიერი კონკურენტის განეიტრალების პრინციპი?
- დაახასიათეთ ის სივრცე, რომელიც მოექცა თემურ-ლენგის სამხედრო ექსპედიციების არეალში და იმსჯელეთ, რა იყო ამ სივრცის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები.
- იმსჯელეთ, რა გავლენას მოახდენდა თემურ-ლენგის ლაშქრობები აღნიშნულ სივრცეზე, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით.
- შეადარეთ თემურ-ლენგი თქვენთვის ცნობილ აღმოსავლელ ლიდერებს, ჩინგიზ ყაენს, თოღრულ ბეგს და გამოყავით მათი საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები.
- იმსჯელეთ, რატომ ვერ მოახერხა თემურ-ლენგმა მონღოლთა იმპერიის აღდგენა და რითი განსხვავდებოდა მისი იმპერია მონღოლთა იმპერიისაგან?
- იმსჯელეთ, რა ხარვეზები ჰქონდა თემურ-ლენგის მიერ ჩამოყალიბებულ მმართველობის ტიპს

**კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად**

**აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;**
- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს დღიურის მოსამზადებლად?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი დღიურია?

**ახსენი, რატომ შექმენი დღიური? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?**
- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

**რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**
- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (რა დახმარება გაუწიეთ თანაკლასელებს/მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღეთ მათგან);
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?

- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? *(მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?*
- ხვდებით თუ არა წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო(მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

**შემაჯამებელი დავალება N2 (ნიმუში)**

შემაჯამებელი დავალება 2 - **ისტორია**

მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი ----------------------------------------------------

**მონღოლთა დაპყრობები**

1. **როდის მიმდინარეობდა მონღოლთა დაპყრობები? დაასახელეთ სამი ისტორიული მოვლენა, რომელიც მონღოლთა დაპყრობების პერიოდს წინ უსწრებდა და მოსდევდა?**

| სამი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა მონღოლთა დაპყრობებს | თარიღი/პერიოდი | სამი მოვლენა, რომელიც მოსდევდა მონღოლთა დაპყრობებს |
|---|---|---|
| 1. | | 1. |
| 2. | | 2. |
| 3. | | 3. |

2. დაასახელეთ სამი გეოგრაფიული ობიექტი/პუნქტი (აზიაში, ევროპაში, ამიერკავკასიაში), რომლების შესახებაც ისწავლეთ მონღოლთა დაპყრობების პერიოდის შესწავლისას.

| გეოგრაფიული ობიექტის/პუნქტის დასახელება | რით იყო ეს ობიექტი/პუნქტი მნიშვნელოვანი | მონღოლთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიებისათვის მონღოლთა იმპერიის ფარგლებში მოქცევის მნიშვნელობის შეფასება |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

3. საიდან გვაქვს ინფორმაცია მონღოლთა დაპყრობების შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?

| წყაროს ტიპის დასახელება | ვინ შექმნა | რის შესახებ მოგვითხრობს | როდის და რატომ შეიქმნა | რამდენად სანდოა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

4. **შეაფასეთ ჩინგიზ ყაენის, როგორც მონარქის მიდგომები მმართველობის სისტემასთან**

| | მოკლე აღწერილობა | შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარეები) | ჩინგიზ ყაენის სხვა აღმოსავლელ მმართველებთან შედარება |
|---|---|---|---|
| ლეგიტიმაციის საშუალება | | | |
| ინოვაციები | | | |
| მოტივაცია | | | |

5. როგორი იყო მონღოლური საზოგადოება?

| სოციალური ფენა/ჯგუფი | იდენტობის საშუალებები, ინტერესები და საერთო საზრუნავი | ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ნიუანსები | დასავლურ საზოგადოებასთან შედარება | ცვლილებები მონღოლთა საზოგადოებაში |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

6. დაასახელეთ მონღოლთა დაპყრობებთან დაკავშირებული სამი, თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი/ისტორიული მოვლენა/პროცესი?

| ისტორიული მოვლენა | მიზეზი | შედეგი | მონღოლური სახელმწიფოების შედარება | მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის | მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისთვის | ანალოგია (ფაქტებით განმტკიცება) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

**შეფასების რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასებისათვის N2**

| კლასი **XI**<br>თემა **შუა საუკუნეები**<br>ძირითადი საკითხი **მონღოლთა დაპყრობები**<br>მოსწავლე | | |
|---|---|---|
| **შეფასების კრიტერიუმი**<br>მოსწავლეს შეუძლია: | მაქსიმალური ქულა | კომენტარი |
| **წყარო/ინტერპრეტაცია**<br>მონღოლთა ლაშქრობების შესახებ მოცემული სხვადასხვა ტიპის მონღოლური, ქართული, ევროპული და თანამედროვე წყაროების კლასიფიცირება და მათზე დაყრდნობით მონღოლთა იმპერიის შექმნის მახასიათებლების განსაზღვრა, მათი ლაშქრობებით გამოწვეული ცვლილებების გაანალიზება; აღნიშნულ წყაროებზე მსჯელობისას მათი მიკერძოებულობისა და სანდოობის ხარისხის დადგენა, კრიტიკულად შეფასება და მათ მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა. | 1 | |
| **დრო**<br>მონღოლთა ლაშქრობებზე, როგორც ამ მასშტაბურ ისტორიულ მოვლენასთან გაიგივებულ ეპოქაზე მსჯელობა; მისი, როგორც ისტორიული ეპოქის მნიშვნელობის და მახასიათებლების გამოკვეთა; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელმაც მონღოლთა ლაშქრობების ეპოქა წარმოადგინა, როგორც დასავლური და აღმოსავლური სამყაროსათვის სიახლეების ეპოქა; | 1 | |
| **სივრცე**<br>მონღოლთა იმპერიის ფარგლებში მოქცეული ტერიტორიების გამოკვეთა, მათზე მსჯელობა და მონღოლთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიებისათვის მონღოლთა იმპერიის ფარგლებში მოქცევის მნიშვნელობის შეფასება; მონღოლთა ლაშქრობებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; | 1 | |
| **საზოგადოება**<br>მონღოლური საზოგადოების მახასიათებლების გამოკვეთა, მათი იდენტობის საშუალებების გამოყოფა და მონღოლური საზოგადოებრივი ფენების ინტერესებისა და საზრუნავის ჩამოყალიბება; ახალ სივრცეში ადაპტირების შედეგად გარდაქმნილ მონღოლთა საზოგადოებაში გამოწვეულ ცვლილებებზე მსჯელობა; მონღოლთა საზოგადოების შედარება დასავლურ საზოგადოებასთან. | 1 | |

| | | |
|---|---|---|
| **ძალაუფლება**<br>მონღოლთა იმპერიაში ყაენის ძალაუფლების წყაროსა და ლეგიტიმაციის საშუალებებზე მსჯელობა; ჩინგიზ ხანის მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული მიდგომების, ინოვაციების მიზეზებისა და მოტივაციის გაანალიზება, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა; ჩინგიზ ყაენის სხვა აღმოსავლელ მმართველებთან შედარება და ძალაუფლებისათვის დამახასიათებელი იმ მახასიათებლების გამოყოფა, რომლითაც ის განსხვავდებოდა სხვა მმართველებისაგან; | 1 | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი**<br>მონღოლთა მიერ საკუთარი სივრცის დატოვებისა და ახალი ტერიტორიის დაპყრობის მოტივაციის შესახებ მსჯელობა და მათ მიერ განხორციელებული დაპყრობების დაწყების ისტორიული მიზეზების გამოკვეთა; მონღოლთა სამხედრო წარმატებების გამომწვევი მიზეზების და შედეგების ანალიზი; მონღოლთა დაპყრობების გლობალური და ლოკალური მნიშვნელობის გააზრება; მონღოლური სახელმწიფოების შედარება და მათ შორის საერთო და განმასხვავებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მახასიათებლების გამოყოფა; მონღოლთა ლაშქრობების ანალოგიური მოვლენის დასახელება და ფაქტებით განმტკიცება. | 1 | |

**კლასი:** XI

**თემის სახელწოდება:** **გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო**

**საათების სავარაუდო რაოდენობა** **17**

**ძირითადი რესურსი:** **გრიფირებული სახელმძღვანელო**

| **სამიზნე ცნება** | **საკითხი**1<br>გლობალური ისტორიული მოვლენები და პროცესები XV-XVI საუკუნის ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში | **საკითხი** 2<br>ცვლილებები XVI-XVII საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სივრცეში |
|---|---|---|
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი** | **ქვესაკითხი:** ბიზანტიის იმპერიის განადგურება ოსმალო თურქების მიერ; რენესანსისა და ჰუმანიზმის, როგორც ისტორიული მოვლენის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მიზეზები და შედეგები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, როგორც ისტორიული მოვლენა და მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული ხასიათის შედეგები; პროტესტანტული რეფორმაციის, როგორც ისტორიული მოვლენის რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები; მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები XVI საუკუნის ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში;<br><br>**ქვეცნება:**<br>ომი;<br>ისტორიული პიროვნება;<br>რეფორმა; | **ქვესაკითხი:** სამოქალაქო ომი მეფესა და პარლამენტს შორის; ჰოლანდიის რევოლუციის მიზეზები და შედეგები; ოცდაათწლიანი ომის მიზეზები და შედეგები; სეფიანთა ირანის გაძლიერება; რუსეთის გარდაქმნა იმპერიალისტურ სახელმწიფოდ;<br><br>**ქვეცნება:**<br>ომი;<br>რეფორმა;<br>რევოლუცია,<br>ისტორიული პიროვნება; |

| | | |
|---|---|---|
| **ისტორიული წყარო** | **ქვესაკითხი**: ისტორიული წყაროები ბიზანტიის დაცემის შესახებ; რენესანსის პერიოდის ხელოვნების ნიმუშები; კარტოგრაფიული წყაროები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ; წყაროები პროტესტანტული რეფორმაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ; წყაროები XVI საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ;<br><br>**ქვეცნება:**<br>ნარატიული წყაროები;<br>დოკუმენტები;<br>ისტორიული რუკები,<br>ილუსტრაციები; | |
| **დრო** | **ქვესაკითხი**: კონსტანტინოპოლის დაცემა, როგორც ეპოქების მიჯნა; ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქის მახასიათებლები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის მახასიათებლები; პროტესტანტული ეპოქის მახასიათებლები; XVI საუკუნე ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში, როგორც ეპოქა; | |

| | | |
|---|---|---|
| | **ქვეცნება:**<br>ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია; | |
| **ძალაუფლება** | | **ქვესაკითხი:** ნიდერლანდების რესპუბლიკის მახასიათებლები; საღვთო რომის იმპერატორის ძალაუფლებისმახასიათებლები; ძალაუფლებისათვის ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის ინგლისში; აბსოლუტიზმი საფრანგეთში; შაჰ-აბას I მმართველობა; პეტრე I-ის მმართველობა რუსეთში;<br><br>**ქვეცნება:**<br><br>მმართველობის ფორმა |
| **საზოგადოება** | | **ქვესაკითხი**: ფრანგული კულტურა აბსოლუტიზმის ხანაში; ნიდერლანდური „ოქროს ხანა“, რუსეთი ევროპეიზაციის გზაზე; კულტურული ცხოვრება სეფიანთა ირანში;<br><br>**ქვეცნება:**<br>ყოველდღიურობა |
| **სივრცე** | **ქვესაკითხი:** ცვლილებები გეოგრაფიულ ცოდნასა და წარმოდგენებში; XVI საუკუნის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული ახალი გეოგრაფიული სივრცის ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მახასიათებლები;<br>**ქვეცნება:**<br>ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია, ისტორიულ-კულტურული სივრცე; | |

| | | |
|---|---|---|
| **კომპლექსური დავალება** | **კომპლექსური დავალება 1**<br>ყურადღებით წაიკითხეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პარაგრაფები, რომელშიც აღწერილია XV-XVI საუკუნის მნიშვნელოვანი მოვლენები და პროცესები. შექმენით **დროის ხაზი,** რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იქნება წარმოდგენილი თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა თითოეული პარაგრაფიდან, მის შესახებ მოხმობილი წყაროს თანხლებით. | **კომპლექსური დავალება 2**<br>წარმოიდგინე, რომ ხარ საფრანგეთის მეფის მრჩეველი აბსოლუტიზმის ხანაში და გსურს, რომ იგი დაარწმუნო ცვლილებებისა და რეფორმების აუცილებლობაში. ამისთვის აკეთებ **წერილობით მოხსენებას**, რომელშიც მიმოიხილავ XVI-XVII საუკუნეების სხვადასხვა სახელმწიფოს, მათში მიმდინარე პროცესებს, ცვლილებებს და რეფორმებს. ამ სახელმწიფოებს აჯგუფებ ორ ნაწილად: ა. სახელმწიფოები, სადაც ცვლილებები და რეფორმები რევოლუციის შედეგი იყო (ნიდერლანდები, ინგლისი) ბ.<br>სახელმწიფოები, სადაც ცვლილებები და რეფორმები ერთმმართველის ინიციატივა იყო (ირანი, რუსეთი). |
| **რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებლად** | **სახელმძღვანელოს პარაგრაფები:**<br>როგორ გაანადგურეს ბიზანტიის იმპერია ოსმალმა თურქებმა;<br>როგორ შეცვალა ევროპული სამყარო ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქამ;<br>როგორ დაიწყო და განვითარდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები;<br>რატომ დაიწყო პროტესტანტული რეფორმაცია ევროპაში;<br>რა მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდებოდა XVI საუკუნე ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში;<br>როგორ ჩამოყალიბდა თურქ-სელჯუკთა მძლავრი იმპერია აღმოსავლეთში | **სახელმძღვანელოს პარაგრაფები:**<br>რა როლი ითამაშა ჰოლანდიის რევოლუციამ ევროპულ მონარქიებზე;<br>რატომ დაიწყო ოცდაათწლიანი ომი (1618-1648) ევროპაში;<br>რატომ დაიწყო სამოქალაქო ომი ინგლისში მეფესა და პარლამენტს შორის;<br>როგორ გაძლიერდა სეფიანთა დინასტია ირანში;<br>როგორ გარდაქმნა პეტრე I-მა ძველი რუსეთი ევროპულ სახელმწიფოდ; |

| | | |
|---|---|---|
| | **ტელესკოლა**<br>ბიზანტიის იმპერიის დაცემა<br>https://youtu.be/eQXwkcqW47Y | **ტელესკოლა**<br>ინგლისი აბსოლუტიზმის ეპოქაში - რევოლუციიდან კონსტიტუციურ მონარქიამდე<br>https://youtu.be/RfD2whYuPCo |

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**

- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში საკუთრივ ქრისტიანული ცივილიზაციისა და დანარჩენ სამყაროსთან მიმართებითაც დასავლეთ ევროპის რეგიონი გამოიკვეთა როგორც სიმძიმის ცენტრი პროგრესული განვითარების მიმართულებით;
- გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ზოგადი მახასიათებლები (სოციალურ-ეკონომიკური, ღირებულებითი, მსოფლმხედველობრივი..) ძირითადად დასავლეთ ევროპასა და ზოგადად დასავლური სამყაროს მახასიათებლებად ჩამოყალიბდა, ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია ასცდა ეპოქის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ნიშნულებს;
- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ისტორიის პერიოდიზაცია დასავლეთში კონცეპტუალურ დონეზე ჩამოშორდა რელიგიური ნიშნით განსაზღვრას, პერიოდიზაციის ახლებური მოდელი ჰუმანისტების სახელს დაუკავშირდა;
- საათები თანამედროვე გაგებით, შესაბამისად, დროის მეტად რაციონალური გაგება გვიანი შუა საუკუნეებიდან, რენესანსის ეპოქიდან იღებს სათავეს.
- შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის გამოკვეთა დასავლური პერსპექტივიდან ბიზანტიის დაცემის, ევროპაში რეფორმაციის დაწყებისა და ახალი კონტინენტის აღმოჩენით თარიღდება, რომელიც მეტნაკლებად გამოკვეთილი ნიშნულებია ქრისტიანული სამყაროსთვის, თუმცა მის პირობითობასა და რომელიმეს უპირატესობაზე მეცნიერებს შორის დავა არ წყდება.
- ქრისტიანულ სამყაროში მორიგი კალენდარული რეფორმის შედეგად, გრიგორიანულმა კალენდარმა უპირატესობა მოიპოვა, როგორც უფრო ზუსტმა, თუმცა აღმოსავლურ ქრისტიანული სამყარო იულიუსის კალენდრის მიმდევარი დარჩა უმნიშვნელოვანესი რელიგიური დღესასწაულების გამოანგარიშებისას.
- გვიან შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალ დროში დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში ცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა, რამაც გერმანიისა და იტალიური სივრცის გაერთიანების გარდა, ევროპაში ერთიანი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი განაპირობა, რაც ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი საზღვრების ცვლილებებით გამოიხატა;
- ოსმალო თურქების მიერ ბიზანტიის დამხობამ ოსმალური სახელმწიფოს ჯერ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის მიმართულებით ექსპანსიის, შემდეგ კი სამ კონტინენტზე განფენის პერსპექტივები გააჩინა;
- ოსმალების მიერ ახლო აღმოსავლეთსა, კავკასიისა და ევროპის ნაწილში გაბატონებამ წინა პერიოდის აბრეშუმის გზისა და ხმელთაშუაზღვის, როგორც უმთავრესი სავაჭრო საკომუნიკაციო სივრცის ეტაპობრივი დეკადანსი გამოიწვია;
- დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ახალი კონტინენტების/სუბკონტინენტების და საზღვაო-საოკეანო გზების ათვისება განაპირობა, რასაც უდიდესი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა;
- ადრეულ ახალ პერიოდში „აბრეშუმის გზის“ როლის შესუსტებამ და სავაჭრო-საკომუნიკაციო სივრცეების, ასევე კულტურული მიზიდულობის ცენტრის მოშლამ ბიზანტიის სახით საქართველო სატრანზიტო ქსელისა და ახალი გეოგრაფიული ცოდნით მოპოვებული სიკეთეების მიღმა დატოვა.
- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში მოგზაურების, კონკისტადორებისა და მისიონერების მოღვაწეობამ მანამდე არნახულ მასშტაბს მიაღწია.
- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ეპიგრაფიკულ, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ წყაროების პირველი დამუშავების მცდელობები გვხვდება, რაც რენესანსის მოღვაწეებს უკავშირდება;

- წერილობითი წყაროები გამრავალფეროვნდა და წინა პერიოდის ტიპებს მოგზაურობები, სავაჭრო, საზღვაო და დიპლომატიური მისიების რეპორტები, პოლიტიკური პამფლეტებიც დაემატა, რამაც როგორც შიდა პროცესების წვდომის , ასევე სხვადასხვა ხალხებსა და გეოგრაფიულ არეალებზე არსებული წარმოდგენები შეცვალა;
- ჰუმანისტების მიერ შემოტანილ იქნა სხვადასხვა ისტორიული დარგებისა და დისციპლინების შესწავლის საფუძველი, რამაც წყაროთა ტიპის მრავალფეროვნებასთან ერთად დამუშავების მექანიზმებიც შემოგვთავაზა და შესაძლებელი გახადა საკვლევი ეპოქის უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტრუირება;
- გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი, თუმცა წინა ეპოქისგან განსხვავებით სულ უფრო მეტ უპირატესობას იძენს საერო ხასიათის მოცემულობა;
- იოჰან გუტენბერგის გამოგონებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ნარატიულ წყაროთა მრავალფეროვნების ზრდა და ასევე მათზე ხელმისაწვდომობა, ხოლო ჰუმანისტებმა მნიშვნელოვნად განავითარეს წყაროს დამუშავების მეთოდოლოგია.
- გვიანი შუა საუკუნეებიდან მასიური ხასიათი მიიღო ევროპის ქალაქების საუნივერსიტეტო ქსელის შექმნამ, რამაც საერო განათლების მქონე ადამიანების კრიტიკული მასა შექმნა, შესაბამისად, ჰუმანისტური მსოფლმხედველობა დომინანტური გახადა;
- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში ეტაპობრივად შეიცვალა ადამიანის მსოფლმხედველობა; სამყაროს პროვიდენციალური ხედვის ცვლილების მიუხედავად, დიდი იყო რელიგიის როლი  - ჰუმანისტურმა იდეოლოგიამ სამყაროს ფოკუსში ადამიანი - როგორც ღვთის რჩეული ქმნილება განიხილა;
- გვიანი შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში ევროპის კონტინენტის დასავლურ ნაწილში ეტაპობრივად რღვევას განიცდის წინა პერიოდის დამახასიათებელი წოდებრივი სტრუქტურა, მკაცრად იერარქიული სოციალური მოდელი, (წოდებრივ ცენზს უმეტესად ეკონომიკური ცენზი ანაცვლებს), თუმცა ნაკლებად შეინიშნება სოციალურ სტრუქტურაში ცვლილებები აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ქრისტიან ხალხებში;
- მკაცრად იერარქიზებული წოდებრივი მოდელი, მით უფრო ამა თუ იმ წოდების მიწაზე კერძო მესაკუთრული დამოკიდებულება იმთავითვე არ ახასიათებდა ახლო და შუა აღმოსავლეთის დიდ ისლამურ სახელმწიფოებს;
- რენესანსისა, რეფორმაციისა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მიღწევებმა ევროპელი ადამიანის თვალსაწიერი, დემოგრაფიული ვითარება, ყოველდღიურობა და რაციონი რადიკალურად შეცვალა და სხვების (დანარჩენი სამყაროს მოსახლეობის) მიმართ უპირატესობის სულისკვეთებით გამსჭვალა.
- გვიანი შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ევროპის რეგიონში ზოგან რღვევას განიცდის ფეოდალიზმი(რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო სისტემა, რაც მსხვილი მიწის მესაკუთრის პოლიტიკური უფლებებით აღჭურვას გულისხმობდა), ზოგან კი გამყარებას და გლეხთა მიწაზე მიჯაჭვას აქვს ადგილი, რაც სოციალური ვითარების მკვეთრად ასიმეტრიულ სურათს და ეკონომიკური განვითარების განსხვავებულ პერსპექტივებს ქმნის;
- რეფორმაციამ, როგორც კომპლექსურმა მოვლენამ და პროტესტანტულმა ეთიკამ მკვეთრად გამიჯნა სახელმწიფოები რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და მსოფლმხედველობრივი განვითარების თვალსაზრისით;

- გვიანი შუა საუკუნეებიდან თვალშისაცემად იცვლება საცხოვრისის ტიპი - ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებამ საფორტიფიკაციო ნაგებობების(ციხესიმაგრეები, კოშკები, ქალაქის გალავნები) საჭიროებები დაამცრო - მათი ადგილი ეტაპობრივად სასახლეებმა დაიკავა;
- მიუხედავად ე.წ. აღმოსავლური დენთის დიდი იმპერიების არსებობისა, ტექნოლოგიური ნოვაციები სამხედრო სფეროში უმეტესად დასავლეთში განვითარდა, რასაც ეკონომიკური უპირატესობაც უწყობდა ხელს;
- რენესანსმა და რეფორმაციამ რაციონალიზმის, ინდივიდუალიზმის განვითარებასა და შემოქმედებითი სულისკვეთების ადამიანების წინა პლანზე წამოწევას შეუწყო ხელი;
- წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ ინფორმაციაზე წვდომა წარმოუდგენლად გააიოლა და მისი საზოგადოებრივი გავლენების მოსაპოვებელ ბერკეტად რომელიმე სოციალური ფენის/ჯგუფის ხელში მონოპოლიურად ჩაგდების ალბათობა გამორიცხა;
- გვიანი შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში დეკადანსი განიცადა რაინდობამ, როგორც სამხედრო, ისე სოციალური თვალსაზრისით;
- გვიან შუასაუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში მთავარი ქონება კვლავ მიწა იყო, თუმცა გამოიკვეთა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ცვლილებების ტენდენციები, რაც რადიკალურად ცვლიდა როგორც მიწის მფლობელთა, ისე მისი მუშაკთა სოციალურ მდგომარეობას, დაკავშირებული იყო შიდა და საგარეო ბაზრების ზრდასთან და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების წინაპირობებს ქმნიდა;
- ქონებაზე, მიწაზე კერძო მესაკუთრული დამოკიდებულება ტიპური ქრისტიანული სამყაროსთვის იყო, ისლამურ სამყაროში კერძო მესაკუთრული უფლებები ზევრად პირობით ხასიათს ატარებდა;
- გვიან შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპისთვის ტიპური ორპოლუსიანობა მეტწილად საერო ხელისუფლების სასარგებლოდ იცვლება და სასულიერო წრეების გავლენის მიუხედავად, ძალაუფლების კონცენტრაციას საერო მმართველის ირგვლივ ხდება;
- გვიან შუასაუკუნეებში აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ცენტრის- ბიზანტიის დეკადანსი გარდაუვალი იყო, რადგან გაფლანგული იყო ყველა ის შიდა მექანიზმი ( სამოხელეო და სამხედრო ელიტების თანამშრომლობის უზრუნველყოფა, თემის სისტემა, სამრეწველო ცენტრები, საშუამავლო ვაჭრობა...), რომელიც მას საშუალებას მისცემდა ან დასავლეთ ევროპისთვის ან ოსმალებისთვის წინააღმდეგობა გაეწია;
- გვიან შუა საუკუნეებიდან კათოლიკური სამყაროს წიაღში კრიტიკა ძალაუფლების გადანაწილების კუთხით რადგან უპასუხოდ დარჩა, ის გარდაისახა დიდ სულიერ რევოლუციად - რეფორმაციად, რომელმაც მკაფიო ლიდერები წამოსწია და სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მსოფლმხედველობასა და ცვლილებები განაპირობა საზოგადოებაში;
- გვიან შუა საუკუნეებში მხოლოდ ინგლისურმა პარლამენტმა შეძლო წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოებიდან ქმედით საკანონმდებლო ორგანოდ ქცეულიყო, რომელიც მონარქთან ხელისუფლების განაწილებას ახერხებდა; ადრეული ახალი დროიდან კი ცენტრალიზებულმა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა ბიუროკრატიულ და სამხედრო სფეროზე კონტროლის მექანიზმით მიზიდულობის ცენტრად ქცევა მოახერხეს და წოდებების ჩართულობის ხარისხი სახელმწიფოებრივ საქმეებში ეტაპობრივად მინიმალური გახადეს;
- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ პერიოდში ბიუროკრატიული აპარატის დახვეწა-განვითარებამ, ერთიანი ჯარის ჩამოყალიბებამ, სამოხელეო აპარატის ზრდამ და ფეოდალური ელიტის დაკნინებამ საშუალება მისცა მონარქებს მმართველებს ძალაუფლების კონცენტრაცია თავის ხელში მოექციათ;

- გვიანი შუა საუკუნეებიდან ძალაუფლების ფლობის ორგვარი მოდელი გამოიკვეთა ევროპაში-მონარქიული და იმპერიული, რომელმაც ვერ აიცილა დაპირისპირება ერთმანეთთან;
- გვიან შუა საუკუნეებში და ადრეულ ახალ პერიოდში ძალაუფლების გადაცემის ფორმატი მემკვიდრეობით-დინასტიური პრინციპით გაგრძელდა, მან საყოველთაო ხასიათი მიიღო არა მხოლოდ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, არამედ ბიზანტიასა და ოსმალეთ- ირანშიც კი;
- ადრეულ ახალ დროში სასულიერო ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ხელდასხმის ამბიციები შეიკვეცა რადგან მის ხელთ ადრე არსებული უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორებს (მორალური, ეთიკური, განათლების უპირატესობა..) საერო ხელისუფლებამ მას ეტაპობრივად ჩამოაცილა და სახელმწიფოს სახელით მის ხელთ მეტი რესურსები აღმოჩნდა(ფინანსები, სამოხელეო აპარატი, იდეოლოგია, ჯარი, საზოგადოებრივი ფართო მხარდაჭერა, ხელისუფლის ღვთივკურთხეულობის იდეა...);
- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ისლამური დიდი სახელმწიფოები ძალაუფლების კონცენტრაციისას რელიგიურსა და სამხედრო ფაქტორს ეყრდნობოდნენ, თუმცა მომთაბარულ ელემენტთან გამკლავება ოსმალებს ბიზანტიური მმართველობითი ტრადიციების გაზიარებითა და იანიჩართა კორპუსის შექმნით შეძლეს, ხოლო სეფიანებმა სპარსული მმართველობით ტრადიციებისა და ღულამთა კორპუსისა და ამ კორპუსში ქართველებისა და კავკასიელების ჩართვით.
- ადრეული ახალი დროიდან მოყოლებული ევროპულ სახელმწიფოთა უმეტესობაში მმართველობა სულ უფრო აბსოლუტური ფორმებს იღებს, თუმცა ევროპის კონტინენტურსა და კუნძულოვან ნაწილში ამ პროცესმა განსხვავებული ტიპის აბსოლუტიზმის მოდელები შექმნა., რომელთაც ძალაუფლების ფლობის ზერკეტები და სოციალური საყრდენი განსხვავებული ჰქონდათ.
- ჯვაროსნული ლაშქრობების, ბიზანტიის დეკადანსისა და მონღოლების ბატონობის შემდეგ ლევანტმა ეკონომიკური და კულტურული მეწინავეობა დათმო და განვითარების ვექტორმა გამოკვეთილად დასავლებისკენ გადაიწია;
- რენესანსმა, რეფორმაციამ, კონტრრეფორმაციამ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა რადიკალურად შეცვალეს ევროპის მენტალური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და ის სამყაროს ყველაზე მოწინავე რეგიონად აქციეს;
- დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ევროპისთვის ახალ კონტინენტებსა და აზიის შორეულ რეგიონებში ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას და კოლონიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი;
- ევროპის მოწინავე რეგიონად ქცევამ ევროპული ღირებულებების, მიღწევების და გავლენების გავრცელება გამოიწვია როგორც აზიის ისე, ახლად აღმოჩენილ კონტინენტებზე, უმეტესად ეს გავლენა იძულებითი იყო;
- გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდი ცენტრალიზაციის (როგორც სახელმწიფო, ისე სამთავრო დონეზე) პროცესით აღინიშნა, რამაც ევროპის კონტინენტზე ერთიანი, ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესს ჩაუყარა საფუძველი, აზიაში კი ცენტრალიზაციის პროცესმა ე.წ. დენთის იმპერიების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი;
- ერთიანი ნაციონალური სახელმწიფოების მშენებლობა ცენტრალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების, ჯარის, რეფორმირებული საეკლესიო ინსტიტუტების, ერთიანი შიდა ბაზრისა და ეროვნული ენების განვითარებამ განაპირობა;
- ბიზანტიის დაცემამ და ოსმალთა სახელმწიფოს მზარდმა ტერიტორიულმა ექსპანსიამ დროებით ააღორძინა „ჯვაროსნული იდეა", თუმცა ეკლესიას აღარ შესწევდა ძალა საერო სახელმწიფოთა განსხვავებული ინტერესებზე ზემოქმედება მოეხდინა და

საერთო ფრონტი უზრუნველეყო, თუმცა საუკუნეების მანძილზე ანტიოსმალური კოალიციები მთავარ საერთაშორისო საკითხად რჩებოდა;

- ბიზანტიის დაცემამ არ გააქრო „მარადიული რომის“ იდეა და ადრეულ ახალ დროშიც ხდება ამ იდეის პოლიტიკური განხორციელების მცდელობები;
- დენთისა, ცეცხლსასროლი იარაღის ევოლუციამ  და მასიურმა გამოყენებამ რადიკალურად შეცვალა არა მხოლოდ ომის წარმოების, არამედ ქალაქის და საცხოვრებლის ტიპები და გარკვეული სოციალური ფენის გაქრობა-ტრანსფორმაცია განაპირობა;
- რეფორმაციის ფართო გავრცელებას კათოლიკური სამყაროს მხრიდან ახალი სასულიერო ორდენების დაარსება მოჰყვა, რომელთა საქმიანობა თვისობრივად განახლებულ განათლების სისტემასა და ფართომასშტაბიან მისიონერულ პოლიტიკას ითვალისწინებდა, რაც საქართველოსაც შეეხო;
- აბსოლუტიზმის განვითარებამ ევროპაში ორი ხედვა შექმნა - 1. „სახელმწიფო ეს მე ვარ“ VS 2. „მეფე ემორჩილება ღმერთსა და კანონს“, ამ უკანასკნელის პოლიტიკურმა ინსტრუმენტალიზაციამ პროცესი კონსტიტუციური მონარქიის შექმნამდე მიიყვანა, აბსოლუტიზმისადმი წინააღმდეგობამ კი ახალ მიწაზე ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნას დაუდო საფუძველი;
- სავაჭრო-საკომუნიკაციო გზების ოკეანეებზე გადატანამ და მისგან გამოწვეულმა კომპლექსურმა ცვლილებებმა საქართველოს გვერდი აუარა და ამ პერიოდიდან მისი ჩამორჩენა განაპირობა რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პირობებში, მძიმედ აისახა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებზე .

**კომპლექსური ტიპის დავალება N3. თემატური მატრიცა**

**თემა** - გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

**სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა - (შედეგი** 3,4,5,6)**; ქვეცნება (ზოგადი) -** ომი; ისტორიული პიროვნება; რეფორმა; **ქვეცნება (კერძო) -** კონსტანტინოპოლის დაცემა; პროტესტანტული რეფორმაცია გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში; ისტორიული მოვლენები XVI საუკუნის ესპანეთში, საღვთო რომის იმპერიაში, ოსმალეთში, ინგლისში, საფრანგეთში; მეჰმედ II, ელიზაბეთ I, კარლ V ჰაბსბურგი, სულეიმან I, მარტინ ლუთერი; **ქვესაკითხი -** ბიზანტიის იმპერიის განადგურება ოსმალო თურქების მიერ; რენესანსისა და ჰუმანიზმის, როგორც ისტორიული მოვლენის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მიზეზები და შედეგები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. როგორც ისტორიული მოვლენა და მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული ხასიათის შედეგები; პროტესტანტული რეფორმაციის, როგორც ისტორიული მოვლენის რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები; მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები XVI საუკუნის ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში;

**სამიზნე ცნება - ისტორიული წყარო - (შედეგი** 1,2,4,5 **); ქვეცნება (ზოგადი) -** ნარატიული წყაროები; დოკუმენტები; ისტორიული რუკები, ილუსტრაციები; **ქვეცნება (კერძო) -** შოზეფ გილი. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი და თეოლოგი, ლუკას ნოტარასი. ბიზანტიის იმპერიის პირველი მინისტრი; დუკა. XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი; გიორგი სფრანძესი. XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, ერაზმ როტერდამელი. XV-XVI საუკუნეების ნიდერლანდელი ჰუმანისტი, პოლ ოსკარ კრისტელერი. XX საუკუნის ამერიკელი ისტორიკოსი, ჟან ბატისტ-დუროსელი. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, პოჯო ბრაჩოლინი. XIV-XV საუკუნეების იტალიელი ჰუმანისტი, ნიკოლო მაკიაველი. XV-XVI საუკუნეების იტალიელი ჰუმანისტი და ისტორიკოსი, ფერგუს მილარი. XX-XXI საუკუნეების ბრიტანელი ისტორიკოსი, შტეფან ცვაიგი. XX საუკუნის ავსტრიელი მწერალი, ჯონ ჯულიუს ნორვიჩი. თანამედროვე ბრიტანელი ისტორიკოსი, ანჯელო პოლიზიანო. XV საუკუნის იტალიელი ჰუმანისტი, ტორდესილასის შეთანხმება. 1494 წლის 7 ივნისი, მარტინ ლუთერი. 95 თეზისი. 1517 წელი, სუპრემაციის აქტი. 1534 წელი, გოტფრიდ რუდოლფ ელტონი. XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი, ფერნან ბროდელი. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, ჟაკ ლე გოფი. XX-XXI საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, ნაწყვეტი სიმონ I-ის წერილიდან ესპანეთის მეფე ფილიპე II-სადმი, 1588 წლის ესპანურ ენოვანი ცნობა ქართველთა საბრძოლო თვისებების შესახებ (ნაწყვეტი),ელისაბეთ I-ის მიმართვა ქვეშევრდომებს. 1587 წელი, ელიზაბეტ I-ის მიმართვა 1587 წელი, ანრი IV. ნაწყვეტი ნანტის ედიქტიდან. 1598 წელი, დუკა. XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, საად ად-დინი. XVI საუკუნის თურქი ისტორიკოსი.**ქვესაკითხი -** ისტორიული წყაროები ბიზანტიის დაცემის შესახებ; რენესანსის პერიოდის ხელოვნების ნიმუშები; კარტოგრაფიული წყაროები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ; წყაროები პროტესტანტული რეფორმაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ; წყაროები XVI საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ;

**სამიზნე ცნება - დრო – (შედეგი** 1,2,3,4,5,6); **ქვეცნება (ზოგადი) -** ისტორიული ეპოქა; **ქვეცნება (კერძო) - გვიანი** შუა საუკუნეები და ახალი დრო; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქა; **ქვესაკითხი:** კონსტანტინოპოლის დაცემა, როგორც ეპოქების მიჯნა; ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქის მახასიათებლები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის მახასიათებლები; პროტესტანტული ეპოქის მახასიათებლები; XVI საუკუნე ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში, როგორც ეპოქა;

**სამიზნე ცნება დრო, ამის ქვეშ უნდა ჩაემატოს**

**სამიზნე ცნება: სივრცე - (შედეგი** 1,2,3,4,5,6)**, ქვეცნება (ზოგადი):** ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია, ისტორიულ-კულტურული სივრცე; **ქვეცნება (კერძო):** აფრიკა, ინდოეთი,ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, მეზოამერიკა, **ქვესაკითხი:** ცვლილებები გეოგრაფიულ ცოდნასა და წარმოდგენებში; XVI საუკუნის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული ახალი გეოგრაფიული სივრცის ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მახასიათებლები;

**საკითხი - გლობალური ისტორიული მოვლენები და პროცესები XV-XVI საუკუნის ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში**

**საკვანძო შეკითხვა** - როგორ წარმოვაჩინო **დროის ხაზის** საშუალებით გლობალური ისტორიული მოვლენები და პროცესები XV-XVI საუკუნის ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში, ისე რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იქნება წარმოდგენილი ჩემი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები?

**კომპლექსური დავალება** - ყურადღებით წაიკითხეთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პარაგრაფები, რომელშიც აღწერილია XV-XVI საუკუნის მნიშვნელოვანი მოვლენები და პროცესები. შექმენით **დროის ხაზი,** რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იქნება წარმოდგენილი თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა თითოეული პარაგრაფიდან, მის შესახებ მოხმობილი წყაროს თანხლებით.

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | **ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** |
|---|---|---|
| **ისტორიული მოვლენა:**<br>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.<br><br>**ისტორიული წყარო:**<br>• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; | **ისტორიული მოვლენა:**<br>• გააანალიზოს XV-XVI საუკუნეებში მიმდინარე გლობალური ისტორიული მოვლენების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა (მ.წ. 1, 3);<br>• იმსჯელოს მიზეზებზე, რომლებიც შესაძლებელია XV-XVI საუკუნეებში ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის სხვადასხვაგვარ შეფასებას განაპირობებს (მ.წ. 2);<br>• გამოკვეთოს XV-XVI საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე გლობალური ისტორიული მოვლენის/პროცესის არსობრივი მახასიათებლები; შეადაროს ის სხვა მსგავს ისტორიულ მოვლენებს (მ.წ. 4). | • გლობალური მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები თითოეული პარაგრაფიდან და დასაბუთება, თუ როგორი იყო მათი მნიშვნელობა; (ისტორიული მოვლენა; მკ.წ. 1,2,3, დრო; მკ წ. 1,2; სივრცე, მკ.წ. 1,2,3)<br>• დაასაბუთეთ თუ როგორი მნიშვნელობისაა ეს მოვლენები და რა გარდატეხა შეიტანეს მათ იმ ეპოქის საზოგადოებაში. (ისტორიული მოვლენა; მკ.წ. 4; დრო; მკ.3. 1,2; სივრცე; მკ.წ. 1,2,3)<br>• წარმოადგინეთ წყაროები თითოეული პარაგრაფიდან, რომელმაც თქვენის აზრით ყველაზე მეტად შეგიქმნათ წარმოდგენა იმ პარაგრაფში აღწერილი მოვლენისა თუ ეპოქის შესახებ. (ისტორიული წყარო; მკ.წ. 1,2,3,4) |

| | | |
|---|---|---|
| • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;<br>• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.<br>• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია<br><br>**დრო:**<br>• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;<br>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;<br>• სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ.<br><br>**სივრცე:**<br>• გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br>• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br>• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ. | **ისტორიული წყარო:**<br><br>• გააანალიზოს წყაროები, რომელთა საშუალებითაც XV-XVI საუკუნეების გლობალურ ისტორიულ მოვლენებთან და პროცესებთან დაკავშირებით მოიპოვება ინფორმაცია **(მ.წ. 1);**<br>• შეადაროს და ერთმანეთს დაუკავშიროს სხვადასხვა ტიპის წყაროები და მოპოვებული ინფორმაცია **(მ.წ. 2);**<br>• გააანალიზოს ფაქტორები, რომლებიც წყაროების სანდოობას/ტენდენციურობას განაპირობებს **(მ.წ. 3);**<br>• ერთმანეთს შეადაროს ერთი და იმავე წყაროს ანალიზის საფუძველზე გაკეთებული განსხვავებული ინტერპრეტაციები; იმსჯელოს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე **(მ.წ. 4).**<br><br>**დრო:**<br>• გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დროის მახასიათებლების გამოკვეთა და სხვა ეპოქებთან შედარება **(მ.წ. 1, 2);**<br>• როგორ აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას XV-XVI საუკუნეების გლობალური ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ეპოქაში მცხოვრები ადამიანები **(მ.წ. 3).**<br><br>**სივრცე:**<br>• დაახასიათოს ის კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის მნიშვნელობა XV-XVI საუკუნეების ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, სადაც გლობალური მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები | • დაასაბუთეთ, რა ტიპის წყაროები შეარჩიეთ და როგორ უნდა განისაზღვროს მათი ინტერპრეტაციისა და სანდოობის ხარისხი. (ისტორიული წყარო; მკ.წ. 1,2,3,4) |

| | | |
|---|---|---|
| | განხორციელდა; ფაქტორები, რომლებიც ამ კონკრეტული არეალების მნიშვნელობას განაპირობებს **(მ.წ. 1, 3);**<br>• გააანალიზოს შესწავლის გვიან შუა საუკუნეებში და ადრეული ახალი დროის ეპოქაში არსებული გეოგრაფიული ცოდნა **(მ.წ. 2).** | |

- კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
- ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
- რესურსები/განსახილველი ქეისები:
- რესურსი 1. სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), ისტორია, XI კლასი,; „სულაკაურის გამომცემლობა“, მესამე თავი თავი, პარაგრაფები: **§25-26, 27-28, 29-30-31, 32-33, 34-35;**
- რესურსი 2. ელ. რესურსები
- როგორ ვიმუშაოთ დროის ხაზზე
- https://youtube.com/watch?v=yvXzJ8jcdyw&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, XI კლასი - ბიზანტიის იმპერიის დაცემა - ტელესკოლა
- https://youtube.com/watch?v=eQXwkcqW47Y&si=EnSIkaIECMiOmarE
- კონსტანტინოპოლის დაცემა - Silk School
- https://youtube.com/watch?v=u38x_UdWKQc&si=EnSIkaIECMiOmarE
- კონსტანტინოპოლის დაცემა, ნაწილი I - მწარე პოდკასტი
- https://youtube.com/watch?v=K7ltS4T-VXc&si=EnSIkaIECMiOmarE
- კონსტანტინოპოლის დაცემა, ნაწილი II - მწარე პოდკასტი
- https://youtube.com/live/CvvMeLJZ8S0?si=EnSIkaIECMiOmarE
- ჰუმანიზმი და რენესანსი - Silk School
- https://youtube.com/watch?v=4qGGtZZ9fDg&si=EnSIkaIECMiOmarE
- რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია - Silk School
- https://youtube.com/watch?v=oJsVCmR04Ao&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, XI კლასი - როგორ მივიდა ევროპა რენესანსამდე - ტელესკოლა
- https://youtube.com/watch?v=kg1Bcy1D1QM&si=EnSIkaIECMiOmarE
- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები - Silk School
- https://youtube.com/watch?v=9HhjghtgBHg&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, XI კლასი - დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მსოფლიო - ტელესკოლა
- https://youtube.com/watch?v=D9sY-4T_tMc&si=EnSIkaIECMiOmarE

- <u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

კონსტანტინოპოლის დაცემა

- რა გახსენდებათ კონსტანტინოპოლთან ან ბიზანტიის განადგურებასთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- რა გახსენდებათ ოსმალთა სულთანი მეჰმედ II?
- თქვენი აზრით რა მიზეზებმა განაპირობა კონსტანტინოპოლის დაცემა?

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

- გაიხსენეთ, რა იცით დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან დაკავშირებით?
- წინა კლასებში შესწავლილი მასალებიდან გაიხსენეთ, როგორ მომზადდა პირველი ექსპედიციები?
- გაიხსენეთ, როგორ შეიძლება განიმარტოს კოლონიური იმპერიები?
- რა გახსენდებათ ბართლომეო დიაშთან, ვაშკუ და გამასთან, ქრისტეფორე კოლუმბთან, ფერნანდო მაგელანთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)

ჰუმანიზმი და რენესანსი

- გაიხსენეთ წინა კლასებში შესწავლილი მასალიდან როგორ შეიძლება განიმარტოს ჰუმანიზმი? რენესანსი?
- გაიხსენეთ, რა იცით ლეონარდო და ვინჩის შესახებ.
- რა იცით რაფაელის, ბოტიჩელის, მიქელანჯელოსთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- თუ გსმენიათ რაიმე ვატიკანის ბიბლიოთეკის შესახებ?

პროტესტანტული რეფორმაცია ევროპაში

- როგორ შეიძლება განიმარტოს ტერმინი „პროტესტანტიზმი“?
- თუ გსმენიათ რაიმე კათოლიკეებსა და პროტესტანტებთან დაკავშირებით?
- თუ წაგიკითხავთ დიუმას რომანი „დედოფალი მარგო“?
- რა გახსენდებათ „ბართლომეს ღამის“ შესახებ?დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- გაიხსენეთ, რა იცით მარტინ ლუთერის შესახებ?

დროის ხაზი

- რა არის დროის ხაზი?
- რა მიზნით იქმნება დროის ხაზი?
- რა ინფორმაციას გაწვდის რესურსი დროის ხაზის შექმნის შესახებ?
- გამოყავით დროის ხაზის მახასიათებლები.
- როგორ შეიძლება დროის ხაზის საშუალებით წარმოვაჩინოთ ჩვენი შეხედულებები? (რესურსი 2)

კომპლექსური დავალება

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?

- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა

- ქვეცნება (ზოგადი) - ომი; ისტორიული პიროვნება; რეფორმაცია; ქვეცნება (კერძო) - კონსტანტინოპოლის დაცემა; პროტესტანტული რეფორმაცია გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში; ისტორიული მოვლენები XVI საუკუნის ესპანეთში, საღვთო რომის იმპერია, ოსმალეთში, ინგლისში, საფრანგეთში; მეჰმედ II, ელიზაბეთ I, კარლ V ჰაბსბურგი, სულეიმან I, მარტინ ლუთერი;
- ქვესაკითხი - ბიზანტიის იმპერიის განადგურება ოსმალო თურქების მიერ; რენესანსისა და ჰუმანიზმის, როგორც ისტორიული მოვლენის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მიზეზები და შედეგები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. როგორც ისტორიული მოვლენა და მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული ხასიათის შედეგები; პროტესტანტული რეფორმაციის, როგორც ისტორიული მოვლენის რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები; მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები XVI საუკუნის ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში;

სამიზნე ცნება - ისტორიული წყარო;

- ქვეცნება (ზოგადი) - ნარატიული წყაროები; დოკუმენტები; ისტორიული რუკები, ილუსტრაციები;
- ქვეცნება (კერძო) - შოზეფ გილი. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი და თეოლოგი, ლუკას ნოტარასი. ბიზანტიის იმპერიის პირველი მინისტრი; დუკა. XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი; გიორგი სფრანძესი. XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, ერაზმ როტერდამელი. XV-XVI საუკუნეების ნიდერლანდელი ჰუმანისტი, პოლ ოსკარ კრისტელერი. XX საუკუნის ამერიკელი ისტორიკოსი, ჟან ბატისტ-დუროსელი. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, პოჯო ბრაჩოლინი. XIV-XV საუკუნეების იტალიელი ჰუმანისტი, ნიკოლო მაკიაველი. XV-XVI საუკუნეების იტალიელი ჰუმანისტი და ისტორიკოსი, ფერგუს მილარი. XX-XXI საუკუნეების ბრიტანელი ისტორიკოსი, შტეფან ცვაიგი. XX საუკუნის ავსტრიელი მწერალი, ჯონ ჯულიუს ნორვიჩი. თანამედროვე ბრიტანელი ისტორიკოსი, ანჯელო პოლიზიანო. XV საუკუნის იტალიელი ჰუმანისტი, ტორდესილასის შეთანხმება. 1494 წლის 7 ივნისი, მარტინ ლუთერი. 95 თეზისი. 1517 წელი, სუპრემაციის აქტი. 1534 წელი, გოტფიდ რუდოლფ ელტონი. XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი, ფერნან ბროდელი. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, ჟაკ ლე გოფი. XX-XXI საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, ნაწყვეტი სიმონ I-ის წერილიდან ესპანეთის მეფე ფილიპე II-სადმი, 1588 წლის ესპანურ ენოვანი ცნობა ქართველთა საბრძოლო თვისებების შესახებ (ნაწყვეტი), ელიზაბეთ I-ის მიმართვა ქვეშევრდომებს. 1587 წელი, ელიზაბეტ I-ის მიმართვა 1587 წელი, ანრი IV. ნაწყვეტი ნანტის ედიქტიდან. 1598 წელი, დუკა. XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, საად ად-დინი. XVI საუკუნის თურქი ისტორიკოსი.
- ქვესაკითხი - ისტორიული წყაროები ბიზანტიის დაცემის შესახებ; რენესანსის პერიოდის ხელოვნების ნიმუშები; კარტოგრაფიული წყაროები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ; წყაროები პროტესტანტული რეფორმაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ; წყაროები XVI საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ;
- სამიზნე ცნება - დრო; ქვეცნება (ზოგადი) - ისტორიული ეპოქა; ქვეცნება (კერძო) - გვიანი შუა საუკუნეები და ახალი დრო; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქა; ქვესაკითხი: კონსტანტინოპოლის დაცემა, როგორც ეპოქების მიჯნა; ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქის მახასიათებლები; დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის მახასიათებლები; პროტესტანტული ეპოქის მახასიათებლები; XVI საუკუნე ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში, როგორც ეპოქა;
- სამიზნე ცნება: სივრცე - (შედეგი 1,2,3,4,5,6), ქვეცნება (ზოგადი): ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია, ისტორიულ-კულტურული სივრცე; ქვეცნება (კერძო): აფრიკა, ინდოეთი,ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, მეზოამერიკა,

- ქვესაკითხი: ცვლილებები გეოგრაფიულ ცოდნასა და წარმოდგენებში; XVI საუკუნის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული ახალი გეოგრაფიული სივრცის ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მახასიათებლები;

**ნაბიჯი 1 §25-26, 27-28, 29-30-31, 32-33, 34-35**

- მოვლენები თითოეული პარაგრაფიდან და დასაბუთება, თუ როგორი იყო მათი მნიშვნელობა; (ისტორიული მოვლენა; მკ.წ. 1,2,3, დრო; მკ წ. 1,2; სივრცე; მკ.წ. 1,2,3); დაასაბუთეთ თუ როგორი მნიშვნელობისაა ეს მოვლენები და რა გარდატეხა შეიტანეს მათ იმ ეპოქის საზოგადოებაში. (ისტორიული მოვლენა; მკ.წ. 4; დრო; მკ.3. 1,2; სივრცე; მკ.წ. 1,2,3)
- გაიხსენეთ თუ რითი განსხვავდებოდნენ ოსმალი თურქები დანარჩენი თურქული სახელმწიფოებისაგან და რატომ იყო მათთვის მნიშვნელოვანი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა?
- იმსჯელეთ, რატომ ვერ განვითარდა ბიზანტიის იმპერია ევროპული სამყაროს მსგავსად, რა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობდა?
- იმსჯელეთ, რა იყო ანკარის ბრძოლის, როგორც ისტორიული მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობა?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინოპოლის დაკავებას ოსმალური სახელმწიფოსთვის, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს გაერთიანებას?
- იმსჯელეთ, რატომ ვერ მოახერხა რომის პაპმა ჯვაროსნული ლაშქრობების ხელახალი ორგანიზება?
- შეაფასეთ კონსტანტინოპოლის დაცემის, როგორც ისტორიული მოვლენის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა, ერთის მხრივ ევროპული სამყაროსათვის, მეორეს მხრივ ოსმალთა სახელმწიფოსათვის.
- იმსჯელეთ, როგორ შეცვალა აღმოსავლური სამყაროს განვითარება კონსტანტინოპოლის დაცემა, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით?
- იმსჯელეთ, რა გლობალურმა მიზეზებმა განაპირობა ბიზანტიის დაცემა.
- იმსჯელეთ, რა გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინოპოლს დაცემას
- იმსჯელეთ, რა განსხვავებები არსებობდა ანტიკურ და შუა საუკუნეების კულტურულ ტრადიციას შორის?
- იმსჯელეთ, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო ანტიკური ხანის კულტურა განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი, XV საუკუნის მოღვაწეებისათვის?
- გააანალიზეთ ამ ისტორიული მოვლენის მიზეზები და მახასიათებლები; იმსჯელეთ, პოლიტიკური, გეოგრაფიული და კულტურული თვალსაზრისით, რა ხელშემწყობი ფაქტორები ახასიათებდა იტალიურ სამყაროს?
- გაიხსენეთ ანტიკური სამყარო - რა ძირითადი მახასიათებლებით განსხვავდებოდა იგი შუა საუკუნეებისგან
- გაიხსენეთ ისტორიული მოვლენები, რომლის დროსაც იტალიური ქალაქ სახელმწიფოები დამკვიდრდნენ როგორც ეგეოსის ზღვასა და ბიზანტიურ სივრცეში, ასევე მახლობელ აღმოსავლეთში?
- იმსჯელეთ, როგორ აისახებოდა ბიზანტიური ემიგრაციის იტალიაში ჩასვლა, იტალიურ საზოგადოებაზე და რა კუთხით გარდაქმნიდა მას?
- იმსჯელეთ, როგორი იყო, მესამე წოდების, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფის დამსახურება რენესანსისა და ჰუმანიზმის განვითარებაში?
- იმსჯელეთ, რა გავლენას ახდენს, სივრცის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი მახასიათებლები კულტურულ განვითარებაზე.
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს შესასწავლი ლიტერატურული ნაწარმოების კრიტიკულ გააზრებას.
- იმსჯელეთ, როგორ აღიქვამდნენ ჰუმანისტები ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთმიმართებას

- იმსჯელეთ, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ჰუმანისტები და როგორი იყო მათი პოლიტიკური ხედვები? რატომ - შენი პასუხი დაასაბუთე?
- იმსჯელეთ, რატომ გაზარდეს ჰუმანისტებმა სამყაროში ადამიანის როლი და დანიშნულება?
- იმსჯელეთ, როგორ აღიქვამდნენ ჰუმანისტები ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთმიმართებას
- იმსჯელეთ, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ჰუმანისტები და როგორი იყო მათი პოლიტიკური ხედვები? რატომ - შენი პასუხი დაასაბუთე?
- შეაფასე ჰუმანიზმი და რენესანსი როგორ ისტორიული მოვლენა და იმსჯელეთ, რა იყო მისი ლოკალური და გლობალური შედეგები ევროპული საზოგადოებისათვის.
- იმსჯელეთ, აღმოსავლური სამყაროს რომელი სივრცე იყო განსაკუთრებით მიმზიდველი ევროპელებისათვის და რატომ?
- გააანალიზე, რა მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთიდან შემოსულ საქონელს, ევროპული სამყაროსათვის ეკონომიკური და საზოგადოებრივი თვალსაზრისით?
- იმსჯელეთ, რა გზები შეეძლოთ ეპოვათ ევროპელებს, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე პოლიტიკური გავლენების დაკარგვის შემდეგ, რომ კვლავ შეძლებოდათ აღმოსავლეთთან ვაჭრობა?
- იმსჯელეთ, რატომ გაართულა ოსმალთა გამოჩენამ ევროპელთათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობა?
- გაიხსენეთ, რომელი ისტორიული მოვლენები შეიძლება ჩაითვალოს ხელშემწყობ ფაქტორებად დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისათვის და დაასაბუთეთ, რატომ.
- იმსჯელეთ, ევროპული საზოგადოების რა ნაწილისათვის იქნებოდა ხელსაყრელი საზღვაო ექსპედიციების დაწყება და ახალი მიწების ათვისება?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი, პორტუგალიისა და ესპანეთის სამეფოებში საზღვაო ექსპედიციებისადმი ინტერესის გაზრდა.
- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა პორტუგალიური ექსპედიციების დაწყება აფრიკის სანაპიროებზე?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი ევროპული სამყაროსათვის ინდოეთთან დამაკავშირებელი საზღვაო გზის პოვნა?
- იმსჯელეთ, როგორ შეცვლიდა პორტუგალიური დაპყრობები და ექსპედიციები ევროპულ საზოგადოებას და სამყაროს?
- გაიაზრეთ რა შესაძლებლობებსა და რესურსებს აძლევდა აღნიშნული სივრცე, ევროპულ სამყაროს?
- იმსჯელეთ, რა ინტერესები ჰქონდა ესპანეთის სამეფოს ახალი სავაჭრო გზების პოვნისა და ახალი სივრცეების ათვისებისათვის?
- იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანი მოვლენა პირენეის ნახევარკუნძულიდან არაბების გავლენა და ერთიანი ესპანეთის სამეფოს შექმნა?
- გაეცანით ინფორმაციას და დააფიქსირეთ თქვენი აზრი, რამდენად საკმარისია ჩამოთვლილი არგუმენტები და რამდენად ემხრობით წარმოდგენილ ვერსიას?
- იმსჯელეთ, რატომ ვერ მიიღო კოლუმბმა მხარდაჭერა პორტუგალიაში და რატომ დააფინანსეს ის ესპანეთში, რა მოვლენებმა განაპირობეს ეს შედეგი?
- იმსჯელეთ, საკმარისია თუ არა ჩამოთვლილი ფაქტები იმის დასამტკიცებლად, რომ კოლუმბმა იცოდა მის მიერ აღმოჩენილი მიწები აზიაში არ მდებარეობდა?
- გააანალიზეთ, რატომ შეიძლებოდა გაესაღებინა კოლუმბს მის მიერ აღმოჩენილი მიწები აზიად და დაემალა რეალობა ესპანელი მონარქებისათვის?
- შეაფასეთ ტორდესილასის ხელშეკრულების შინაარსი და მისი მნიშვნელობა.

- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას და რითი განსხვავდებოდა ეს მოვლენა, ევროპელთა მანამდელ კონტაქტებთან ამერიკის კონტინენტთან?
- იმსჯელეთ, რა იყო მაგელანის ექსპედიციის უმთავრესი შედეგი და როგორ შეცვალა მან წარმოდგენები სამყაროს შესახებ?
- იმსჯელეთ, როგორ აისახა ახალი სამყაროს აღმოჩენა და ახალი მიწების ათვისება ევროპულ საზოგადოებაზე?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ევროპული საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი დაინტერესებული წასულიყო ახალ მიწებზე?
- იმსჯელეთ, რომელმა ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა პაპის ხელისუფლების შესუსტება და რატომ?
- იმსჯელეთ, რატომ ვერ მოახერხა კათოლიკურმა ეკლესიამ ახალი დროის შესაბამისი რეფორმების გატარება?
- იმსჯელეთ, როგორ გარდაქმნა ევროპული საზოგადოება გუტენბერგის გამოგონებამ?
- გააანალიზეთ, რატომ დაეცა ევროპელი სასულიერო პირების ავტორიტეტი მას შემდეგ, რაც საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეძლო საეკლესიო ლიტერატურის ინდივიდუალურად გაცნობა?
- გაიხსენეთ რომელი ქრისტიანული მიმდინარეობები გამოეყო ძირითად ეკლესიას და როგორ უმკლავდებოდნენ მათ?
- იმსჯელეთ, რატომ შეხვდა გერმანული საზოგადოება დადებითად ლუთერის ქადაგებას, ეკლესიის რეფორმირების აუცილებლობის შესახებ?
- იმსჯელეთ, რატომ არ მიიღო რომის პაპმა და კათოლიკურმა წრეებმა ლუთერის შეთავაზებული რეფორმების პროექტი?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ლუთერის მოძღვრება მომგებიანი გერმანელი მთავრებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით?
- შეაფასეთ მარტინ ლუთერის მიერ დაწყებული პროტესტანტული რეფორმაციის, როგორც ისტორიული მოვლენის გავლენა იმ ეპოქის საზოგადოებაზე, რელიგიური და პოლიტიკური კუთხით?
- იმსჯელეთ, როგორი იყო ლუთერის მოღვაწეობის მნიშვნელობა, ის შეეხებოდა მხოლოდ გერმანულ სივრცეს, თუ მოიცავდა სრულიად ევროპულ სამყაროს?
- იმსჯელეთ, გერმანული საზოგადოების რომელი ჯგუფებისათვის იქნებოდა ლუთერის მოძღვრება მისაღები და რატომ?
- იმსჯელეთ, რა იყო ლუთერის მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმის მიზეზები და შედეგები?
- ჩამოაყალიბეთ, რა იყო ლუთერანობის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა რეფორმაციული მოძრაობის დაწყება შვეიცარიაში?
- გააანალიზეთ საზოგადოების რომელი ფენებისათვის იყო მისაღები კალვინის რელიგიური მოძღვრება და რატომ?
- იმსჯელეთ, რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა ყველა იმ სივრცესა და საზოგადოებას სადაც წარმატებით გავრცელდა კალვინის მოძღვრება.
- გააანალიზეთ, რა იყო ინგლისური რეფორმაციის, როგორც ისტორიული მოვლენის მიზეზები და მისი რელიგიური და პოლიტიკური მახასიათებლები?
- შეაფასეთ პროტესტანტული რეფორმაცია როგორც მოვლენა - გამოყავით მისი დადებითი და უარყოფითი შედეგები და გავლენა ევროპულ საზოგადოებაზე.
- გაიხსენეთ ისტორიული მოვლენები და პროცესები, რამაც გამოიწვია ესპანეთის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება?
- იმსჯელეთ, რატომ იყო კარლოს ჰაბსბურგის იდეა უნივერსალური კათოლიკური იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ საფრთხე დანარჩენი ევროპული ქვეყნებისათვის?
- შეაფასეთ, რა ტერიტორიებს მოიცავდა კარლოს ჰაბსბურგის იმპერია და რა საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები ჰქონდა მისი მმართველობის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებს?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ჩრდილოეთ იტალიაზე გავლენის მოპოვება, ასე მნიშვნელოვანი ესპანეთისა და საფრანგეთის სამეფოებისათვის?

- გააანალიზეთ, რატომ იყო კარლოს ჰაბსბურგის ლუთერის მოძღვრებისადმი რადიკალურად განწყობილი?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი წმინდა ქალაქების მექასა და მედინას დაკავება მნიშვნელოვანი ოსმალთა სასულთნოსათვის?
- გაიაზრეთ, რა ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალების მიერ ეგვიპტის დაპყრობას, როგორ საკუთრივ ოსმალური სახელმწიფოსათვის, ასევე ევროპული ქვეყნებისათვის?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ოსმალთა სახელმწიფოს აღზევებას XVI საუკუნეში?
- გააანალიზეთ, თუ რომელი ისტორიული მოვლენის გაცოცხლების აუცილებლობა დააყენა XVI საუკუნის ევროპაში, ოსმალთა გააქტიურებამ და აშკარა საფრთხემ?
- იმსჯელეთ, რატომ მფარველობდა ოსმალთა სულთანი ლუთერის მომხრეებს და რა პოლიტიკურ სარგებელს ხედავდა ამაში?
- გააანალიზეთ, რატომ ვეღარ მოხერხდა ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყება XVI საუკუნეში და გამოკვეთეთ სხვა გარემოებებიც.
- იმსჯელეთ, რა ცნობებს გვაძლევს რენესანსის ეპოქის ხელოვნების ნიმუშები აღნიშნულ ეპოქაში მცხოვრები საზოგადოების ცნობიერებისა და აზროვნების შესახებ?
- განიხილეთ XV საუკუნე, როგორც ეპოქა და იმსჯელეთ, რატომ დაიწყო ეს პროცესი სწორედ აღნიშნულ საუკუნეში?
- გააანალიზეთ, რატომ გაიზარდა ატლანტის ოკეანურ სივრცის მიმართ ინტერესი XV საუკუნეში.
- დაახასიათეთ XV საუკუნის მიწურული, როგორც ეპოქა და გამოკვეთეთ ის გარემოებები რამაც განაპირობა მსოფლიო მნიშვნელობის საზღვაო აღმოჩენები?
- იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა გეოგრაფიული ცოდნა და გეოგრაფიული სივრცის გააზრება, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე და როგორ აისახებოდა ეს ცვლილებები იმ ეპოქის საზოგადოებაზე?
- იმსჯელეთ, რატომ მიიჩნევა აღნიშნული ეპოქა შუა საუკუნეების დასასრულად და ახალი ეპოქის დასაწყისად, პასუხი დაასაბუთეთ.
- იმსჯელეთ, რომელი ისტორიული მოვლენებია დაკავშირებული სულეიმანისა და კარლოსის ეპოქასთან?
- ყურადღებით გაეცანით ჩანართში წარმოდგენილ წყაროებს და იმსჯელეთ, შეიძლება თუ არა სიმონ I-ს ეწოდოს ჯვაროსანი მონარქი?
- იმსჯელეთ, რატომ აღმოჩნდნენ ქართველები ესპანური პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრში აღნიშნულ ეპოქაში?
- იმსჯელეთ, რა გავლენას მოახდენდა რელიგიური ომები საფრანგეთზე, რა ტიპის დამღუპველი შედეგი მოაქვს მას ქვეყნისა და საზოგადოებისათვის?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ესპანური არმადის მარცხს ინგლისის სანაპიროებთან, როგორც ინგლისის, ასევე ესპანეთისათვის?
- იმსჯელეთ, რა ზერკეტების გამოყენებით ახერხებდნენ ესპანელები ევროპული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევას და გაიხსენეთ მსგავსი მოვლენები სხვა ეპოქიდან.
- დაახასიათეთ, რა გამოარჩევდა XVI საუკუნის მიწურულში მოღვაწე ინგლისელ და ფრანგ მონარქებს, რა იყო მათი მთავარი ინოვაცია მმართველობაში?
- შეადარეთ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, მსგავს მოვლენებს სხვა ეპოქაში და გამოკვეთეთ საერთო მახასიათებლები.
- რომელ ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს ევროპის ისტორიაში პროტესტანტული რეფორმაციის ეპოქა და რა მნიშვნელოვანი მახასიათებლები გამოარჩევს აღნიშნულ ეპოქას?
- რა ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა და რატომ მიიჩნევენ მას შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ეპოქების მიჯნად?
- იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა გერმანული საზოგადოება ლუთერანობის გავრცელების შემდეგ?

- იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა ინგლისური საზოგადოება ჰენრი VIII ტიუდორის მიერ განხორციელებული რელიგიური რეფორმის შემდეგ?
- იმსჯელეთ, რომელი გლობალური მნიშვნელობის ისტორიული მოვლენებით ხასიათდებოდა XVI საუკუნე, როგორც ეპოქა?

**ნაბიჯი 2 §25-26, 27-28, 29-30-31, 32-33, 34-35**

- წარმოადგინეთ წყაროები თითოეული პარაგრაფიდან, რომელმაც თქვენის აზრით ყველაზე მეტად შეგიქმნათ წარმოდგენა იმ პარაგრაფში აღწერილი მოვლენისა თუ ეპოქის შესახებ. (ისტორიული წყარო; მკ.წ. 1,2,3,4); დაასაბუთეთ რა ტიპის წყაროებია თქვენს მიერ შერჩეული და როგორ უნდა განისაზღვროს მათი ინტერპრეტაციისა და სანდოობის ხარისხი. (ისტორიული წყარო; მკ.წ. 1,2,3,4)
- რა ტიპის წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას კონსტანტინოპოლის დაცემის შესახებ და რა ტიპის მიდგომებია საჭირო მათი მიკერძოებისა და სანდოობის ხარისხის გააზრებისას?
- ისტორიის რომელი ქრონოლოგიური პერიოდი ითვლება რენესანსისა და ჰუმანიზმის ხანად და რა განსაკუთრებული ცვლილებებით ხასიათდებოდა ეს ეპოქა?
- ყურადღებით გაეცანით წყაროს და იმსჯელეთ, რა შეფასებას აძლევდა ევროპული ჰუმანისტური ელიტა ამ ისტორიულ მოვლენას?
- იმსჯელეთ, აღნიშნულ ისტორიული მოვლენის შესახებ შექმნილ წყაროებზე, როგორია მათი სანდოობისა და მიკერძოების ხარისხი და როგორი მიდგომებია საჭირო მათი გაცნობისას?
- შეადარეთ ბერძნულ და თურქულ წყაროში ასახული ინფორმაცია, ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის შესახებ, იმსჯელეთ, რა განსხვავებული და საერთო მახასიათებლები იკვეთება.
- წყაროების რომელი ტიპი გვაწვდის ინფორმაციას აღნიშნული ეპოქის საზოგადოებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ და რა ტიპის მიდგომაა საჭირო მათზე მუშაობისას?
- რენესანსის ეპოქის ხელოვნების ნიმუშები წყაროების რომელ კატეგორიას განეკუთვნებიან და რა ინფორმაციას გვაწვდიან ისინი აღნიშნული ეპოქისა და საზოგადოების შესახებ?
- რა ტიპის წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას პროტესტანტული რეფორმაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ და როგორ უნდა განისაზღვროს მისი მიკერძოების ხარისხი?
- წყაროების რომელ ტიპს განეკუთვნებიან აღნიშნული ეპოქაში შექმნილი კარტოგრაფიული მასალები, რა ინფორმაციას გვაწვდიან ისინი და როგორი მიდგომაა საჭირო მათზე მუშაობისას?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად

- აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს დროის ხაზის მოსამზადებლად?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი დროის ხაზია?
- ახსენი, რატომ შექმენი დროის ხაზი? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?
- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (რა დახმარება გაუწიეთ თანაკლასელებს/მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღეთ მათგან);
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?

- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? *(მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?*
- ხვდებით თუ არა წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო (მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

**შემაჯამებელი დავალება N3 (ნიმუში)**

შემაჯამებელი დავალება 3 - **ისტორია**

მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი ----------------------------------------------------

**ბიზანტიის იმპერიის განადგურება ოსმალო-თურქების მიერ**

1. **როდის მიმდინარეობდა ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის ალყა? დაასახელეთ სამი ისტორიული მოვლენა, რომელიც კონსტანტინოპოლის ალყას წინ უსწრებდა და მოსდევდა?**

| სამი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა კონსტანტინოპოლის ალყას | თარიღი/პერიოდი | სამი მოვლენა, რომელიც მოსდევდა კონსტანტინოპოლის ალყას |
|---|---|---|
| 1. | | 1. |
| 2. | | 2. |
| 3. | | 3. |

2. დაასახელეთ სამი გეოგრაფიული ობიექტი/პუნქტი (ევროპაში, მცირე აზიაში), რომლების შესახებაც ისწავლეთ ბიზანტიის იმპერიის ოსმალო-თურქთა მიერ განადგურების შესწავლისას.

| გეოგრაფიული ობიექტის/პუნქტის დასახელება | რით იყო ეს ობიექტი/პუნქტი მნიშვნელოვანი | კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ეგეოსის ზღვასა და ბალკანური სივრცეში განხორციელებული კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

3. საიდან გვაქვს ინფორმაცია ბიზანტიის იმპერიის ოსმალების მიერ განადგურების შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?

| წყაროს ტიპის დასახელება | ვინ შექმნა | რის შესახებ მოგვითხრობს | როდის და რატომ შეიქმნა | რამდენად სანდოა | საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**4. როგორ აისახა ოსმალთა სულთნის ძალაუფლებაზე კონსტანტინოპოლის დაცემა?**

| | მოკლე აღწერილობა | შეფასება | მეჰმედ II-ის სხვა აღმოსავლელ მმართველებთან შედარება |
|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | | | |
| საერთაშორისო ავტორიტეტი | | | |

**5. როგორი იყო ბიზანტიური და ოსმალური საზოგადოება ახალი ეპოქის მიჯნაზე?**

| საზოგადოება | იდენტობის საშუალებები | ინტერესები და საზრუნავი | კონსტანტინოპოლის დაცემის მნიშვნელობის გააზრება | სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებებთან შედარება |
|---|---|---|---|---|
| 1.ბიზანტიური | | | | |
| 2.ოსმალური | | | | |

6. დაასახელეთ ბიზანტიის იმპერიის ოსმალების მიერ განადგურებასთან დაკავშირებული სამი, თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი/ისტორიული მოვლენა/პროცესი?

| ისტორიული მოვლენა | მიზეზი | შედეგი | მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის | მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისთვის | ანალოგია (ფაქტებით განმტკიცება) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**შეფასების რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასებისათვის N3**

| | | |
|---|---|---|
| კლასი **XI**<br>თემა **გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო**<br>ძირითადი საკითხი **ბიზანტიის იმპერიის განადგურება ოსმალო-თურქების მიერ**<br>მოსწავლე | | |
| **შეფასების კრიტერიუმი**<br>მოსწავლეს შეუძლია: | მაქსიმალური ქულა | კომენტარი |
| **წყარო/ინტერპრეტაცია**<br>ბიზანტიის იმპერიის განადგურების შესახებ მოცემული ევროპული და აღმოსავლური წყაროების კლასიფიცირება და მათზე დაყრდნობით კონსტანტინოპოლის დაცემის შესახებ მსჯელობა და საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების გამოკვეთა; აღნიშნულ წყაროებზე მსჯელობისას მათი მიკერძოებულობისა და სანდოობის ხარისხის დადგენა, კრიტიკულად შეფასება და მათ მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა. | 1 | |
| **დრო**<br>კონსტანტინოპოლის დაცემის, როგორც ეპოქათაშორისი მიჯნის გამოკვეთა; მისი, როგორც ქრონოლოგიური პერიოდების გამყოფის მნიშვნელობის და მახასიათებლების გამოყოფა; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელმაც ამ იმპერიული ქალაქის დაცემა წარმოადგინა, როგორც ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისი. | 1 | |
| **სივრცე**<br>ოსმალო-თურქების იმპერიის მიერ დაკავებული ბიზანტიური ტერიტორიების გამოკვეთა, ამ ტერიტორიების თურქთა მიერ დაკავების მნიშვნელობის გაანალიზება; კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ეგეოსის ზღვასა და ბალკანური სივრცეში განხორციელებული კულტურული და პოლიტიკური ცვლილებების გააზრება; ბიზანტიის იმპერიის ოსმალო-თურქთა მიერ განადგურებაზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; | 1 | |
| **საზოგადოება**<br>ბიზანტიური და ოსმალური საზოგადოების შედარება, მათი მახასიათებლების და იდენტობის საშუალებების გამოკვეთა, თითოეული მათგანის ინტერესებისა და საზრუნავის ჩამოყალიბება; კონსტანტინოპოლის დაცემის მნიშვნელობის გააზრება ერთის მხრივ ევროპული საზოგადოებისათვის და მეორეს მხრივ ოსმალური საზოგადოებისათვის; მათი სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებებთან შედარება; | 1 | |

| | | |
|---|---|---|
| **ძალაუფლება**<br>ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ ოსმალთა სულთნის საერთაშორისო ავტორიტეტზე მსჯელობა; მეჰმედ II-ის მიერ კონსტანტინოპოლის დაკავების შემდეგ ქვეყნის შიგნით სულთნის ძალაუფლების შეფასება; მეჰმედ II-ის სხვა აღმოსავლელ მმართველთან შედარება და ძალაუფლებისათვის დამახასიათებელი იმ მახასიათებლების გამოყოფა, რომლითაც ის განსხვავდება სხვა მმართველისაგან; | 1 | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი**<br>ბიზანტიის იმპერიის დაცემის გლობალურ მიზეზებზე და შედეგებზე მსჯელობა და მათი პოლიტიკური მნიშვნელობის გამოკვეთა; კონსტანტინოპოლის დაცემის, როგორც ისტორიული მოვლენის ლოკალური და გლობალური მნიშვნელობის შეფასება; კონსტანტინოპოლის დაცემის ანალოგიური ისტორიული მოვლენის დასახელება და ფაქტებით განმტკიცება; | 1 | |

**კომპლექსური ტიპის დავალება N4. თემატური მატრიცა**

**თემა** - გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

**სამიზნე ცნება - ძალაუფლება - (შედეგი** 3,4,5,6,7,8**); ქვეცნება (ზოგადი) -** მმართველობის ფორმა; **ქვეცნება (კერძო) -** აბსოლუტური მონარქია, კონსტიტუციური მონარქია, რესპუბლიკა; **ქვესაკითხი -** ნიდერლანდების რესპუბლიკის მახასიათებლები; საღვთო რომის იმპერატორის ძალაუფლების მახასიათებლები; ძალაუფლებისათვის ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის ინგლისში; აბსოლუტიზმი საფრანგეთში; შაჰ-აბას I მმართველობა; პეტრე I-ის მმართველობა რუსეთში;
**სამიზნე ცნება - საზოგადოება – (შედეგი** 1,2,3,4,5,6); **ქვეცნება (ზოგადი) -** ყოველდღიურობა; **ქვეცნება (კერძო) -** სოციალური ფენები; „სამწევროვანი დაყოფა“; ფრანგული კულტურა; ნიდერლანდური კულტურა, რუსული კულტურა, სპარსული კულტურა; **ქვესაკითხი -** ფრანგული კულტურა აბსოლუტიზმის ხანაში; ნიდერლანდური „ოქროს ხანა“, რუსეთი ევროპეიზაციის გზაზე; კულტურული ცხოვრება სეფიანთა ირანში;
**სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა/პროცესი - (შედეგი** 3,4,5,6 **); ქვეცნება (ზოგადი) -** ომი; რეფორმა; რევოლუცია, ისტორიული პიროვნება; **ქვეცნება (კერძო) -** ოცდაათწლიანი ომი; ნიდერლანდების რევოლუცია; ინგლისის რევოლუცია; შაჰ-აბას I და მისი რეფორმები; პეტრე I და მისი რეფორმები; ოლივერ კრომველი;კარდინალი რიშელიე, კარდინალი მაზარინი; **ქვესაკითხი** - სამოქალაქო ომი მეფესა და პარლამენტს შორის; ჰოლანდიის რევოლუციის მიზეზები და შედეგები; ოცდაათწლიანი ომის მიზეზები და შედეგები; სეფიანთა ირანის გაძლიერება; რუსეთის გარდაქმნა იმპერიალისტურ სახელმწიფოდ;

**საკითხი -** ცვლილებები XVI-XVII საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სივრცეში

**საკვანძო შეკითხვა** - როგორ წარმოვაჩინო **საფრანგეთის მეფის მრჩევლის წერილობით მოხსენებაში** აბსოლუტიზმის ხანაში ცვლილებებისა და რეფორმების აუცილებლობა, როგორც ევროპულ, ასევე აღმოსავლურ სივრცეში?

**კომპლექსური დავალება** - წარმოიდგინე, რომ ხარ საფრანგეთის მეფის მრჩეველი აბსოლუტიზმის ხანაში და გსურს, რომ იგი დაარწმუნო ცვლილებებისა და რეფორმების აუცილებლობაში. ამისთვის აკეთებ **წერილობით მოხსენებას**, რომელშიც მიმოიხილავ XVI-XVII საუკუნეების სხვადასხვა სახელმწიფოს, მათში მიმდინარე პროცესებს, ცვლილებებს და რეფორმებს. ამ სახელმწიფოებს აჯგუფებ ორ ნაწილად: ა. სახელმწიფოები, სადაც ცვლილებები და რეფორმები რევოლუციის შედეგი იყო (ნიდერლანდები, ინგლისი) ბ. სახელმწიფოები, სადაც ცვლილებები და რეფორმები ერთმმართველობის ინიციატივა იყო (ირანი, რუსეთი).

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | **ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| **ისტორიული მოვლენა:**<br>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.<br><br>**ძალაუფლება:**<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;<br>• ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br>• ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;<br>• დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი. | **ისტორიული მოვლენა:**<br>• გააანალიზოს შესწავლის XV-XVI საუკუნეებში ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა (მ.წ. 1, 3);<br>• იმსჯელოს მიზეზებზე, რომლებიც შესაძლებელია XV-XVI საუკუნეებში ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის სხვადასხვაგვარ შეფასებას განაპირობებს (მ.წ. 2);<br>• გამოკვეთოს XV-XVI საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენის/პროცესის არსობრივი მახასიათებლები; შეადაროს ის სხვა მსგავს ისტორიულ მოვლენებს (მ.წ. 4).<br><br>**ძალაუფლება:**<br>• დაახასიათოს გვიანი შუა საუკუნეების და ადრეული ახალი დროის ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოები, მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; შეადაროს ისინი სხვა ისტორიულ პერიოდებს **(მ.წ. 1, 3, 4);**<br>• გააანალიზოს გვიანი შუა საუკუნეების და ადრეული ახალი დროის ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბროლის თავისებურებები **(მ.წ. 2)**<br>• გააანალიზოს ვინ/რა განიხილებოდა გვიანი შუა საუკუნეების და ადრეული ახალი დროის ეპოქაში ძალაუფლების წყაროდ; რა წარმოადგენდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველს **(მ.წ. 4, 5).** | • რატომ დაიწყო ნიდერლანდებში რევოლუცია ესპანური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1, საზოგადოება 1)<br>• რა როლს თამაშობს რელიგიური ფაქტორი იმ პერიოდის ევროპაში, როგორც საზოგადოებრივი იდენტობის საშუალება (საზოგადოება 1,2, 3, ისტორიული მოვლენა/პროცესი 1; 3)<br>• როგორ შეიცვალა ინგლისში ძალაუფლების მოდელი რევოლუციების შედეგად? (ძალაუფლება 1-4; ისტორიული მოვლენა/პროცესი 1)<br>• რა მდგომარეობაა აბსოლუტიზმის ეპოქის საფრანგეთში - როგორ ნაწილდება ძალაუფლება (ძალაუფლება 3-4, საზოგადოება 1-2)<br>• როგორ შეიცვალა ირანი და რუსეთი რეფორმების შედეგად - რა იყო ამ რეფორმების მთავარი მიზანი და შედეგები (ძალაუფლება |

| | | |
|---|---|---|
| **საზოგადოება:**<br>• ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;<br>• საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;<br>• პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;<br>• საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ. | **საზოგადოება:**<br>• ახასიათებს ევროპული და ირანული საზოგადოების იდენტობის საშუალებებს; გამოკვეთს თითოეული ჯგუფის წევრების საერთო ინტერესებს და საზრუნავს **(მ.წ. 1, 3);**<br>• აანალიზებს რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა XV-XVI საუკუნეების ევროპული და ირანული საზოგადოება **(მ.წ. 3);**<br>• გააანალიზოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ევროპული და აღმოსავლური სამყაროს საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი **(მ.წ. 4)** | 1; 3, ისტორიული მოვლენა/პროცესი 1; 3) |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**რესურსები/განსახილველი ქეისები:**

**რესურსი 1**. სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), ისტორია, XI კლასი,; „სულაკაურის გამომცემლობა“, მესამე თავი თავი, პარაგრაფები: **§36, 37-38, 39, 40, 42, 42**

**რესურსი 2**. ელ. რესურსები

- როგორ დავწეროთ მოხსენება?
  https://files.fm/f/r8qvfudw9
- აბსოლუტიზმი: რიშელიე, მაზარინი, ლუი XIV - Silk School
  https://youtube.com/watch?v=f0BF3xdMljo&si=EnSIkaIECMiOmarE
- რიშელიე, ლუი XIV - Silk School
  https://youtube.com/watch?v=f0BF3xdMljo&si=EnSIkaIECMiOmarE
- ლუი XIV - აბსოლუტი მონარქი - NBC News Learn
  https://youtube.com/watch?v=SEjiw6ipwnU&si=EnSIkaIECMiOmarE
- აბსოლუტიზმი საფრანგეთში (რუკებით) - Danzig HD Mapper
  https://youtube.com/watch?v=DvXVcpnqviw&si=EnSIkaIECMiOmarE
- ვერსალი, ლუი XIII-დან საფრანგეთის რევოლუციამდე -Chateau de Versailles

https://youtube.com/watch?v=X235vpOToVU&si=EnSIkaIECMiOmarE

- ოცდაათწლიანი ომი და ვესტფალიის ზავი რელიგიური და პოლიტიკური დაპირისპირება - Silk School https://youtube.com/watch?v=aWXSLNefgP0&si=EnSIkaIECMiOmarE
- ოცდაათწლიანი ომი და ვესტფალიური მშვიდობა - მწარე პოდკასტი https://youtube.com/watch?v=STnECkWTdAU&si=EnSIkaIECMiOmarE
- ოცდაათწლიანი ომი (რუკები) – Ollie Bye https://youtube.com/watch?v=MBkAKw40-pY&si=EnSIkaIECMiOmarE
- ბრძოლა ჰეგემონობისათვის ესპანეთსა და ინგლისს შორის XVI XVII საუკუნის დასაწყისში - Silk School https://youtube.com/watch?v=vSbD9LvPiJY&si=EnSIkaIECMiOmarE
- ჰოლანდიის აჯანყება, ოთხმოცწლიანი ომი ესპანელების წინააღმდეგ - history hustle https://youtube.com/watch?v=whht14d5I1o&si=EnSIkaIECMiOmarE
- ინგლისი აბსოლუტიზმის ეპოქაში - რევოლუციიდან კონსტიტუციურ მონარქიამდე -ტელესკოლა https://youtube.com/watch?v=RfD2whYuPCo&si=EnSIkaIECMiOmarE
- ინგლისი: რევოლუცია თუ სამოქალაქო ომი? - Silk School https://youtube.com/watch?v=Q_kPtC9ZqXY&si=EnSIkaIECMiOmarE
- რატომ მოხდა ინგლისის სამოქალაქო ომი? - Kings and Generals https://youtube.com/watch?v=Byxx5ZDzRog&si=EnSIkaIECMiOmarE
- პეტრე პირველის რეფორმები - Silk School **https://youtube.com/watch?v=WyiXIZe8KaI&si=EnSIkaIECMiOmarE**
- ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა შაჰ-აბასის წინააღმდეგ - Silk School https://youtube.com/watch?v=cp_k9VSQ_4Q&si=EnSIkaIECMiOmarE
- როგორ იქცა რუსეთი იმპერიად? - Kings and Generals https://youtube.com/watch?v=rDCFxgHDncc&si=EnSIkaIECMiOmarE

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**
**აბსოლუტიზმი საფრანგეთში**

- გაიხსენეთ, როგორ შეიძლება განიმარტოს აბსოლუტიზმი?
- რა გახსენდებათ საფრანგეთის მეფეების ლუი XIII და ლუი XIV-ის შესახებ? რიშელიესა და მაზარინის შესახებ? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- რა გახსენდებათ საფრანგეთის შესახებ შესახებ წინა კლასებში შესწავლილი ინფორმაციიდან?
- თქვენი აზრით რა მახასიათებლებით გამოირჩეოდა აბსოლუტიზმი საფრანგეთში?
- თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ ფრანგული კულტურის ამსახველი ნიმუშები?

**ინგლისის რევოლუცია**

- გაიხსენეთ, რა იცით „თავისუფლების ქარტიის“ შესახებ?
- წინა კლასებში შესწავლილი მასალებიდან გაიხსენეთ, თუ როგორ შეიქმნა პარლამენტი?
- გაიხსენეთ, როგორ შეიძლება განიმარტოს „სამოქალაქო ომი“? რევოლუცია?
- რა გახსენდებათ ოლივერ კრომველთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)

**ნიდერლანდების რევოლუცია**

- გაიხსენეთ, რა გეოგრაფიული მახასიათებლებით გამოირჩევა ჰოლანდია?
- რითაა ცნობილი ჰოლანდია? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- თუ გსმენიათ რაიმე ჰოლანდიის რევოლუციის შესახებ?
- ხელოვნების გაკვეთილებიდან გაიხსენეთ, ვინ იყო რემბრანდტი? რა იცით მის შესახებ?

**ოცდაათწლიანი ომი**

- თქვენი აზრით, რა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს ომი?
- როგორ ფიქრობთ, შეიძლება ომის მიზეზი გახდეს რელიგიური აღმსარებლობის სხვადასხვაობა? რატომ ფიქრობთ ასე?
- თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, ევროპაში მიმდინარე ომი, რომელსაც რელიგიური ხასიათი ჰქონდა?
- თუ გსმენიათ რაიმე ევროპაში მიმდინარე „ოცდაათწლიანი“ ომის შესახებ? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)

**რუსეთი და ირანი**

- რა იცით რუსეთის იმპერატორის პეტრე I-ის შესახებ? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- რა იცით სეფიანთა ირანის მრისხანე შაჰის აბას I-ის შესახებ? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- როგორ დაახასიათებდით თითოეულ მათგანს?
- რა ინტერესები ჰქონდა ირანსა და რუსეთს საქართველოსთან მიმართებით?

**წერილობითი მოხსენება**

- რა არის მოხსენება?
- რატომ იწერება მოხსენება?
- რა ინფორმაციას გაწვდის რესურსი მოხსენების შექმნის შესახებ?
- რა ძირითადი ნაწილები უნდა გამოყო მოხსენების დაწერისთვის?
- რა განსხვავებაა მოხსენებასა და წერილს შორის?
- როგორ შეიძლება დაიწეროს მოხსენება?
- როგორ შეიძლება მოხსენების საშუალებით წარმოვაჩინოთ ჩვენი შეხედულებები? **(რესურსი 2)**

**კომპლექსური დავალება**

თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?

მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ცნება - ისტორიული მოვლენა/პროცესი**

**ქვეცნება - რეფორმა; რევოლუცია; ომი; ისტორიული პიროვნება**

**ქვესაკითხი -** სამოქალაქო ომი მეფესა და პარლამენტს შორის; ჰოლანდიის რევოლუციის მიზეზები და შედეგები; ოცდაათწლიანი ომის მიზეზები და შედეგები; სეფიანთა ირანის გაძლიერება; რუსეთის გარდაქმნა იმპერიალისტურ სახელმწიფოდ;

**ცნება - ძალაუფლება**

**ქვეცნება - მმართველობის ფორმა;**

**ქვესაკითხები -** ნიდერლანდების რესპუბლიკის მახასიათებლები; საღვთო რომის იმპერატორის ძალაუფლების მახასიათებლები; ძალაუფლებისათვის ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის ინგლისში; აბსოლუტიზმი საფრანგეთში; შაჰ-აბას I მმართველობა; პეტრე I-ის მმართველობა რუსეთში;

**ცნება - საზოგადოება**

**ქვეცნება - ყოველდღიურობა**

**ქვესაკითხი** - ფრანგული კულტურა აბსოლუტიზმის ხანაში; ნიდერლანდური „ოქროს ხანა“, რუსეთი ევროპეიზაციის გზაზე; კულტურული ცხოვრება სეფიანთა ირანში;

**ნაბიჯი 1 (პარ. 36)**

**რატომ დაიწყო ნიდერლანდებში რევოლუცია ესპანური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ (ისტორიული მოვლენა/პროცესი, საზოგადოება )**

**პარაგრაფი: ნიდერლანდების რევოლუცია**

- იმსჯელეთ, რა გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებლები გააჩნდა ნიდერლანდებს?
- იმსჯელეთ, ისტორიულად რა ტიპის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს ზღვასთან სიახლოვე?
- იმსჯელეთ, რა ტიპის მცირე საზოგადოებებად იყოფოდა ნიდერლანდების საზოგადოება?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ნიდერლანდების ეკონომიკურად განვითარებას?
- იმსჯელეთ, როგორ განსხვავდებოდა ნიდერლანდების საზოგადოება ესპანეთისგან - რა იყო მთავარი განმასხვავებელი ნიშნები?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა ნიდერლანდების წარმატება ომში?
- იმსჯელეთ, რა ქმნიდა ნიდერლანდური საზოგადოების იდენტობის ძირითად ნიშნებს?
- იმსჯელეთ, რატომ გავრცელდა პროტესტანტული აღმსარებლობა იოლად ვაჭართა და მეწარმეთა საზოგადოებაში?
- იმსჯელეთ, რა მცირე ჯგუფებად იყოფოდა ნიდერლანდების საზოგადოება - გამოყავი, როგორც ეკონომიკური და სოციალური, ასევე ეთნიკური და კულტურული ფაქტორები?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ვაჭრობაზე დაფუძნებული საზოგადოება რელიგიურად შემწყნარებლური?

**ნაბიჯი 2 (§37-38, 39, 40)**

**რა როლს თამაშობს რელიგიური ფაქტორი იმ პერიოდის ევროპაში, როგორც საზოგადოებრივი იდენტობის საშუალება (საზოგადოება , ისტორიული მოვლენა/პროცესი ) (პარაგრაფი: ოცდაათწლიანი ომი, ინგლისის რევოლუცია, ნიდერლანდების რევოლუცია, აბსოლუტიზმი საფრანგეთში)**

- იმსჯელეთ, რა გავლენას ახდენდა რელიგია გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე?
- იმსჯელეთ, როგორ ნაწილდებოდა გერმანიაში ძალაუფლება? რა როლს თამაშობდა რელიგიური საკითხი ძალაუფლების გადანაწილების დროს?
- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა აჯანყების დაწყება ჩეხეთში?
- იმსჯელეთ, მეფის ძალაუფლების ხარისხზე - რატომ უწევს მას რელიგიური ელემენტის გათვალისწინება?
- იმსჯელეთ, თითოეული დიდი სახელმწიფოს (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) მოტივაციაზე ამ კონფლიქტში?
- იმსჯელეთ, რა კრიტერიუმით იქმნებოდა კოალიციები - რა იყო ამ სახელმწიფოების ერთ კოალიციებად გაერთიანების ძირითადი პირობა?
- რა იყო დანიის სამეფოს ძირითადი მოტივაცია?
- იმსჯელეთ, რას ემყარება საღვთო რომის იმპერატორის ძალაუფლება?
- იმსჯელეთ, შვედეთის სამეფოს ძირითად მოტივაციაზე - რატომ ჩაერთო იგი ომში?
- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა საფრანგეთის ომში ჩართვა?
- იმსჯელეთ, რამდენად განსაზღვრავდა რელიგია საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას?
- იმსჯელეთ, რა იყო 30 წლიანი ომი მთავარი შედეგები - შედეგებზე იმსჯელეთ, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული კუთხით?

- განიხილე, თუ როგორ შეცვალა 30 წლიანმა ომმა ევროპის პოლიტიკური რუკა?

**ნაბიჯი 3 (§39)**

**როგორ შეიცვალა ინგლისში ძალაუფლების მოდელი რევოლუციების შედეგად? (ძალაუფლება, ისტორიული მოვლენა/პროცესი);**

**პარაგრაფი: რატომ დაიწყო სამოქალაქო ომი ინგლისში მეფესა და პარლამენტს შორის?**

- იმსჯელეთ, რა ტიპის კონფლიქტი არსებობდა ინგლისში ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მეფესა და პარლამენტს შორის? რა იყო ამ კონფლიქტის მიზეზი?
- იმსჯელეთ, დაპირისპირებული მხარეები ვის/რას აღიქვამდნენ ძალაუფლების წყაროდ?
- იმსჯელეთ, წყაროს (პეტიცია უფლებათა შესახებ), რას ითხოვს პარლამენტი, რა ტიპის მმართველობის მოდელს უჭერს პარლამენტი მხარს?
- იმსჯელეთ, როგორ აღიქვამს პარლამენტი მეფის ძალაუფლებას?
- იმსჯელეთ, საზოგადოების რა ჯგუფებით იყო პარლამენტი დაკომპლექტებული? საზოგადოების რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავდა იგი?
- იმსჯელეთ, რატომ ვერ მოახერხა მეფემ პარლამენტის გარეშე ხანგრძლივად მართვა
- იმსჯელეთ, როგორ მიმდინარეობდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის?
- იმსჯელეთ, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებს ეყრდნობოდა სამოქალაქო ომის დროს მეფისა და პარლამენტის მომხრეები? და რატომ - რა მოტივებით და ფაქტორებით იყო ეს მხარდაჭერა ნაკარნახევი?
- წყაროს მიხედვით იმსჯელეთ, რამდენად სამართლიანი და ლეგიტიმური შეიძლება ყოფილიყო სასამართლო ჩარლზის მიმართ?
- იმსჯელეთ, ოლივერ კრომველის მმართველობის შესახებ - მმართველობის რა ფორმა აირჩია კრომველმა? რატომ ვერ შეძლო მისმა დამოუკიდებლად მართვა?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური პროცესისთვის პარტიების გაჩენას?
- იმსჯელეთ, როგორ შეაფასებდი „ჰაბეას კორპუს-ის“ აქტს
- გაიხსენეთ ამ პერიოდის კონტინენტურ ევროპაში მიმდინარე პროცესები და იმსჯელეთ, რატომ აღიქვამდნენ ინგლისში უარყოფითად მეფის მიერ კათოლიკური რელიგიის მხარდაჭერას?
- იმსჯელეთ, შიდა ბრძოლების და რევოლუციების შემდეგ მმართველობის რა ფორმამდე მივიდა ინგლისი?
- იმსჯელეთ, ბილი უფლებათა შესახებ როგორ ანაწილებს ძალაუფლებას სახელმწიფოში?

**ნაბიჯი 4 (§40)**

**რა მდგომარეობაა აბსოლუტიზმის ეპოქის საფრანგეთში - როგორ ნაწილდება ძალაუფლება (ძალაუფლება, საზოგადოება) (პარაგრაფი - ფრანგული აბსოლუტიზმი)**

- იმსჯელეთ, აბსოლუტიზმზე - რა მახასიათებლები ჰქონდა აბსოლუტისტურ მმართველობას?
- გაიხსენეთ წინა პარაგრაფების და იმსჯელეთ, როგორ ვითარდებოდნენ მმართველობის სისტემები საფრანგეთსა და დანარჩენ ევროპაში?
- იმსჯელეთ, რიშელიეს მოღვაწეობაზე - რა იყო მისი მოღვაწეობის მთავარი შედეგები?
- იმსჯელეთ, ლუი XIV-ს მიერ მინისტრის თანამდებობის გაუქმებაზე - როგორ აისახებოდა ეს ფრანგულ სახელმწიფოზე?
- როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება საფრანგეთში აბსოლუტიზმის ხანაში?
- იმსჯელეთ, აბსოლუტიზმის მიხედვით ვინ არის ძალაუფლების წყარო?

- იმსჯელეთ, როგორ და რატომ ამყარებდა რელიგია აბსოლუტისტურ ძალაუფლებას?
- როგორ შეაფასებთ კოლბერის ეკონომიკურ პოლიტიკას. იმსჯელეთ, რამდენად თანამედროვედ გამოიყურება მისი ეკონომიკური პოლიტიკა?
- იმსჯელეთ, ლუი XIV-ის მმართველობის სტილი რამდენად მისაღები უნდა ყოფილიყო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის?
- იმსჯელეთ, აბსოლუტური მონარქია რამდენად მდგრადი და ხანგრძლივი მმართველობის სისტემა შეიძლება ყოფილიყო?
- იმსჯელეთ, ლუი XIV-ის მმართველობის დადებით და უარყოფით შედეგებზე?
- იმსჯელეთ, რატომ სჭირდება აბსოლუტიზმს კულტურა - რა მიზნით შეიძლება კულტურის განვითარებისთვის აბსოლუტისტურ სისტემაში კარგი პირობები შეიქმნას
- გაიხსენეთ სხვადასხვა ეპოქის ისტორიული მაგალითები - იმსჯელეთ, რამდენად ხშირია შეუზღუდავი ძალაუფლების მიერ პირადი ლეგიტიმაციისთვის კულტურის გამოყენება?
- რა იცით ქართულ-ფრანგული ურთიერთობების შესახებ?

**ნაბიჯი 5 (§41. 42)**
**როგორ შეიცვალა ირანი და რუსეთი რეფორმების შედეგად - რა იყო ამ რეფორმების მთავარი მიზანი და შედეგები (ძალაუფლება, ისტორიული მოვლენა/პროცესი), პარაგრაფები: როგორ გაძლიერდა სეფიანთა დინასტია ირანში? როგორ გარდაქმნა პეტრე I-მა ძველი რუსეთი ევროპულ სახელმწიფოდ?**

- გაიხსენეთ წინა მასალა და იმსჯელეთ, რატომ ვერ ახერხებდა სეფიანებამდე ირანი ძლიერი ირანული სახელმწიფოს შექმნა?
- იმსჯელეთ, შაჰ-ისმაილის რელიგიურ პოლიტიკაზე - იყო ეს მხოლოდ რელიგიური საკითხი თუ მსოფლმხედველობით-პოლიტიკური?
- იმსჯელეთ, როგორ აისახებოდა საქართველოზე ამასიის ზავი?
- იმსჯელეთ, რატომ ცდილობდა ირანი მოკავშირეების ევროპაში პოვნა?
- იმსჯელეთ, შაჰ აბასის რეფორმებზე - რა მიზეზებმა განაპირობა მის მიერ გატარებული რეფორმები?
- იმსჯელეთ, რა უნდა ყოფილიყო მისი რეფორმების ძირითადი მიზანი - რატომ სურდა მას ელიტურის ნაცვლად უფრო მერიტოკრატიული საზოგადოების შექმნა?
- იმსჯელეთ, როგორ ნაწილდებოდა ირანში ძალაუფლება შაჰ აბასის რეფორმებამდე - რატომ იყო სახელმწიფო სუსტი?
- იმსჯელეთ, რა შედეგებს მოუტანდა არაირანელების სახელმწიფოში ინტეგრაცია ირანულ სახელმწიფოს. გაიხსენეთ ოსმალეთის მაგალითი განვლილი მასალიდან?
- იმსჯელეთ, რა ინტერესები ჰქონდა კავკასიაში შაჰ აბასს - რატომ ილაშქრა მან საქართველოში?
- იმსჯელეთ, რატომ მიიჩნევა შაჰ აბას I ირანის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მმართველად?
- იმსჯელეთ, რატომ განაპირობა შაჰ აბასის მმართველობამ ირანული კულტურის აღზევება. გაიხსენეთ სხვა ისტორიული მაგალითები - როგორ აისახება პოლიტიკური რეალობას კულტურაზე?
- იმსჯელეთ, შაჰ აბასის მმართველობის ძირითად შედეგებზე?
- იმსჯელეთ, რა ტიპის სივრცეს წარმოადგენდა რუსეთი - გაიხსენეთ წინა მასალა და იმსჯელეთ, მის გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მახასიათებლებზე?

- იმსჯელეთ, როგორ შექმნა ივანემ ძალაუფლების თავისი მოდელი - რა ფაქტორებს ემყარებოდა მისი ძალაუფლება?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთისთვის ზღვაზე გასავალი - რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებს მოუტანდა რუსეთს ზღვაზე გასვლა?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და შეადარე რუსეთი სხვა დიდ სახელმწიფოებს. რა პარამეტრებში ჩამორჩებოდა რუსეთი განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებს - იმსჯელეთ, მათ მმართველობის მოდელზე, პოლიტიკურ კულტურაზე, ეკონომიკასა და საზოგადოებრივ პროცესებზე?
- იმსჯელეთ, როგორ შეცვალა პეტრემ რუსეთი რეფორმებით - განიხილე მისი რეფორმების მნიშვნელობა და პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი შედეგები?
- იმსჯელეთ, რატომ სჭირდებოდა პეტრეს აბსოლუტური ძალაუფლება რეფორმების გასატარებლად. რა ძალაუფლების ცენტრები არსებობდა რუსეთში - როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება?
- იმსჯელეთ, რა იყო პეტრეს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზნები?
- იმსჯელეთ, რომელი სახელმწიფოები იყვნენ რუსეთის მთავარი კონკურენტები საგარეო პოლიტიკაში?
- იმსჯელეთ, რომელი სივრცეები წარმოადგენდა რუსეთის ინტერესების ობიექტს - ვინ იყო მათი კონკურენტი ამ სივრცეებზე გავლენის მოპოვებისათვის?

**კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად**

**აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;**
- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს მოხსენების მოსამზადებლად?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი მოხსენებაა?

**ახსენი, რატომ შექმენი მოხსენება? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?**
- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?

- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

**რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**

- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (რა დახმარება გაუწიეთ თანაკლასელებს/მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღეთ მათგან);
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? *(მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?*
- ხვდებით თუ არა წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო(მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

**შემაჯამებელი დავალება N4 (ნიმუში)**

შემაჯამებელი დავალება 4 - **ისტორია**

მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი -----------------------------------------------------

**სამოქალაქო ომი ინგლისში მეფესა და პარლამენტს შორის**

1. **როდის მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი ინგლისში მეფესა და პარლამენტს შორის? დაასახელეთ სამი ისტორიული მოვლენა, რომელიც ინგლისში სამოქალაქო ომის პერიოდს წინ უსწრებდა და მოსდევდა?**

| სამი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა ინგლისში სამოქალაქო ომის პერიოდს | თარიღი/პერიოდი | სამი მოვლენა, რომელიც მოსდევდა ინგლისში სამოქალაქო ომის პერიოდს |
|---|---|---|
| 1. | | 1. |
| 2. | | 2. |
| 3. | | 3. |

2. დაასახელეთ სამი გეოგრაფიული ობიექტი/პუნქტი (ევროპაში), რომლების შესახებაც ისწავლეთ ინგლისში სამოქალაქო ომის პერიოდის შესწავლისას.

| გეოგრაფიული ობიექტის/პუნქტის დასახელება | რით იყო ეს ობიექტი/პუნქტი მნიშვნელოვანი | მეფის მომხრე | პარლამენტის მომხრე |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

3. საიდან გვაქვს ინფორმაცია ინგლისში სამოქალაქო ომის შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?

| წყაროს ტიპის დასახელება | ვინ შექმნა | რის შესახებ მოგვითხრობს | როდის და რატომ შეიქმნა | რამდენად სანდოა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**4. როგორ აისახა სამოქალაქო ომი მეფესა და პარლამენტს შორის ინგლისის მმართველობის ფორმაზე?**

| | მახასიათებლები | ვის აღიქვამდნენ ძალაუფლების წყაროდ | ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები | შედარება სხვა ეპოქასთან |
|---|---|---|---|---|
| მონარქია (სტიუარტთა დინასტიის მმართველობა | | | | |
| პარლამენტი | | | | |

5. როგორი იყო ინგლისში სამოქალაქო ომის პერიოდის საზოგადოება?

| სოციალური ფენა/ჯგუფი | მათ ინტერესებს პარლამენტში იცავდა... | რელიგიური/პოლიტიკური/ ეკონომიკური მახასიათებლები | მეფის მომხრე/მოტივი | პარლამენტის მომხრე/მოტივი | სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

6. დაასახელეთ ინგლისში მეფესა და პარლამენტს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომთან დაკავშირებული თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი/ისტორიული მოვლენა/პროცესი?

| ისტორიული მოვლენა | მიზეზი | შედეგი | მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისთვის | ანალოგიური მოვლენა (ფაქტებით განმტკიცება) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**შეფასების რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასებისათვის N4**

| კლასი **XI**<br>თემა **გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო**<br>ძირითადი საკითხი **სამოქალაქო ომი ინგლისში**<br>მოსწავლე | | |
|---|---|---|
| **შეფასების კრიტერიუმი**<br>მოსწავლეს შეუძლია: | მაქსიმალური ქულა | კომენტარი |
| **წყარო/ინტერპრეტაცია**<br>ინგლისის სამოქალაქო ომის შესახებ მოცემული წყაროების კლასიფიცირება და მათზე დაყრდნობით მეფესა და პარლამენტს შორის დაპირისპირებასთან დაკავშირებული ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიციის გამოკვეთა; წყაროებზე მსჯელობისას მათი მიკერძოებულობისა და სანდოობის ხარისხის დადგენა, კრიტიკულად შეფასება და მათ მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა. | 1 | |
| **დრო**<br>ინგლისის სამოქალაქო ომის, როგორც დიდი ისტორიული ცვლილებების ხანის გამოკვეთა და მისი მახასიათებლების გამოყოფა; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელმაც, ინგლისის სამოქალაქო ომი წარმოადგინა, როგორც რევოლუციური ცვლილებების ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი ნაწილი. | 1 | |
| **სივრცე**<br>ინგლისის იმ ტერიტორიული არეალის გამოკვეთა, სადაც მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი; ამ ისტორიული მოვლენის მიმდინარეობის დროს ინგლისის ტერიტორიების იმ ნაწილების გამოყოფა, რომელიც მეფეს უჭერდა მხარს ან პარლამენტს; ინგლისის სამოქალაქო ომზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; | 1 | |
| **საზოგადოება**<br>ინგლისის სამოქალაქო ომში მონაწილე საზოგადოების დახასიათება, სოციალური ფენების გამოკვეთა, მათ რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებზე მსჯელობა; საზოგადოების იმ ჯგუფების გამოყოფა, რომლითაც დაკომპლექტებული იყო ინგლისის პარლამენტი. XVII საუკუნის ინგლისის საზოგადოების სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება; | 1 | |
| **ძალაუფლება**<br>სტიუარტთა დინასტიის მმართველობის და ინგლისის პარლამენტის მახასიათებლების გამოყოფა, ძალაუფლების წყაროსთან მიმართებით ინგლისის სამოქალაქო ომის მონაწილე მხარეთა | 1 | |

| | | |
|---|---|---|
| შეხედულებების ანალიზი და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმებზე მსჯელობა; სხვა ეპოქის მმართველობის ფორმებთან შედარება; | | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი**<br>ინგლისის სამოქალაქო ომის მიზეზებზე და შედეგებზე მსჯელობა და მისი, როგორც ისტორიული მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობის გამოკვეთა; მეფესა და პარლამენტს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის მნიშვნელობის შეფასება; ინგლისის სამოქალაქო ომის ანალოგიური მოვლენის დასახელება და ფაქტებით განმტკიცება; | 1 | |

**კლასი:** **XI**

**თემის სახელწოდება:** **„ ხანგრძლივი XIX საუკუნე“**
**საათების სავარაუდო რაოდენობა** **25**
**ძირითადი რესურსი:** **გრიფირებული სახელმძღვანელო**

| **სამიზნე ცნება** | **საკითხი**1<br>ცვლილებების ეპოქა | **საკითხი** 2<br>ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული მახასიათებლები XIX საუკუნის I ნახევარში | **საკითხი** 3<br>მსოფლიო XIX საუკუნის II ნახევარში |
|---|---|---|---|
| **ძალაუფლება** | **ქვესაკითხი**: როგორ იცვლება „ძალაუფლების“ გაგება XVIII საუკუნეში; ამერიკული ფასეულობები ძალაუფლების შესახებ; რევოლუციით შეცვლილი მმართველობა საფრანგეთში; ნაპოლეონის მიერ შექმნილი ახალი მმართველობა;<br><br>**ქვეცნება:**<br>მმართველობის ფორმა | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **საზოგადოება** | **ქვესაკითხი:** ფრანგული საზოგადოება XVIII საუკუნეში; ამერიკული საზოგადოების პოლიტიკური პოზიციები, ინტერესები და იდენტობის საშუალებები; საფრანგეთის საზოგადოების განწყობები, პოზიციები, ინტერესები რევოლუციის დროს; მერიტოკრატიული და კონკურენტული საზოგადოება საფრანგეთში;<br><br>**ქვეცნება:**<br>ყოველდღიურობა | | **ქვესაკითხი:** კონფლიქტები საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის; დაყოფილი საზოგადოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება; ამერიკის საზოგადოების ინტერესები, საზრუნავი, პოლიტიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები; ცვლილებები იაპონურ და ჩინურ საზოგადოებაში XIX საუკუნის II ნახევარში;<br><br>**ქვეცნება:**<br>ყოველდღიურობა |
| **დრო** | **ქვესაკითხი**: განმანათლებელთა ეპოქა; ფრანგული კალენდარი; ნაპოლეონის ეპოქა;<br><br>**ქვეცნება:**<br>ხანგრძლივი XIX საუკუნე | | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი** | | **ქვესაკითხი:** ინდუსტრიული რევოლუცია; ვენის კონგრესი და შეცვლილი ევროპა; პოლიტიკური მოვლენები 1815- 1850 წლების ევროპაში; რუსეთის იმპერიის გაძლიერება, ყირიმის ომის მიზეზები და შედეგები;<br><br>**ქვეცნება:**<br>ომი; რევოლუცია;<br>ისტორიული პიროვნება;<br>აჯანყება; | **ქვესაკითხი**: ერთიანი იტალიის შექმნა; გერმანიის გაერთიანება, ამერიკის სამოქალაქო ომის მიზეზები და შედეგები; ჩინეთი და იაპონია XIX საუკუნეში;<br><br>**ქვეცნება:**<br>ომი;<br>ისტორიული პიროვნება;<br>რეფორმები; |

| | | | |
|---|---|---|---|
| **სივრცე** | | **ქვესაკითხი:** სივრცე, რომელიც მოიცვა ინდუსტრიულმა რევოლუციამ; პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური ევროპული სივრცე; რუსული იმპერიული სივრცე; ყირიმის ომის სივრცული მახასიათებლები;<br><br>**ქვეცნება:**<br>ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია; | |
| **ისტორიული წყარო** | | | **ქვესაკითხი:** საზოგადოებაში გავრცელებული ახალი ტიპის წყაროები; წყაროების სანდოობის ხარისხის განსაზღვრა;<br><br>**ქვეცნება:**<br>ნარატიული წყაროები;<br>დოკუმენტები;<br>ისტორიული რუკები,<br>ილუსტრაციები; |
| **კომპლექსურ ი დავალება** | **კომპლექსური დავალება 1**<br>წარმოიდგინე, რომ ხარ მკვლევარი და უნდა შექმნა **სტატია** სამეცნიერო ჟურნალისთვის მმართველობის ფორმების შესახებ XVII-XVIII საუკუნის დასავლურ სამყაროში. | **კომპლექსური დავალება 2**<br>წარმოიდგინე, რომ ხარ XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს დიდი ამერიკული კომპანიის მმართველი და გსურს შენი ბიზნესი ევროპაში გააფართოო. ამისთვის სწავლობ ევროპულ ბაზარს - ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ მახასიათებლებს. უნდა წარდგე კომპანიის აქციონერების წინაშე და წარუდგინო **ანგარიში**, რისი მეშვეობითაც მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, თუ ევროპის რომელ სახელმწიფოში ჯობია თქვენი ბიზნესის გაფართოება. | **კომპლექსური დავალება 3**<br>წარმოიდგინე, რომ ხარ მკვლევარი, რომელიც იკვლევს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებას - მის იდენტობას, ინტერესებს, საზრუნავებს. დაწერე **სტატიაში**, რომელშიც მიმოიხილავ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებას იმ პერიოდის მსოფლიოში. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებლად** | **სახელმძღვანელოს პარაგრაფები:**<br>როგორ შეცვალეს განმანათლებლებმა დასავლური სამყარო;<br>როგორ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები;<br>როგორ შეცვალა რევოლუციამ საფრანგეთი;<br>როგორ შეცვალა ნაპოლეონმა ევროპის ისტორია;<br><br>**ტელესკოლა**<br>საფრანგეთის რევოლუცია<br>https://youtu.be/LYqvzycH_FE | **სახელმძღვანელოს პარაგრაფები:**<br>როგორ შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ სამყარო;<br>რატომ მიიჩნევა XIX საუკუნე ბრიტანეთის იმპერიის დიდების ხანად;<br>როგორ იქცა რუსეთი აღმოსავლეთის უმთავრეს პოლიტიკურ ძალად;<br>როგორ შეცვალა 1848 წელმა და ყირიმის ომმა ევროპული რეალობა?<br><br>**ტელესკოლა**<br>ყირიმის ომი და აღმოსავლეთის საკითხი<br>**https://youtu.be/jtE3FUC16I8** | **სახელმძღვანელოს პარაგრაფები**<br>რატომ განაპირობა რომანტიკულმა ნაციონალიზმმა ერთიანი იტალიის შექმნა;<br>რატომ დაიწყო სამოქალაქო ომი ამერიკაში;<br>როგორ განვითარდა შორეული აღმოსავლეთი;<br>როგორ შეცვალა გერმანიის გაერთიანებამ ევროპა;<br><br>**ტელესკოლა**<br><br>იტალიის გაერთიანება<br>https://youtu.be/Zv8CRnxD3lw<br><br>გერმანიის გაერთიანება<br>https://youtu.be/43pXucUdglE<br><br>ამერიკის სამოქალაქო ომი;<br>https://youtu.be/Cgk3rxCbWzk |

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**

- ახალი დრო დასავლური ცივილიზაციის (ღირებულებითი სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა) დანარჩენ მსოფლიოზე გაბატონების პერიოდია;
- ახალი დრო რაციონალიზმის მიერ რელიგიურ შეხედულებებზე უპირატესობის მოპოვების, სოციალური ტურბულენტობისა, უფლებების და თავისუფლებების ახლებური გააზრების პერიოდია;
- ახალი დრო პოლიტიკური მმართველობის ახალი სისტემებისა და ახალი ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბების პერიოდია, როდესაც ბიუროკრატიული აპარატი სრულად ექცევა მმართველის ხელისუფლების კონტროლქვეშ და სახელმწიფოს მაქსიმალურ ცენტრალიზაციას ემსახურება;
- ახალ დროში ევროპის კონტინენტზე კალენდრის მორიგი რეფორმის მცდელობა სახელმწიფოს რადიკალურ ტრანსფორმაციას დაუკავშირდა, თუმცა მისი დაკანონება ვერ მოხდა;
- ახალი დროის ქვედა და ზედა ნიშნულები, ისევე როგორც წინა პერიოდში მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია თუმცა მის პირობითობასა და რომელიმეს უპირატესობაზე მეცნიერებს შორის დავა არ წყდება.
- ახალ დროში ახალი კონტინენტების, ახალი კოლონიებისა და ახალი სივრცეების ათვისების პერიოდია;
- ახალ დროში საზღვაო - საოკეანო გზებმა საბოლოოდ მოიპოვა უპირატესობა ტვირთბრუნვის უკეთესი მობილობისა და დროის დაზოგვის გამო სახმელეთო გზებზე;
- საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ სარკინიგზო ქსელის ჩამოყალიბება განაპირობა, რამაც არა მხოლოდ თითოეული ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის, არამედ სხვადასხვა რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირება უზრუნველყო;
- საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებების დახვეწამ, ასევე სავაჭრო -საკომუნიკაციო ქსელის გაფართოებამ სამყაროს „დაპატარავება“ გამოიწვია და დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენლებს საშუალება მისცა ყველა კონტინენტი აეთვისებინა.
- სივრცობრივად სხვადასხვა კონტინენტის მოსახლეობის დაკავშირებას ხელი შეუწყო ფოსტა-ტელეგრაფის განვითარებამაც.
- ახალი დროში  წერილობითი წყაროები გამრავალფეროვნდა, რადგან ისტორია როგორც დისციპლინა, მისი მეცნიერული აპარატი და მეთოდოლოგია მყარი სამეცნიერო საფუძვლებით გამყარდა.
- სხვადასხვა ისტორიული დარგებისა და დისციპლინების დივერსიფიკაციამ რამაც წყაროთა ტიპის მრავალფეროვნებასთან ერთად დამუშავების მექანიზმებიც შემოგვთავაზა, შესაძლებელი გახადა საკვლევი ეპოქის უფრო მეტად კომპლექსური რეკონსტრუირება;
- ახალი დროის წყაროების სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურებები და მათი შექმნის ადგილი, თუმცა წინა ეპოქისგან განსხვავებით სულ უფრო მეტ უპირატესობას იძენს საერო ხასიათის მოცემულობა;
- ახალ დროში ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად განაპირობა ნარატიულ წყაროთა მრავალფეროვნების(პერიოდიკა, ფოტო-ფონო მასალა...) ზრდა და ასევე მათზე ხელმისაწვდომობა, ხოლო ისტორიულმა სკოლებმა  მნიშვნელოვნად განავითარეს წყაროს დამუშავების მეთოდოლოგია.
- ახალ დროში ბურჟუაზიამ მოიპოვა სრული ეკონომიკური უპირატესობა სხვა სოციალურ ჯგუფებზე და დაიწყო ბრძოლა პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად;

- ახალი დროის მოაზროვნეებმა და ფილოსოფოსებმა ადამიანისა და პიროვნების თავისუფლებების,
- უფლება-მოვალეობების, რელიგიური იდეების რადიკალური გადააზრებით არსებული მმართველობისა თუ სახელმწიფო
- მოწყობის ფორმების ცვლილებები დააყენეს დღის წესრიგში, რაც საზოგადოებრივ პროცესებში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ჩართვას განაპირობებდა;
- ფეოდალური ურთიერთობები და ფეოდალური სოციალური სისტემა ბრიტანეთში ევოლუციური ცვლილებების
- გზით ტრანსფორმირდებოდა, კონტინენტურ ევროპაში კი რადიკალური რევოლუციური ეტაპები დასჭირდა სოციალური სტრუქტურის ცვლილებას;
- „ინდუსტრიულმა რევოლუციამ“ და სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა შეცვალა დასავლური საზოგადოებრივი ცხოვრება და რადიკალური ცვლილებები კოლონიების მოსახლეობასაც;
- ახალი დრო სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ბუნების იდეოლოგიების (ნაციონალიზმი, რომანტიზმი, სოციალიზმი, კაპიტალიზმი, აბოლიციონიზმი, ფემინიზმი...) და მასთან შესაბამისი აქტივიზმის აღზევების პერიოდია, რაც სოციალურ პროცესებს განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენდა;
- ტექნოლოგიურმა პროგრესმა და თანამდევმა რადიკალურმა სოციალურმა, და მსოფლმხედველობრივმა ცვლილებებმა ე.წ. „მომხმარებელი საზოგადოების“ (კონსუმერიზმი) ფორმირება განაპირობა.
- ახალ დროში დასავლური ცივილიზაციის არეალში საერო ხელისუფლებამ სრულად ჩამოაშორა სასულიერო ხელისუფლება სახელმწიფო მართვის ბერკეტებს;
- ახალი დროში ბიუროკრატიული აპარატზე, ჯარსა და შეიარაღებაზე, განათლებასა და იდეოლოგიაზე სახელმწიფო მეთაურის კონტროლი აბსოლუტისტური რეჟიმების გაბატონებას განაპირობებდა;
- ახალი დრო დიდი რევოლუციების ეპოქაა, აბსოლუტური ხელისუფლება კრიზისს განიცდის და ძალაუფლება ნაწილდება ახალ საზოგადოებრივ ფენებს შორის.
- ახალ დროში ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მექანიზმებში ეკონომიკურ ფაქტორებმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა;
- ახალ დროში ძალაუფლებისთვის ბრძოლა ცდება კონკრეტული ქვეყნის შიგნით პოზიციების მოპოვებად და ხშირად გლობალურ მასშტაბს იღებს.
- ნაპოლეონის ომებისა და ვენის კონგრესის შედეგად ევროპის პოლიტიკური რუკა შეიცვალა;
- ახალი პერიოდში ნაციონალიზმი დასავლური სახელმწიფოების დომინანტურ პოლიტიკურ დოქტრინად იქცა და ნაცია-სახელმწიფოებისა და ცენტრალიზაციის პროცესმა გერმანიისა და იტალიის გაერთიანებაც გამოიწვია;
- ახალი დროში დასავლურმა კოლონიურმა იმპერიებმა და კოლონიალიზმის სისტემამ განსაზღვრა დასავლური ცივილიზაციის დომინანტური როლი;
- ახალი დრო რევოლუციებით სახელმწიფოებრივი გარდაქმნების, ერად ფორმირების და ნაცია-სახელმწიფოების დასრულების პერიოდია;
- ახალ პერიოდში მსოფლიო გადანაწილების არსებულმა მოდელით უკმაყოფილებამ სახელმწიფოების დაპირისპირებულ ბანაკებად გადაჯგუფება გამოიწვია.

**კომპლექსური ტიპის დავალება N5. თემატური მატრიცა**

**თემა** - ხანგრძლივი XIX საუკუნე

**სამიზნე ცნება - ძალაუფლება - (შედეგი** 3,4,5,6,7,8)**; ქვეცნება (ზოგადი) -** მმართველობის ფორმა; **ქვეცნება (კერძო) -** აბსოლუტური მონარქია, კონსტიტუციური მონარქია, რესპუბლიკა; **ქვესაკითხი -** როგორ იცვლება „ძალაუფლების" გაგება XVIII საუკუნეში; ამერიკული ფასეულობები ძალაუფლების შესახებ; რევოლუციით შეცვლილი მმართველობა საფრანგეთში; ნაპოლეონის მიერ შექმნილი ახალი მმართველობა;
**სამიზნე ცნება - საზოგადოება – (შედეგი** 1,2,3,4,5,6); **ქვეცნება (ზოგადი) -** ყოველდღიურობა; **ქვეცნება (კერძო) -** სოციალური ფენები; „სამწევროვანი დაყოფა"; ცვლილებები ფრანგულ საზოგადოებაში; ამერიკული საზოგადოება რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ;
**ქვესაკითხი -** ფრანგული საზოგადოება XVIII საუკუნეში; ამერიკული საზოგადოების პოლიტიკური პოზიციები, ინტერესები და იდენტობის საშუალებები; საფრანგეთის საზოგადოების განწყობები, პოზიციები, ინტერესები რევოლუციის დროს; მერიტოკრატიული და კონკურენტული საზოგადოება საფრანგეთში;
**სამიზნე ცნება - დრო – (შედეგი** 1,2,3,4,5,6); **ქვეცნება (ზოგადი) -** ისტორიული ეპოქა; **ქვეცნება (კერძო) –** „ხანგრძლივი XIX საუკუნე"; ნაპოლეონის ეპოქა; **ქვესაკითხი:** განმანათლებელთა ეპოქა; ფრანგული კალენდარი; ნაპოლეონის ეპოქა;

**საკითხი - ცვლილებების ეპოქა**

**საკვანძო შეკითხვა** - როგორ წარმოვაჩინო **სამეცნიერო ჟურნალისათვის შექმნილ სტატიაში** ცვლილებები დასავლური სამყაროს მმართველობის ფორმები XVII-XVIII საუკუნეში?

**კომპლექსური დავალება** - წარმოიდგინე, რომ ხარ მკვლევარი და უნდა შექმნა **სტატია** სამეცნიერო ჟურნალისთვის მმართველობის ფორმების შესახებ XVII-XVIII საუკუნის დასავლურ სამყაროში.

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | **ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** |
|---|---|---|
| **ძალაუფლება:**<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; | **ძალაუფლება:**<br>• დაახასიათოს „ხანგრძლივი XIX საუკუნის" ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოები, მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; შეადაროს ისინი სხვა ისტორიულ პერიოდებს **(მ.წ. 1, 3, 4);** | • როგორ მიმდინარეობდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა დასავლურ სამყაროში (ევროპა, ამერიკა) - რა ძირითადი მოსაზრებები არსებობდა მმართველობის სისტემების შესახებ, როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება, რა |

| | | |
|---|---|---|
| • ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br>• ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;<br>• დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.<br>**საზოგადოება:**<br>• ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;<br>• საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;<br>• პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;<br>• საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.<br>**დრო:**<br>• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;<br>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;<br>• სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ. | • გააანალიზოს „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბროლის თავისებურებები **(მ.წ. 2)**<br>• გააანალიზოს ვინ/რა განიხილებოდა „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ ეპოქაში ძალაუფლების წყაროდ; რა წარმოადგენდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველს **(მ.წ. 4, 5).**<br><br>**საზოგადოება:**<br>• ახასიათებს ფრანგული და ამერიკული საზოგადოების იდენტობის საშუალებებს; გამოკვეთს თითოეული ჯგუფის წევრების საერთო ინტერესებს და საზრუნავს **(მ.წ. 1, 3);**<br>• აანალიზებს რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა XVII-XVIII საუკუნეების ევროპული და ამერიკული საზოგადოება **(მ.წ. 3);**<br>• გააანალიზოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ევროპული და ამერიკული სამყაროს საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი **(მ.წ. 4)**<br><br>**დრო:**<br>• სხვადასხვა ისტორიული პერიოდის მახასიათებლების გამოკვეთა და სხვა ეპოქებთან შედარება **(მ.წ. 1, 2);**<br>• როგორ აღიქვამდნენ საკუთარ ეპოქას XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ და ამერიკულ სამყაროში მცხოვრები ადამიანები **(მ.წ. 3).** | საშუალებებით ინარჩუნებდნენ მას. (ძალაუფლება 1, 2, 3)<br>• როგორ შეიცვალა მმართველობის მოდელი რევოლუციების შემდეგ ამერიკასა და საფრანგეთში - როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება (ძალაუფლება 1, 2, 3, 4, 5)<br>• როგორ შეიცვალა საზოგადოება საფრანგეთსა და ამერიკაში რევოლუციების შედეგად - რა ჯგუფებად იყოფოდა ის, რა პოლიტიკური პოზიცია ჰქონდა, რა იყო ამ ჯგუფების ინტერესები და იდენტობის საშუალებები (საზოგადოება 1, 2)<br>• როგორ შეცვალა ნაპოლეონმა მმართველობის მოდელი და ფრანგული/ევროპული საზოგადოება. რა იყო კონფლიქტის ძირითადი მიზეზი ნაპოლეონსა და ევროპულ მონარქიებს შორის (ძალაუფლება 1, 2 3, 4; საზოგადოება 3)<br>• რატომ მიიჩნევა საფრანგეთის და ამერიკის რევოლუციები მათ ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისად (დრო, 1, 2, 3) |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**რესურსები/განსახილველი ქეისები:**

**რესურსი 1**. სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), ისტორია, XI კლასი,; „სულაკაურის გამომცემლობა“, მეხუთე თავი თავი, პარაგრაფები: §60-61, 62-63-64, 65-66, 67-68;

**რესურსი 2**. ელ. რესურსები

როგორ დავწეროთ კარგი სტატია?
https://files.fm/f/u458bfhbm

- სტატიის მახასიათებლების სამუშაო ფურცელი
https://files.fm/f/upz33dxnx
- განმანათლებლობა - Silk School
https://youtube.com/watch?v=5_qMFH9jlW8&si=EnSIkaIECMiOmarE
- განმანათლებლები და ფიზიოკრატები - Silk School
https://youtube.com/watch?v=9uorQ6X0qQc&si=EnSIkaIECMiOmarE
- 1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუცია - Silk School
https://youtube.com/watch?v=RQ8O2UdZSok&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია - აბიტურიენტის დრო- საფრანგეთის რევოლუცია  - ტელესკოლა
https://youtube.com/watch?v=LYqvzycH_FE&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, XI კლასი - საფრანგეთის დიდი რევოლუცია - 10 ივნისი, 2020  - ტელესკოლა
https://youtube.com/watch?v=qLQtGHoMXMA&si=EnSIkaIECMiOmarE
- ბრძოლა აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის - Silk School
https://youtube.com/watch?v=P_UueGReqBg&si=EnSIkaIECMiOmarE
- ნაპოლეონის ომები- Silk School
https://youtube.com/watch?v=cUV87bwAbY0&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, აბიტურიენტის დრო - ნაპოლეონის იმპერიის აღზევება - ტელესკოლა
https://youtube.com/watch?v=CKqxxbFAZPs&si=EnSIkaIECMiOmarE
- ნაპოლეონის ეპოქა 1 - Silk School
https://youtube.com/watch?v=e9Du86ME-L4&si=EnSIkaIECMiOmarE
- ნაპოლეონის ეპოქა 2 - Silk School
https://youtube.com/watch?v=rpUB5m5komU&si=EnSIkaIECMiOmarE

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**

**განმანათლებლობა**

- თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განიმარტოს განმანათლებლობა?
- რა გახსენდებათ მონტესკიეს, ლოკის, ვოლტერის, ჟან-ჟაკ რუსოს შესახებ? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- რა გახსენდებათ მმართველობის ფორმებთან დაკავშირებით?
- თქვენი აზრით რა მახასიათებლებით გამოირჩეოდა განმანათლებლობა?

**საფრანგეთის რევოლუცია**

- გაიხსენეთ, რა იცით საფრანგეთის დამოუკიდებლობის დღესთან, ჰიმნთან, დროშასთან დაკავშირებით?
- წინა კლასებში შესწავლილი მასალებიდან გაიხსენეთ, თუ როგორ შეიცვალა მმართველობის ფორმა საფრანგეთში?
- გაიხსენეთ, როგორ შეიძლება განიმარტოს რევოლუცია?
- რა გახსენდებათ ნაპოლეონთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)

**ამერიკის რევოლუცია**

- გაიხსენეთ, რა იცით ამერიკის კოლონიზაციის პროცესთან დაკავშირებით?
- რა იცით აშშ-ს შექმნასთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- თუ გსმენიათ რაიმე ამერიკის რევოლუციის შესახებ?

**სტატია**

- რა არის სტატია?
- რა მიზნით იწერება სტატია?
- რა ინფორმაციას გაწვდის რესურსი სტატიის შექმნის შესახებ?
- გამოყავით სტატიის მახასიათებლები?
- რა განსხვავებაა მოხსენებასა და სტატიას შორის?
- როგორ შეიძლება სტატიის საშუალებით წარმოვაჩინოთ ჩვენი შეხედულებები? **(რესურსი 2)**

**კომპლექსური დავალება**

თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?

მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ცნება - ძალაუფლება**

**ქვეცნება - (ზოგადი) -** მმართველობის ფორმა;

**ქვესაკითხები -** როგორ იცვლება „ძალაუფლების" გაგება XVIII საუკუნეში; ამერიკული ფასეულობები ძალაუფლების შესახებ; რევოლუციით შეცვლილი მმართველობა საფრანგეთში; ნაპოლეონის მიერ შექმნილი ახალი მმართველობა;

**ცნება - საზოგადოება**

**ქვეცნება - (ზოგადი) -** ყოველდღიურობა;

**ქვესაკითხი** - ფრანგული საზოგადოება XVIII საუკუნეში; ამერიკული საზოგადოების პოლიტიკური პოზიციები, ინტერესები და იდენტობის საშუალებები; საფრანგეთის საზოგადოების განწყობები, პოზიციები, ინტერესები რევოლუციის დროს; მერიტოკრატიული და კონკურენტული საზოგადოება საფრანგეთში;

**სამიზნე ცნება - დრო**

**ქვეცნება (ზოგადი) -** ისტორიული ეპოქა; **ქვეცნება (კერძო) - გვიანი** შუა საუკუნეები და ახალი დრო; ნაპოლეონის ეპოქა;

**ქვესაკითხი:** განმანათლებელთა ეპოქა; ფრანგული კალენდარი; ნაპოლეონის ეპოქა;

**ნაბიჯი 1 (§ 60-62, 67-68)**

**როგორ მიმდინარეობდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა დასავლურ სამყაროში (ევროპა, ამერიკა) - რა ძირითადი მოსაზრებები არსებობდა მმართველობის სისტემების შესახებ, როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება, რა საშუალებებით ინარჩუნებდნენ მას. (ძალაუფლება 1, 2, 3)პარაგრაფები: განმანათლებლები, საფრანგეთის რევოლუცია (პირველი ქვეთავი) ამერიკის რევოლუცია**

- გაიხსენეთ წინა ისტორიული ეპოქები და იმსჯელეთ, განმანათლებელთა იდეები და ფასეულობები რომელი პერიოდების გამოცდილებას უკავშირდებოდა?
- იმსჯელეთ, რამდენად დგას თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია განმანათლებელთა მიერ შექმნილ საფუძველზე?
- გაიხსენეთ წინა მასალა და იმსჯელეთ, რა იდენტობის საშუალებები ჰქონდა წინა ეპოქების ევროპულ საზოგადოებას. რა იყო მათი ინტერესები, რწმენები და ღირებულებები? როგორ იყო ორგანიზებული მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება?
- იმსჯელეთ, რატომ აღიქვამდა ეკლესია სკეპტიკურად მეცნიერულ აღმოჩენებს?
- იმსჯელეთ, რატომ იყო განსხვავებული მეცნიერთა და ეკლესიის სამყაროს აღქმა?

- იმსჯელეთ, რატომ ჰქონდა ნაკლები შეხება საქართველოს დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ პროცესებთან?
- იმსჯელეთ, რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობდა საქართველოში და ევროპაში მიმდინარე პროცესებს შორის. მსჯელობის დროს აქცენტი გააკეთე, თუ რომელიც სოციალური ფენა ედგა განათლების პროცესს ევროპაში და რომელი - საქართველოში?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა გახადა შესაძლებელი ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და განათლების იოლი ხელმისაწვდომობა?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებისთვის წიგნის ბეჭდვას?
- იმსჯელეთ, როგორ იცვლებოდა ევროპული საზოგადოება ამ ეპოქაში?
- გაიხსენეთ წინა მასალა და იმსჯელეთ, რომელი მმართველობის მოდელი იყო დომინანტური ამ პერიოდის ევროპაში. ვის ხელში იყო ძალაუფლება მოქცეული?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ჯონ ლოკის იდეები რევოლუციური თავისი ეპოქისთვის. როგორ ხედავდა იგი სახელმწიფოს და ადამიანის ურთიერთობას?
- იმსჯელეთ, რატომ მიიჩნევდნენ განმანათლებლები, რომ აუცილებელი იყო რელიგიის და პოლიტიკის გამიჯვნა?
- გაიხსენეთ წინა ეპოქების ისტორიული მაგალითები და იმსჯელეთ, რელიგიის პოლიტიკური ნიშნით გამოყენებას რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს?
- იმსჯელეთ, როგორ ჰქონდათ განმანათლებლებს ძალაუფლების განაწილება სახელმწიფოში წარმოდგენილი? რამდენად თანამედროვედ გამოიყურება მათი ხედვები?
- იმსჯელეთ, ვინ მიაჩნდათ განმანათლებლებს ძალაუფლების წყაროდ?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი განმანათლებელთა იდეების გავრცელებისთვის სალონები და კაფეები? საზოგადოების რომელ ჯგუფებს აერთიანებდა ეს ორი ადგილი?
- მიმდინარე გლობალური ცვლილებების ფონზე დაახასიათე ამ პერიოდის დასავლური საზოგადოება. როგორ იცვლებოდა იგი?
- იმსჯელეთ, რა საზოგადოებრივი ჯგუფები გამოიყოფოდა ამ პერიოდის დასავლურ ევროპულ საზოგადოებაში - როგორი იყო მათი ინტერესები, ღირებულებები, საზრუნავი და ქცევის წესები?
- იმსჯელეთ, რა სტერეოტიპული წარმოდგენები ჰქონდათ ამ საზოგადოების წევრებს საზოგადოების სხვა ჯგუფების მიმართ - როგორი იყო მათი დამოკიდებულება?
- იმსჯელეთ, რა სხვაობა იყო დასავლურ ევროპულ განმანათლებლობასა და აბსოლუტისტურ განმანათლებლობას შორის?

**ნაბიჯი 2 (§62-63-64)**
**როგორ შეიცვალა მმართველობის მოდელი რევოლუციების შემდეგ ამერიკასა და საფრანგეთში - როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება (ძალაუფლება 1, 2, 3, 4, 5)პარაგრაფები: საფრანგეთის რევოლუცია, ამერიკის რევოლუცია, ნაპოლეონი (პირველი ქვეთავი)**

- იმსჯელეთ, როგორ შეიძლება ასახულიყო კოლონიების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ის ფაქტი, რომ ინგლისი მათ უპირველესად სავაჭრო-ეკონომიკური პერსპექტივიდან აღიქვამდა?
- იმსჯელეთ, როგორ ინაწილებდნენ ამერიკის სივრცეს დიდი ევროპული სახელმწიფოები?
- იმსჯელეთ, რაზე მეტყველებს ბოსტონის ამბოხი - როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება კოლონიებს შიგნით?

- იმსჯელეთ, რა ფაქტორები უწყობდა ხელს თვითმმართველობის კულტურის განვითარებას?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და წინა ისტორიული ეპოქების მიხედვით იმსჯელეთ, რატომ უწყობს ხელს საშუალო კლასი დემოკრატიას და რესპუბლიკური წყობის ჩამოყალიბებას?
- იმსჯელეთ, ამერიკული საზოგადოებისთვის მმართველობის რომელი მოდელი შეიძლება ყოფილიყო ყველაზე მოსაწონი. შენი პასუხი დაასაბუთე?
- იმსჯელეთ, რატომ იყო განმანათლებელთა იდეები პოპულარული ამერიკაში -რა ფაქტორები უწყობდა ხელს?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ამერიკელთათვის ინგლისთან ურთიერთობა ეკონომიკურად დამაზარალებელი?
- იმსჯელეთ, რა მიზეზები განაპირობებდა კონფლიქტს ამერიკასა და ინგლისს შორის?
- ამერიკული ფასეულობები და ხედვები ძალაუფლების შესახებ, რამდენად შეესაბამებოდა ძალაუფლების ორგანიზების და მმართველობის ევროპულ ტრადიციას. იმსჯელეთ, მსგავსებებსა და განსხვავებებზე?
- იმსჯელეთ, თანამედროვე სამყარო რამდენად უკავშირდება ამერიკის რევოლუციის ძირითად ფასეულობებს?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ამერიკის რევოლუციის წარმატებას?
- იმსჯელეთ, მმართველობის რა მოდელი უნდა დაემყარებინათ ამერიკის შტატებს. რამდენად შეეძლოთ მათ დამოუკიდებლად არსებობა?
- იმსჯელეთ, რა პრინციპებს, ფასეულობებს და იდეებს ეფუძნებოდა ამერიკის რესპუბლიკა?
- იმსჯელეთ, რატომ სურდათ შტატებს თვითმმართველობის და თავისი უფლებების შენარჩუნება?
- იმსჯელეთ, რამდენად შეინარჩუნა თანამედროვე აშშ-მ თავისი შექმნის დროინდელი პოლიტიკური პრინციპები, მმართველობის მოდელი და ფასეულობები?
- იმსჯელეთ, რატომ ახდენდა წოდებრივი სისტემა და აბსოლუტური მონარქია უარყოფით გავლენას სახელმწიფოს ცხოვრების ყველა ასპექტზე, მათ შორის ეკონომიკაზე?

**ნაბიჯი 3 (§65-66)**

**როგორ შეიცვალა საზოგადოება საფრანგეთსა და ამერიკაში რევოლუციების შედეგად - რა ჯგუფებად იყოფოდა ის, რა პოლიტიკური პოზიცია ჰქონდა, რა იყო ამ ჯგუფების ინტერესები და იდენტობის საშუალებები (საზოგადოება 1, 2).პარაგრაფები: საფრანგეთის რევოლუცია, ამერიკის რევოლუცია**

- იმსჯელეთ, რატომ ჩადიოდნენ ევროპიდან ამერიკაში - საზოგადოების რომელი ფენები მიდიოდნენ ყველაზე მეტად?
- იმსჯელეთ, საზოგადოების ამ კონტინგენტის ამერიკაში მიგრაცია, როგორ უნდა ასახულიყო მმართველობის ფორმაზე ამერიკაში?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორები განაპირობებდა ამერიკული საზოგადოების განსხვავებულ ხასიათს?
- იმსჯელეთ, რა მცირე ჯგუფებად იყოფოდა ამერიკული საზოგადოება?
- იმსჯელეთ, რა იყო ამერიკული საზოგადოების ძირითადი იდენტობის საშუალებები, ინტერესები, საზრუნავები და როგორ აღწერდი მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და წინა ისტორიული ეპოქების მიხედვით იმსჯელეთ, რატომ უწყობს ხელს საშუალო კლასი დემოკრატიას და რესპუბლიკური წყობის ჩამოყალიბებას?
- იმსჯელეთ, როგორი იყო რელიგიისადმი ამერიკელების დამოკიდებულება. რით განსხვავდებოდა რელიგიისადმი ამერიკული საზოგადოების დამოკიდებულება ევროპულისგან?

- იმსჯელეთ, რატომ და როგორ შეუწყო ხელი ომებმა საერთო ამერიკული იდენტობის ჩამოყალიბებას?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და იპოვე ისტორიული პარალელები - რამდენად შეიძლება ომი საზოგადოების გამაერთიანებელი გამოდგეს?
- იმსჯელეთ, როგორ ნაწილდება ძალაუფლება აბსოლუტურ მონარქიაში. რამდენად სამართლიანად მიგაჩნია მმართველობის ეს მოდელი? შენი პასუხი დაასაბუთე
- იმსჯელეთ, რატომ იყო აუცილებელი რეფორმები საფრანგეთში. გაიხსენეთ სხვა სახელმწიფოების მაგალითი და შეადარე საფრანგეთის რეალობას?
- იმსჯელეთ, წყაროს და სხვა ცნობების მიხედვით, როგორ აღიქვამდა ლუი XV თავის ძალაუფლებას
- იმსჯელეთ, რატომ იყვნენ კათოლიკური ეკლესია და აბსოლუტური მონარქია მოკავშირეები
- იმსჯელეთ, როგორ ნაწილდებოდა საფრანგეთში ძალაუფლება - რამდენად სამართლიანი იყო წოდებრივი სისტემა
- იმსჯელეთ, რატომ იყო იძულებული ლუი XVI რეფორმები გაეტარებინა?
- იმსჯელეთ, რამდენად სამართლიანად იყო განაწილებული ასამბლეის მუშაობა - რამდენად ასახავდა ის ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას?
- იმსჯელეთ, რით განსხვავდებოდა საფრანგეთის ასამბლეა ინგლისის პარლამენტისგან?
- იმსჯელეთ, საფრანგეთის რევოლუციის გამომწვევ მიზეზებზე და მის შედეგებზე
- იმსჯელეთ, რატომ სდევდა თან საფრანგეთის რევოლუციას პოლიტიკური ქაოსი და ძალადობა?
- იმსჯელეთ, როგორ ნაწილდებოდა საფრანგეთის საზოგადოებაში განწყობები - რა ძირითადი ჯგუფები არსებობდა?
- იმსჯელეთ, რატომ შეუწყო ხელი საგარეო ფაქტორმა მეფის სიკვდილით დასჯას?
- იმსჯელეთ, რატომ არ უჭერდნენ რესპუბლიკას მხარს იმდროინდელი ევროპული სახელმწიფოები?
- იმსჯელეთ, რობესპიერის მმართველობის პერიოდზე - რა დადებითი და უარყოფითი შედეგები ჰქონდა მას?
- იმსჯელეთ, დირექტორიის მმართველობამ როგორ შეცვალა ფრანგული მმართველობა - როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება?

**ნაბიჯი 4 (§60-61, 62-63-64, 65-66, 67-68)**
**როგორ შეცვალა ნაპოლეონმა მმართველობის მოდელი და ფრანგული/ევროპული საზოგადოება. რა იყო კონფლიქტის ძირითადი მიზეზი ნაპოლეონსა და ევროპულ მონარქიებს შორის (ძალაუფლება 1, 2 3, 4) საზოგადოება პპარაგრაფი: ნაპოლეონი**

- გაიხსენეთ წინა პარაგრაფი და იმსჯელეთ, რატომ ვერ მოხერხდა რევოლუციის შემდეგ სტაბილური მმართველობის დამყარება?
- იმსჯელეთ, როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება დირექტორიის მმართველობის დროს. ძალაუფლების სხვა არაოფიციალური ცენტრები არსებობდა?
- იმსჯელეთ, რატომ უნდა ყოფილიყო ნაპოლეონი რესპუბლიკის მხარეზე - რა სოციალური და საზოგადოებრივი ფაქტორები განაპირობებდა ამას. გაიხსენე, რევოლუციას რომელ სოციალურ და საზოგადოებრივ ჯგუფებში ჰქონდა ყველაზე დიდი მხარდაჭერა?
- იმსჯელეთ, დირექტორიას რატომ შეუმცირდა მხარდაჭერა.?
- იმსჯელეთ, რამდენად შეეძლო ნაპოლეონს კარიერული აღმასვლა მონარქიულ სისტემაში?
- იმსჯელეთ, რამდენად ლეგიტიმური და კანონიერი იყო ნაპოლეონის მიერ დირექტორიის მმართველობის დამხობა?

- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა დირექტორიის მმართველობის დასასრული?
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ნაპოლეონს მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება - რას ემყარებოდა მისი ძალაუფლება?
- იმსჯელეთ, მმართველობის რა მოდელი შექმნა ნაპოლეონმა - როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება?
- იმსჯელეთ, რატომ არ სურდა ფორმალურად რესპუბლიკის გაუქმება?
- იმსჯელეთ, რატომ სარგებლობდა იგი ხალხის მხარდაჭერით?
- იმსჯელეთ, ფაქტობრივი ერთმმართველობის მიუხედავად რატომ მიაჩნდათ იგი რევოლუციის გამგრძელებლად და რევოლუციური ფასეულობების სიმბოლოდ?
- იმსჯელეთ, ნაპოლეონის რეფორმებზე - რა გზით წავიდა იგი. როგორ შეიძლება მის მიერ შექმნილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის შეფასება?
- გაიხსენე, როგორ ცხოვრობდნენ აბსოლუტური მონარქები და შეადარე მათი ცხოვრების წესი ნაპოლეონის ცხოვრების წესს და მმართველობის სტილს?
- იმსჯელეთ, რა იყო მარენგოს ბრძოლაში გამარჯვების მთავარი შედეგები?
- იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მარენგოს ბრძოლა ნაპოლეონისა და საფრანგეთისთვის. რა მოხდებოდა მისი წაგების შემთხვევაში?
- იმსჯელეთ, რატომ არ უყვარდათ ევროპელ მონარქებს ნაპოლეონი - რატომ იყო მისი მმართველობა კატეგორიულად მიუღებელი?
- იმსჯელეთ, რატომ სურდა ნაპოლეონს თავადაც დინასტიური მმართველობის შექმნა - რატომ მიიღო იმპერატორის სტატუსი? რა განსხვავებაა იმპერატორსა და კონსულს შორის?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მიუღწეველი ევროპაში მშვიდობის დამყარება - რა მიზეზები განაპირობებდა ომებს საფრანგეთსა და სხვა, დიდ ევროპულ სახელმწიფოებს შორის?
- იმსჯელეთ, რა მოტივაცია ჰქონდათ ინგლისს, ავსტრიის იმპერიას და რუსეთს საფრანგეთის წინააღმდეგ ომისათვის?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ზავის პირობები უფრო მძიმე პრუსიისთვის, ვიდრე რუსეთისთვის?
- იმსჯელეთ, კონტინენტურ ბლოკადაზე - რა მიზეზებმა განაპირობა იგი, რა უნდა ყოფილიყო მისი შესაძლო შედეგები?
- იმსჯელეთ, რატომ იქცა ესპანეთი ნაპოლეონისთვის დიდ პრობლემად - რა განსხვავება იყო ესპანეთის კამპანიასა და ნაპოლეონის სხვა ომებს შორის?
- იმსჯელეთ, პარტიზანულ ომს რა გამოწვევები ახლავს თან?
- იმსჯელეთ, რატომ ახერხებდა ნაპოლეონი ევროპული კოალიციების დამარცხებას?
- იმსჯელეთ, რატომ განასახიერებდა საფრანგეთის ჯარი რევოლუციის ფასეულობებს?
- იმსჯელეთ, რა უპირატესობა აქვს მერიტოკრატიულ და კონკურენტულ საზოგადოებას წოდებრივ და გვაროვნულ საზოგადოებასთან?
- იმსჯელეთ, წყაროს მიხედვით რა პირადი გავლენა ჰქონდა ნაპოლეონს ბრძოლის მსვლელობაზე?
- იმსჯელეთ, რატომ იყო რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება შეცდომა?
- იმსჯელეთ, რა განსაკუთრებული გეოგრაფიული და კულტურული მახასიათებლები ჰქონდა ამ ქვეყანას?
- იმსჯელეთ, რატომ არის ლოჯისტიკა და მომარაგება გადამწყვეტი ფაქტორი ომის დროს?
- იმსჯელეთ, ნაპოლეონის მარცხის მიზეზებზე?
- იმსჯელეთ, რატომ გადაწყვიტა ნაპოლეონმა გადადგომა - რა შანსები შეიძლება ჰქონოდა მას ბრძოლის გაგრძელების შემთხვევაში?

- იმსჯელეთ, რას ნიშნავდა ის ფაქტი, რომ ნაპოლეონმა უიარაღოდ, მარტომ შეძლო მმართველობაში დაბრუნება?
- იმსჯელეთ, იმ მიზეზებზე, რატომ სარგებლობდა ნაპოლეონი სახალხო მხარდაჭერით?
- გაეცანი ნაპოლეონის მარშლების მოკლე ბიოგრაფიებს - იმსჯელეთ, რამდენად იქნებოდა შესაძლებელი მათი ასეთი კარიერული წინსვლა რევოლუციამდე, მონარქიის ეპოქაში?
- იმსჯელეთ, რატომ განასახიერებდნენ ნაპოლეონის მარშლები მერიტოკრატიის უპირატესობას. რა კრიტერიუმით არჩევდა ნაპოლეონი მარშლებს?

**ნაბიჯი 5 (§45-46, 47-48)**
**რატომ მიიჩნევა საფრანგეთის და ამერიკის რევოლუციები მათ ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისად (დრო, 1, 2, 3)პარაგრაფი: საფრანგეთის რევოლუცია, ამერიკის რევოლუცია**

- იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა საფრანგეთის საზოგადოება რევოლუციის შედეგად. განიხილე რევოლუციის პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი შედეგები?
- იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანია მმართველობის მოდელი გამოხატავდეს მისი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს?
- გაიხსენეთ წინა მასალა და შეადარე საფრანგეთის და ამერიკის საზოგადოება, პოლიტიკური პროცესი ამ ორ სახელმწიფოში. იმსჯელეთ, მსგავსებებსა და განსხვავებებზე?
- იმსჯელეთ, რატომ არის საფრანგეთის რევოლუცია მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა?
- იმსჯელეთ, საფრანგეთის რევოლუციის შედეგებზე - გამოყავი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები?
- იმსჯელეთ, საფრანგეთის რევოლუციის ძირითად ეტაპებზე - გამოყავი ეს ეტაპები და განიხილე, თუ როგორ იცვლებოდა ძალაუფლება და მმართველობის სისტემა ამ ეტაპებზე?
- იმსჯელეთ, რა შედეგები მოიტანა ევროპაში აუსტერლიცთან გამარჯვებამ?
- იმსჯელეთ, როგორ შეცვალა ევროპის რუკა ნაპოლეონის აუსტერლიცთან გამარჯვებამ?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ნაპოლეონი პოლიტიკური და კულტურული სიმბოლო?
- იმსჯელეთ, რამდენად ეფუძნებოდა ისტორიულ რეალობას მისი, როგორც რევოლუციის სიმბოლოს აღქმა?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი ამერიკის რევოლუცია?
- იმსჯელეთ, რა პრინციპები და ღირებულებები დაამკვიდრა ამერიკულმა რევოლუციამ?

**კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად**
**აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;**

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს სტატიის მოსამზადებლად?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?

- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სტატიაა?

**ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?**

- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

**რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**

- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (რა დახმარება გაუწიეთ თანაკლასელებს/მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღეთ მათგან);
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? *(მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?*

- ხვდებით თუ არა წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო(მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

**შემაჯამებელი დავალება N5 (ნიმუში)**

შემაჯამებელი დავალება 5 - **ისტორია**

მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი ----------------------------------------------------

**საფრანგეთის დიდი რევოლუცია**

1. **როდის მიმდინარეობდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია? დაასახელეთ სამი ისტორიული მოვლენა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის პერიოდს წინ უსწრებდა და მოსდევდა?**

| სამი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდს | თარიღი/პერიოდი | სამი მოვლენა, რომელიც მოსდევდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდს |
|---|---|---|
| 1. | | 1. |
| 2. | | 2. |
| 3. | | 3. |

2. დაასახელეთ სამი გეოგრაფიული ობიექტი/პუნქტი (ევროპაში), რომლების შესახებაც ისწავლეთ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდის შესწავლისას.

| გეოგრაფიული ობიექტის/პუნქტის დასახელება | რით იყო ეს ობიექტი/პუნქტი მნიშვნელოვანი | დასახელებული პუნქტის/ობიექტის გეოგრაფიული ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებელი |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |

3. საიდან გვაქვს ინფორმაცია საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?

| წყაროს ტიპის დასახელება | ვინ შექმნა | რის შესახებ მოგვითხრობს | როდის და რატომ შეიქმნა | რამდენად სანდოა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**4. როგორ იცვლებოდა მმართველობის ფორმები საფრანგეთში რევოლუციის მიმდინარეობის დროს?**

| | **როგორ ნაწილდება ძალაუფლება** | **როგორ გამოხატავს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს** | **სხვა ეპოქის მმართველობის ფორმებთან შედარება** |
|---|---|---|---|
| აბსოლუტური მონარქია | | | |
| კონსტიტუციური მონარქია | | | |
| რესპუბლიკა | | | |

5. როგორი იყო საფრანგეთის საზოგადოება ?

| სოციალური ფენა/ჯგუფი | „ძველი რეჟიმის“ დროს | | პირველი რესპუბლიკის დროს | | სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება |
|---|---|---|---|---|---|
| | პოლიტიკური მახასიათებელი | ეკონომიკური მახასიათებელი | პოლიტიკური მახასიათებელი | ეკონომიკური მახასიათებელი | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

6. დაასახელეთ საფრანგეთის რევოლუციასთან დაკავშირებული თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი/ისტორიული მოვლენა/პროცესი?

| ისტორიული მოვლენა | მიზეზი | შედეგი | პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისთვის | ანალოგიური ისტორიული მოვლენა (ფაქტებით განმტკიცება) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**შეფასების რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასებისათვის N5**

<table>
<tr><td colspan="3">კლასი **XI**<br>თემა **ხანგრძლივი XIX საუკუნე**<br>ძირითადი საკითხი **საფრანგეთის დიდი რევოლუცია**<br>მოსწავლე</td></tr>
<tr><td>**შეფასების კრიტერიუმი**<br>მოსწავლეს შეუძლია:</td><td>მაქსიმალური ქულა</td><td>კომენტარი</td></tr>
<tr><td>**წყარო/ინტერპრეტაცია**<br>საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ მოცემული წყაროების კლასიფიცირება და მათზე დაყრდნობით საფრანგეთში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების გაანალიზება; წყაროებზე მსჯელობისას მათი მიკერძოებულობისა და სანდოობის ხარისხის დადგენა, კრიტიკულად შეფასება და მათ მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა.</td><td>1</td><td></td></tr>
<tr><td>**დრო**<br>საფრანგეთის დიდი რევოლუციის, როგორც ევროპის ისტორიისათვის ახალი ათვლის წერტილის გამოკვეთა და მისი მახასიათებლების გამოყოფა; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელმაც, საფრანგეთის დიდი რევოლუცია წარმოადგინა, როგორც მმართველობის სისტემაში ცვლილებების მნიშვნელოვანი ეპოქა.</td><td>1</td><td></td></tr>
<tr><td>**სივრცე**<br>საფრანგეთის იმ ტერიტორიული არეალის გამოკვეთა, სადაც მიმდინარეობდა რევოლუცია; იმ გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მახასიათებლებზე მსჯელობა, რომელმაც განაპირობა რევოლუცია; საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;</td><td>1</td><td></td></tr>
<tr><td>**საზოგადოება**<br>საფრანგეთის რევოლუციაში მონაწილე საზოგადოების დახასიათება, სოციალური ფენების გამოკვეთა, მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებზე მსჯელობა“ძველი რეჟიმის“ და პირველი რესპუბლიკის დროს; რევოლუციაში მონაწილე ფრანგული საზოგადოების სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება;</td><td>1</td><td></td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **ძალაუფლება**<br>ფრანგული მონარქიის, კონსტიტუციური მონარქიის და რესპუბლიკის დროს ძალაუფლების გადანაწილებაზე მსჯელობა და მათი მახასიათებლების ანალიზი; სხვა ეპოქის მმართველობის ფორმებთან შედარება; | 1 | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი**<br>საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიზეზებზე და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ შედეგებზე მსჯელობა; მისი, როგორც ისტორიული მოვლენის პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამოკვეთა; საფრანგეთის დიდი რევოლუციის ანალოგიური მოვლენის დასახელება და ფაქტებით განმტკიცება; | 1 | |

**კომპლექსური ტიპის დავალება N6. თემატური მატრიცა**

**თემა** - „ხანგრძლივი XIX საუკუნე"

**სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა - (შედეგი** 3,4,5,6**); ქვეცნება (ზოგადი) -** ომი; რევოლუცია;ისტორიული პიროვნება; აჯანყება; **ქვეცნება (კერძო) -** ინდუსტრიული რევოლუცია ბრიტანეთში; ყირიმის ომი, კავკასიური ომები, დეკაბრისტების აჯანყება; **ქვესაკითხი -** ინდუსტრიული რევოლუცია; ვენის კონგრესი და შეცვლილი ევროპა; პოლიტიკური მოვლენები 1815-1850 წლების ევროპაში; რუსეთის იმპერიის გაძლიერება, ყირიმის ომის მიზეზები და შედეგები;
**სამიზნე ცნება - სივრცე (გარემო, ტერიტორია) – (შედეგი** 1,2,3,4,5,6); **ქვეცნება (ზოგადი) -** ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია; **ქვეცნება (კერძო) -** ევროპა, მცირე აზია; კავკასია; ბრიტანეთი; სამხრეთ ამერიკა; **ქვესაკითხი -** სივრცე, რომელიც მოიცვა ინდუსტრიულმა რევოლუციამ; პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური ევროპული სივრცე; რუსული იმპერიული სივრცე; ყირიმის ომის სივრცული მახასიათებლები;

**საკითხი - ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული მახასიათებლები XIX საუკუნის I ნახევარში**

**საკვანძო შეკითხვა** - როგორ წარმოვაჩინო აქციონერთა წინაშე წარსადგენი ამერიკული კომპანიის მმართველის **ანგარიშის** საშუალებით ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული მახასიათებლები XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს, ისე რომ წარმოვაჩინო "ხანგრძლივი XIX საუკუნის" I ნახევრის ეპოქალური მახასიათებლები?

**კომპლექსური დავალება** - წარმოიდგინე, რომ ხარ XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს დიდი ამერიკული კომპანიის მმართველი და გსურს შენი ბიზნესი ევროპაში გააფართოო. ამისთვის სწავლობ ევროპულ ბაზარს - ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გეოგრაფიულ მახასიათებლებს. უნდა წარდგე კომპანიის აქციონერების წინაშე და წარუდგინო **ანგარიში**, რისი მეშვეობითაც მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, თუ ევროპის რომელ სახელმწიფოში ჯობია თქვენი ბიზნესის გაფართოება.

| სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები<br><br><u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u> | შეფასების კრიტერიუმი<br><br><u>მოსწავლეს შეუძლია:</u> | ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ: |
|---|---|---|
| **ისტორიული მოვლენა:**<br>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.<br><br>**სივრცე (გარემო, ტერიტორია):**<br>• გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br>• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br>• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ. | **ისტორიული მოვლენა:**<br>• გააანალიზოს შესწავლის XIX საუკუნის I ნახევარში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა (მ.წ. 1, 3);<br>• იმსჯელოს მიზეზებზე, რომლებიც შესაძლებელია XIX საუკუნეებში ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის სხვადასხვაგვარ შეფასებას განაპირობებს (მ.წ. 2);<br>• გამოკვეთოს XIX საუკუნის I ნახევარში ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე გლობალური ისტორიული მოვლენის/პროცესის არსობრივი მახასიათებლები; შეადაროს ის სხვა მსგავს ისტორიულ მოვლენებს (მ.წ. 4).<br><br>**სივრცე (გარემო, ტერიტორია):**<br>• დაახასიათოს ბრიტანელების, რუსებისა და ოსმალებისათვის ბალკანეთის რეგიონის კონტროლის მნიშვნელობა; ფაქტორები, რომლებიც ამ კონკრეტული არეალის მნიშვნელობას განაპირობებს **(მ.წ. 1, 3);**<br>• გააანალიზოს „ხანგრძლივი XIX საუკუნის" ეპოქაში არსებული გეოგრაფიული ცოდნა **(მ.წ. 2).** | • მოკლე შესავალი - როგორ შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ მსოფლიოს ეკონომიკა და საზოგადოება. (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1-4, სივრცე 1-3)<br>• რამდენად პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურია ევროპა შენს ეპოქაში - რა ქმნის ევროპის გრძელვადიან სტაბილურობას (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1, სივრცე 3)<br>• რატომ არის ბრიტანეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე მიმზიდველი სახელმწიფო - შეადარე სხვა დასავლურ ევროპულ სახელმწიფოებს (მაგალითად, საფრანგეთს ა.შ.)<br>• რა რისკები შეიძლება ჰქონდეს შენი ბიზნესის რუსეთში, ირანსა და ოსმალეთში გაფართოებას - ამ სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1, 4, სივრცე 1, 2, 3). |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**რესურსები/განსახილველი ქეისები:**

**რესურსი 1**. სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), ისტორია, XI კლასი,; „სულაკაურის გამომცემლობა“, მეექვსე თავი თავი, პარაგრაფები: §52-53, 54-55, 56-57, 58-59

**რესურსი 2**. ელ. რესურსები

- როგორ დავწეროთ ანგარიში (რეპორტი)
https://files.fm/f/fqk43zwey
- ინდუსტრიული რევოლუცია - Simple History
https://youtube.com/watch?v=xLhNP0qp38Q&si=EnSIkaIECMiOmarE
- ინდუსტრიული რევოლუცია - Happy Learning English
https://youtube.com/watch?v=Xh_Lk7kDrUI&si=EnSIkaIECMiOmarE
- როგორ იმოქმედა ინდუსტრიულმა რევოლუციამ საზოგადოებაზე? - Captivating History
https://youtube.com/watch?v=EX4OZ-lhdY0&si=EnSIkaIECMiOmarE
- ვენის კონგრესი - Silk School
https://youtube.com/watch?v=hJ7LXr8VQcg&si=EnSIkaIECMiOmarE
- ვენის კონგრესი (რუკები) - The Map as History
https://youtube.com/watch?v=cmaPv9GVf9c&si=EnSIkaIECMiOmarE
- ბრიტანული პოლიტიკა 1815-1850 წლებში - Muddling Through History
https://youtube.com/watch?v=dCpDkLA2C8o&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, აბიტურიენტის დრო - ყირიმის ომი და აღმოსავლეთის საკითხი - ტელესკოლა
https://youtube.com/watch?v=jtE3FUC16I8&si=EnSIkaIECMiOmarE
- რუსეთ-თურქეთის1853-1856და1877-1878 წლების ომები და საქართველო - Silk School
https://youtube.com/watch?v=Azhoo1YMEEQ&si=EnSIkaIECMiOmarE
- რუსეთის ისტორია (რუკებით) - EmperorTigerstar
https://youtube.com/watch?v=uCIp3CF33ms&si=EnSIkaIECMiOmarE

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**

**ინდუსტრიული რევოლუცია**

- როგორ განმარტავთ ტერმინ „რევოლუციას“

- რა იცით რევოლუციების ტიპების შესახებ?
- როგორ განმარტავთ ტერმინს „ინდუსტრიული რევოლუცია“
- რა გახსენდებათ პირველ ორთქლმავალსა და პირველ რკინიგზასთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- თქვენი აზრით რა მიზეზებმა განაპირობა ინდუსტრიული რევოლუციის დაწყება?

**ევროპა 1815-1850 წლებში**
- წინა კლასებში მიღებული ცოდნიდან რა გაგახსენდებათ ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების შესახებ?
- თუ გახსენდებათ , რომელ ეპოქას უწოდებენ „ვიქტორიანულ ეპოქას?
- თქვენი აზრით რა მიზეზებმა შეუწყო ხელი ბრიტანეთის გაძლიერებას ვიქტორიანულ ეპოქაში?
- შენი აზრით, რატომ დარჩა ბრიტანეთი ვიქტორიანულ ეპოქაში უკონკურენტოდ?

**რუსეთი - აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო. ყირიმის ომი**
- გაიხსენეთ წინა კლასებში შესწავლილი მასალიდან როგორ როგორ ფართოვდებოდა ტერიტორიულად რუსეთი?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის კავკასიას - რატომ იყო საქართველოს ტერიტორია მისთვის მნიშვნელოვანი?
- რა გსმენიათ რუსეთში ბატონ-ყმობასთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- თუ გსმენიათ ყირიმის ომის ან კავკასიური ომების შესახებ?

**დროის ხაზი**
- რა არის ანგარიში/რეპორტი?
- რა მიზნით იწერება ანგარიში/რეპორტი?
- რა ინფორმაციას გაწვდის რესურსი ანგარიშის/რეპორტის შექმნის შესახებ?
- გამოყავით ანგარიშის/რეპორტის მახასიათებლები?
- როგორ შეიძლება ანგარიშის/რეპორტის საშუალებით წარმოვაჩინოთ ჩვენი შეხედულებები? **(რესურსი 2)**

**კომპლექსური დავალება**
თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ?
მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**სამიზნე ცნება -** ისტორიული მოვლენა
**ქვეცნება (ზოგადი) -** ომი; რევოლუცია;ისტორიული პიროვნება; აჯანყება;
**ქვესაკითხი -** ინდუსტრიული რევოლუცია; ვენის კონგრესი და შეცვლილი ევროპა; პოლიტიკური მოვლენები 1815-1850 წლების ევროპაში; რუსეთის იმპერიის გაძლიერება, ყირიმის ომის მიზეზები და შედეგები;
**სამიზნე ცნება -** სივრცე (გარემო, ტერიტორია)**;**
**ქვეცნება (ზოგადი) -** ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია;
**ქვესაკითხი -** სივრცე, რომელიც მოიცვა ინდუსტრიულმა რევოლუციამ; პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური ევროპული სივრცე; რუსული იმპერიული სივრცე; ყირიმის ომის სივრცული მახასიათებლები;

**ნაბიჯი 1 (§ 52-53)**
**მოკლე შესავალი - როგორ შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ მსოფლიოს ეკონომიკა და საზოგადოება (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1-4, სივრცე 1-3)**

- გაიხსენეთ განვლილი მასალა და იმსჯელეთ, კაცობრიობის ისტორიაში სხვა დიდი საზოგადოებრივი რევოლუციების შესახებ (მაგ. ნეოლითური რევოლუცია). როგორ ცვლის ამ ტიპის რევოლუცია საზოგადოების ცხოვრებას?
- იმსჯელეთ, რატომ განაპირობა სამეცნიერო კვლევებმა და მიღწევებმა ინდუსტრიული რევოლუცია?
- იმსჯელეთ, როგორ შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ საზოგადოების ცხოვრება - რამდენად გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა მას?
- იმსჯელეთ, რა იყო ინდუსტრიული რევოლუციის გამომწვევი მთავარი მიზეზები და მისი შედეგები?
- იმსჯელეთ, ინდუსტრიული რევოლუციის მაგალითის მიხედვით, ეკონომიკის განვითარებას და ზრდას, რატომ მოჰყვება აუცილებლად ტრანსპორტის განვითარება?
- გაიხსენეთ წინა ისტორიული ეპოქების (მაგ. შუა საუკუნეები) ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება და იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა ის?
- იმსჯელეთ, რატომ განაპირობებდა პოლიტიკური რეალობა ინდუსტრიალიზაციის ხარისხს?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი გერმანიისთვის (და არამხოლოდ) ინდუსტრიული ცენტრების ზღვასთან დაკავშირება?
- იმსჯელეთ, რატომ იქცა რკინიგზა სახელმწიფოს განვითარებულობის სიმბოლოდ?
- იმსჯელეთ, როგორ აისახებოდა სხვადასხვა სივრცეების გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები ინდუსტრიალიზაციაზე?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ურბანიზაცია ინდუსტრიული რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი?
- იმსჯელეთ, როგორ შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ თავისი ეპოქის სივრცე და საზოგადოება?

- იმსჯელეთ, ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად, როგორ ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები - რა იყო მათი ინტერესები, იდენტობა და საზრუნავი?
- იმსჯელეთ, ინდუსტრიული რევოლუციის დადებით და უარყოფით შედეგებზე?
- იმსჯელეთ, როგორ აისახა ინდუსტრიული რევოლუცია პოლიტიკურ კულტურაზე?

**ნაბიჯი 2 (§52-53, 54-55)**

**რამდენად პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურია ევროპა შენს ეპოქაში - რა ქმნის ევროპის გრძელვადიან სტაბილურობას (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1, სივრცე 3)**

- იმსჯელეთ, რა იყო ვენის კონგრესის მთავარი მიზანი - რატომ შეიკრიბა ის?
- იმსჯელეთ, რატომ გადაწყვიტა ვენის კონგრესმა საფრანგეთისთვის მისაღები საზავო პირობების შეთავაზება?
- იმსჯელეთ, რატომ გახდა იძულებული ბურბონების აღდგენილი მონარქია მიეღო რევოლუციის შემდეგ მიღებული ცვლილებები?
- იმსჯელეთ, რომელი ტერიტორიები იყო სადავო ვენის კონგრესზე; რატომ? იმსჯელეთ მათ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე.
- იმსჯელეთ, რა იყო ვენის კონგრესის ძირითადი შედეგები?
- იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი პარტიული პოლიტიკური კულტურის განვითარება შიდა სტაბილურობისთვის?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა - იმსჯელეთ, რა მოვლენებმა და ფაქტორებმა შეუწყო ხელი მთელ მსოფლიოში განმათავისუფლებელი მოძრაობების, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის და აჯანყებების გააქტიურებას?
- იმსჯელეთ, რატომ იკვეთებოდა რუსეთის და ბრიტანეთის ინტერესები აღმოსავლეთში?
- იმსჯელეთ, რატომ ჰქონდათ ბრიტანეთს და რუსეთს განსხვავებული ინტერესები ოსმალეთთან მიმართებაში?

**ნაბიჯი 3 (§54-55)**

**რატომ არის ბრიტანეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე მიმზიდველი სახელმწიფო - შეადარე სხვა დასავლურ ევროპულ სახელმწიფოებს (მაგალითად, საფრანგეთს ა.შ.)**

- იმსჯელეთ, ტექსტილის ინდუსტრიის მაგალითზე როგორ შეიცვალა წარმოება და ეკონომიკა?
- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა ინდუსტრიული რევოლუციის ინგლისში დაწყება?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და იმსჯელეთ, რატომ იყო დაკავშირებული ნაპოლეონის კონტინენტური ბლოკადის პოლიტიკა ინგლისში ინდუსტრიული რევოლუციის დაწყებასთან?
- იმსჯელეთ, რატომ აღარ ჰყავდა ევროპაში ბრიტანეთს კონკურენტი?
- იმსჯელეთ, რას ეფუძნებოდა ბრიტანეთის ძლიერება - ჩამოთვალე პოლიტიკური, გეოგრაფიული და ეკონომიკური მიზეზები?
- იმსჯელეთ, როგორ განსხვავდებოდა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა სხვა დიდი კოლონისტი სახელმწიფოებისგან?
- იმსჯელეთ, რა იყო ბრიტანეთის მთავარი მიზანი კოლონიურ პოლიტიკაში?
- იმსჯელეთ, როგორ განსხვავდებოდა ბრიტანეთის პოლიტიკური კულტურა საფრანგეთისგან - გაიხსენეთ განვლილი მასალა?

- იმსჯელეთ, როგორ განსაზღვრავდა გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას?
- იმსჯელეთ, ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაზე ევროპულ პოლიტიკაში?
- იმსჯელეთ, რატომ უჭერდა მხარს ბრიტანეთი აჯანყებულ სამხრეთ ამერიკულ სახელმწიფოებს და საბერძნეთს?

**ნაბიჯი 4 (§ 56-57, 58-59)**
**რა რისკები შეიძლება ჰქონდეს შენი ბიზნესის რუსეთში, ირანსა და ოსმალეთში გაფართოებას - ამ სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1, 4, სივრცე 1, 2, 3).**

- გაიხსენეთ განვლილი მასალა - იმსჯელეთ, რუსეთის გეოგრაფიულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებზე?
- იმსჯელეთ, რა იყო რუსეთის სტრატეგიული პოლიტიკური მიზნები - რომელ გეოგრაფიულ არეალებს მოიცავდა იგი?
- იმსჯელეთ, რა მიმართულებებით ფართოვდებოდა რუსეთი - ვინ იყვნენ მისი ძირითადი კონკურენტები და სად (რომელ რეგიონებში) იკვეთებოდა მათი ინტერესები?
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის კავკასიას - რატომ იყო საქართველოს ტერიტორია მისთვის მნიშვნელოვანი?
- იმსჯელეთ, რა ძირითად ჯგუფებად იყოფოდა რუსული საზოგადოება - რა იყო მათი ძირითადი მახასიათებლები, იდენტობა ა.შ,?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა - შეადარე რუსეთის საზოგადოება ევროპულ და ამერიკულ საზოგადოებას - რა ძირითად განსხვავებებს ხედავ?
- იმსჯელეთ, რატომ იყო ბატონ-ყმობა მოძველებული და უარყოფითი პრაქტიკა - რატომ იქნებოდა შეუძლებელი ბატონ-ყმობის ფონზე რეფორმების გატარება და ქვეყნის განვითარება?
- იმსჯელეთ, რუსეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობაზე - რა ძირითად პრობლემებს ხედავ მასში. როგორ დგინდება სახელმწიფოს პრიორიტეტები ბიუჯეტის მიხედვით?
- იმსჯელეთ, რატომ მოახერხა რუსეთმა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებების იოლად დაუფლება?
- იმსჯელეთ, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს რუსეთისთვის?
- იმსჯელეთ, რატომ წავიდნენ ირანი და ოსმალეთი კრიზისის გზით?
- იმსჯელეთ, რა საფრთხეების წინაშე იდგა ოსმალეთის იმპერია - რატომ გახდა XIX საუკუნეში დაპყრობილი ხალხების და ტერიტორიების შენარჩუნება უფრო რთული?
- იმსჯელეთ, რატომ თქვა უარი ალექსანდრემ რეფორმებზე - რამდენად რთული შესაძლოა ყოფილიყო მათი განხორციელება რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობიდან გამომდინარე?
- იმსჯელეთ, რა იყო „წმინდა ალიანსის“ შექმნის მიზანი - რა აერთიანებდათ ამ სახელმწიფოებს?
- იმსჯელეთ, რა გავლენა იქონია ნიკოლოზზე დეკაბრისტების აჯანყებამ?
- იმსჯელეთ, ნიკოლოზ მეორის პოლიტიკაზე - რატომ წავიდა იგი რეაქციული გზით?
- იმსჯელეთ, საფრანგეთის რევოლუციაზე - რას გვეუბნება 1830 წლის რევოლუცია, რამდენად დაშორდა საფრანგეთის საზოგადოება რევოლუციის მონაპოვრებს ბურბონების დაბრუნების პერიოდში. რას გვეუბნება ეს რევოლუცია საფრანგეთის საზოგადოებაზე?
- იმსჯელეთ, დეკაბრისტებზე - რუსული საზოგადოების რომელ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ იგი - რა იყო მათი ინტერესი და საზრუნავი?

- იმსჯელეთ, რატომ იყო კონსტანტინოპოლის/სტამბოლის დაუფლება რუსეთისთვის მნიშვნელოვანი - იმსჯელეთ, ამ ქალაქის სტრატეგიულ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მნიშვნელობაზე?
- იმსჯელეთ, ნიკოლოზის შიდა პოლიტიკაზე - რას ეფუძნებოდა მისი ძალაუფლება?
- შეადარე ნიკოლოზის ეპოქის რუსეთი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს და საზოგადოებას. იმსჯელეთ, რამდენად განსხვავდებოდნენ ისინი?
- გაიხსენეთ ამ პერიოდის ძირითადი მოვლენები და ცვლილებები - იმსჯელეთ, რამდენად ლოგიკურად ვითარდება რუსეთი გლობალური ცვლილებების ეპოქაში?
- იმსჯელეთ, რა ინტერესები ჰქონდათ ოსმალეთის საკითხისადმი რუსეთს, საფრანგეთს, ბრიტანეთს და ავსტრიის იმპერიას?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა - რატომ ჰქონდა ოსმალეთს რეფორმების გატარების აუცილებლობა?
- იმსჯელეთ, ოსმალეთის იმპერიის გეოგრაფიულ მახასიათებლებზე, რომელ სტრატეგიულ სივრცეებს აკონტროლებდა ის?
- გაეცანი წყაროს და მისი მიხედვით იმსჯელეთ, - რა პრობლემების წინაშე დგას საფრანგეთი? რას მიიჩნევს ნაპოლეონი უმთავრეს გამოწვევად?
- იმსჯელეთ, ყირიმის ომზე - რამდენად გლობალური მნიშვნელობის იყო ეს მოვლენა იმდროინდელი მსოფლიოსთვის. შენი პასუხი დაასაბუთე
- იმსჯელეთ, ყირიმის ომის სივრცულ მახასიათებლებზე - რომელ გეოგრაფიულ არეალებში წარიმართა იგი, რა იყო თითოეულ ამ არეალში მხარეების სტრატეგიული ინტერესი?
- იმსჯელეთ, როგორ აისახა ინდუსტრიული რევოლუცია და ამ პერიოდის გლობალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცვლილებები სამხედრო ხელოვნებაზე?
- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა რუსეთის მარცხი ყირიმის ომში - მიზეზები დაყავი პოლიტიკური, ეკონომიკურ და საზოგადოებრივი კუთხით?
- იმსჯელეთ, როგორ აისახა ყირიმის ომის შედეგები რუსეთზე?
- იმსჯელეთ, რატომ გახდა ძირეული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების და ცვლილებების განხორციელება ამ პერიოდში განვითარების და პროგრესის მთავარი პირობა?

**კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად**

**აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;**

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს აქციონერთა წინაშე წარსადგენი ანგარიშის მოსამზადებლად?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ანგარიშია?

**ახსენი, რატომ შექმენი აქციონერთა წინაშე ანგარიში? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?**

- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

**რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**

- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (რა დახმარება გაუწიეთ თანაკლასელებს/მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღეთ მათგან);

- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? *(მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?*
- ხვდებით თუ არა წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო(მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

**შემაჯამებელი დავალება N6 (ნიმუში)**

შემაჯამებელი დავალება 6 - **ისტორია**

მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი ----------------------------------------------------

**ინდუსტრიული რევოლუცია**

1. **როდის მიმდინარეობდა ინდუსტრიული რევოლუცია? დაასახელეთ სამი ისტორიული მოვლენა, რომელიც ინდუსტრიულ რევოლუციას წინ უსწრებდა და მოსდევდა?**

| სამი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა ინდუსტრიულ რევოლუციას | თარიღი/პერიოდი | სამი მოვლენა, რომელიც მოსდევდა ინდუსტრიულ რევოლუციას |
|---|---|---|
| 1. | | 1. |
| 2. | | 2. |
| 3. | | 3. |

2. დაასახელეთ სამი გეოგრაფიული ობიექტი/პუნქტი (ევროპაში, ამერიკა, აზიაში), რომლების შესახებაც ისწავლეთ ინდუსტრიული რევოლუციის შესწავლისას.

| გეოგრაფიული ობიექტის/პუნქტის დასახელება | რით იყო ეს ობიექტი/პუნქტი მნიშვნელოვანი | როგორი იყო ინდუსტრიალიზაციის ხარისხი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

3. საიდან გვაქვს ინფორმაცია ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?

| წყაროს ტიპის დასახელება | ვინ შექმნა | რის შესახებ მოგვითხრობს | როდის და რატომ შეიქმნა | რამდენად სანდოა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

4. როგორ აისახა ინდუსტრიული რევოლუცია პოლიტიკური ცხოვრების პროცესებზე?

| პოლიტიკური ინტერესების მქონე ახალი ჯგუფები | მოკლე აღწერილობა | პოლიტიკური რეალობის ინდუსტრიალიზაციის ხარისხზე დამოკიდებულების შეფასება | შედარება სხვა ეპოქასთან |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

5. როგორ შეცვალა საზოგადოება ინდუსტრიულმა რევოლუციამ?

| ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები | მათი ინტერესები, იდენტობა და საზრუნავი | ცვლილებები ყოველდღიურ ცხოვრებაში | ცვლილებები ეკონომიკაში | სხვა ეპოქის საზოგადოებასთან შედარება |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

6. დაასახელეთ ინდუსტრიულ რევოლუციასთან დაკავშირებული სამი, თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი/ისტორიული მოვლენა/პროცესი?

| ისტორიული მოვლენა | მიზეზი | შედეგი | | მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის | მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისთვის | ანალოგიური მოვლენა (ფაქტებით განმტკიცება) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დადებითი | უარყოფითი | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

**შეფასების რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასებისათვის N6**

| | | |
|---|---|---|
| კლასი **XI**<br>თემა **ხანგრძლივი XIX საუკუნე**<br>ძირითადი საკითხი **ინდუსტრიული რევოლუცია**<br>მოსწავლე | | |
| **შეფასების კრიტერიუმი**<br>მოსწავლეს შეუძლია: | მაქსიმალური ქულა | კომენტარი |
| **წყარო/ინტერპრეტაცია**<br>ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ მოცემული წყაროების კლასიფიცირება და მათზე დაყრდნობით გლობალური ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცვლილებების გამოკვეთა. წყაროებზე მსჯელობისას მათი მიკერძოებულობისა და სანდოობის ხარისხის დადგენა, კრიტიკულად შეფასება და მათ მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა. | 1 | |
| **დრო**<br>ინდუსტრიული რევოლუციის, როგორც ეკონომიკური კუთხით ახალი ეპოქის დასაწყისის გამოკვეთა და მისი მახასიათებლების გამოყოფა; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელმაც, ინდუსტრიული რევოლუცია წარმოადგინა, როგორც სამყაროში მიმდინარე ცვლილებების ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი ნაწილი. | 1 | |
| **სივრცე**<br>ევროპისა და ამერიკის იმ ტერიტორიული არეალის გამოკვეთა, სადაც მიმდინარეობდა ინდუსტრიული რევოლუცია. ამ ისტორიული მოვლენის მიმდინარეობისას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ინდუსტრიალიზაციის ხარისხზე მსჯელობა და მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; | 1 | |
| **საზოგადოება**<br>ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი საზოგადოებრივი ჯგუფების გამოყოფა, მათ ინტერესებზე, იდენტობაზე და საზრუნავზე მსჯელობა; ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით გამოწვეული ცვლილებების ანალიზი; ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ტიპის საზოგადოების სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება; | 1 | |

| | | |
|---|---|---|
| **ძალაუფლება**<br>ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად გაჩენილი ახალი პოლიტიკური ჯგუფების მახასიათებლების გამოყოფა; პოლიტიკური რეალობის ინდუსტრიალიზაციის ხარისხზე დამოკიდებულების ანალიზი და მისი სხვა ეპოქასთან შედარება; | 1 | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი**<br>ინდუსტრიული რევოლუციის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა და მისი დადებითი და უარყოფითი შედეგების ანალიზი; მსოფლიოსა და საქართველოსათვის ინდუსტრიული რევოლუციის გლობალური მნიშვნელობის განსაზღვრა და შეფასება; ინდუსტრიული რევოლუციის ანალოგიური მოვლენის დასახელება და ფაქტებით განმტკიცება; | 1 | |

**კომპლექსური ტიპის დავალება N7. თემატური მატრიცა**

**თემა** - „ხანგრძლივი XIX საუკუნე“

**სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა - (შედეგი** 3,4,5,6)**; ქვეცნება (ზოგადი) -** ომი; ისტორიული პიროვნება; რეფორმები; **ქვეცნება (კერძო) -** იტალიური ნაციონალიზმი. გერმანული ნაციონალიზმი, პირველი იტალიური განმათავისუფლებელი ომი, მეორე იტალიური განმათავისუფლებელი ომი, კამილო კავური, ჯუზეპე გარიბალდი, ოტო ფონ ბისმარკი, ავსტრია-პრუსიის ომი, საფრანგეთ-პრუსიის ომი, დემოკრატები, რესპუბლიკელები ამერიკაში; ამერიკის სამოქალაქო ომი, აბრაამ ლინკოლნი; ოპიუმის ომები; მეიძის რეფორმები **ქვესაკითხი -** ერთიანი იტალიის შექმნა; გერმანიის გაერთიანება, ამერიკის სამოქალაქო ომის მიზეზები და შედეგები; ჩინეთი და იაპონია XIX საუკუნეში; **სამიზნე ცნება - საზოგადოება – (შედეგი 1,2,3,4,5,6); ქვეცნება (ზოგადი) - ყოველდღიურობა; ქვეცნება (კერძო) -** იტალიური საზოგადოება, გერმანული საზოგადოება, ამერიკული საზოგადოება, ჩინური საზოგადოება, იაპონური საზოგადოება; **ქვესაკითხი -** კონფლიქტები საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის; დაყოფილი საზოგადოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება; ამერიკის საზოგადოების ინტერესები, საზრუნავი, პოლიტიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები; ცვლილებები იაპონურ და ჩინურ საზოგადოებაში XIX საუკუნის II ნახევარში; **სამიზნე ცნება - ისტორიული წყარო - (შედეგი** 1,2,4,5 **); ქვეცნება (ზოგადი) -** ნარატიული წყაროები; დოკუმენტები; ისტორიული რუკები, ილუსტრაციები; **ქვეცნება (კერძო) -**იოჰან გოტლიბ ფიხტე, გერმანელი ფილოსოფოსი, მიმართვა გერმანელი ხალხისადმი, 1806 წ.; ოტო ფონ ბისმარკი, ამონარიდი სიტყვით გამოსვლიდან გერმანიის გაერთიანების შესახებ; გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკი ავსტრიელი დიპლომატების დამოკიდებულების შესახებ გერმანიის გაერთიანების საკითხისადმი. ამონარიდი პირადი კორესპონდენციიდან; ბისმარკი საფრანგეთთან ზავის შესახებ, პირადი კორესპონდენცია; მონროს დოქტრინა, ამონარიდი; ჩინეთის იმპერატორის 1820 წლის ედიქტი; იტალიის გაერთიანების რუკა, გერმანიის გაერთიანების რუკა, ამერიკის ტერიტორიული გაფართოების რუკა, ოპიუმის ომის რუკა, სხვადასხვა ილუსტრაციების და შესაბამისი კარიკატურები; **ქვესაკითხი -** საზოგადოებაში გავრცელებული ახალი ტიპის წყაროები; წყაროების სანდოობის ხარისხის განსაზღვრა;

**საკითხი - მსოფლიო XIX საუკუნის II ნახევარში**

**საკვანძო შეკითხვა** - როგორ წარმოვაჩინო **სტატიის** საშუალებით მსოფლიოს საზოგადოება, მათი ინტერესები, იდენტობა, საზრუნავები და ქცევის წესები XIX საუკუნის II ნახევარში, ისე რომ წარმოვაჩინო "ხანგრძლივი XIX საუკუნის" ეპოქალური მახასიათებლები?

**კომპლექსური დავალება** - წარმოიდგინე, რომ ხარ მკვლევარი, რომელიც იკვლევს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებას - მის იდენტობას, ინტერესებს, საზრუნავებს. დაწერე **სტატიაში**, რომელშიც მიმოიხილავ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებას იმ პერიოდის მსოფლიოში.

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | **ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:** |
|---|---|---|
| **ისტორიული მოვლენა:**<br>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.<br><br>**საზოგადოება:**<br>• ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს | **ისტორიული მოვლენა:**<br>• გააანალიზოს შესწავლის XIX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა (მ.წ. 1, 3);<br>• იმსჯელოს მიზეზებზე, რომლებიც შესაძლებელია XIX საუკუნეში მსოფლიოში მიმდინარე ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის სხვადასხვაგვარ შეფასებას განაპირობებს (მ.წ. 2);<br>• გამოკვეთოს XIX საუკუნის II ნახევარში მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ისტორიული მოვლენის/პროცესის არსობრივი მახასიათებლები; შეადაროს ის სხვა მსგავს ისტორიულ მოვლენებს (მ.წ. 4).<br><br>**საზოგადოება:**<br>• ახასიათებს იტალიური, გერმანული, ამერიკული, ჩინური, იაპონური | რა ფაქტორებმა განაპირობა ნაციონალური სახელმწიფოების (იტალია, გერმანია ა.შ.) ჩამოყალიბება: როგორ იცვლება ამ პერიოდის საზოგადოება - მათი ინტერესები, იდენტობა, საზრუნავები და ქცევის წესები. რა განაპირობებს კონფლიქტს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის; როგორ ხდება დაყოფილი საზოგადოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება (საზოგადოება 1, 2), ისტორიული მოვლენა (1-4);<br>რა ნიშნით არის დაყოფილი ამერიკის საზოგადოება სამოქალაქო ომის პერიოდში - გამოყავი მათი ინტერესები, საზრუნავები, პოლიტიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები.(საზოგადოება 1, 2); |

<table>
<tr>
<td>ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;<br>
• საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;<br>
• პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;<br>
• საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.<br><br>
ისტორიული წყარო:<br>
• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;<br>
• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;<br>
• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.<br>
• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია</td>
<td>საზოგადოების იდენტობის საშუალებებს; გამოკვეთს თითოეული ჯგუფის წევრების საერთო ინტერესებს და საზრუნავს (მ.წ. 1, 3);<br>
• აანალიზებს რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა XIX საუკუნეების მსოფლიო საზოგადოება (მ.წ. 3);<br>
• გააანალიზოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ევროპული, ამერიკული და აღმოსავლური სამყაროს საზოგადოების წევრებს სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი (მ.წ. 4)<br><br>
ისტორიული წყარო<br>
• გააანალიზოს წყაროები, რომელთა საშუალებითაც XIX საუკუნეების მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან და პროცესებთან დაკავშირებით მოიპოვება ინფორმაცია (მ.წ. 1);<br>
• შეადაროს და ერთმანეთს დაუკავშიროს სხვადასხვა ტიპის წყაროები და მოპოვებული ინფორმაცია (მ.წ. 2);<br>
• გააანალიზოს ფაქტორები, რომლებიც წყაროების სანდოობას/ტენდენციურობას განაპირობებს (მ.წ. 3);<br>
• ერთმანეთს შეადაროს ერთი და იმავე წყაროს ანალიზის საფუძველზე გაკეთებული განსხვავებული ინტერპრეტაციები; იმსჯელოს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე (მ.წ. 4).</td>
<td>როგორ იცვლება იაპონიის და ჩინეთის სახელმწიფო და საზოგადოება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. (საზოგადოება 1-3)<br>
რა ტიპის წყაროები არსებობს ამ ეპოქის მოვლენების შესახებ - რამდენად დამაჯერებელია ისინი (წყარო. 1-4)</td>
</tr>
</table>

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**რესურსები/განსახილველი ქეისები:**
**რესურსი 1**. სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი), ისტორია, XI კლასი,; „სულაკაურის გამომცემლობა", მეექვსე თავი თავი, პარაგრაფები: 1-2; 3-4-5; 6; 7-8

**რესურსი 2**. ელ. რესურსები

- როგორ დავწეროთ კარგი სტატია
https://files.fm/f/u458bfhbm
- სტატიის მახასიათებლების სამუშაო ფურცელი
https://files.fm/f/upz33dxnx
- ისტორიის წყაროები - Silk School
https://youtube.com/watch?v=t6IqvfF7dz4&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, აბიტურიენტის დრო - იტალიის გაერთიანება - ტელესკოლა
https://youtube.com/watch?v=Zv8CRnxD3lw&si=EnSIkaIECMiOmarE
- იტალიის გაერთიანება - Silk School
https://youtube.com/watch?v=b-Hz3NeQXW4&si=EnSIkaIECMiOmarE
- გერმანიის გაერთიანება და წინააღმდეგობები ევროპაში მე-19 საუკუნეში - Silk School
https://youtube.com/watch?v=1PaZ_0MCnAY&si=EnSIkaIECMiOmarE
იტალიის გაერთიანება - მწარე პოდკასტი
- https://youtube.com/watch?v=4BkEEmc3_U8&si=EnSIkaIECMiOmarE
ისტორია, აბიტურიენტის დრო - გერმანიის გაერთიანება - ტელესკოლა
https://youtube.com/watch?v=43pXucUdglE&si=EnSIkaIECMiOmarE
- ისტორია, აბიტურიენტის დრო - ამერიკის სამოქალაქო ომი - ტელესკოლა
https://youtube.com/watch?v=Cgk3rxCbWzk&si=EnSIkaIECMiOmarE
- ამერიკის სამოქალაქო ომი
https://youtube.com/watch?v=CGqtxykUiwo&si=EnSIkaIECMiOmarE
- სამოქალაქო ომი აშშ-ში - Silk School
https://youtube.com/watch?v=SgZDR8uBrj8&si=EnSIkaIECMiOmarE
- იაპონიის და ჩინეთის სახელმწიფო და საზოგადოება XIX საუკუნის მეორე ნახევარში - GHCHistory
https://youtube.com/watch?v=5R5oZzC65JM&si=EnSIkaIECMiOmarE

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**

**იტალიის გაერთიანება, გერმანიის გაერთიანება**

- როგორ განმარტავთ ტერმინ „ნაციონალიზმი“?
- რა იცით იტალიის გაერთიანების შესახებ?
- როგორ განმარტავთ ტერმინს „რისორჯიმენტო“?
- რა გსმენიათ ჯუზეპე გარიბალდისთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- თქვენი აზრით რა მიზეზებმა განაპირობა იტალიის გაერთიანება?, გერმანიის გაერთიანება?

**ამერიკის სამოქალაქო ომი**

- რა გსმენიათ მონობის შესახებ?
- თუ წაგიკითხავთ ნოველა „ბიძია თომას ქოხი“? გადმოეცით თქვენი ემოციები ნოველაში მოთხრობილი ამბის შესახებ;
- თუ გსმენიათ, როდის გაუქმდა მონობა ამერიკაში?
- რა გსმენიათ ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის გამართული სამოქალაქო ომის შესახებ??

**ჩინეთი. იაპონია**

- თუ გსმენიათ რამე ჩინეთის ისტორიიდან?
- რა იცით ჩინეთის დიდი კედლის შესახებ?
- რა გსმენიათ ოპიუმის ომებთან დაკავშირებით? დაასახელეთ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, კომპიუტერული თამაშები)
- თუ გსმენიათ სამურაების შესახებ?

**დროის ხაზი**

- რა არის სტატია?
- რა მიზნით იწერება სტატია?
- რა ინფორმაციას გაწვდის რესურსი სტატიის შექმნის შესახებ?
- გამოყავით სტატიის მახასიათებლები?
- რა განსხვავებაა მოხსენებასა და სტატიას შორის?
- როგორ შეიძლება სტატიის საშუალებით წარმოვაჩინოთ ჩვენი შეხედულებები? **(რესურსი 2)**

**კომპლექსური დავალება**

თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაოთ? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა;**
**ქვეცნება (ზოგადი) -** ნაციონალიზმი; ომი; ისტორიული პიროვნება; რეფორმები; პოლიტიკური პარტიები;
**ქვესაკითხი -** ერთიანი იტალიის შექმნა; გერმანიის გაერთიანება, ამერიკის სამოქალაქო ომის მიზეზები და შედეგები; ჩინეთი და იაპონია XIX საუკუნეში;
**სამიზნე ცნება - საზოგადოება;**
**ქვეცნება (ზოგადი) -** ყოველდღიურობა;
**ქვესაკითხი -** კონფლიქტები საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის; დაყოფილი საზოგადოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება; ამერიკის საზოგადოების ინტერესები, საზრუნავი, პოლიტიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები; ცვლილებები იაპონურ და ჩინურ საზოგადოებაში XIX საუკუნის II ნახევარში;
**სამიზნე ცნება - ისტორიული წყარო;**
**ქვეცნება (ზოგადი) -** ნარატიული წყაროები; დოკუმენტები; ისტორიული რუკები, ილუსტრაციები;
**ქვესაკითხი -** საზოგადოებაში გავრცელებული ახალი ტიპის წყაროები; წყაროების სანდოობის ხარისხის განსაზღვრა;

**ნაბიჯი 1**

**რა ფაქტორებმა განაპირობა ნაციონალური სახელმწიფოების (იტალია, გერმანია ა.შ.) ჩამოყალიბება: როგორ იცვლება ამ პერიოდის საზოგადოება - მათი ინტერესები, იდენტობა, საზრუნავები და ქცევის წესები. რა განაპირობებს კონფლიქტს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის; როგორ ხდება დაყოფილი საზოგადოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება (საზოგადოება 1, 2), ისტორიული მოვლენა (1-4)**

- გაიხსენეთ განვლილი მასალა და იმსჯელეთ, იმ გლობალური მოვლენების შესახებ, რომელსაც გავლენა XIX საუკუნის ევროპაზე ჰქონდათ?
- იმსჯელეთ, რა მიზეზები განაპირობებდა ფართომასშტაბიან გამოსვლებს და რევოლუციებს მთელი ევროპის მასშტაბით?
- იმსჯელეთ, როგორ იცვლება XIX საუკუნის საზოგადოება - რა ფაქტორები იწვევენ ამ ცვლილებებს. დაყავი ეს ფაქტორები პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი კუთხით
- იმსჯელეთ, როგორ იცვლება სახელმწიფოს კონცეფცია და გაგება XIX საუკუნეში?
- იმსჯელეთ, რამდენად გლობალურია ამ ეპოქის მოვლენები - შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული სივრცით, თუ იმდროინდელი სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს?
- იმსჯელეთ, შლეზვიგისა და ჰოლშტაინის მაგალითზე, რამდენად განსხვავდებოდა მოსახლეობისა და მმართველის ელიტების გაგება სახელმწიფოს შესახებ?
- იმსჯელეთ, რა ტიპის წყაროები ჩნდება ამ პერიოდის საზოგადოებრივ კულტურაში - როგორ განაპირობებს ეს წყაროები ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებას?
- იმსჯელეთ, რა განსხვავებაა ნაციონალიზმის ფრანგულ და გერმანულ გაგებას შორის
- იმსჯელეთ, ნაციონალიზმის რომელი მოდელს ეყრდნობა თანამედროვე დასავლური სამყარო
- იმსჯელეთ, თავის ეპოქაში რატომ მიიჩნეოდა გერმანული ნაციონალიზმი პროგრესულ მოვლენად - რა ფაქტორები უწყობდა ხელს ამ აღქმას
- იმსჯელეთ, რა რისკები შეიძლება ჰქონდეს კულტურულ ნაციონალიზმს

- იმსჯელეთ, რატომ იყო რთული ამოცანა იტალიის გაერთიანება - შეაფასე პოლიტიკური ვითარება იტალიაში
- იმსჯელეთ, იტალიის გაერთიანების ხელის შემშლელ პირობებზე - რომელ დიდ სახელმწიფოებს ჰქონდათ ინტერესი იტალიაში
- იმსჯელეთ, რა ტიპის წყაროებს გამოიყენებდნენ იტალიის გაერთიანების მომხრეები თავისი ხედვების საზოგადოებამდე მისატანად
- იმსჯელეთ, რა მეთოდებით შეეძლოთ ბრძოლა იტალიის თავისუფლების მომხრეებს
- იმსჯელეთ, როგორ მოახერხა სარდინია-პიემონტის სამეფომ მოკავშირეების პოვნა
- იმსჯელეთ, რატომ აღმოჩნდა ავსტრიის იმპერია მოკავშირეების გარეშე - რა ინტერესები ჰქონდათ დიდ სახელმწიფოებს იტალიასთან და ავსტრიასთან მიმართებით
- იმსჯელეთ, რამდენად შეეძლო სარდინია-პიემონტის სამეფოს მოკავშირეების გარეშე ავსტრიის იმპერიისთვის კონკურენციის გაწევა
- იმსჯელეთ, რა ინტერესი ჰქონდა საფრანგეთს იტალიის საკითხში
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა იტალიის გაერთიანება
- იმსჯელეთ, რატომ განსხვავდებოდა გარიბალდის და კავურის ხედვები იტალიის მომავალთან დაკავშირებით.
- რუკის მიხედვით იმსჯელეთ, როგორ იყოფოდა გერმანელი ხალხებით დასახლებული ტერიტორია
- იმსჯელეთ, რა იყო მათი იდენტობის მთავარი საშუალება - რა ფაქტორები ყოფდა და აერთიანებდა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად დაყოფილ გერმანულ სამყაროს
- იმსჯელეთ, რა ფაქტორები უშლიდა ხელს ერთიანი გერმანიის შექმნას
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და იმსჯელეთ, რატომ ვერ ხერხდებოდა ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნა ნაციონალური მოძრაობების გაჩენამდე მონარქიული სისტემის პირობებში
- იმსჯელეთ, მცირე და დიდი გერმანული გადაწყვეტის შესახებ - გერმანიის გაერთიანების რომელი გზა მიგაჩნია უფრო რეალისტურად. რატომ? შენი პასუხი დაასაბუთე
- წყაროს მიხედვით იმსჯელეთ, როგორ აღიქვამს ბისმარკი ერთიანი გერმანიის იდეას
- იმსჯელეთ, რეალური პოლიტიკის შესახებ - რა განასხვავებს მას იდეოლოგიური პოლიტიკისგან. გაიხსენეთ მაგალითები თანამედროვე სამყაროში
- წყაროს მიხედვით, იმსჯელეთ, როგორ აფასებს ბისმარკი ავსტრიის პოლიტიკას
- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა პრუსიისთვის გერმანიის გაერთიანების ხელსაყრელი მომენტის შექმნა
- იმსჯელეთ, რა იყო ავსტრიასთან ომის ძირითადი შედეგი
- იმსჯელეთ, რა ინტერესებო ჰქონდა საფრანგეთს გერმანიასთან მიმართებაში
- მოაწყვე მცირე დისკუსია - შენი აზრით, რამდენად სწორად მოიქცა ნაპოლეონ III, როდესაც ომში არ ჩაერთო
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა პრუსიის გამარჯვება ავსტრიის იმპერიის და საფრანგეთის წინააღმდეგ ომებში
- გააანალიზე წყარო - რატომ მიიჩნევს ბისმარკი რომ საფრანგეთთან ახალი კონფლიქტი გარდაუვალია. რამდენად დამაჯერებლად მიგაჩნია მისი არგუმენტაცია.
- იმსჯელეთ, როგორ შეცვალა ევროპა გერმანიის შექმნამ - გაიხსენეთ განვლილი მასალა და იმსჯელეთ, სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესებზე ამ რეგიონში
- იმსჯელეთ, როგორ აისახა გერმანიის შექმნა საფრანგეთზე, იტალიასა და რუსეთზე

- გააანალიზე წყარო - რატომ ჰქონდა გერმანიას რთული მდებარეობა. ახსენი გეოგრაფიული, პოლიტიკური და ისტორიული თავისებურებები
- იმსჯელეთ, რატომ სჭირდებოდა გერმანიას მოკავშირეები - გაიხსენეთ განვლილი მასალა და რუკის მიხედვით იმსჯელეთ, რომელი ევროპული სახელმწიფოები შეიძლება ყოფილიყო გერმანიის პოტენციური მოკავშირე. რატომ - შენი პასუხი დაასაბუთე.

**ნაბიჯი 2**
**რა ნიშნით არის დაყოფილი ამერიკის საზოგადოება სამოქალაქო ომის პერიოდში - გამოყავი მათი ინტერესები, საზრუნავები, პოლიტიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები. (საზოგადოება 1, 2)**

- იმსჯელეთ, რა ქმნიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას ფედერალისტებსა და რესპუბლიკელებს შორის. იმსჯელეთ, ამ დაპირისპირების მიზეზებზე
- იმსჯელეთ, საზოგადოების რა ჯგუფებს ეყრდნობოდა ამ ორი პარტიის პოზიცია - რამდენად გამოხატავდნენ ისინი საზოგადოებრივ პოზიციას, მათ ინტერესებს, საზრუნავებს და იდენტობას?
- იმსჯელეთ, რამდენად კარგია დემოკრატიისთვის პარტიული დისკუსია სხვადასხვა საკითხზე. რატომ? შენი პასუხი დაასაბუთე?
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და ისტორიული კონტექსტი. იმსჯელეთ, რატომ იყო შტატების და ფედერალური მთავრობის ურთიერთობა ამერიკისთვის ყველაზე რთული პოლიტიკური საკითხი
- იმსჯელეთ, როგორ ნაწილდებოდა ძალაუფლება ამერიკის პოლიტიკური სისტემის შიგნით? რამდენად დემოკრატიული იყო ეს სისტემა?
- იმსჯელეთ, რატომ უწყობს ხელს პოლიტიკური და საზოგადოებრივი დისკუსია და კომპრომისის კულტურა დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოების შექმნას
- იმსჯელეთ, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის რამდენად მნიშვნელოვანია ძალაუფლების/მთავრობის ცვლილება
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და იმსჯელეთ, როგორ განსხვავდებოდა ამავე პერიოდის ევროპული და ამერიკული პოლიტიკური კულტურა
- გაიხსენეთ წინა მასალა და იმსჯელეთ, რატომ და როგორ შეძლეს ამერიკელებმა კონტინენტზე სწრაფი გაფართოება
- იმსჯელეთ, რატომ შეიქმნა კონტინენტზე ხელსაყრელი ვითარება ამერიკის შტატების შემდეგი, სწრაფი გაფართოებისთვის
- იმსჯელეთ, რა იყო ინგლისთან მეორე დამოუკიდებლობის ომის მთავარი შედეგები
- იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ომი საერთო ამერიკული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად. რატომ? ახსენი შენი პოზიცია.
- იმსჯელეთ, მონროს დოქტრინაზე - როგორ ანაწილებს იგი იმ ეპოქის სამყაროს? რამდენად მართებულია მისი პოზიცია? შენი პასუხი დაასაბუთე
- იმსჯელეთ, იმ პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებზე, რომელიც ამერიკის დასავლეთით გაფართოებას მოჰყვა
- იმსჯელეთ, რა მიზეზები განაპირობებდა ჩრდილოეთის და სამხრეთის შტატებს შორის დაპირისპირებას - დაყავი ეს მიზეზები ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ ფაქტორებად.
- გამართე მცირე დისკუსია და იმსჯელეთ, როგორ და რამდენად იყო შესაძლებელი ამ დაპირისპირების დარეგულირება?
- იმსჯელეთ, მონობის და მისი ნეგატიური შედეგების შესახებ. მოაწყვე მცირე დისკუსია - რა გზა გაიარა კაცობრიობამ, ეს საკითხი რომ გადაეაზრებინა?

- იმსჯელეთ, რამდენად უკავშირდება ერთმანეთს ახალი ტერიტორიების სწრაფი ათვისება და მონობის პრაქტიკა? რატომ გაუქმდა ევროპაში მონობა ამერიკაზე უფრო ადრე? იმსჯელეთ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე.
- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა ჩრდილოეთის გამარჯვება სამოქალაქო ომში
- იმსჯელეთ, რა უპირატესობები აქვს ინდუსტრიულ საზოგადოებას? როგორ აისახება ინდუსტრიალიზაცია საომარ მოქმედებებზე
- იმსჯელეთ, რატომ მიიჩნევა აბრაამ ლინკოლნი ამერიკის ერთ-ერთ გამორჩეულ პრეზიდენტად
- იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო რეკონსტრუქციის პოლიტიკა? რატომ? რამდენად შეუწყო ხელი დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოების მშენებლობას?
- იმსჯელეთ, რა იყო ამერიკის სამოქალაქო ომის ძირითადი შედეგები.

**ნაბიჯი 3**

**როგორ იცვლება იაპონიის და ჩინეთის სახელმწიფო და საზოგადოება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. (საზოგადოება 1-3)**

- იმსჯელეთ, რა ფაქტორებმა განაპირობა სინის დინასტიის მმართველობის დროს ჩინეთის ძლიერება XVII-XVIII საუკუნეში - გამოყავი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები
- იმსჯელეთ, რა შეიძლება მოეტანა ჩინეთისთვის ქვეყნის ეტაპობრივ დახურვას და ევროპულ სახელმწიფოებთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვას.
- იმსჯელეთ, ჩინეთის ეკონომიკის მახასიათებლებზე - რა ტიპის ეკონომიკა ჰქონდა ჩინეთს და როგორ აისახებოდა მასზე კლიმატური და გეოგრაფიული ფაქტორები
- იმსჯელეთ, ჩინეთის სამიწათმოქმედო ეკონომიკისთვის რა საფრთხეს წარმოადგენდა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა - გაიხსენეთ განვლილი მასალა, როგორ გადაჭრეს ეს პრობლემა ევროპულმა სახელმწიფოებმა
- იმსჯელეთ, რა საფრთხეებს ქმნიდა ოპიუმი ჩინეთის ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის
- იმსჯელეთ, რატომ ჰქონდა ჩინეთს ბრიტანეთთან დადებითი სავაჭრო ბალანსი (ანუ უფრო მეტი ექსპორტი, ვიდრე იმპორტი)
- იმსჯელეთ, რატომ არ ჰქონდა ჩინეთს შანსი განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებთან ომში
- იმსჯელეთ, როგორ შეიძლება ჩინეთს თავისი პრობლემები გადაეჭრა - გაიხსენეთ განვლილი მასალა და სხვა სახელმწიფოების გამოცდილება ამ ეპოქაში
- იმსჯელეთ, რატომ განაპირობა ჩინეთში ევროპულ სახელმწიფოებთან მარცხმა უფრო მეტი ჩაკეტილობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დონეზე
- იმსჯელეთ, რატომ იყო შოგუნთა მმართველობა პირველ ეტაპზე წარმატებული - რას ეფუძნებოდა იგი?
- შეადარე იაპონიის მმართველობითი და ეკონომიკური სისტემა ევროპულ სახელმწიფოებს - იმსჯელეთ, მსგავსებებზე და განსხვავებებზე. რამდენად მიდიოდა შორეული აღმოსავლეთი და ევროპა განვითარების მსგავსი გზით
- იმსჯელეთ, რა მიზეზებმა განაპირობა იაპონიის იზოლაციონიზმი? რა შედეგები შეიძლება მოეტანა მას იაპონიისთვის

- იმსჯელეთ, რატომ ჩამორჩებოდა იაპონია დასავლურ სახელმწიფოებს - იმსჯელეთ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მიზეზებზე.
- გაიხსენეთ განვლილი მასალა და შეადარე იაპონია ამ პერიოდის ევროპას და ამერიკას - იმსჯელეთ, მსგავსებებსა და განსხვავებებზე
- იმსჯელეთ, იაპონიის რეფორმებზე - რა ტიპის რეფორმები გატარდა და რა შედეგები ჰქონდა მათ
- იმსჯელეთ, რატომ განაპირობა რეფორმებმა იაპონიის სწრაფი გაძლიერება - შეადარე კრიზისზე იაპონიის და ჩინეთის პასუხი
- იმსჯელეთ, გაძლიერების შემდეგ რატომ გაძლიერდა იაპონიაში ნაციონალისტური განწყობები
- იმსჯელეთ, რას ნიშნავდა იაპონიის მიერ ბრიტანეთთან ალიანსის გაფორმება

**ნაბიჯი 4**

**რა ტიპის წყაროები არსებობს ამ ეპოქის მოვლენების შესახებ - რამდენად დამაჯერებელია ისინი (წყარო. 1-4)**

- იმსჯელეთ, წყაროების იმ ტიპებზე, რომლებიც ჩნდება XIX საუკუნის ევროპის საზოგადოებრივ კულტურაში
- როგორ განაპირობებს ეს წყაროები ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებას
- შეფასება - რამდენად კარგად ფუნქციონირებდა
- შეადარე სხვა ეპოქასთან
- .იმსჯელეთ, თქვენს მიერ აღნიშნული წყაროების სანდოობის ხარისხზე.
- რატომ, რა მიზნით შეიქმნა მოცემული კარიკატურა?
- პოლიტიკური მოღვაწის რა თვისებაა გაშარჟებული კარიკატურაზე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ კარიკატურაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით
- შენი აზრით, რა გარემოებამ განაპირობა ამ იდეის გაშარჟების საჭიროება? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ მხოლოდ კარიკატურაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით
- რამდენად სანდოა კარიკატურაზე მოცემული ინფორმაცია?რატომ ფიქრობ ასე? დაასაბუთე
- როგორ დაეხმარება ისტორიკოსს მოცემული კარიკატურის შესწავლა?

**კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად**

**აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;**

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს სტატიის მოსამზადებლად?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?

- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი სტატიაა?

**ახსენი, რატომ შექმენი სტატია? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?**

- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?

**რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**

- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების)?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? (რა დახმარება გაუწიეთ თანაკლასელებს/მასწავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღეთ მათგან);
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? *(მაგალითად, რამდენად მოახერხეთ აზრთა სხვადასხვაობის ვითარებაში ორიენტირებული ყოფილიყავით პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?*

- ხვდებით თუ არა წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო(მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

**შემაჯამებელი დავალება N7 (ნიმუში)**

შემაჯამებელი დავალება 7 - **ისტორია**

მოსწავლის სახელი და გვარი, სკოლა, კლასი ---------------------------------------------------

**გერმანიის გაერთიანება**

1. **როდის გაერთიანდა გერმანია? დაასახელეთ სამი ისტორიული მოვლენა, რომელიც გერმანიის გაერთიანებას წინ უსწრებდა და მოსდევდა?**

| სამი მოვლენა, რომლებიც წინ უსწრებდა გერმანიის გაერთიანება | თარიღი/პერიოდი | სამი მოვლენა, რომელიც მოსდევდა გერმანიის გაერთიანებას |
|---|---|---|
| 1. | | 1. |
| 2. | | 2. |
| 3. | | 3. |

2. დაასახელეთ სამი გეოგრაფიული ობიექტი/პუნქტი, რომლების შესახებაც ისწავლეთ გერმანიის გაერთიანების შესწავლისას?

| გერმანელებით დასახლებული ტერიტორიები (გერმანიის გაერთიანებამდე) | რით იყო ეს პუნქტი მნიშვნელოვანი | გეოგრაფიული, პოლიტიკური და ისტორიული თავისებურებები |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

3. საიდან გვაქვს ინფორმაცია გერმანიის გაერთიანების, მისი კონტინენტურ ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების და ახალი დიდი კოალიციების შექმნის შესახებ შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?

| წყაროს ტიპის დასახელება | ვინ შექმნა | რის შესახებ მოგვითხრობს | როდის და რატომ შეიქმნა | რამდენად სანდოა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**4. ძალაუფლების როგორი მოდელით იმართებოდა გერმანული პოლიტიკური ერთეულები, შემდეგ კი გერმანიის იმპერია?**

| | **ძალაუფლების მოდელი** | **მოკლე აღწერილობა** | **შეფასება -** რამდენად კარგად ფუნქციონირებდა | **შედარება სხვა ეპოქასთან** |
|---|---|---|---|---|
| სხვადასხვა გერმანული პოლიტიკური ერთეულები | | | | |
| გერმანიის იმპერია | | | | |

5. როგორი იყო გერმანული საზოგადოება გაერთიანებამდე?

| პოლიტიკური ერთეულები - რომლის მიხედვითაც დაყოფილი იყო გერმანული საზოგადოება | იდენტობის საშუალებები | ფაქტორები, რომლებიც ყოფდა გერმანულ საზოგადოებას | ფაქტორები, რომლებიც აერთიანებდა გერმანულ საზოგადოებას | სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

6. დაასახელეთ გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი/ისტორიული მოვლენა/პროცესი?

| ისტორიული მოვლენა | მიზეზი | შედეგი | ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდა გერმანიის გაერთიანებას | მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისთვის | ანალოგიური მოვლენა (ფაქტებით გამყარება) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**შეფასების რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასებისათვის N7**

| | | |
|---|---|---|
| კლასი **XI**<br><br>თემა **ხანგრძლივი XIX საუკუნე**<br><br>ძირითადი საკითხი **გერმანიის გაერთიანება**<br><br>მოსწავლე | | |
| **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | მაქსიმალური ქულა | კომენტარი |
| **წყარო/ინტერპრეტაცია**<br><br>გერმანიის გაერთიანების შესახებ მოცემული წყაროების კლასიფიცირება და მათზე დაყრდნობით გერმანიის გაერთიანების და კონტინენტურ ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების, ასევე იმ დიდი ევროპული კოალიციების ჩამოყალიბების შესახებ მსჯელობა, რომელმაც ევროპა ახალი დიდი ომის საშიშროების წინაშე დააყენა. წყაროებზე მსჯელობისას მათი მიკერძოებულობისა და სანდოობის ხარისხის დადგენა, კრიტიკულად შეფასება და მათ მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა. | 1 | |
| **დრო**<br><br>გერმანიის გაერთიანების, როგორც ევროპაში დიდი ცვლილებების დასაწყისის ხანის გამოკვეთა და მისი მახასიათებლების გამოყოფა; იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელმაც გერმანიის გაერთიანება წარმოადგინა, როგორც ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი ნაწილი; | 1 | |
| **სივრცე**<br><br>იმ ტერიტორიული არეალის გამოკვეთა, რომელიც გერმანიის გაერთიანებამდე დასახლებული იყო გერმანელი ხალხით, ამ ტერიტორიების გეოგრაფიული, პოლიტიკური და ისტორიული თავისებურებების გაანალიზება; გერმანიის გაერთიანებაზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; | 1 | |
| **საზოგადოება** | 1 | |

| | | |
|---|---|---|
| გაერთიანებაში მონაწილე გერმანული საზოგადოების დახასიათება, მათი იდენტობის საშუალებებზე მსჯელობა; იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომელიც ყოფდა და ასევე აერთიანებდა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად დაყოფილ გერმანულ საზოგადოებას; სხვა ისტორიული პერიოდის საზოგადოებასთან შედარება; | | |
| **ძალაუფლება**<br><br>სხვადასხვა გერმანულ პოლიტიკურ ერთეულებში და გერმანულ იმპერიაში არსებულ ძალაუფლების მოდელზე მსჯელობა და შეფასება; სხვა ეპოქის მმართველობის ფორმებთან შედარება; | 1 | |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი**<br><br>ერთიანი გერმანიის შექმნის მიზეზებზე და შედეგებზე მსჯელობა და მისი, როგორც ისტორიული მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობის გამოკვეთა; იმ ფაქტორების ანალიზი, რომელიც ხელს უშლიდა გერმანიის გაერთიანებას; დანიასთან, ავსტრიასთან, საფრანგეთთან წარმოებული ომების შედეგების შეფასება; გერმანიის შექმნით ევროპაში გამოწვეული ცვლილებების შეფასება; გაერთიანებული გერმანიის შექმნის ანალოგიური მოვლენის დასახელება და ფაქტებით განმტკიცება; | 1 | |

**შეფასების რუბრიკა განმავითარებელი შეფასებისათვის (ნიმუში)**

**კომპლექსური ტიპის დავალება N1.**

**კომპლექსური დავალება** - წარმოიდგინე, რომ ხართ XI საუკუნეში მოღვაწე სწავლული. მოღვაწეობ პაპის კარზე და ხართ მისი მრჩეველი. დაგებადათ იდეა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შესახებ. წარუდგინეთ პაპს **წერილობითი მოხსენება,** სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ როდის და რატომ უნდა დაიწყოს ჯვაროსნული ლაშქრობები, რა უნდა იყოს მისი მიზანი და რას მოუტანს ის ერთის მხრივ პაპის ძალაუფლებას და მეორე მხრივ ევროპულ სამყაროს.

**წერილობით მოხსენებაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**

- იმსჯელეთ, როგორი იყო ევროპაში სასულიერო და საერო ძალებს შორის პოლიტიკური ბალანსი და რას მისცემდა ჯვაროსნული ლაშქრობები, როგორც პაპებს, ასევე ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს; (ძალაუფლება. მკ.წ. 2; 3; სივრცე. 3; წყარო.მკ.წ 1);
- რა როლი უნდა ჰქონდეს რომის პაპს ჯვაროსნულ ლაშქრობებში და როგორ აისახება ეს პაპის ძალაუფლებაზე; (ძალაუფლება.მკ.წ.3; 4 წყარო მკ.წ. 2 );
- დაახასიათეთ სივრცე და გეოგრაფიული გარემო, სადაც უნდა განხორციელდეს ჯვაროსნული ლაშქრობა და ამ სივრცის ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა ევროპული სამყაროსათვის; (სივრცე.მკ.წ. 1, 2; 3; წყარო მკ.წ. 1,2)
- დაახასიათეთ ბიზანტიისა და თურქული სამყაროს მდგომარეობა ამ ეპოქაში და იმსჯელეთ, რა ფაქტორები შეუწყობს ხელს ჯვაროსნების წარმატებას. (ძალაუფლება. მკ.წ.1; 2; 3; წყარო, მკ.წ.1,2);
- რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს ჯვაროსნული ლაშქრობები ქრისტიანულ სივრცეს. (ძალაუფლება. მკ.წ. 2; 4; სივრცე. 2; სივრცე.მკ.წ. 3; წყარო მკ.წ.3,4) ;

| სამიზნე ცნება<br>ქვესაკითხი | სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | მოლოდინები:<br>მოსწავლეს შეუძლია |
|---|---|---|
| **1.სამიზნე ცნება:** სივრცე<br><br>**ქვესაკითხი:** სივრცე, სადაც განხორციელდა ჯვაროსნული ლაშქრობები და მისი ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა ევროპული სამყაროსათვის; | 1.გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br><br>2.კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br><br>3.კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ. | • დაახასიათოს ევროპელებისათვის ლევანტის რეგიონის კონტროლის მნიშვნელობა; ფაქტორები, რომლებიც ამ კონკრეტული არეალის მნიშვნელობას განაპირობებს **(მ.წ. 1, 3);**<br><br>• გააანალიზოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში არსებული გეოგრაფიული ცოდნა **(მ.წ. 2).** |

**მასწავლებლის კომენტარი**

| აბსტრაქტული დონე | მიმართებითი დონე | მულტისტრუქტურული დონე | უნისტრუქტურული დონე | პრესტრუქტურული დონე |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას | მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე | მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან. | მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია |

| **დაზუსტება:** შენ თავი უნდა წარმოგედგინა რომის პაპის მრჩევლად და შეგექმნა რომის პაპისათვის წარსადგენი მოხსენება. შენ მიერ შექმნილ მოხსენებაში ხაზგასმით უნდა წარმოგედგინა და გემსჯელა იმ სივრცეზე, სადაც განხორციელდა ჯვაროსნული ლაშქრობები; ასევე ყურადღება გაგემახვილებინა იმაზე, რა რელიგიური და ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა ლევანტის რეგიონს და რატომ იყო ამ სივრცის კონტროლი მნიშვნელოვანი ევროპელებისათვის. | | | | |
|---|---|---|---|---|
| **წახალისება:**შენ შესანიშნავად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილი მოხსენებიდან ჩანს რომ საფუძვლიანად და სიღრმისეულად გაიაზრე საკითხი, დაამუშავე კრიტერიუმები და გამოყავი იმ სივრცის პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და სოციალური მახასიათებლები, რომელზედაც განხორციელდა ჯვაროსნული ლაშქრობები. საინტერესოა შენი ნარატივი ევროპელთათვის აღნიშნული სივრცის შენარჩუნება და კონტროლი მნიშვნელოვანი ევროპელთათვის; საინტერესოა შენი არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რატომ | **წახალისება:** შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ რომის პაპისადმი წარსადგენ მოხსენებაში კარგად ჩანს, რომ საკითხი საფუძვლიანად გაგიანალიზებია. მოხსენებაში დამუშავებულია დავალებაში მითითებული კრიტერიუმები. მსჯელობ და ადარებ ერთმანეთს გეოგრაფიული სივრცეებს. აანალიზებ ლევანტის რეგიონის ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობის შესახებ ევროპული სამყაროსათვის; **რჩევა:** იმისათვის, რომ საკითხი სიღრმისეულად წარმოადგინო, უკეთესი იქნება | **წახალისება:** შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. წაგიკითხია სახელმძღვანელოში მოცემული შესაბამისი პარაგრაფები და დაგიკავშირებია დავალებასთან, რაც გამოჩნდა შენ მიერ შექმნილ მოხსენებაში. **რჩევა:** შენი ნაშრომი ორიგინალობას შეიძენდა, თუ მოხსენებაში ხაზგასმით გამოკვეთდი დავალებაში დასამუშავებელ კრიტერიუმებს, მაგ:დაახასიათეთ სივრცე და გეოგრაფიული გარემო, სადაც უნდა განხორციელდეს ჯვაროსნული ლაშქრობა და ამ სივრცის ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა | **წახალისება:**შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, დაწერე კიდეც რომის პაპისადმი წარსადგენი მოხსენება. **რჩევა:** შენ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ჩანს, რომ არ წაგიკითხია სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა. გთხოვ, გამოიყენო სახელმძღვანელო და ყურადღებით გაეცნო და დააკონკრეტო ის სივრცე, რომელზედაც განხორციელდა ჯვაროსნული ლაშქრობები, იმსჯელო და დაუკავშირო ერთმანეთს ის ინფორმაცია, რომელიც საკითხის გააზრებაში დაგეხმარება. მაგ:, რატომ ინტერესდებოდნენ ევროპელი მონარქები „წმინდა მიწით“, რა გეოგრაფიული | **წახალისება:** შენ აუცილებლად შეძლებ ამ დავალების შესრულებას. **რჩევა:** იმისათვის, რომ შეასრულო დავალება, პირველ რიგში გაიხსენე, თუ როგორ იწერება მოხსენება, მოუსმინე ტელესკოლის გაკვეთილს:“ჯვაროსნული ლაშქრობები“; ცალკე მოინიშნე ის სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ომებში და ცალკე ის სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიების დასაკავებლად იბრძოდნენ ჯვაროსნები. შენთვის უკვე ნაცნობი ინფორმაცია შეადარე სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას. დაფიქრდი, საიდან შეიძლება კიდევ გაიგო მეტი იმ ტერიტორიებზე, რომელზედაც მიმდინარეობდა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იყო ანატოლიური სივრცის დაკარგვა დამღუპველი ბიზანტიის იმპერიისათვის; ნაშრომს ორიგინალობას სძენს საკითხის გარშემო გამოთქმული შენეული შეფასებები. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული, იყენებ მართებულ ტერმინოლოგიას. მოხსენებაში შენ მიერ შესწავლილი მასალა განზოგადებულია და დაკავშირებულია მსგავს ისტორიულ პროცესთან დაკავშირებულ ტერიტორიულ არეალებთან. | სივრცე, სადაც ჯვაროსნული ლაშქრობები განხორციელდა შეადარო სხვა ეპოქისთვის დამახასიათებელ სხვა ისტორიულ მოვლენას და შესაბამისად იმსჯელო აღნიშნული მოვლენისათვის დამახასიათებელი ტერიტორიული არეალის ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მნიშვნელობაზე ევროპული სამყაროსათვის; | ევროპული სამყაროსათვის; ყურადღება მიაქციე მოხსენებაში ინფორმაცია ლოგიკურად და მართებულად გადმოსცე; შეაფასო ჯვაროსნების ინტერესი „წმინდა მიწის“ მიმართ | ინტერესი ჰქონდათ მათ ამ ტერიტორიული არეალის დასაკავებლად. | ჯვაროსნული ლაშქრობები. |
| **2.სამიზნე ცნება:** ძალაუფლება<br><br>**ქვესაკითხი:**<br>**1.**სასულიერო და საერო ძალებს შორის არსებული პოლიტიკური ბალანსი ევროპაში; | 1.ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>2.ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; | | • დაახასიათოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოები, მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; შეადაროს ისინი სხვა ისტორიულ პერიოდებს **(მ.წ. 1, 3, 4);**<br>• გააანალიზოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბროლის თავისებურებები **(მ.წ. 2)**<br>• გააანალიზოს ვინ/რა განიხილებოდა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ძალაუფლების წყაროდ; რა | |

<table>
<tr>
<td>2.პაპები იმპერატორების წინააღმდეგ;<br>3.ისლამური საზოგადოებისათვის მისაღები ძალაუფლების საშუალებები;<br>4. პაპის გავლენა ჯვაროსნულ ომებზე; ჯვაროსნული ლაშქრობების გავლენა ევროპელი მონარქების ძალაუფლებაზე;</td>
<td colspan="2">3.ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br><br>4.ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;</td>
<td colspan="2">წარმოადგენდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველს (მ.წ. 4).</td>
</tr>
<tr>
<td colspan="5">მასწავლებლის კომენტარი</td>
</tr>
<tr>
<td>აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/ არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას</td>
<td>მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td>
<td>მულტისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე</td>
<td>უნისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან.</td>
<td>პრესტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია</td>
</tr>
</table>

| **დაზუსტება:** შენ თავი უნდა წარმოგედგინა რომის პაპის მრჩევლად და შეგექმნა რომის პაპისათვის წარსადგენი მოხსენება. შენ მიერ შექმნილ მოხსენებაში ხაზგასმით უნდა წარმოგედგინა და გემსჯელა ევროპაში სასულიერო და საერო ძალებს შორის პოლიტიკური ბალანსის შესახებ და გაგეაზრებინა, რას მისცემდა ჯვაროსნული ლაშქრობები, როგორც პაპებს, ასევე ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს; გაგეანალიზებინა რომის პაპის როლი ჯვაროსნულ ლაშქრობებში და დაფიქრებულიყავი, თუ როგორ აისახება ეს პაპის ძალაუფლებაზე; | | | | |
|---|---|---|---|---|
| **წახალისება:**შენ შესანიშნავად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილი მოხსენებიდან ჩანს რომ საფუძვლიანად და სიღრმისეულად გაიაზრე საკითხი, დაამუშავე კრიტერიუმები და გააანალიზე პაპის გავლენა ჯვაროსნულ ომებზე და იმსჯელეთ, როგორ აისახებოდა ეს მოვლენა პაპის ძალაუფლებაზე; შენს მოხსენებაში გამოყავი და კრიტიკულად შეაფასე ძალაუფლების რა ტიპი იყო დამახასიათებელი ჯვაროსნული სახელმწიფოებისათვის და რატომ ვერ შეძლეს მათ ევროპული მოდელის ჩამოყალიბება. საინტერესოა შენი არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რას ეყრდნობოდა პაპისა და იმპერატორების ძალაუფლება, რა იყო | **წახალისება:** შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ რომის პაპისადმი წარსადგენ მოხსენებაში კარგად ჩანს, რომ საკითხი საფუძვლიანად გაგიანალიზებია. მოხსენებაში დამუშავებულია დავალებაში მითითებული კრიტერიუმები. მსჯელობ და ადარებ ერთმანეთს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოებს, მმართველობის ფორმებსა და სტრუქტურებს; გამოყოფ ძალაუფლებისათვის ბრძოლის თავისებურებებს და ამახვილებ ყურადღებას ხელისუფლების | **წახალისება:** შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. წაგიკითხია სახელმძღვანელოში მოცემული შესაბამისი პარაგრაფები და დაგიკავშირებია დავალებასთან, რაც გამოჩნდა შენ მიერ შექმნილ მოხსენებაში. **რჩევა:** შენი ნაშრომი ორიგინალობას შეიძენდა, თუ მოხსენებაში ხაზგასმით გამოკვეთდი დავალებაში დასამუშავებელ კრიტერიუმებს, მაგ: იმსჯელეთ, როგორი იყო ევროპაში სასულიერო და საერო ძალებს შორის პოლიტიკური ბალანსი და რას მისცემდა ჯვაროსნული ლაშქრობები, როგორც პაპებს, ასევე ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს; რა როლი | **წახალისება:**შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, დაწერე კიდეც რომის პაპისადმი წარსადგენი მოხსენება. **რჩევა:** შენ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ჩანს, რომ არ წაგიკითხია სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა. გთხოვ, გამოიყენო სახელმძღვანელო და ყურადღებით გაეცნო და დააკონკრეტო რომის პაპის როლი ჯვაროსნულ ლაშქრობებში, იმსჯელო და შეადარო ერთმანეთს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოები, გააანალიზო ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმები; მეტი იმსჯელეთ, და | **წახალისება:** შენ აუცილებლად შეძლებ ამ დავალების შესრულებას. **რჩევა:** იმისათვის, რომ შეასრულო დავალება, პირველ რიგში გაიხსენე, თუ როგორ იწერება მოხსენება, მოუსმინე ტელესკოლის გაკვეთილს:"ჯვაროსნული ლაშქრობები"; ცალკე გამოყავი ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილე სახელმწიფოებში არსებული ძალაუფლების ფორმები, ლეგიტიმაციის საშუალებები შენთვის უკვე ნაცნობი ინფორმაცია შეადარე სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას. დაფიქრდი, საიდან შეიძლება კიდევ გაიგო მეტი, თუ როგორ აისახებოდა ჯვაროსნული ლაშქრობები და მისი შედეგები რომის პაპის ძალაუფლებაზე. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის აუცილებელი საშუალებები; ნაშრომს ორიგინალობას სძენს საკითხის გარშემო გამოთქმული შენეული შეფასებები გერმანული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ძალაუფლების ტიპზე; ასევე საინტერესოა შენი პოზიცია და მსჯელობა ბიზანტიის იმპერიის მმართველობის სისტემაში არსებულ პრობლემებზე; მისასალმებელია საკითხთან დაკავშირებით შენეული შეფასებების წარმოდგენა როგორც მომთაბარე თურქული, ასევე მათ მიერ დაპყრობილი ისლამური საზოგადოების ძალაუფლებების საშუალებების შესახებ და მისი დაკავშირება შესასწავლ საკითხთან. ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული, იყენებ სწორ ტერმინოლოგიას; მოხსენებაში შენ მიერ | ლეგიტიმაციის საფუძვლებზე; **რჩევა:** იმისათვის, რომ საკითხი სიღრმისეულად უკეთესად წარმოადგინო, უკეთესი იქნება მოხსენებაში იმსჯელო ევროპაში სასულიერო და საერო ძალებს შორის პოლიტიკური ბალანსის შესახებ და შეაფასო, რას მისცემდა ჯვაროსნული ლაშქრობები, როგორც პაპებს, ასევე ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს; გააანალიზო რომის პაპის როლი ჯვაროსნულ ლაშქრობებში და დაფიქრებულიყავი, თუ როგორ აისახება ეს პაპის ძალაუფლებაზე; | უნდა ჰქონდეს რომის პაპს ჯვაროსნულ ლაშქრობებში და როგორ აისახება ეს პაპის ძალაუფლებაზე; ყურადღება მიაქციე მოხსენებაში ინფორმაცია ლოგიკურად და მართებულად გადმოსცე; | დაუკავშირე ერთმანეთს ის ინფორმაცია, რომელიც საკითხის გააზრებაში დაგეხმარება. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შესწავლილი მასალა განზოგადებულია და შედარებულია სხვა ეპოქაში არსებულ მმართველობის მოდელთან და ძალაუფლების საშუალებებთან. | | | | |
| **3.სამიზნე ცნება:** ისტორიული წყარო<br><br>**ქვესაკითხი:**<br>**1.**რას მოგვითხრობენ ევროპული და აღმოსავლური ისტორიული წყაროები პაპისა და იმპერატორს შორის არსებული კონფლიქტის და ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ; | 1.ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>2.ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;<br>3.ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br>4.ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის; | | • დაახასიათოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის ძალაუფლების სიმბოლოები, მმართველობის ფორმები და სტრუქტურები; შეადაროს ისინი სხვა ისტორიულ პერიოდებს **(მ.წ. 1, 3, 4);**<br>• გააანალიზოს ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბროლის თავისებურებები **(მ.წ. 2)**<br>• გააანალიზოს ვინ/რა განიხილებოდა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ძალაუფლების წყაროდ; რა წარმოადგენდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველს **(მ.წ. 4).** | |
| **მასწავლებლის კომენტარი** | | | | |
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/ | **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს | **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან | **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული | **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას | საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/ წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხზე | ასოციაცია/წარმოდგენა აქვს განსახილველ საკითხთან. | |
| **დაზუსტება:** შენ თავი უნდა წარმოგედგინა რომის პაპის მრჩევლად და შეგექმნა რომის პაპისათვის წარსადგენი მოხსენება. შენ მიერ შექმნილ მოხსენებაში ხაზგასმით უნდა წარმოგედგინა და გემსჯელა ევროპაში სასულიერო და საერო ძალებს შორის პოლიტიკური ბალანსის შესახებ და გაგეაზრებინა, რას მისცემდა ჯვაროსნული ლაშქრობები, როგორც პაპებს, ასევე ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს; გაგეანალიზებინა რომის პაპის როლი ჯვაროსნულ ლაშქრობებში და დაფიქრებულიყავი, თუ როგორ აისახება ეს პაპის ძალაუფლებაზე; | | | | |
| **წახალისება:**შენ შესანიშნავად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილი მოხსენებიდან ჩანს რომ საფუძვლიანად და სიღრმისეულად გაიაზრე საკითხი, დაამუშავე კრიტერიუმები და გააანალიზე პაპის გავლენა ჯვაროსნულ ომებზე და იმსჯელეთ, .რას მოგვითხრობენ ევროპული და აღმოსავლური ისტორიული წყაროები პაპისა და იმპერატორს შორის არსებული კონფლიქტის და | **წახალისება:** შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ რომის პაპისადმი წარსადგენ მოხსენებაში კარგად ჩანს, რომ საკითხი საფუძვლიანად გაგიანალიზებია. მოხსენებაში დამუშავებულია დავალებაში მითითებული კრიტერიუმები. მსჯელობ და ადარებ ერთმანეთს ჯვაროსნული ლაშქრობებისათვის დამახასიათებელ | **წახალისება:** შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. წაგიკითხია სახელმძღვანელოში მოცემული შესაბამისი პარაგრაფები და დაგიკავშირებია დავალებასთან, რაც გამოჩნდა შენ მიერ შექმნილ მოხსენებაში. **რჩევა:** შენი ნაშრომი ორიგინალობას შეიძენდა, თუ მოხსენებაში ხაზგასმით გამოკვეთდი დავალებაში დასამუშავებელ კრიტერიუმებს, | **წახალისება:**შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, დაწერე კიდეც რომის პაპისადმი წარსადგენი მოხსენება. **რჩევა:** შენ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ჩანს, რომ არ წაგიკითხია სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალა. გთხოვ, გამოიყენო სახელმძღვანელო და ყურადღებით გაეცნო და დააკონკრეტო ჯვაროსნული ლაშქრობების შეფასებასთან | **წახალისება:** შენ აუცილებლად შეძლებ ამ დავალების შესრულებას. **რჩევა:** იმისათვის, რომ შეასრულო დავალება, პირველ რიგში გაიხსენე, თუ როგორ იწერება მოხსენება, მოუსმინე ტელესკოლის გაკვეთილს: „ჯვაროსნული ლაშქრობები“; ცალკე გამოყავი ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილე სახელმწიფოებში შექმნილი ისტორიული წყაროები, დაალაგე ისინი ჟანრების მიხედვით და შეადარე მათგან მიღებული ინფორმაცია, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ; მსჯელობისას გააანალიზე ნარატიული წყაროები; დოკუმენტები; ისტორიული რუკები, ილუსტრაციები, კერძოდ: ვიდუკინდი - საქსონთა ისტორია X ს.**;** მაგდებურგის არქიეპისკოპოს ადალბერტის ჩანაწერი X ს.; ჟაკ ლე გოფი - თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი; ფრანკთა იმპერატორ ლუდვიგ II-ის საპასუხო წერილი ბიზანტიის იმპერატორს ბასილი I-ს მაკედონელთა დინასტიიდან. 871 წელი.; იუსტინიანე დიდის - პრაგმატული სანქცია. 554 წელი.; პაპ გრიგორი II-ის წერილი იმპერატორ ლეონ III-ს. 727 წელი.; ოტო I-ის ფიცი პაპი იოანე XII-სადმი. 961 წელი.; პაპი ლეო VIII-ის განკარგულება. 963 წელი.; პაპის არჩევის დეკრეტი 1059 წელი.; გრიგოლ VII-ის შეწყალება იმპერატორი ჰაინრიხისადმი. 1077 | სხვადასხვა ტიპის წყაროებს, ადარებ ერთმანეთს ევროპულ და აღმოსავლურ წყაროთა ტიპებს და ჟანრებს. **რჩევა:** იმისათვის, რომ საკითხი სიღრმისეულად უკეთესად წარმოადგინო, უკეთესი იქნება მოხსენებაში იმსჯელო იმ მახასიათებლებზე, რომლებიც განაპირობებს შენ მიერ დასახელებული წყაროების სანდოობას. | რომლებიც სხვადასხვა ტიპის ევროპულ და აღმოსავლურ წყაროებს ერთმანეთისაგან განარჩევს, დაუკავშირებდი მათგან მიღებულ სანდო ინფორმაციას ჯვაროსნულ ლაშქრობებს და შენს პოზიციას გამოთქვამდი აღნიშნული წყაროების მიმართ. ყურადღება მიაქციე მოხსენებაში ინფორმაცია ლოგიკურად და მართებულად გადმოსცე; | დაკავშირებული ევროპული და აღოსავლური ტიპის წყაროების ტიპები და ჟანრები. გამოხატო შენი პოზიცია მათ სანდოობასთან დაკავშირებით. | ხოლო შემდეგ გამოხატე საკუთარი აზრი ამ წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას უნდა ენდო თუ არა. შენი პოზიცია განამტკიცე თუნდაც ერთი არგუმენტით. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წლის 28 იანვარი.; ჰაინრიხის ფიცი რომის პაპის მიმართ. 1077 წლის იანვარი. კანოსა.; ვორმსის კონკორდატი. 1122 წელი.; იმპერატორ იუსტინიანეს სამოქალაქო კოდექსის წინასიტყვაობა. VI ს.; მონაკვეთი ლეონ III ისავრიელის წერილიდან. VIII ს.; კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ჩანაწერი. X ს.; ოღუზური ეპოსი „დედე ქორქუთის წიგნი“ IX-XII ს.; აბუ ალ-ფარაჯ იბნ-ლიბრი. XIII ს. სირიელი ისტორიკოსი; ალექსანდერ ბაიჰამერი - თანამედროვე ავსტრიელი ბიზანტინოლოგი; იბნ ალ-ასირი. XII ს. არაბი ავტორი აღწერს 1049 წლის მოვლენას, სადაც თურქთა ორი ბელადი ხვდება ერთმანეთს.; მიხაელ ატალიატი - XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი; პაპი ურბან II-ის გამოსვლა 1095 წელს, კლერმონის კრებაზე.; ფულხერიუს შარტრელი. ფრანკ პილიგრიმთა საქმენი. XII | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ს. ქრონიკა; ალექსი კომნენოსის შეთავაზება ჯვაროსნებისათვის; მატიას ედესელი. XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი.; დაადგინე აღნიშნული წყაროების ტიპები და გააანალიზე ის მიდგომა, რომელიც აღნიშნული წყაროების სანდოობას განაპირობებს, ასევე გაამახვილე ყურადღება იმაზე, რომ ამ ტიპის წყაროების სანდოობას სწორედ წყაროს ტიპი და ჟანრული თავისებურება განაპირობებს. ისაუბრე ჰერალდიკაზე, რომელიც ასე დამახასიათებელია ევროპული სივრცისათვის.ნაშრომი ლოგიკურადაა განვითარებული, იყენებ სწორ ტერმინოლოგიას; მოხსენებაში შენ მიერ შესწავლილი მასალა განზოგადებულია და შედარებულია სხვა ეპოქაში არსებულ წყაროთა ტიპებთან. | | | | |

# ავტორის კომენტარები

## ავტორის რეკომენდაციები მასწავლებელს:

# თემა 1: შუა საუკუნეები

## თავი 1: რომის იდეა შუა საუკუნეებში და ჯვაროსნული ომების ეპოქა

**პარაგრაფი §1-2 – რა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერია მაკედონელთა დინასტიის მმართველობის შემდეგ?**

აღნიშნული პარაგრაფის დამუშავების პირველ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია წინარე ცოდნის გააქტიურება. ვთხოვოთ მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა მოვლენებით ხასიათდებოდა ბიზანტიის ისტორიაში მაკედონიელთა დინასტიის წარმომადგენელი იმპერატორების ეპოქა და როგორი იყო იმპერიის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება XI საუკუნის დასაწყისში. აღნიშნული ბაზისის შექმნის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ პარაგრაფში წარმოდგენილი მასალის შესწავლა და დამუშავება.

იმისათვის, რომ პარაგრაფში წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზანი (სამიზნე ცნება – დრო) შესაბამისად დამუშავდეს, მნიშვნელოვანია აღნიშნული ეპოქის მნიშვნელოვანი მახასიათებლების გამოკვეთა. უმთავრესად კი უნდა გამოიკვეთოს ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც მაკედონელთა დინასტიის მმართველობის შემდეგ წარმოიქმნა უშუალოდ კონსტანტინოპოლში იმპერატორის ტახტის ირგვლივ. მკაფიოდ უნდა წარმოვუდგინოთ მოსწავლეებს, იმპერიის დედაქალაქში რომელი პოლიტიკური ჯგუფები (ბიუროკრატები და არმია) უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და რა გავლენას ახდენდა ეს დაპირისპირება იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე.

დააჯგუფეთ აღნიშნულ ეპოქაში იმპერიის წინაშე არსებული საშინაო და საგარეო გამოწვევები, რომლებიც სახელმძღვანელოში სქემის სახითაა წარმოდგენილი, და შესთავაზეთ მოსწავლეებს აქტივობა – იმსჯელონ, რა გზით შეეძლოთ იმპერატორებს ამ გამოწვევებთან გამკლავება. იმისათვის, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს ბიზანტიის იმპერიის წინაშე არსებული გამოწვევები XI საუკუნის მეორე ნახევარში, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს ორ მთავარ მოვლენაზე: დიდ სქიზმასა და მანასკერტის ბრძოლაზე. დიდ სქიზმასთან დაკავშირებით დაგვჭირდება წინარე ცოდნის გააქტიურება, რადგან ეს საკითხი წინა კლასში უკვე დამუშავებული აქვთ მოსწავლეებს და მნიშვნელოვანია, გაიხსენონ ამ მოვლენის მიზეზები და შედეგები. ასევე გამოკვეთონ, რა გავლენას ჰქონდა ამ მოვლენას ბიზანტიის ურთიერთობებზე დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან.

ყველაზე დიდი დრო უნდა დაეთმოს ანატოლიაში თურქების გააქტიურებისა და მანასკერტის ბრძოლის შემდეგ შექმნილი ვითარების განხილვასა და გაანალიზებას. გამოკვეთეთ ამ ისტორიული მოვლენის გავლენა თანამედროვე სამყაროზე. ასევე კარგად უნდა მოხდეს თურქული თავდასხმების კლასიფიცირება – რა სახის საფრთხეს წარმოადგენდა ეს ბიზანტიური საზო-

გადოებისათვის და როგორი იყო საიმპერიო ხელისუფლების რეაქცია თურქულ საფრთხეზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მანასკერტის ბრძოლას, გარდა იმისა, რომ ამ ბრძოლის რეზულტატმა განაპირობა ამ რეგიონის შემდგომი ბედი, მან გამოამზეურა ბიზანტიის იმპერიაში არსებული ყველა პრობლემა, მთელი სიმძაფრით. მოსწავლეებს ვთხოვოთ რომ კარგად გააანალიზონ თუ როგორი იყო ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკა თურქული პრობლემის მიმართ და რამდენად ძვირი დაუჯდათ მათ ეს პოლიტიკა.
დასკვნით ნაწილში მოსწავლეებს ვთხოვოთ შეაფასონ, იმპერატორ ალექსი კომნენოსის მცდელობები გადაეჭრა იმპერიის წინაშე არსებული პრობლემები და მკაფიოდ გამოვკვეთოთ მისი სამხედრო პოლიტიკის მიმართულებები. მნიშვნელოვანია, რომ პარაგრაფის ბოლოს ნიადაგი მოვამზადოთ ახალ ისტორიულ მოვლენაზე საუბრის დასაწყებად და ბიზანტიის იმპერიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიული რეალობის კარგად ჩვენებით, მოსწავლეებს ცოდნის ბაზისი შევუქმნათ იმისათვის, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობების დაწყებას თეორიულად მომზადებულები შეხვდნენ.

**პარაგრაფი §3-4 – როგორ ჩამოყალიბდა თურქ-სელჩუკთა მძლავრი იმპერია აღმოსავლეთში?**

თურქ-სელჩუკებისა და მათი ანატოლიური დაპყრობების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები უკვე გაეცვნენ წინა პარაგრაფში, სადაც XI საუკუნის, ბიზანტიის იმპერიის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ იყო საუბარი. ამ პარაგრაფის ფარგლებში პედაგოგის მიზანია დაამუშაოს სამი გრძელვადიანი მიზანი (სივრცე; ძალაუფლება; საზოგადოება) რაც სულაც არ წარმოადგენს რთულ ამოცანას, პარაგრაფში განხილული საკითხების ხასიათიდან გამომდინარე. პარაგრაფში წარმოდგენილი წყაროების ადა სქემების, ასევე ძირითადი ტექსტის საფუძველზე მარტივად შეიძლება სამივე გრძელვადიან მიზანზე გასვლა.

იმისათვის რომ თურქ-სელჩუკთა დაპყრობებისა და მათი საზოგადოების შესახებ სწორი წარმოდგენა შეგვექმნას, მნიშვნელოვანია, მათი განსახლების არეალისა და ცხოვრების წესის უმთავრესი მახასიათებლები მკაფიოდ გამოვყოთ. მნიშვნელოვანია მათი განსახლების არეალის გეოგრაფიული მახასიათებლების გამოკვეთა, რადგან სწორედ გეოგრაფიული გარემო აყალიბებდა მათი საზოგადოების ცხოვრების წესს. შესაბამისად მათი დაპყრობების ხასიათიც, მთლიანად მათი ცხოვრების წესით და საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებით იყო განპირობებული. მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევახსენოთ რომელი მომთაბარე ცხოვრების წესის მქონე ხალხების შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია აქამდე და გაიხსენონ მნიშვნელოვანი დეტალები, თუ რა ახასიათებთ მომთაბარულ საზოგადოებებს.

უმნიშვნელოვანესი იქნება მოსწავლეებს ვთხოვოთ ერთმანეთს შეადარონ ის სივრცე სადაც თავდაპირველად მოსახლეობდნენ თურქები და ის სივრცე სადაც დამკვიდრება მათ მოახერხეს XI საუკუნეში წარმოებული ლაშქრობებისა და დაპყრობების შემდეგ. ასევე ერთმანეთს შეადარონ თურქული საზოგადოება და ირანული, სირიული, სომხური და ანატოლიური საზოგადოებები, მათი მახასიათებლები. მსგავსი კომპარატივისტული ხასიათის აქტივობა ხელს შეუწყობს როგორც სივრცის ასევე საზოგადოების მახასიათებლების წინ წამოწევას და იმ ისტორიული მოვლენის მნიშვნელოვანი მახასიათებლების გამოკვეთას, რომელსაც თურქ-სელჩუკთა დაპყრობები წარმოადგენდა. პარაგრაფში წარმოდგენილ წყაროებზე დაყრდნობით, მკაფიოდ უნდა

გამოიკვეთოს თუ რა წარმოადგენდა თურქ-სელჩუკთა ლაშქრობების მიზანს და როგორ ხასიათს ატარებდა ის.

რაც შეეხება ძალაუფლებას, აქ მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს თუ რა მახასიათებლები უნდა ჰქონოდა, პოლიტიკურ ლიდერს ტრადიციული თურქული თვალსაზრისით. ასევე ძალაუფლების რა იდეებსა და საშუალებებს აერთიანებდნენ სელჩუკი სულთნები, მას შემდეგ რაც გაუჩნდათ პრეტენზია გაბატონებულიყვნენ ახლო აღმოსავლეთზე. მნიშვნელოვანია, რომ პარაგრაფში წარმოდგენილ წყაროებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა გააანალიზონ, თუ რა ტიპის პოლიტიკური ერთეული იყო სელჩუკთა ვრცელი იმპერია და რა დატვირთვა ჰქონდა ადგილობრივ სპარსულ, სირიულ ელემენტებსა და თურქ მომთაბარეებს იმპერიის შიგნით.

პარაგრაფში გამოკვეთილია სელჩუკი სულთნების მმართველობის დინამიკა და იმპერიის განვითარება. პარაგრაფის დასასრულს, აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე, რა წარმოადგენდა სელჩუკთა იმპერიაში საზოგადოების იდენტობის საშუალებას და რატომ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება სელჩუკთა იმპერიაში.

**პარაგრაფი §5-6 – რატომ დაუპირისპირდა ერთმანეთს სასულიერო და საერო ხელისუფლება XI-XII საუკუნეებში?**

აღნიშნულ პარაგრაფზე მუშაობის დაწყებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება. შევახსენოთ მოსწავლეებს თუ რა დატვირთვა ჰქონდა რომის პაპს ქრისტიანულ სამყაროში. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას რომის პაპისა და რომის იმპერატორის მნიშვნელობასა და მათ შორის ძალაუფლების განაწილების პრინციპს. პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაცია ისეა დალაგებული, რომ საუკუნეების განმავლობაში, რომის პაპის როლისა და საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობის ტენდენციების ცვლილებაა ასახული. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა კარგად დაინახონ პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად როგორ იცვლება პაპისა და ბიზანტიის იმპერატორების, შემდეგ კი ფრანკი მონარქების ურთიერთობები. მნიშვნელოვანია სწორად წარმოაჩინოთ მოვლენათა თანმიმდევრობა, როგორ ჩამოშორდა რომის პაპი ბიზანტიის იმპერატორებს და რა ვითარებაში შეარჩიეს ახალ პოლიტიკურ საყრდენებად ფრანკი მონარქები. მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ, თუ რატომ დაეცა რომის პაპის გავლენა და ავტორიტეტი ევროპულ სამყაროში მას შემდეგ, რაც ისინი ჯერ ფრანკი, შემდეგ კი გერმანელი იმპერატორების გავლენის ქვეშ მოექცნენ. განიხილეთ ,,წყარო 7“-ს ფარგლებში შემოთავაზებული ინფორმაცია და მოსწავლეებს სთხოვეთ, გააანალიზონ, თუ რატომ იქნებოდა აღნიშნული დოკუმენტი მიუღებელი იმპერატორებისათვის.
იმისათვის რომ მოსწავლეებმა სწორად გააანალიზონ „ინვესტიტურისათვის ბრძოლის“ სახელით ცნობილი ისტორიული მოვლენა, მნიშვნელოვანია ამ მოვლენის ორივე პოზიციიდან შეფასება ვთხოვოთ. შესთავაზეთ მოსწავლეებს აქტივობა, განიხილონ თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი ეპისკოპოსთა დანიშვნის უფლება პაპისა და იმპერატორისთვის. მოსწავლეებმა დააფიქსირონ აზრი, თუ რომელს ჰქონდა უფლება დაენიშნა ეპისკოპოსები. დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლო ქვეპარაგრაფის განხილვას, დიდი ყურადღებით უნდა გაეცნონ მოსწავლეები იმ მონაკვეთს სადაც განხილულია, თუ რატომ იყო მხოლოდ ევროპული სამყაროსათვის დამახასიათებელი სასულიერო და საერო ხელისუფლების ასეთი მასშტაბური დაპირისპირება. ამის განხილვა

მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს სწორ წარმოდგენას, როგორც ამ ისტორიული მოვლენის მნიშვნელობის, ასევე პაპისა და იმპერატორის ძალაუფლების გაგებისა და ლეგიტიმაციის საშუალებების თვალსაზრისით.

**პარაგრაფი §7-8 – როგორ აღდგა რომის იდეა დასავლეთ ევროპაში ფრანკთა იმპერიის დაშლის შემდეგ?**

აღნიშნული პარაგრაფის დამუშავებისას, მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება, რათა პარაგრაფში წამოჭრილი მასალები სწორად იყოს მოსწავლეების მხრიდან გაანალიზებული. პირველ რიგში უნდა შევახსენოთ მოსწავლეებს თუ როგორ დაიშალა ფრანკთა იმპერია და რამდენ ნაწილად დაიშალა ის. ამის შემდეგ უნდა გამოიკვეთოს გერმანული სივრცის გეოგრაფიული მახასიათებელი და მოსწავლეებს ვთხოვოთ გააანალიზონ, თუ როგორ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, გეოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურული თვალსაზრისით ფრანკთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები.
მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ყურადღება გავამახვილებინოთ იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელშიც აღმოჩნდა გერმანული სივრცე X საუკუნეში. განიხილეთ ჰაინრიხ ფრინველმჭერისა და ოტო I-ის მეფობის მახასიათებლები. განსაკუთრებული ყურადღება მიუძღვენით ოტო I-ს მეფობას და მის იდეას რომის იმპერიის აღდგენის თვალსაზრისით. შეადარეთ ოტო I-ის მეფობა კარლოს დიდის მოღვაწეობას და იმსჯელეთ თუ რატომ იყო ოტოების პოლიტიკაში წარმმართველი იტალიის დაკავების იდეა.
მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს გერმანული სივრცის მახასიათებლების გავლენა საზოგადოების განვითარებაზე. დასკვნით ნაწილში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს საღვთო რომის იმპერიის, განსხვავებული პოლიტიკური მოდელის მახასიათებლები. თუ როგორ ხდებოდა მონარქის არჩევა და რითი განსხვავდებოდა მმართველობის გერმანული მოდელი, ფრანგული და ინგლისური მონარქიებისაგან. განიხილეთ ჩეხეთის მეფე კარლ IV მიღებული „ოქროს ბულა“ და მოაწყვეთ დისკუსია თუ რა პრობლემის გადასაჭრელად გაატარა მონარქმა ეს ნაბიჯი.

**პარაგრაფი §9-10 – რატომ დაიწყო ჯვაროსნული ომები**

აღნიშნული პარაგრაფი მნიშვნელოვანია მრავალი კუთხით. აქ დეტალურადაა განხილული ორი პრობლემის შესახებ. პირველი - რომელი ისტორიული მოვლენები ერთიანდება ტერმინი „ჯვაროსნულის“ ირგვლივ და მეორე, რა მიზეზებმა განაპირობა XI საუკუნის მიწურულს კლასიკური ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება. აღნიშნულ პარაგრაფში ინფორმაცია ისეა დალაგებული, რომ მოსწავლეებმა, მისი ჯერ ნაწილებად დამუშავება, შემდეგ კი ერთიან კონტექსტში გააზრება შეძლონ.
ამ კონკრეტულ შემთხვევაში პედაგოგის მიზანია, მოსწავლეები ორ გრძელვადიან მიზანზე გაიყვანოს. კონკრეტულად კი ისტორიულ მოვლენასა და ძალაუფლებაზე. ორივე სამიზნე ცნების დამუშავება მარტივადაა შესაძლებელი ჯერ კიდევ პარაგრაფის პირველ ნაწილში, სადაც დაჯგუფებული და ჩამოთვლილია ყველა ის მოვლენა, რომელიც ჯვაროსნული ომების

სახელითაა ცნობილი. წარმოდგენილია ამ მოვლენების ქრონოლოგიური და სივრცობრივი მახასიათებლები.
მოსწავლეებს ვთხოვოთ ცალ-ცალკე განიხილონ ჩამოთვლილი მოვლენები და გამოკვეთონ, თითოეული მათგანის განმასხვავებელი მახასიათებლები. ამის შემდეგ კი განვიხილოთ ბოლო ნაწილი, სადაც საუბარია რომის პაპის გამაერთიანებელ როლზე ამ მოვლენათა მიმდინარეობისას. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, გამოიკვეთება შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი გლობალური მნიშვნელობის მოვლენის მახასიათებლები და ასევე მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რომის პაპს და როგორ იყენებდა ის ჯვაროსნობის იდეას საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით.
პარაგრაფის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ის მიზეზები, რომელმაც განაპირობა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება XI საუკუნის მიწურულს. მნიშვნელოვანია მოსწავლეებს მკაფიოდ განვუმარტოთ, რომ თითოეული ჩამოთვლილი მიზეზი ერთიანობაში განაპირობებდა ამ მოვლენას და არა ცალკეულად. ასევე განვიხილოთ თითოეული მათგანი და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ XI საუკუნის მიწურულის, როგორც ეპოქის საფუძვლიანად განხილვას, რაც მოსწავლეებს პასუხს მისცემს, კითხვაზე, თუ რატომ დაიწყო ეს ისტორიული პროცესი კონკრეტულად აღნიშნულ ეპოქაში და არა უფრო ადრე, ან გვიან. საბოლოო ჯამში მოსწავლეებს ვთხოვოთ, ჩამოთვლილი მიზეზები დააჯგუფონ, თუ რომელი იყო თეორიული ხასიათის და რომელი პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის, შემდეგ იმსჯელონ, რომელი მიზეზი იყო მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი.

### პარაგრაფი §11-12 – როგორ შეცვალა ევროპა და აღმოსავლეთი პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ

წარმოდგენილი პარაგრაფი, გახლავთ წინა პარაგრაფის გაგრძელება. წინა შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მიზეზები, აქ კი, საუბარია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მიმდინარეობაზე და იმ ცვლილებებზე, რაც აღნიშნულმა ლაშქრობამ გამოიწვია ახლო აღმოსავლეთში. ამ შემთხვევაში პედაგოგის უმთავრესი მიზანია, ორი სამიზნე ცნების გამოკვეთა და მათი დამუშავება საგაკვეთილო პროცესში ორგანიზებული აქტივობების შედეგად - წყარო და სივრცე. თუმცა პარაგრაფში აღწერილი ინფორმაციისა და მოვლენების ხასიათიდან გამომდინარე, მათი დამუშავებისას ავტომატურად გამოიკვეთება სხვა გრძელვადიანი მიზნების კონტურებიც.
პირველ რიგში მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევთავაზოთ ჯვაროსნებისა და ბიზანტიის იმპერატორს შორის მიმდინარე პროცესების ორმხრივი შეფასება, რასაც გაადვილებს სათანადო ადგილას მოხმობილი წყაროების გაცნობაც. მნიშვნელოვანია მოსწავლეებს კარგად დავანახოთ ჯვაროსნებისა და ბიზანტიელების მოტივაცია და განვიხილოთ ის წინააღმდეგობები რაც მათი შორის წარმოიშვა, ლაშქრობის კონკრეტულ ეტაპზე.
მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს ნიკეასთან გამართული ბრძოლები, რომლის შესახებაც პარაგრაფში საკმაოდ ვრცლადაა ინფორმაცია წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ბიზანტიელთა მიერ ქალაქის დაკავებას, როგორ აფასებს ევროპული და ბიზანტიური წყარო, მოსწავლეებს ვთხოვოთ ამ წყაროების შედარება, ურთიერთსაპირისპირო დეტალების გამოკვეთა და სარწმუნო ინფორმაციის ამოკრება.

ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე ორი ეპიზოდის შესახებ არსებული წყაროების კრიტიკული განხილვა შევთავაზოთ მოსწავლეებს. პირველი შეეხება ანტიოქიის ეპიზოდს, სადაც სასწაულის ფენომენზეა საუბარი. მოსწავლეებს ვთხოვოთ კრიტიკულად განიხილონ წყარო 7-ის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაცია და დააფიქსირონ თავისი აზრი, მისი სანდოობისა და ინტერპრეტაციის შესახებ. ამას მოსდევს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღება და აქაც ევროპული და მუსლიმური წყაროა წარმოდგენილი, რომელიც ამ მოვლენას ასახავს. მოსწავლეების ყურადღებით უნდა გაეცნონ წყარო 8-ში წარმოდგენილ ორ მონაკვეთს, რომელიც ერთსა და იმავე მოვლენაზე გვაწვდის ინფორმაციას და შეადარონ ისინი. ასევე ამ წყაროების გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთონ, ამ მოვლენის მნიშვნელობა და აღქმა, ორი განსხვავებული პოზიციიდან.
უდიდესი მნიშვნელობისაა აღნიშნული პარაგრაფის ბოლო ნაწილი, რომელშიც საუბარია იმ ცვლილებებზე, რაც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულმა სივრცემ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ განიცადა. აქ განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს ამ სივრცის, მნიშვნელობა მრავალი კუთხით. მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ, თუ რა რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ სივრცეზე კონტროლის მოპოვებას, ევროპელთათვის. ასევე განიხილეთ ჯვაროსნული სახელმწიფოების სტრუქტურა და აქაც გამოკვეთეთ გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობა, იმ ფაქტის დასაბუთებისას, თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდა ევროპის მსგავსი ეკონომიკური და სამხედრო სისტემები ჯვაროსნულ სახელმწიფოებში.

**პარაგრაფი §13-14 – რა მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება ჯვაროსნული ეპოქა**

ეს პარაგრაფიც წარმოადგენს წინა ორის – პირდაპირ გაგრძელებას, როგორც ქრონოლოგიური ასევე თეორიული თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში პედაგოგის წინაშე დგას შემდეგი ამოცანა. პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვის საფუძველზე, მოსწავლეებთან ერთად დაამუშაოს სამიზნე ცნებები – სივრცე და ისტორიული მოვლენა. თუმცა, როგორც ხშირ შემთხვევაში, ამ პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაციის გაანალიზება, სხვა გრძელვადიანი მიზნების დამუშავების კონტურებსაც მარტივად გამოკვეთს.
რაც შეეხება ისტორიულ მოვლენას, პარაგრაფში ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული ჯვაროსნულ ეპოქაში განხორციელებული ლაშქრობების დრო, მიზეზები და შედეგები. პედაგოგს მოსწავლეებთან ერთად შეუძლია შეაფასოს ისინი თანმიმდევრობით. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორ მოვლენას, სალადინის მიერ იერუსალიმის აღებას და ასევე ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დარბევას 1204 წლის გაზაფხულზე.
პირველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს სალადინის, როგორც ისტორიული ფიგურის მახასიათებლები. ასევე მოსწავლეებს ვთხოვოთ, ერთმანეთს შეადარონ ევროპული და ეგვიპტური წყარო იმის შესახებ, თუ როგორ დაიკავა სალადინმა სულთნის ტახტი. ამ შეთხვევაში გამოიკვეთება კიდევ ერთი სამიზნე ცნების, ძალაუფლების კონტურები, როდესაც პედაგოგი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს ფაქტს, თუ როგორ ცდილობს ეგვიპტის მმართველი თავის ძალაუფლების გამყარებას ჯვაროსნების წინააღმდეგ ომის საშუალებით. მოსწავლეებს ვთხოვოთ, შეაფასონ სალადინის მიერ იერუსალიმის აღების მნიშვნელობა, როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმური სამყაროსათვის. ამის შემდეგ კი განიხილონ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის,

როგორც მოვლენის მახასიათებლები, სადაც არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ეპიზოდს შეხვდებიან.
აღნიშნულ პარაგრაფში უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგად გაანალიზდეს 1202-1204 წლებში ბიზანტიის იმპერიის გარშემო მომხდარი ამბების მოვლენები. აქ პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოს, რა იყო ჯვაროსნების თავდაპირველი მიზანი და რა ვითარებაში მოხდა მათი მიზნების ცვლილება. რა როლი ეკისრებოდა ამ მოვლენაში რომის პაპს, ბიზანტიის იმპერატორებსა და ვენეციის დოჟს. ჯამში, მოსწავლეებს ვთხოვოთ ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე დაასახელონ ამ მოვლენის მთავარი ანტი-გმირი და იმსჯელონ თუ რა შედეგებით დასრულდა ეს მოვლენები.
მიწურულს მნიშვნელოვანია პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად შეძლოს აღნიშნული პროცესის შეჯამება, თუ როგორ დასრულდა კლასიკური ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა და როგორ შეცვალა მან ევროპული და აღმოსავლური სივრცე. ჯვაროსნული ომების რეზულტატმა, უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპული სამყაროს შემდგომ განვითარებაზე და შემდეგი პარაგრაფების დამუშავებისას, არაერთხელ მოგვიწევს აღნიშნულ მოვლენებთან დაბრუნება.

## თავი 2: ევროპა და აღმოსავლური სამყარო XIII-XIV საუკუნეებში

### პარაგრაფი §15-16 – რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ევროპაში ქალაქების განსაკუთრებულ განვითარებას

წარმოდგენილი პარაგრაფი და მასში აღწერილი ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია მრავალი თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი იმისათვის რომ ევროპული სამყაროს განსაკუთრებული ეკონომიკური და კულტურული განვითარება აიხსნას, რომლითაც მან გადაუსწროს მსოფლიოს სხვა დანარჩენ ნაწილში მცხოვრებ საზოგადოებებს. პარაგრაფში წარმოდგენილია ევროპული ქალაქების განვითარების თავისებურებანი. პედაგოგის მიზანია, ორი სამიზნე ცნების - საზოგადოებისა და სივრცის დამუშავება. თუმცა არც ამჯერად შემოიფარგლება პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ ორი გრძელვადიანი მიზნის დასამუშავებლად საჭირო ინფორმაციით.
აქ ერთნაირად მნიშვნელოვანია პარაგრაფის თითოეული სტრიქონი და მნიშვნელოვანი იქნება, მოსწავლეებმა პედაგოგის დახმარებით გაიაზრონ წარმოდგენილი წყაროები, სქემები, თუ ძირითად ტექსტში გამოკვეთილი საკითხები. პირველ რიგში მოსწავლეებს უნდა შევახსენოთ, თუ რა ვითარება დადგა ევროპაში რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, რასაც ევროპული ქალაქების დაცემა და გაუკაცრიელება მოჰყვა. ამის შემდეგ გავიხსენოთ თუ რა ეკონომიკური მახასიათებლები გააჩნდა ევროპაში ჩამოყალიბებულ ფეოდალურ სისტემას. მოსწავლეებმა კარგად უნდა გამოკვეთონ და დააჯგუფონ, ის მოვლენები, რამაც გამოიწვია ევროპაში ქალაქების ხელახლა დაწინაურება, ეს იქნება გარეგანი, თუ შინაგანი ფაქტორები.
უმნიშვნელოვანესია, წარმოდგენილ წყაროებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა დაინახონ აღმოსავლური ქალაქების საერთო მახასიათებლები და შეადარონ ისინი ევროპულს, აღმოაჩინონ, რა განასხვავებს ევროპულ ქალაქებს მათგან. ასევე სქემაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გააანალიზონ, რა საზოგადოებრივ დანიშნულებას ატარებდნენ ევროპული ქალაქები და რომელმა შიდა და გარე ფაქტორებმა შეუწყო ხელი მათ დაწინაურებას.

ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა გაიაზრონ, ქალაქების განვითარებაში გეოგრაფიული სივრცის როლი და დანიშნულება. გაეცნონ პარაგრაფში წარმოდგენილ ინფორმაციას, თუ ევროპის რომელ ნაწილში დაწინაურდნენ ქალაქების განსაკუთრებით და რა საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები ჰქონდა ამ ორ გეოგრაფიულ არეალს.
პარაგრაფის ბოლოს კი წარმოდგენილი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდებოდა ქალაქებში მცხოვრები საზოგადოება ფეოდალური საზოგადოებისაგან. აქ მნიშვნელოვანია მოსწავლემ კარგად გაიაზროს, ვინ არიან ბიურგერები და როგორია მათი მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი. ბიურგერთა ფენა უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს ევროპის ისტორიაში მომდევო საუკუნეებში და მოსწავლეები მათ კიდევ ბევრჯერ შეხვდებიან, ამიტომაც თავიდანვე კარგად უნდა გაიცნონ ისინი.

**პარაგრაფი §17-18 – როგორ შეცვალა აღმოსავლური სამყარო მონღოლთა დაპყრობებმა**

წარმოდგენილ ვრცელ პარაგრაფში განხილულია მსოფლიოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი ხალხის შესახებ რომელმაც ყველაზე ვრცელი იმპერიის შექმნა მოახერხეს. ეს პარაგრაფი საინტერესო და მნიშვნელოვანია მრავალი კუთხით. პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებისა და გააზრების შედეგად, პედაგოგის მიზანია მოსწავლეების სამ გრძელვადიან მიზანზე (ძალაუფლება, სივრცე და ისტორიული მოვლენა) გაიყვანოს, თუმცა არც დანარჩენი სამიზნე ცნებების გარეშე მოხდება ამ მოვლენების განხილვა.
უპირველესად უნდა მივმართოთ წინარე ცოდნის გააქტიურებას და მოსწავლეებს შევახსენოთ თუ რა გეოგრაფიული მახასიათებლები ჰქონდა ცენტრალური აზიის სივრცეს და საქმიანობის რომელი დარგები ახასიათებდათ ამ სივრცეში მცხოვრებ ხალხებს. ამის შემდეგ კი მოსწავლეებს ვთხოვოთ გაეცნონ ინფორმაციას მონღოლების შესახებ და შეადარონ ისინი აქამდე მათთვის ცნობილ მომთაბარე ცხოვრების წესის მიმდევარ ხალხს. მკაფიოდ უნდა გაესვას ხაზი, გეოგრაფიული სივრცის გავლენას მონღოლურ საზოგადოებაზე, ასევე იმას, თუ როგორი იყო მონღოლთა ცხოვრების წესი. განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს თემუჩინის ფიგურა, მის ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა შეაფასონ მისი მსოფლმხედველობა და ასევე შეადარონ ის მათთვის ცნობილ აღმოსავლელ მონარქებს. სამიზნე ცნება ძალაუფლების კონტურები კარგად გამოიკვეთება იმ მონაკვეთის განხილვისას, თუ რას ემყარებოდა თემუჩინის (შემდგომში ჩინგიზ ყაენის) ძალაუფლება და რა ახალი მოდელი და ტრადიცია დაამკვიდრა მან აღმოსავლურ სამყაროში.
პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად უნდა გამოკვეთოს ის მიზეზები, რამაც გამოიწვია მონღოლა დაპყრობების დაწყება და ასევე ფაქტორები, თუ როგორ მოახერხეს მონღოლებმა უდიდესი ტერიტორიების წარმატებულად დალაშქვრა. უნდა გამოიკვეთოს თუ რა სამხედრო უპირატესობა გააჩნდათ მონღოლებს დანარჩენ ხალხებთან შედარებით. ასევე მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ თუ რამხელა სივრცე აღმოჩნდა მონღოლთა ბატონობის ქვეშ. აქ უმნიშვნელოვანესი დეტალია ის, თუ რა გავლენა მოახდინეს მონღოლებზე, მათ მიერ დაპყრობილმა ქვეყნებმა და ხალხებმა და რა განასხვავებდა ერთმანეთისაგან ჩინგიზ ყაენის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნის სახელმწიფოებს.
პარაგრაფის ბოლოს მნიშვნელოვანია პედაგოგმა და მოსწავლეებმა კარგად შეაჯამონ პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაცია. კონკრეტულად კი გამოკვეთონ, თუ რა საერთო და

განმასხვავებელი მახასიათებლები ჰქონდა მონღოლთა იმპერიის ფარგლებში გაერთიანებულ სივრცეს, აქ მცხოვრებ ხალხებს და რა გავლენა მოახდინეს მათ საკუთრივ მონღოლურ საზოგადოებაზე. გარდა ამისა რა გავლენა მოახდინეს მონღოლებმა ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროზე და როგორ შეცვალეს მათ ისტორიის განვითარება.

**პარაგრაფი §19-20 – როგორ აღზევდა ოსმალთა სახელმწიფო**

აღნიშნული პარაგრაფის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობამდე, მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება. ვთხოვოთ მოსწავლეებს გაიხსენონ, თუ როგორ შეიცვალა სიტუაცია მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, მანასკერტის ბრძოლის შემდეგ. ასევე გაიხსენონ თუ რა მახასიათებლები ჰქონდა თურქულ სივრცესა და საზოგადოებას სელჩუკთა ეპოქაში და როგორ შეიცვალა ის მონღოლთა გამოჩენის შემდეგ. შესაბამისი თეორიული ბაზისის გააქტიურების შემდეგ, მოსწავლეებმა დაიწყონ აღნიშნულ პარაგრაფში შემოთავაზებული ინფორმაციების განხილვა, რომელიც ოსმალთა სასულთნოს აღზევებასა და სამხედრო წარმატებებს შეეხება.
ამ შემთხვევაში, უმთავრესად ორი სამიზნე ცნების – საზოგადოებისა და ძალაუფლების დამუშავებაა მნიშვნელოვანი. რაც შემოთავაზებული მასალის საფუძველზე ნამდვილად არ წარმოადგენს რთულ ამოცანას. ოსმალური სახელმწიფოს მახასიათებლების კარგად გასაგებად მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ის ფაქტორები, თუ ლეგიტიმაციის რა საშუალებები აირჩიეს ოსმალმა სულთნებმა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად და რა იყო ოსმალთა სახელმწიფოში კონსოლიდაციის საშუალებები. მოსწავლეებს ვთხოვოთ შეადარონ ოსმალთა სახელმწიფო სელჩუკთა იმპერიასთან და კარგად გამოკვეთონ ის განსხვავებები რაც ამ ორ ძალას ერთმანეთისაგან გამოარჩევდა. მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რომ ოსმალთა სახელმწიფო ეყრდნობოდა ერთი მხრივ, ძალაუფლების ტრადიციულ თურქულ მოდელს, ხოლო მეორე მხრივ, ევროპულის მსგავს ადმინისტრაციულ სისტემას, რითიც შესანიშნავ სინთეზს ქმნიდა.
მოსწავლეებს კარგად უნდა დავანახოთ ამ ეპოქაში ბიზანტიის იმპერიის მდგომარეობა და ასევე ვიმსჯელოთ ფაქტორებზე, თუ რატომ ვერ შეძლო ბიზანტიის იმპერიამ, ოსმალურ საფრთხესთან გამკლავება. ასევე უნდა გამოიკვეთოს ბალკანური სივრცის მნიშვნელობა და მოსწავლეებს ვთხოვოთ გააანალიზონ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალთ მხრიდან ბალკანური ტერიტორიების დაპყრობას ევროპული სამყაროსა და ოსმალთა იმპერიისათვის.
პარაგრაფის ბოლოს კი მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ, შემდეგ მნიშვნელოვან კითხვას, თუ რა განაპირობებდა ოსმალთა სამხედრო წარმატებებს და როგორ ახერხებდნენ ოსმალები ახალი ტერიტორიების დაპყრობასა და შენარჩუნებას. აქ უნდა განვიხილოთ ოსმალთა პოლიტიკის მახასიათებლები დაპყრობილი ხალხების მიმართ, რაც მკაფიო წარმოდგენას შეგვიქმნის, იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები ოსმალურ საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას.

**პარაგრაფი §21-22 – როგორ შეიცვალა XIII-XIV საუკუნეების ევროპა**

აღნიშნული პარაგრაფის მიზანია, მოსწავლეებს გააცნოს ინფორმაცია თუ რა ცვლილებები განხორციელდა XIII-XIV საუკუნეებში ევროპულ სამყაროში. პედაგოგის მიზანია, რომ შეთავაზებული

პარაგრაფის დამუშავების ფარგლებში მოსწავლეებს გააცნოს ეპოქა, და მისი მახასიათებლები, ასევე ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ტიპის ცვლილებები.

პირველ რიგში მოსწავლეებს უნდა შევახსენოთ, თუ რა ეკონომიკური სარგებელი მისცა ევროპულ სამყაროს ჯვაროსნულმა ომებმა და მონღოლთა დაპყრობებმა. მოსწავლეებს შევახსენოთ, თუ რომელი დარგების განვითარება გამოიწვია ევროპაში, აღმოსავლეთთან კავშირების გაღრმავებამ. ეს ყოველივე მოგვცემს შესაძლებლობას მოსწავლეებს კარგად დავანახოთ თუ როგორ აისახა აღმოსავლური სავაჭრო ნედლეულის დადებითი გავლენა ევროპის ეკონომიკაზე და როგორ გარდაქმნა ის. მოსწავლეებს ვთხოვოთ გამოკვეთონ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ეკონომიკური დაწინაურების საქმეში მონღოლთა იმპერიასთან არსებულ სავაჭრო კავშირებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება, XIII-XIV საუკუნეებში ევროპულ სახელმწიფოებში მმართველობის სისტემების ცვლილებასა და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიების გაჩენას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა კარგად გააანალიზონ ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ ევროპელი მონარქები და რა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა გამოიწვია პარლამენტის ჩამოყალიბება. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა გამოკვეთონ, რა დანიშნულება და დატვირთვა ჰქონდა პარლამენტს და რომელი ფენები იყვნენ მასში წარმოდგენილები. უმნიშვნელოვანესია პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად ყურადრებით განიხილოს ტექსტის ის მონაკვეთი სადაც ახსნილია, თუ რატომ იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დამახასიათებელი მხოლოდ ევროპული სამყაროსათვის.

აღნიშნული ეპოქის კარგად გააზრებისათვის, მოსწავლეებს ვთხოვოთ, შეადარონ ერთმანეთს პარაგრაფში განხილული ორი საუკუნის მახასიათებლები და გააანალიზონ, თუ როგორ შეიცვალა სიტუაცია XIV საუკუნეში. უმთავრესად აქცენტი შეიძლება გაკეთდეს სამხედრო სფეროს მოდერნიზებაზე. მოსწავლეებთან ერთად გავეცნოთ, პარაგრაფში მოცემულ მასალას და გავაანალიზოთ, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია ე.წ. „ასწლიანი ომის“ მიმდინარეობისას სამხედრო საქმისა ძირეული გარდაქმნები.

**პარაგრაფი §23-24 – როგორ სცადა თემურ ლენგმა მონღოლთა ერთიანი იმპერიის შექმნა**

აღნიშნული პარაგრაფის დამუშავებამდე, კვლავ მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება, კონკრეტულად კი მოსწავლეებს უნდა შევახსენოთ, რა ვითარება შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში ჩინგიზ ყაენის ვრცელი იმპერიის დაშლის შემდეგ. შესაბამისი ინფორმაციის გახსენების შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ თემურ ლენგ ზე, რომელიც წარმოადგენს უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვან ფენომენს აღმოსავლური სამყაროს დასახასიათებლად.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას მის წარმომავლობასა და ბიოგრაფიულ მონაცემებს, რადგან მოსწავლეებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნათ ახალი აზიელი დამპყრობლის შესახებ. აქვე უმნიშვნელოვანესია, პედაგოგმა კარგად განუმარტოს მოსწავლეებს, რომ იმპერიების დაშლისა და პოლიტიკური ქაოსის პირობები, როგორ უზრდის შანსებს თემურის მსგავს ნიჭიერ სამხედრო ლიდერებს ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება და მიაღწიონ ისეთ დიდებას, რომელიც მიუწვდომელი იქნებოდა პოლიტიკური სტაბილურობის ეპოქაში. შესაბამისად მოსწავლეებმა ჯერ კარგად უნდა გაიაზრონ რა ვითარება იყო იმ სივრცეში, რომელზე გაბატონებაც მოახერხა თემურმა.

აღნიშნული პარაგრაფის ფარგლებში პედაგოგის უმთავრესი მიზანია ორი სამიზნე ცნების - სივრცისა და ძალაუფლების დამუშავებისათვის საჭირო თეორიული ნაწილის გამოკვეთა. ძალაუფლებას რაც შეეხება, აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ფაქტორზე, თუ რა საშუალებებით ცდილობდა თემურ ლენგი საკუთარი თავის ჩინგიზიდების გვართან დაკავშირებას. ხოლო რაც შეეხება სივრცეს, აქ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ თემურის მიზანს წარმოადგენდა იმ ტერიტორიებზე გაბატონება, რომელიც ოდესღაც ჩინგიზ ყაენის იმპერიაში შედიოდა.
მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ვთხოვოთ თემურ ლენგის შედარება ჩინგიზ ყაენთან, რომლის მემკვიდრედაც მიიჩნევდა თავს ეს უკანასკნელი. კარგად გამოვკვეთოთ მათი საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები. ასევე მოსწავლეებს ვთხოვოთ დაახასიათონ თემურის ლაშქრობები და შეაფასონ მისი მოქმედებები. მიწურულს კი დაახასიათონ თემურ ლენგის იმპერია და იმსჯელონ რატომ არ აღმოჩნდა ის სიცოცხლისუნარიანი. შეაფასონ თემურის ფიგურა და კვლავ შედარების ობიექტად აირჩიონ ჩინგიზ ყაენი.

# თემა 2: გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

## თავი 3: შუა საუკუნეებიდან ახალ ისტორიამდე - გარდაქმნების ეპოქა

**პარაგრაფი §25-26 – როგორ გაანადგურეს ბიზანტიის იმპერია ოსმალმა თურქებმა**

აღნიშნულ პარაგრაფში საუბარია მსოფლიოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროცესზე, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ახლო აღმოსავლეთის შემდგომ განვითარებაზე, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა თავიდანვე განუმარტოს მოსწავლეებს შესასწავლ პარაგრაფში მოცემული ინფორმაციის მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში მნიშნელოვანია ამ მოვლენის წინარე მიზეზებისა და პროცესების განხილვის საფუძველზე გაანალიზება და არა მხოლოდ რეზულტატის შესწავლა.
მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შევახსენოთ, თუ როდის გამოჩნდნენ თურქები მცირე აზიაში და როგორ მოახერხეს ამ რეგიონში ფეხის მოკიდება. ასევე წინა პარაგრაფებიდან, მოსწავლეებს უკვე აქვთ ინფორმაცია, თუ რა ძალას წარმოადგენდა ოსმალთა სასულთნო. ამ პარაგრაფში კი შესავალის სახით, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვითაა წარმოჩენილი ბიზანტიის იმპერიის დაცემის პერიპეტიები, რაც პედაგოგმა და მოსწავლეებმა რიგრიგობით უნდა განიხილონ.
განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიზანტიის იმპერიასა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობების განხილვას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ასევე შესაბამისად უნდა განიხილონ მოსწავლეებმა ფერარა ფლორენციის კრებისა და ვარნის ჯვაროსნული კამპანიის, როგორც ორი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის მიზეზები და მათი შედეგები, ასევე მათი გავლენა საბოლოოდ დამდგარ შედეგზე.
უშუალოდ კონსტანტინოპოლის ალყისა და ოსმალთა მიერ ქალაქის დაკავების შესახებ წყაროებისა და ტექსტის ძირითადი ნაწილის განხილვისას, სასურველია, მოსწავლეებს წარმოდგენა შევუქმნათ ამ მოვლენის ორმხრივად გააზრებაზე, ბიზანტიური და ბერძნული თვალსაზრისით, რაშიც ,,წყარო 10“-ის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაცია დაგვეხმარება. ასევე მოსწავლეებს ვთხოვოთ ამ მოვლენის მიზეზების შეფასება და შედეგების განხილვა. ასევე პარაგრაფში

წარმოდგენილი სქემის საშუალებით, მოსწავლეები უნდა გაეცნონ და განიხილონ ის მნიშვნელობა, რაც ამ მოვლენამ შეიძინა, როგორც დასავლური ასევე ოსმალური სამყაროსათვის. აღნიშნული ისტორიული მოვლენის ხასიათი გვაძლევს საშუალებას, წარმოდგენილ წყაროებზე დაყრდნობით მოსწავლეებს მოვთხოვოთ ამ მოვლენის მულტიპერსპექტიულ ჭრილში გაანალიზება. რადგან პარაგრაფში წარმოდგენილია, როგორც დასავლური, ასევე თურქული წყაროები. განსაკუთრებით საინტერესო კი გახლავთ პარაგრაფის ბოლოს მოცემული მსჯელობა, თუ როგორ მოახერხა მეჰმედ II-მ ქალაქის წარმატებით შენარჩუნება. დიდი ყურადრებით განვიხილოთ აქ წარმოდგენილი სქემაც, წყაროებიცა და ტექსტის ძირითადი ნაწილიც და მოსწავლეებს ვთხოვოთ მისი გაანალიზება.

**პარაგრაფი §27-28 – როგორ შეცვალა ევროპული სამყარო ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქამ**

აღნიშნულ პარაგრაფში უმთავრესად თეორიული მსჯელობაა წარმოდგენილი და ნაკლებადაა ფაქტებისა და მოვლენების აღწერა. შესაბამისად სასურველია, რომ ამ პარაგრაფში წარმოდგენილი ინფორმაცია, პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად დეტალურად გაიაროს, რადგან მოსწავლეები, უკეთ შეძლებენ ამ რთული და მნიშვნელოვანი საკითხის გაგებას, პედაგოგის განმარტებებისა და შეთავაზებული საგაკვეთილო აქტივობების წყალობით.
აღნიშნული პარაგრაფის მიზანი გახლავთ ევროპულ საზოგადოებაში მომხდარი კულტურული ხასიათის ცვლილებების აღწერა და მოსწავლეთათვის გაცნობა, მათი მიზეზებისა და შედეგების წარმოჩენა. აღნიშნული ეპოქის ცვლილებები, მარტივად აღსაქმელი რომ გახდეს, მოსწავლეებს უნდა შევახსენოთ, თუ რა კულტურული და მსოფლმხედველობრივი მახასიათებლები ჰქონდა ევროპულ საზოგადოებას სუა საუკუნეებში და რა ფაქტორებმა და მოვლენებმა განაპირობა მისი ცვლილება. მოსწავლეებს ყურადღება უნდა გავამახვილებინოთ იმაზე, თუ რა იყო ჰუმანიზმისა და რენესანსის უმთავრესი მახასიათებლები და მივცეთ ბიძგი გააანალიზონ ის პროცესები, რამაც გამოიწვია ევროპული ინტელექტუალური საზოგადოების წიაღში განსხვავებული ტენდენციების გავრცელება.
უნდა გამოიყოს უმთავრესი მახასიათებლები რა, ჰუმანიზმსა და რენენსანსს განასხვავებდა შუა საუკუნეების ევროპული აზროვნებისა და ხელოვნების დარგებისაგან. აქვე მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლემ გაიაზროს, რა იყო იტალიური ფენომენი და მასში აღმოაჩინოს სივრცის სხვადასხვა მახასიათებლებისაა და წინარე ისტორიული პროცესების დამსახურება. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ კულტურის სხვადასხვა სფეროს დაწინაურება ანტიკურ ტრადიციებთან მიბრუნებამ განაპირობა და მოსწავლეებს შევახსენოთ, რატომ დაშორდა საუკუნეების წინ ევროპული სამყარო ანტიკურ ტრადიციებს.
მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ, რა ტიპის ცვლილებები განიცადა ევროპულმა სამყარომ ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქაში და რა როლი ჰქონდა ამ პროცესების განვითარებაში, ევროპული საზოგადოების სხვადასხვა მახასიათებლებს, მაგალითად იტალიის მდებარეობას, ქალაქების დაწინაურებას და ა.შ. ასევე რატომ იყო ეს მოვლენა მხოლოდ ევროპული სამყაროსათვის დამახასიათებელი და რატომ არ მომხდარა მსგავსი ხასიათის კულტურული გარღვევა ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთში.

**პარაგრაფი §29-30-31 – როგორ და რატომ დაიწყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები**

აღნიშნული პარაგრაფი ძალიან ვრცელია და მასში წარმოდგენილია მსოფლიო ისტორიის უდავოდ გლობალური მნიშვნელობის მოვლენის შესახებ ინფორმაცია. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, ეს ქრონოლოგიურად ვრცელ პერიოდს მოიცავს, თუმცა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით რეზონანსული მოვლენებით, ეს პროცესი XV-XVI საუკუნეებში გამოირჩეოდა. აღნიშნული ისტორიული პროცესის, მისი მახასიათებლებისა და გავლენების კარგად გასააზრებლად, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა პედაგოგთან ერთად გააანალიზონ, პარაგრაფში წარმოდგენილი ძირითადი ტექსტიც და ასევე წყაროებსა და ჩანართებში მოცემული ინფორმაციაც. პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი ევროპული სამყაროსათვის ინდოეთის გეოგრაფიული სივრცე და ინდური ნედლეული. გარდა ამისა, მოსწავლეებს ვთხოვოთ, ყურადღება გაამახვილონ იმ ისტორიულ მოვლენებზე, რამაც გამოიწვია XV საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მანამდე არსებული, ყველაზე აქტიური სავაჭრო ეკონომიკური სივრცის დაქვეითება და რატომ დაიწყეს ევროპელებმა საზღვაო მარშრუტების ძიება აზიასთან დასაკავშირებლად.

ასევე სასურველია, მოსწავლეებმა გაიხსენონ, თუ რომელი ისტორიული პროცესები უწყობდა ხელს ევროპაში აზიური ნედლეულის დიდი რაოდენობით შემოდინებას და რა ტიპის ტექნოლოგიური პროგრესი განიცადა ევროპულმა სამყარომ აღნიშნულ ეპოქაში. როგორ შეიცვალა ევროპელთა წარმოდგენები სამყაროს შესახებ. მოსწავლეებს ვთხოვოთ, კარგად ჩაუღრმავდნენ იმ გარემოებას, რომ საზღვაო აღმოჩენები პირენეულმა სამეფოებმა დაიწყეს და მკაფიოდ გამოკვეთონ ამ ყოველივეს მიზეზები. ამავე კონტექსტში უნდა დავახასიათოთ ენრიკე ზღვაოსნის ფიგურა და მისი დამსახურება გეოგრაფიული აღმოჩენების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს შეადარონ ესპანელებისა და პორტუგალიელების საზღვაო აღმოჩენების მიმართულება და მათი აღმოჩენების გავლენა, ჯერ საკუთრივ პირენეულ სახელმწიფოებზე, შემდეგ კი სრულიად ევროპულ სამყაროზე. აქვე მოსწავლეების ყურადღება უნდა გავამახვილოთ ვაშკუ დე გამასა და ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენებზე. ასევე განსაკუთრებული ყურადღებით განვიხილოთ ქრისტეფორე კოლუმბის ირგვლივ არსებული სადაო საკითხები და მოსწავლეებს ვთხოვოთ საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბონ და დაასაბუთონ, კოლუმბის ვინაობისა და მისი ექსპედიციების მიზნების შესახებ. ისტორიული მოვლენებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტორდესილასის ხელშეკრულების განხილვა, რამაც ერთგვარად ევროპულ სამყაროს აარიდა დაპირისპირება ესპანელებსა და პორტუგალიელებს შორის, მეორე მხრივ კი შექმნა მსოფლიოს განაწილების პრეცედენტი.

მოსწავლეებს შევახსენოთ წინა კლასში შესწავლილი ინფორმაცია ამერიკის კონტინენტთან ევროპელთა კოლუმბამდელი კავშირების შესახებ, შემდეგ კი გავაანალიზოთ, როგორ შეცვალა იმ ეპოქის ევროპული საზოგადოების მსოფლმხედველობაცა და ყოველდღიურობაც ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამ და ამერიკული ნედლეულისა და რესურსების ევროპაში შედინებამ. ბოლოს კი, შეჯამების სახით, უნდა გამოიკვეთოს, როგორ შეცვალა მსოფლიო დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა. რატომ ითვლება ამერიკის აღმოჩენა ისტორიული ეპოქების მიჯნად და რა მიაჩნიათ მოსწავლეებს ყველაზე მნიშვნელოვან გარდამტეხ ფაქტორად ამ ეპოქასთან დაკავშირებულ მოვლენებს შორის.

**პარაგრაფი §32-33 – რატომ დაიწყო პროტესტანტული რეფორმაცია ევროპაში**

აღნიშნულ პარაგრაფში წარმოდგენილია ევროპის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ისტორიული პროცესი, რაც პროტესტანტული რეფორმაციის დაბადებასა და მის გავრცელებას გულისხმობდა. ამ პროცესის გავლენა უდიდესი გახლდათ ევროპული საზოგადოების მსოფლმხედველობაზე, ცხოვრების წესზე. აღსანიშნავია, რომ პროტესტანტულმა რეფორმაციას, ლოგიკურად დაასრულა, საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე კრიზისი, რომელიც რომის კათოლიკური ეკლესიის წიაღში. პარაგრაფის პირველ ნაწილში საუბარია იმ მოვლენებსა და პროცესებზე, რამაც გამოიწვია, რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენის შესუსტება ევროპულ სამყაროზე. ეს გამოიხატებოდა მთელი რიგი პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის პროცესებით. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა ქრონოლოგიური პრინციპით დაამუშაონ, ყველა მათგანი (ავინიონის ტყვეობა, დასავლური სქიზმა, კრებების მოძრაობა). ამის შემდეგ მოსწავლეებს უკვე ექნებათ საკმარისი საბაზისო ცოდნა, რომ სწორად აღიქვან ის პროცესები, რომლებიც XVI საუკუნის გერმანიაში განვითარდა. აქვე მნიშვნელოვანია მოსწავლეებს სწორი წარმოდგენა შეექმნათ იმ ეპოქის გერმანული სივრცის პოლიტიკურ მახასიათებლებზე, რადგან სწორედ ამ გარემოებების გაანალიზება, მისცემთ მათ საშუალებას პასუხი გასცენ კითხვას, რატომ ვერ განიცადა წარმატება ადრეულმა პროტესტანტულმა მოძრაობებმა და რატომ მოხდა ეს პირველად გერმანიაში.
კარგად უნდა დავახასიათოთ მარტინ ლუთერის ისტორიული ფიგურა და მისი ხედვები. ასევე მისი წარმატების გამომწვევი პოლიტიკური გარემოებები უნდა იყოს მკაფიოდ წარმოჩენილი, რადგან ეს გახლავთ უმთავრესი, პროტესტანტიზმის გავრცელების წარმატება რომ აიხსნას. მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ რითი განსხვავდებოდა პროტესტანტიზმი, ტრადიციული კათოლიკური მრწამსისაგან და რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო ის გერმანული საზოგადოების ნაწილისათვის მისაღები.
გარდა ლუთერისა მნიშვნელოვანია, ჯეროვანი ყურადღება დავუთმოთ, პროტესტანტიზმის შვეიცარიულ და ინგლისურ მიმდინარეობებს. უმნიშვნელოვანესია, განისაზღვროს იმ სივრცის გეოგრაფიული და კულტურული, ასევე საზოგადოებრივი მახასიათებლები, ვინც მიიღო პროტესტანტიზმი და ვინც დარჩა კათოლიკურ რწმენაზე. რით განსხვავდებოდნენ ეს სახელმწიფოები და საზოგადოებები ერთმანეთისაგან, ეს განსხვავებები ბევრი ინტერპრეტაციის საშუალებას მოგვცემს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, პროტესტანტიზმის, როგორც რელიგიური, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვა და მახასიათებლები, რადგანაც ეს უკანასკნელი არანაკლებ, მნიშვნელოვანი გახლდათ.
მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროტესტანტული მიმდინარეობები საზოგადოების რომელ ფენებში გავრცელდა და რა იყო ამის მიზეზები. ასევე რა ახალი შესაძლებლობები შესძინა პროტესტანტულმა რწმენამ ევროპულ საზოგადოებას და რა ახალი ღირებულებათა სისტემა ჩამოყალიბდა პროტესტანტულ საზოგადოებაში.

**პარაგრაფი § 34-35 – რა მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდებოდა XVI საუკუნე ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში**

აღნიშნული პარაგრაფის მიზანი და დანიშნულებაა, მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა ტიპის გარდამტეხი მოვლენები და პროცესები იყო დამახასიათებელი XVI საუკუნის

ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. როგორ შეიცვალა საზოგადოების ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი გლობალური მნიშვნელობის მოვლენები, როგორებიცაა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რენესანსი, რეფორმაცია, წინა პარაგრაფებში დეტალურად განვიხილეთ. ამჯერად კი მოსწავლეები უმთავრესად პოლიტიკური ცვლილებებისა და პროცესების შესახებ მიიღებენ ინფორმაციას.
აღნიშნულ პარაგრაფში უმთავრესად წარმოდგენილია ინფორმაცია ჰაბსბურგთა იმპერიისა და ოსმალთა სასულთნოს, როგორც ორი პოლიტიკური დომინანტის შესახებ. მანამდე კი მოსწავლეების ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამერიკის აღმოჩენისა და პროტესტანტული რეფორმაციის ეფექტზე, რომელმაც ევროპულ სამყაროს თავისი გავლენა სწორედ XVI საუკუნის განმავლობაში დაამჩნია. მოსწავლეებმა მკაფიოდ უნდა გაიაზრონ, რა სახის პრობლემები წარმოშვა ევროპულ სამყაროში პროტესტანტიზმის გავრცელებამ, როგორ გახლიჩა მან საზოგადოებები ორ მტრულ ბანაკად რელიგიური ნიშნით, რასაც სისხლისმღვრელი ომები მოჰყვა გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში. ასევე მნიშვნელოვანი იქნება იმაზე ხაზგასმაც, როგორ ისარგებლა ამ ყოველივეთი ოსმალთა სახელმწიფომ, რომელიც პოლიტიკური ძლიერების ზენიტში იყო, და თავისი ტერიტორიები სამ კონტინენტზე განავრცო.
მოსწავლეებმა კარგად უნდა გააანალიზონ ოსმალთა იმპერიის გაძლიერების ტენდენცია აღნიშნულ ეპოქაში და შეადარონ ის ახლო აღმოსავლეთის სხვა მუსლიმურ სახელმწიფოებს. ასევე ყურადღებით გაეცნონ და იმსჯელონ, თუ რა ფაქტორები განაპირობებდა ოსმალთა სამხედრო წარმატებას ყველა ფლანგზე, როგორც აღმოსავლეთში, ასევე ევროპაშიც. აქვე ოსმალთა ევროპული ექსპანსიის განხილვისას, აუცილებლად უნდა ვთხოვოთ მოსწავლეებს ყურადღებით გაეცნონ, თუ რატომ ვერ მოახერხა ევროპულმა სამყარომ გაერთიანება მათ წინააღმდეგ.
მნიშვნელოვანია გავეცნოთ ევროპულ სამყაროში, როგორ ყალიბდებოდა მონარქიული მმართველობის ახალი ტიპი, რომელიც ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ ტიუდორთან და საფრანგეთის მონარქ ანრი ბურბონთან იყო დაკავშირებული. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ რა განსხვავებული მიდგომები გამოიკვეთა ამ მონარქების მმართველობის სტილში და რითი განსხვავდებოდნენ ისინი სხვა ევროპელი მმართველებისაგან. გარდა ამისა, მოსწავლეებს ვთხოვოთ შეაფასონ XVI საუკუნეში ევროპასა და აღმოსავლეთში მოღვაწე მონარქები და დაასახელონ მათი ფავორიტები. ასევე იმსჯელონ თუ რატომ ეწოდება XVI საუკუნეს დიადი მონარქების ეპოქა. მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ XVI საუკუნე და იმსჯელონ თუ რა ტიპის ცვლილებები განიცადა ევროპამ ამ ეპოქაში და რატომ ითვლება ის ეპოქათა მიჯნად.

## თავი 4: მონარქიის განმტკიცებისა და გარდაქმნის პერიოდი

### პარაგრაფი §36 – როგორ იმოქმედა ნიდერლანდების რევოლუციამ ევროპულ მონარქიებზე

მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს, თუ რამდენად განსხვავებული იყო ნიდერლანდებისა და საღვთო რომის იმპერიის (მათ შორის ესპანეთის სამეფოს) ეკონომიკური წყობა და ეს განსხვავება, როგორ წარმოშობდა სხვაობას პოლიტიკურ ხედვებსა და სახელმწიფოს მოწყობის ფორმებში. რათა მოსწავლე მივიდეს იმ წარმოდგენამდე, რომ სავაჭრო ფენაში უფრო იოლად ყალიბდება ეკონომიკურად დამოუკიდებელი საშუალო კლასი, რომელიც შემდეგ იწყებს პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლას, განსხვავებით უფრო აგრარული/სამიწათმოქმედო ეკონომისგან,

რომელიც შემდეგ ეხმარება სრული ძალაუფლების მმართველი ელიტების ხელში მოქცევას, რადგან მათზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი დიდია. ამ კონტექსტში უნდა დამუშავდეს სივრცული საკითხი, რადგან ქალაქი, ხელოსნების და ვაჭრობის სივრცე, უფრო იოლად უწყობს ხელს საშუალო კლასის ჩამოყალიბებას და თვითმმართველობისა და დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებას. ნიდერლანდები უპირველეს ყოვლისა ქალაქების სივრცე იყო - იქ მდებარეობდა სავაჭრო და ეკონომიკური ცენტრები.
სასურველია გაკეთდეს აქცენტი რელიგიურ საკითხზე - ნიდერლანდების რევოლუცია აღქმულ იქნას, როგორც რელიგიური დაპირისპირება პროტესტანტულ და კათოლიკურ ნაწილებს შორის, რომელიც შემდეგ გავლენას ახდენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზეც.

**პარაგრაფი §37 – რატომ დაიწყო 30-წლიანი (1618-1648) ომი ევროპაში**

ამ ომზე მუშაობის კონტექსტში აუცილებელია, მოსწავლე მივიდეს მკვიდრ წარმოდგენამდე, რომ ეს ომი არის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი ევროპის ისტორიაში, როდესაც რელიგიურ მოტივაციას ანაცვლებას ნაციონალურ-პოლიტიკური მოტივები და დიდი სახელმწიფოები თავის სტრატეგიას განსაზღვრავენ არა რელიგიური, არამედ ნაციონალურ-პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად.

**პარაგრაფი §38-39 – რატომ დაიწყო სამოქალაქო ომი ინგლისში მეფესა და პარლამენტს შორის**

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ნათლად გაიაზრონ ძალაუფლების კონცეფცია ინგლისში - ანუ როგორ იყოფა ძალაუფლება. რას ნიშნავს სტიუარტების აბსოლუტური ერთმმართველობის მოდელი და რამდენად მნიშვნელოვანია ძალაუფლების დაყოფა ძლიერი პარლამენტის სახით. ასევე მნიშვნელოვანია გაიაზრონ, თუ რომელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს პარლამენტი და ის, რომ ინგლისის პარლამენტი არისტოკრატიულია.
ინგლისში მიმდინარე რევოლუციები მოსწავლეებმა უნდა დაინახონ ძალაუფლებისთვის ბრძოლის პროცესიც ერთმმართველ მეფესა და არისტოკრატიულ პარლამენტს შორის.

**პარაგრაფი §40 – როგორ ჩამოყალიბდა აბსოლუტური მონარქია საფრანგეთში**

სასურველია, მოსწავლეები მივიდნენ ფრანგული აბსოლუტიზმის, ანუ სრული ძალაუფლების მეფის ხელში მოქცევის კონცეპტუალურ გააზრებამდე.
კარგი იქნება, თუ მოსწავლეები დაინახავენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო კათოლიკური რელიგია აბსოლუტური ძალაუფლების შენარჩუნების პროცესში, რაც წარმოშობდა ეკლესიის და სახელმწიფოს, რელიგიური და პოლიტიკური ძალაუფლების გაერთიანებას და მათ საერთო ინტერესებს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, თუ როგორ იყენებს სახელმწიფო ეკლესიას მისი აბსოლუტური ერთმმართველობის შენარჩუნების კუთხით.

**პარაგრაფი §41– როგორ გაძლიერდა სეფიანთა დინასტია ირანში**

მნიშვნელოვანია მოსწავლემ გაიაზროს, თუ რა საწყისი პირობებით დაიწყო შაჰ აბას I-მა თავისი მმართველობა, რამდენად ჩამორჩებოდა ირანი ოსმალეთს და რატომ იყო აუცილებელი რეფორმების გატარება.
სასურველია აქცენტი გაკეთდეს, თუ როგორ ცვლის შაჰ აბას I ძალაუფლების და საზოგადოებრივი ცხოვრების კონცეფციას და როგორ ანაცვლებს ტრადიციულ ელიტებს უფრო მეტად მერიტოკრატიული, პირადად მისი ერთგული საზოგადოებრივი ჯგუფებით.
სასურველია, მოსწავლემ გაიაზროს, თუ რატომ არიან დაინტერესებული ევროპელი მონარქები ირანთან კარგი ურთიერთობით და როგორ ატარებს ირანი რეფორმებს ევროპული გამოცდილების მიხედვით.

**პარაგრაფი §42 - როგორ გარდაქმნა პეტრე I-მა ძველი რუსეთი ევროპულ სახელმწიფოდ**

სასურველია მოსწავლეები ნათლად გაიაზრონ, თუ რატომ სურდა პეტრეს ევროპული სახელმწიფოების მიხედვით რეფორმების გატარება და გაიაზრონ, რომ ეს რეფორმები მოიცავდა ტექნოლოგიურ, საზოგადოებრივ და ინფრასტრუქტურულ სიბრტყეებს და არ ცვლიდა პოლიტიკურ მოდელს. ანუ პეტრეს ევროპული რეფორმები არ მოიცავდა მმართველობის მოდელს.
აუცილებელია, მოსწავლემ გააანალიზოს რუსეთის გეოგრაფიული თავისებურებები და მისთვის ზღვაზე გასვლის (მათ შორის შავი ზღვა) სტრატეგიული მნიშვნელობა.

# თემა 3: ხანგრძლივი XIX საუკუნე

## თავი 5: მსოფლიო რევოლუციებისა და დიდი ცვლილებების პერიოდში

**პარაგრაფი §43-44 – როგორ შეცვალეს განმანათლებლებმა დასავლური სამყარო**

აუცილებელია, მოსწავლემ ნათლად გააანალიზოს, რა პოლიტიკური ვითარება იყო მე-18 საუკუნის დასავლურ ევროპულ სივრცეში და როგორ ცდებოდა ერთმანეთს აბსოლუტური ერთმმართველობის და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესები.
სასურველია, მოსწავლემ გააანალიზოს, რომ იმ ფონზე, როცა პოლიტიკური სივრცე, მათ შორის პრესა, დახურული იყო განსხვავებული პოლიტიკური აზრისთვის, საზოგადოების ინტერესების გამხმოვანებლად ხელოვნება, კულტურა და ფილოსოფია იქცა.
კარგი იქნება, მოსწავლემ გააანალიზოს, რომ პირველ ეტაპზე ცვლილება მენტალურ-პოლიტიკურ დონეზე უნდა მოხდეს, ხოლო შემდეგ იწყება მისი პრაქტიკული განხორციელება.

**პარაგრაფი §45-46 – როგორ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები**

ამერიკის სამოქალაქო ომის დასაწყისი პერიოდის შესწავლამდე მოსწავლემ ნათლად უნდა გაიაზროს, რომ ამერიკის კოლონიებს თვითმმართველობის დიდი კულტურა ჰქონდათ და მათი

კოლონიური სტატუსის მიუხედავად ადგილობრივ დონეზე მათ საკმაოდ დიდი უფლებები და მართვის გამოცდილება ჰქონდათ. ამან შექმნა ამერიკული დემოკრატიის საფუძვლები.
კარგი იქნება, მოსწავლემ გაიაზროს, რომ ამერიკას განსხვავებული კულტურის, ეთნოსის და ინტერესების მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფებს ერთიანი პოლიტიკურ კულტურაში მოქცევის და მათ შორის საერთო ინტერესების პოვნის ხანგრძლივი კულტურა ჩამოუყალიბდათ.
სასურველია მოსწავლემ იცოდეს, რომ ამერიკას ჰქონდა უფლებებისთვის ბრძოლის ხანგრძლივი კულტურა, ხოლო ამერიკის რევოლუციამ ერთმმართველობა კიდევ უფრო მიუღებელ მმართველობის ფორმად აქცია.
მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაიაზროს, რომ ამერიკა მაშინ ქმნის რესპუბლიკას, როდესაც ევროპას ამის გამოცდილება არ აქვს და ევროპაში აბსოლუტური და კონსტიტუციური ერთმმართველობის ეპოქაა. ამ კუთხით, პოლიტიკური განვითარების მხრივ ამერიკამ გაასწრო ევროპას.

**პარაგრაფი §47-48 – როგორ შეცვალა რევოლუციამ საფრანგეთი**

აუცილებელია, მოსწავლემ ნათლად გაიაზროს, თუ რა ტიპის სისტემა იყო აბსოლუტური ერთმმართველობა, რამდენად უსამართლო იყო იგი ფართო მასების თვალში და როგორ არ ასახავდა იგი მოსახლეობის ინტერესებს, რამაც კარგი წინაპირობა შექმნა საფრანგეთის რევოლუციისთვის.
კარგი იქნება, მოსწავლე მივიდე იმ აზრამდე, რომ რევოლუციას არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური საფუძველიც ჰქონდა და არასწორი პოლიტიკური სისტემა აუცილებლად აისახება ეკონომიკურ და საზოგადოებრივ დონეზეც.
აუცილებელია, მოსწავლე არ დაიბნეს და ნათლად გაიგოს, როგორ იცვლება მმართველობის მოდელი რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე – კონსტიტუციური მონარქიიდან უფრო ზომიერ და შემდეგ უფრო რადიკალურ რესპუბლიკამდე.
საჭიროა, მოსწავლემ ნათლად გააცნობიეროს, თუ რომელი საზოგადოებრივი ჯგუფები უჭერდნენ/არ უჭერდნენ რევოლუციას მხარს და რა იყო მათი ინტერესები.

**პარაგრაფი §49-50-51 – როგორ შეცვალა ნაპოლეონმა ევროპის ისტორია**

კარგი იქნება, რომ მოსწავლემ კარგად გააცნობიეროს, თუ რატომ არის ნაპოლეონის მოსვლა საფრანგეთის რევოლუციის ფაქტობრივი დასასრული და მიხვდეს, თუ მმართველობის რა ფორმა ყალიბდება, რამდენად ითვალისწინებს/არ ითვალისწინებს საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკურ იდეებს.
სასურველია აქცენტი გაკეთდეს, რომ თუ რატომ არის მიუღებელი ნაპოლეონის მმართველობა სხვა ევროპელი მონარქიებისთვის და რატომ ნიშნავს ნაპოლეონის სისტემა ახალ დროის შემოსვლას ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში.
კარგი იქნება, ნაპოლეონის გამარჯვებების ანალიზის დროს აქცენტი გაკეთდეს და აიხსნას, თუ რა დადებითი ფაქტორები მოაქვს თან მერიტოკრატიულ სისტემას და რატომ ამარცხებს მერიტოკრატიული სისტემა წოდებრივ-მონარქიულს.

# თავი 6: ევროპა ვენის კონგრესისა და ბრიტანული მშვიდობის პერიოდში

**პარაგრაფი §52-53 – როგორ შეცვალა ევროპა ინდუსტრიულმა რევოლუციამ**

აუცილებელია ნათლად აიხსნას, თუ როგორ შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ ხელით შრომა მანქანური შრომით და ვანახოთ მოსწავლეს, კავშირი ინდუსტრიულ რევოლუციასა მეცნიერების განვითარებასთან. მოსწავლემ უნდა დაინახოს, თუ როგორ განაპირობებს მეცნიერების განვითარება ეკონომიკის და ტექნოლოგიების განვითარებას.
სასურველია მოსწავლემ დაინახოს, თუ რატომ იყო ინგლისისთვის მნიშვნელოვანი კოლონიებიდან მიღებული ნედლეულის ქარხნულად გადამუშავება და მისი პროდუქტად ქცევა - აღიქვას, თუ რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ინდუსტრიული რევოლუციის ინგლისში დაწყებას.
აუცილებელია, მოსწავლემ გააცნობიეროს, თუ როგორ შეცვალა ინდუსტრიულმა რევოლუციამ ევროპის საზოგადოება, როგორ და რატომ დაიწყო ურბანიზაციის პროცესი და ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცენტრად ქალაქი იქცა და როგორ ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები და ფენები.
სასურველია, მოსწავლემ დაინახოს, რომ სწორედ ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ფენებიდან ამოიზარდა და გაჩნდა პირველი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ამ ფენების იდენტობას, ინტერესებს და საზრუნავებს გამოხატავდნენ. კარგი იქნება, აღიქვას მოსწავლემ, რომ პოლიტიკური პარტია დასავლურ პოლიტიკურ ტრადიციაში სწორედ საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების გამომხატველია.

აუცილებელია მოსწავლე მივიდეს იმ მკვიდრ წარმოდგენამდე, რომ ამ ეპოქაში სწორედ ინდუსტრიალიზაციის ხარისხი არის პროგრესის და განვითარების ძირითადი განმსაზღვრელი.

**პარაგრაფი §54-55 - რატომ მიიჩნევა XIX საუკუნე ბრიტანეთის იმპერიის დიდების ხანად**

კარგი იქნება, მოსწავლემ ნათლად გაიაზროს ვენის კონგრესის შედეგები და გააცნობიეროს, თუ რატომ შეუწყო ხელი ვენის კონგრესმა ევროპაში პოლიტიკური სტაბილურობის ხანგრძლივად შენარჩუნებას.
აუცილებელია, აქცენტი გაკეთდეს ძალაუფლების გაგებაზე და მმართველობის მოდელებზე და მოსწავლე მივიდეს იმ წარმოდგენამდე, რომ ვენის კონგრესის ძირითადი მიზანი ახალი რევოლუციური ტალღის ევროპაში არდაშვება და მონარქიული სისტემის შენარჩუნება იყო. მოსწავლემ უნდა შეძლოს საფრანგეთის რევოლუციისა და ვენის კონგრესის, როგორც პოლიტიკურ ფასეულობათა ორი განსხვავებული სისტემის ერთ კონტექსტში აღქმა და მათი დაპირისპირება იდეურ დონეზე.
სასურველი იქნება, ნათლად განისაზღვროს, თუ რა ფაქტორებს ეფუძნებოდა ბრიტანეთის იმპერიის ძლიერება და როგორი იყო ბრიტანეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგია.

**პარაგრაფი §56-57 – როგორ იქცა რუსეთი აღმოსავლეთის უმთავრეს პოლიტიკურ ძალად**

სასურველია, მოსწავლემ ნათლად დაინახოს რუსეთის განვითარების ისტორია პეტრე I-დან მთელი XVII-XVIII საუკუნის მანძილზე და აღიქვას ის სტრატეგიული სივრცეები (მათ შორის კავკასია), რომელთა მიმართულებით რუსეთი ცდილობს გაფართოებას.
კარგი იქნება, მოსწავლეს შეეძლოს შეადაროს ერთმანეთს რუსეთი და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები, აღიქვას, თუ როგორ და რატომ ჩამორჩება რუსეთი ევროპას და მიხვდეს, რომ რეფორმებზე უარის თქმით და ერთპიროვნული მონარქიის შენარჩუნებით რუსეთი ფუნდამენტურად ჩამორჩება ევროპაში მიმდინარე მოვლენებს.
აუცილებელია, მოსწავლეს შეეძლოს რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ევროპულ კონტექსტში აღქმა, მასთან შედარება და მსგავსებებისა და სხვაობებზე მსჯელობა.

**პარაგრაფი §58-59 – როგორ შეცვალა 1848 წელმა და ყირიმის ომმა ევროპული რეალობა**

სასურველია, მოსწავლემ ნათლად დაინახოს, რომ საფრანგეთში მონარქიის აღდგენის შემდეგაც რევოლუციის და ნაპოლეონის მმართველობის შედეგების სრული გაუქმება და რევოლუციამდელ წარსულში დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა.
კარგი იქნება, მოსწავლე მივიდეს იმ აზრამდე, რომ იმ პერიოდისთვის მონარქიული სისტემა იმდენად ჩამორჩებოდა და არ ითვალისწინებდა ფართო მასების სურვილებსა და ინტერესებს, რომ რევოლუცია მხოლოდ დროის საკითხი იყო.
აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს, თუ როგორ იცვლება საფრანგეთის პოლიტიკა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ.
აუცილებელია, მოსწავლემ ყირიმის ომის კონტექსტში ნათლად დაინახოს და შეადაროს დასავლურ ევროპული სამყარო და რუსეთი, აღიქვას, რომ რუსეთის მარცხი არის პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეფორმებზე უარის თქმის შედეგი.

## თავი 7: გლობალური ცვლილებების ხანა

**პარაგრაფი §60-61 – როგორ განაპირობა რომანტიკულმა ნაციონალიზმმა ერთიანი იტალიის შექმნა**

აუცილებელია, მოსწავლეს განემარტოს, თუ როგორი იყო ძალაუფლების და სახელმწიფოს გაგება წინა ისტორიულ პერიოდებში და როგორ იქმნება ძალაუფლების და სახელმწიფოს ახალი იდეა და კონცეფცია, რომელიც ერთიანი კულტურის და ისტორიული წარსულის მქონე ხალხის ერთობას ეფუძნება.
კარგი იქნება, მოსწავლემ გაიგოს, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან ნაციონალიზმის ფრანგული დე გერმანული გაგება და რა სხვაობაა თანამედროვე და XIX საუკუნის ნაციონალიზმს შორის.
აუცილებელია, მოსწავლემ ნათლად დაინახოს, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ერთიანი იტალიის შექმნას და რომელი დიდი პოლიტიკური სახელმწიფოების ინტერესები იკვეთებოდა იტალიაში.

**პარაგრაფი §62-63- 64 – რატომ დაიწყო სამოქალაქო ომი ამერიკაში**

აუცილებელია მოსწავლემ დაინახოს, თუ რამდენად ორგანულია ამერიკისთვის შიდა პოლიტიკური დისკუსია და ამ დისკუსიის კომპრომისის გადაჭრის კულტურა.
სასურველი იქნება, მოსწავლემ დაინახოს, რომ ისტორიულად ამერიკისთვის ორგანულია დაპირისპირება ფედერალურ ხელისუფლებას და შტატებს შორის და ეს დაპირისპირება ძალაუფლების განაწილების მოდელს შეეხება.
აუცილებელია, მოსწავლემ გააანალიზოს, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან ჩრდილოეთის და სამხრეთის შტატები - მათი ეკონომიკა, საზოგადოება და პოლიტიკური ხედვები.
კარგი იქნება, მოსწავლემ ნათლად აღიქვას, თუ როგორ იცვლება საზოგადოება და მიხვდეს, რომ ინდუსტრიალიზაციის მაღალი ხარისხის მთავარი მიზეზია ჩრდილოეთის შტატების გამარჯვების.

**პარაგრაფი §65-66 – როგორ განვითარდა შორეული აღმოსავლეთი**

მოსწავლეს უნდა შეეძლოს აღმოსავლეთის და ევროპის ისტორიის ერთ კონტექსტში განხილვა და მსგავსი პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების ერთიან ჭრილში აღქმა.
სასურველია, მოსწავლე მივიდეს იმ აზრამდე, რომ იაპონიამ და ჩინეთმა პირველ ეტაპზე ფეხი ვერ აუწყვეს დასავლურ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე, რამაც ამ ორ სამყაროს შორის დიდი სხვაობა განაპირობა.
აუცილებელია, მოსწავლემ ნათლად დაინახოს, როგორ პასუხობს იაპონია კრიზისს რეფორმების გზით, ხოლო ჩინეთი პირიქით უფრო ჩაკეტილი ხდება, რაც ამ კრიზისს მხოლოდ აღრმავებს.

**პარაგრაფი §67-68 – როგორ შეცვალა ევროპა გერმანიის გაერთიანებამ**

აუცილებელია, მოსწავლე აცნობიერებდეს, თუ რა ფაქტორები უშლიდა ხელს გერმანიის გაერთიანებას - როგორ, რა ძირითად ნაწილებად იყოფოდა გერმანია და როგორი იყო ამ ნაწილების პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული თავისებურებები.
კარგი იქნება, მოსწავლემ გერმანიის შექმნა დააკავშიროს მის მიერ უკვე ნასწავლ მასალას ნაციონალური სახელმწიფოების შექმნის შესახებ.
აუცილებელია, მოსწავლემ პრუსიის საგარეო ომებში გამარჯვება დააკავშიროს მის მიერ უკვე ნასწავლ ინდუსტრიალიზმის საკითხს და ახსნას ამ ფაქტორით.
კარგი იქნება, მოსწავლე მივიდეს იმ წარმოდგენამდე, თუ როგორ ცვლის ერთიანი გერმანიის შექმნა ევროპაში პოლიტიკურ ბალანსს და XIX საუკუნის ბოლოსკენ, როგორ იწყება ახალი კოალიციების შექმნა.